მშობლიური ენის კვალზე 1

მასწავლებლის წიგნი

ნინო გორდელაძე
ლელა მანგოშვილი
გვანცა ჩხენკელი

სულაკაურის
გამომცემლობა

ᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ
მასწავლებლის წიგნი

ნინო გორდელაძე
ლელა მანგოშვილი
გვანცა ჩხენკელი

კონსულტანტი **ნინო რამიშვილი**
რედაქტორი **მარიამ გოჩიტაშვილი**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN FOR THE 1ST GRADE
Teacher’s book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

სახელმძღვანელოს შესახებ 4

ქართული ენა და ლიტერატურა I-IV კლასების სტანდარტი..... 9

სტრუქტურული ერთეულების განმარტებები..... 15

წინასაანბანო პერიოდის სარეკომენდაციო კურიკულუმის ნიმუში 16

წინასაანბანო პერიოდის მატრიცების დეტალიზებული დანართები 19

წინასაანბანო პერიოდის საკითხავი ტექსტები 101

წინასაანბანო პერიოდის საწყისი ეტაპის ფონოლოგიური
სავარჯიშოები (მოკლე აღწერა)..... 112

წინასაანბანო პერიოდის სამუშაო (ფონემური ცოდნა) 115

წერის წინმსწრები სავარჯიშოები 123

საანბანო პერიოდის სარეკომენდაციო კურიკულუმის ნიმუში..... 126

საანბანო პერიოდის მატრიცების დეტალიზებული დანართები 131

რამდენიმე რეკომენდაცია ანბანის სწავლებისათვის 181

საანბანო პერიოდის საკითხავი ტექსტები..... 183

ანბანის შემდგომი პერიოდის სარეკომენდაციო კურიკულუმი 196

ანბანის შემდგომი პერიოდის მატრიცების დეტალიზებული დანართები..... 199

ტიპობრივი აქტივობები ცნებებისათვის „დეკოდირება-კოდირება“ 240

ტიპობრივი აქტივობები ცნებებისთვის „წარმოთქმული
და დაწერილი სიტყვა“ 245

რეკომენდაციები სწავლების მეთოდიკაში 247

განმავითარებელი შეფასება 261

სასარგებლო ბმულები..... 262

დანართი (ამოსაჭრელი ბარათები) 263

სახელმძღვანელოს შესახებ

პირველი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად დებულებებს და მასში გათვალისწინებულია სავალდებულო მოთხოვნები სამი მიმართულებით:

1. სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე;
2. სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე;
3. ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელო აგებულია კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რომელსაც უდიდესი როლი აქვს მოსწავლის პიროვნული ზრდისა და ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გრძელვადიანი სამიზნე ცნებები აზროვნების განვითარების არაჩვეულებრივი საშუალებაა, რომელიც აადვილებს თემის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად მართვას პირობისეული, არსობრივი ცოდნისაკენ. განსაზღვრავს, რა მიმართულებით უნდა ხდებოდეს მოსწავლის ცოდნის გაღრმავება წლისა და საფეხურის განმავლობაში.

სახელმძღვანელოს კომპლექტში წარმოდგენილია:

- მოსწავლის წიგნი
- მოსწავლის რვეული
- მასწავლებლის წიგნი.

სახელმძღვანელოს თემები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულ სავალდებულო თემებს:

1. ჩვენ და ბუნება; ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
2. გართობა (ურთიერთობა თანატოლებთან და მათი სურვილები);
3. თამაში, სპორტი, გართობა;
4. ჩვენი სკოლა; სწავლის სიყვარული;
5. ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
6. ოჯახი;
7. სამშობლო.

წინასაანბანო პერიოდი

მნიშვნელოვანი სიახლის შესაბამისად, წინასაანბანო პერიოდს 10 – 12 კვირა დაეთმობა. წინასაანბანო მასალის მიზანია, მოსწავლეებისთვის მეტყველების, მოსმენის, გააზრების უნართა ჩამოყალიბება და მათი შემზადება საანბანო პერიოდისთვის. არსებითად, სწავლების პირველი დღეებიდანვე, ვიწყებთ მოსმენის, მეტყველების, ფონემური, ფონოლოგიური და მოტორული უნარების განვითარებას.

მოტორული უნარების განვითარებისთვის მოსწავლის რვეულში უხვადაა შემოთავაზებული როგორც წერის ტრადიციულ ბადეში ჩასაწერი სავარჯიშოები, ისე „სახალისო სავარჯიშოები“ (გააფერადე, შეაერთე, დააკავშირე).

მოსწავლეებში ფონოლოგიური უნარის განვითარებისთვის რვეულში შემოთავაზებულია ფონემური სავარჯიშოები. ვარჯიშს ვიწყებთ სიტყვის მარცვლებით; ვავარჯიშებთ სიტყვის დამარცვლაში, ასევე, მარცვლების სიტყვად გამთლიანებაში. წარმოსათქმელად სიტყვის მარცვლებად დაყოფა ბუნებრივია, ჩვეულია ამ ასაკის ბავშვებისათვის, ამდენად, ის ბგერებზე ვარჯიშის წინმსწრები აქტივობაა. სამეტყველო ბგერის (იგივე, ფონემის) შესახებ ცოდნის შეძენა, სამომავლოდ, ხელს შეუწყობს როგორც სწრაფად კითხვის ათვისებას, ისე მართლწერას.

წიგნსა და რვეულში შემოთავაზებული თემები, შესაბამისი ილუსტრაციებით, მიზნად ისახავს ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას, მართლმეტყველების ძირითადი წესების დაცვასა და სიტყვის მარაგის გამდიდრებას. სურათების აღწერა, ლექსიკაზე მუშაობა და თემატური საუბრები წინასაანბანო პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა. ზეპირმეტყველების უნარის განვითარე-

ბას – მართლმეტყველების ძირითადი წესების დაცვასა და სიტყვის მარაგის გამდიდრებას – ისახავს მიზნად მოსწავლის წიგნსა და რვეულში შემოთავაზებული თემები შესაბამისი ილუსტრაციებით და სავარჯიშოებით.

წიგნში მოცემულ თემატურ სურათებზე მუშაობა, რვეულში შესასრულებელი სავარჯიშოები, მოსასმენი და მასწავლებლის მიერ წაკითხული ტექსტების მოსმენა-გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს სიტყვის მარაგის გამდიდრებაში, სიტყვებით წინადადების შედგენაში, აღწერასა და სათქმელის გადმოცემაში.

შერჩეული თემატიკა უკავშირდება ბუნებას, ფასეულობებს, სწავლას, ოჯახს, თამაშს, სპორტს, თანატოლების ცხოვრებას.

სულ **სამი ძირითადი თემაა**. ყველა თემა დამუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და თითოეულ თემას ახლავს გრძელვადიანი სამიზნე ცნების მისაღწევი შუალედური მიზნების (კომპლექსური დავალებების) სარეკომენდაციო დეტალიზებული დანართები – პრინციპით – „კომპლექსურიდან – კომპლექსურამდე“.

თითოეულ თემაში დამუშავებულია წინასაანბანო პერიოდის ყველა გრძელვადიანი სამიზნე ცნება: 1. ტექსტი; 2. სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე; 3. წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (ფონოლოგიური უნარები). თითოეულ თემაში რამდენიმე ქვეთემაა. ესენია:

1) ჩვენ და ბუნება:
- ერთად ხილის ბაღში
- ერთად სახლში
- ჩვენი ეზოს ბინადრები
- ტყე და მისი ბინადრები

2) გართობა:
- გართობა ეზოში
- სპორტის დრო
- გართობა წვიმასა და თოვლში

3) ჩვენი სკოლა:
- ბავშვები სკოლაში
- წიგნის შეძენა
- გზა სკოლისაკენ
- ხელოვნების საღამო სკოლის დარბაზში

სამივე თემას ერთნაირი სტრუქტურა აქვს. ჯერ ნახატების დახმარებით გააქტიურებულია სიტყვა, შემდეგ – წინადადება და ბოლოს აღწერა. მოსწავლეებმა ნახატის მიხედვით შესაბამისი სიტყვა უნდა ამოიცნონ, „ნახატი-წინადადების“ მიხედვით წინადადება უნდა შეადგინონ, ბოლოს ეს ამბად უნდა გადააქციონ და დაუბრუნდნენ ძირითად დიდ სურათს.

მაგ., თემაში „ჩვენ და ბუნება“ არის ქვეთავი „ერთად ხილის ბაღში“. მოცემულია ჯერ ორი ნახატი – სიტყვა (ხე და ვაზი), შემდეგ ორი ნახატი-წინადადება (გოგონა კალათაში ვაშლს აწყობს; ბიჭს ურიკით მიაქვს ვაშლები.) და ბოლოს დიდი სურათი, რომელიც ასახავს სათაურს „ერთად ხილის ბაღში“. მე-2 გვერდზე (განშლაზე) ლექსიკაზე სამუშაოდ მოთავსებულია თემატური სიტყვების შესაბამისი ნახატები.

წინასაანბანო პერიოდი



საანბანო პერიოდი

საანბანო პერიოდში ანბანის შესწავლა ეფუძნება იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს; ამასთან, სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთიც შეესაბამება ახალი სასწავლო ეროვნული გეგმის მოთხოვნას – დაყოფილია თემებად; ამ მიზნის მისაღწევად, შემატებულია დამატებითი საკითხავი / მოსასმენი მასალა.

ეს თემებია:

1. ბავშვი და გარემო,
2. ბუნების შვილები,
3. ჩვენი სამშობლო.

საანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)

მასწავლებლის სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია საანბანო პერიოდისთვის განკუთვნილი შუალედური მიზნების (კომპლექსური დავალებების) დეტალიზებული დანართები.

მასწავლებელს შეუძლია, შეცვალოს აქტივობები, რესურსები, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა რესურსი და აქტივობა შეარჩიოს გრძელვადიანი მიზნის შესაბამისად.

მოსწავლის წიგნში დაცულია იაკობ გოგებაშვილისეული ასოთა თანამიმდევრობა(მარტივიდან რთულისკენ).

სახელმძღვანელოს საანბანო ნაწილში თითოეულ ასოს ორი გვერდი ეთმობა: პირველ გვერდზე მოცემულია ახალ ასოსთან დაკავშირებული ნახატები, სიტყვები და წინადადებები. მეორე გვერდზე (განშლაზე) კი განთავსებულია საკითხავი ტექსტი და ზეპირად შესასრულებელი ლექსიკური დავალებები.

საანბანო პერიოდი



წერა ასოების გაცნობის პარალელურად იწყება. გამოსაწერი ასოებისა და სიტყვების ნიმუშები მოცემულია როგორც მოსწავლის წიგნში, შესაბამისი გვერდის ქვედა ნაწილში, ისევე წერის რვეულშიც.

რვეულში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სავარჯიშოები:
ჩაწერე ნიმუშის მიხედვით ასო/სიტყვა/წინადადება;
მოძებნე და გახაზე ასო;
ჩაწერე გამოტოვებული ასო;
დაასახელე რა ხატია და ჩაწერე სიტყვა;
დაასახელე რა ხატია და ჩაწერე პირველი ასო;
შეადგინე სიტყვები მოცემული ასოებით/მარცვლებით;
იპოვე სწორად დაწერილი სიტყვა;
შეადგინე სიტყვები და ჩაწერე;

დაასახელე რა ხატია და ჩაწერე;
გადაიწერე წინადადება; დამარცვლე სიტყვა;
ჩაწერე რამდენი მარცვალია სიტყვაში; შეავსე ხმოვნებით;
გახაზე ერთმარცვლიანი/ორმარცვლიანი/ სამმარცვლიანი სიტყვები;
მოიფიქრე საჭირო ასო, რომ გამოვიდეს სიტყვა;
არეული ასოები ისე დაალაგე, რომ სიტყვა გამოვიდეს;
უპასუხე შეკითხვას;
ნახატი დააკავშირე ხაზით შესაბამის სიტყვასთან;
დაასრულე სიტყვები;
შესაბამისი სიტყვები დააკავშირე ერთმანეთთან;
ჩაწერე წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა;
იპოვე გარითმული სიტყვების წყვილები.

სავარჯიშოების რვეული

ანბანისშემდგომი პერიოდი

ანბანისშემდგომ პერიოდში მუშავდება ორი სამიზნე ცნება:
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური დავალებების დეტალიზებული სარეკომენდაციო დანართებში განხილულია თემაში შემავალი ტექსტები.
ანბანის შემდგომ პერიოდში სასწავლო თემებისა და ამ თემებში შეტანილი ტექსტების თანმიმდევრობა ასეთია:

1. სწავლის სიყვარული:
„ყაყაჩოსა სიწითლითა“ (ლექსი),
„ნუცას სკოლა“ (მოთხრობა),
„ბავშვი და სათვალე“ (მოთხრობა),
„ბეჯითი კატო“ (მოთხრობა),
„თედო სიტყვებს სწავლობს!“ (ლექსი).

2. კეთილი საქციელი:
„ვანო, კატო და ჩიტი“ (მოთხრობა),
„ჩიტი და მელა“ (ზღაპარი),
„მზე ამოვა დილით“ (ლექსი),
„მოხუცი ქალი და ბავშვები“ (მოთხრობა),
„კეთილი ძმა“ (მოთხრობა),
„მოდით, ერთად წავიკითხოთ!“ (მოთხრობა).

3. ბუნების მრავალფეროვნება:
„დილა მშვიდობისა“ (ლექსი),
„ჩიტი ნიბლია“ (ლექსი),
„ციხე-დარბაზი“ (ზღაპარი),
„დიდსა, მაღალსა...“ (ლექსი),
„მზე დედაა ჩემი“ (ლექსი).

ტექსტებს ახლავს შეკითხვები და დავალებები.

სავარჯიშოების რვეულში გამოყოფილია წიგნის ამ მონაკვეთის სწავლებისას შესასრულებელი მრავალფეროვანი დავალებები. სავარჯიშოთა ტიპები შესაბამისი სიმბოლოებითაა აღჭურვილი.

ასეთია კომპლექსური დავალების ლოგო მოსწავლის წიგნსა და რვეულში.

ანბანისშემდგომი პერიოდი



ანბანის შესწავლის შემდგომ საკითხავს ერთვის **თავისუფალ დროს წასაკითხი** მასალაც.

საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასებში) გულისხმობს ქართული ენისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის სწავლებას. ქართული ენა დაწყებით საფეხურზე ისწავლება ფუნქციურ კონტექსტებზე დაყრდნობით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია საგნის გრძელვადიანი **მიზნები**.

სტანდარტის **შინაარსი** წარმოდგენილია ქვეცნებებისა და თემატური ჩარჩოს სახით, რომლებზე დაფუძნებითაც ჩამოყალიბდება კონკრეტული სასწავლო საკითხები.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ქართული ენა და ლიტერატურა
I-IV კლასების სტანდარტი

2. ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) ისწავლება სავალდებულო კურსის სახით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია საგნის გრძელვადიანი **მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი**წარმოდგენილია ქვეცნებებისა და თემატური ჩარჩოს სახით, რომლებზე დაფუძნებითაც ჩამოყალიბდება კონკრეტული სასწავლო საკითხები.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

I-IV კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს. მაგ.,**ქართ.დაწყ.(I).1**

„ქართ.“– მიუთითებს საგანს „ქართულიენა და ლიტერატურა“;
„დაწყ.(I).“– მიუთითებს I-IVკლასების სტანდარტს;
„1“– მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.დაწყ.(I). 1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით.	**ტექსტი** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6) **გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6) **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)** (შედეგები: (I) 2, 4, 6) **დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)** (შედეგები: (I). 2,4,6)
ქართ.დაწყ.(I). 2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	
ქართ.დაწყ.(I).3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.	
ქართ.დაწყ.(I).4	სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).	
ქართ.დაწყ.(I).5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).	
ქართ.დაწყ.(I).6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.	

თემატური ჩარჩო

სასწავლო თემები უნდაუკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები;
- ოჯახი/სახლი; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა;
- ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
- ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო, მშობლიური კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., დღესასწაულები).

საფეხურის საკვანძო შეკითხვები

საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- როგორ გავიგო ტექსტი? როგორ შევადგინო ტექსტი? **(სამიზნე ცნება – ტექსტი)**
- როგორ შევარჩიო სიტყვები და წინადადებები სათქმელის გამოსახატავად? როგორ გავიმდიდრო სიტყვების მარაგი? **(სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე))**
- როგორ აღმოვაჩინო და გამოვიყენო გრამატიკის წესები? **(სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული)**

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

სამიზნე ცნებები	ქვეცნებები
ტექსტი	**ჟანრი** • *<u>მხატვრული ჟანრები</u>* (მაგ., ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, თქმულება, ლექსი, კომიქსი, ჩანახატი); • *<u>არამხატვრული ჟანრები</u>* (მაგ., საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი, წერილი, რეკლამა, საინსტრუქციო ტექსტი, პოსტერი, დღიური, რეპორტაჟი, ინტერვიუ); • *<u>მულტიმედიური ტექსტები</u>* *(მაგ.,* საბავშვო ფილმი (მხატვრული, ანიმაციური), საბავშვო სპექტაკლი, სიმღერა). *<u>სხვადასხვა ჟანრის ტექსტების:</u>* **შინაარსობრივი მხარე** მაგალითად: • თემა; • მთავარი იდეა/დედააზრი; • მთავარი და არამთავარი ინფორმაცია; დეტალი (არსებითი/ მნიშვნელოვანი, არაარსებითი); • პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია • ძირითადი საკითხი/პრობლემა; • მხატვრული კონფლიქტი; • სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • ეპიზოდი; დიალოგი; • მოქმედების დრო და ადგილი; • პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; • ავტორი, მთხრობელი; • ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის).

	ენობრივი მხარე მაგალითად: • თემატური ლექსიკა; • მხატვრული ხერხები/ტროპები (მაგ., ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა); • წარმოებული სიტყვები (მაგ., მეპურე, ჯოხიანი); • რთული სიტყვები (მაგ., ხელჯოხიანი, თავქუდმოგლეჯილი, და-ძმა); • მარტივი ფრაზეოლოგიზმები; • სიტყვათა სემანტიკური კავშირები (სინონიმები, ანტონიმები, ლექსიკური ბუდეები). **სტრუქტურა/აგებულება** მაგალითად: • *ტექსტისმაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები* – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა. • *ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები* – ილუსტრაცია, სქემა, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა. **სტრატეგია (ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირებისთვის)** *მოსმენის სტრატეგიები* – მოსმენის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ) *კითხვის სტრატეგიები* – კითხვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ); გაწაფული კითხვის სტრატეგიები; *ლექსიკის სწავლის სტრატეგიები*– სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით, სიტყვის აგებულებაზე დაკვირვება, ლექსიკონის გამოყენება, ლექსიკონის შედგენა, წინადადების შედგენა ახალი სიტყვ(ებ)ის გამოყენებით; *წერის სტრატეგიები*– წერის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ).
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)	**სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება** მაგალითად: • **თხრობა** – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • **აღწერა** – აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები); • **შედარება** – შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები) • **დასაბუთება** – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი). **სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები** მაგალითად: • დროითი მიმართებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., ჯერ, უწინ, ადრე, შემდეგ, დასასრულ); • მდებარეობის/სივრცეში ლოკალიზების, ნიშან-თვისებების; ზომის, ფორმის, ფერის, გემოს, სუნის/სურნელის, ტექსტურის, ტემპერატურის, რაოდენობის, შემადგენლობის/მასალის; ფუნქცია-დანიშნულების, მსგავსება-განსხვავების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., შორის, მრგვალი, პრიალა, მჟავე; სხვანაირი, მსგავსი; ისეთივე, როგორიც და მისთ.); • ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., იმიტომ, რომ, იმისთვის, რომ; რადგან). **ტექსტის ერთეულები** სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური. **საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლები** მაგალითად: • საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციისდრო, ადგილი. **სამეტყველო ეტიკეტი** • სასაუბრო ფორმები; • თავაზიანი მეტყველების ფორმები.

გრამატიკა (პრაქტიკული)	**გრამატიკის საკითხები** *ფუნქციურ კონტექსტებში წარმოჩენილი:* • სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე); • სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები; • ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები; • სიტყვაწარმოება; • ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები; • სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები; • სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები; • სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით; • ზმნისწინები და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები; **მართლმეტყველება, მართლწერა** • მართლწერისა და კალიგრაფიის ელემენტარული ნორმები; • მართლმეტყველებისელემენტარული ნორმები; • სიტყვის გადატანის წესები.
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის)	**სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი** • სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა; • სიტყვის გრაფემული ხატი.
დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)	**სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი** • *დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი)* – ასო, მარცვალი; • *ხმოვანი და თანხმოვანიბგერები.*

შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები

სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

სიტყვა, წინადადება, ტექსტი(სიტყვიდან ტექსტამდე)(შედეგები: (I).4, 5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა;

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის) (შედეგები: (I) 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბგერების/მარცვლების ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში;
- ბგერების/მარცვლების რაოდენობის განსაზღვრაწარმოთქმულ სიტყვაში/მარცვალში;
- მიმართებების ამოცნობა სიტყვის ხმოვან და გრაფემულ ხატებს შორის.

დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)
(შედეგები: (I). 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება;
- სიტყვების/წინადადებების წაკითხვა;
- ასოების, სიტყვების, წინადადებების დაწერა ბადიან რვეულში (კალიგრაფიის ელემენტარული ნორმების დაცვით).

I კლასში, საგნისთვის „ქართული ენა და ლიტერატურა“ განსაზღვრულია შემდეგი **გრძელვადიანი სამიზნე ცნებები**:

- ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
- სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
- წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6)
- დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საჭიროა, სასწავლო პროცესი დაიყოს შუალედურ სასწავლო მიზნებად. განსხვავებით გრძელვადიანი მიზნებისგან (რომელიც უკვე განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით), შუალედურ სასწავლო მიზნებს სკოლა განსაზღვრავს საკუთარი საჭიროებებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

შუალედური მიზნის განხორციელების საშუალებაა **კომპლექსური დავალება**. ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელი, რომ თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

წინასაანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) (შენიშვნა: ამ პერიოდში მხოლოდ წარმოთქმულ სიტყვას ვამუშავებთ)

პირველი თემის შესწავლის პროცესში, რომელიც მოიცავს სამ სასწავლო კვირას განვახორციელებთ სამ მარტივ კომპლექსურ დავალებას. (რასაკვირველია, მოსწავლეთა გაცნობისა და წესების გაზიარების შემდეგ.)

საანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)

ანბანისშემდგომ პერიოდში მუშავდება ორი სამიზნე ცნება:

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

სტრუქტურული ერთეულების განმარტებები

გრძელვადიანი სამიზნე ცნება

სამიზნე ცნება არის მთავარი სამიზნე ობიექტი, რომელიც მთელი საფეხურის ფარგლებში რჩება ორიენტირად; მუშავდება სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში (ცნება მიზანი – თემა საშუალება).

მკვიდრი წარმოდგენები

შემოსაზღვრავს ოთხწლედისთვის ცნების მოცულობას, ცოდნის ყველაზე უფრო ღრმა შრე (გათავისება, გასისხლხორცება, გონებითი ჩვევა).

არ შეიძლება მკვიდრი წარმოდგენების ერთმანეთისგან და სამიზნე ცნებისგან მოწყვეტა.

საკვანძო შეკითხვა

მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;

სასწავლო თემის სამიზნე ცნებაზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; ყველა აქტივობა საკვანძო შეკითხვის პროვოცირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული;

თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა; საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება

არის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალება, შუალედური მიზანი, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით – პირობისეულზე); ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე;

გამოიყენება ცოდნის აგებისთვის და არა მხოლოდ ნასწავლის შესამოწმებლად;

კონკრეტული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში გამოხატული ცოდნაა, რომელიც სამიზნე ცნებაზე მუშაობისთვის გამოიყენება და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს.

შეფასების კრიტერიუმი

კრიტერიუმი, რომლითაც მოწმდება, თუ რამდენად აქვს მოსწავლეს გათავისებული სამიზნე ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით განსაზღვრული ცოდნა.

კრიტერიუმი შესრულებულია მაშინ, როცა მოსწავლემ კომპლექსური დავალება შეასრულა და შექმნის პროცესი გაასიტყვა (საკუთარი სიტყვებით აღწერა რა გააკეთა; ახსნა, თუ რატომ გააკეთა ასე და არა სხვაგვარად; შეაფასა რამდენად მართებულად შეასრულა დავალება).

კრიტერიუმი არ არის ინდიკატორი. იგი არ შეიძლება კომპლექსური დავალებისგან მოწყვეტილად არსებობდეს;

კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან, მაგრამ არ არის გრძელვადიანი სამიზნე ორიენტირი.

წინასაანბანო პერიოდის სარეკომენდაციო კურიკულუმის ნიმუში

წინასაანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:

1. ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
2. სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
3. წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6)

I თემა **ჩვენ და ბუნება**	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
I ქვეთემა **ერთად ხილის ბაღში**	**სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება** – აღწერა **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ **ელემენტები**: ადგილის აღმნიშვნელი სიტყვები – მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით ქვევით, შუაში; ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები – ფერი, ზომა, ფორმა.	სურათზე გამოსახული ხილის ბაღის აღწერა.	**მოსასმენი ტექსტი:** ლ. ასათიანის „შემოდგომა მოვიდა“. **კონტექსტმაგალითები**: ილუსტრაცია (აღსაწერად).	**სახელმძღვანელო.** **კონტექსტმაგალითები:** ილუსტრაცია (აღსაწერად). https://bit.ly/3GlS0DU **მოსასმენი ტექსტები:** „შემოდგომის ნობათი“. ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
II ქვეთემა **ერთად სახლში (შინაური ცხოველები ადამიანებთან ერთად)**	**სამიზნე ცნება:** წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნებები:** ბგერა და წარმოთქმული სიტყვა. **ქვესაკითხები:** ბგერა, მარცვალი, სიტყვა, სიტყვის ბგერებად დაშლა და გამთლიანება.	სიტყვის ბგერებად დაშლა და ბგერების სიტყვად გამთლიანება (სინთეზი და ანალიზი).	**მოსასმენი ტექსტი:** მარიამ წიკლაურის „ჩვენი ძაღლი“. **კონტექსტმაგალითები**: ილუსტრაციები ბგერებსა და მარცვლებზე სავარჯიშოდ.	**სახელმძღვანელო.** **კონტექსტმაგალითები**: ილუსტრაციები ბგერებსა და მარცვლებზე სავარჯიშოდ. **მოსასმენი ტექსტი:** გ. შატბერაშვილის „მაიას ყვავილები“. ილუსტრაციები, ბგერების, მარცვლების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
III ქვეთემა **ჩვენი ეზოს ბინადრები**	**სამიზნე ცნება:** წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება:** ბგერა და წარმოთქმული სიტყვა. **ქვესაკითხები:** სიტყვის ხმოვანი ხატი (ფონემური ხატი), სამეტყველო ბგერა (ფონემა).	ეზოს ბინადრების პოსტერის შექმნა ერთნაირი/ ტოლი რაოდენობის ბგერების მქონე სიტყვებით.	**მოსასმენი ტექსტი:** გ. ჭიჭინაძის „გამოცანები“. **კონტექსტმაგალითები**: პოსტერის ნიმუშები.	**სახელმძღვანელო.** **კონტექსტმაგალითები:** პოსტერის ნიმუშები. ცხოველებისა და ფრინველების ხმები. https://www.youtube.com/watch?v=ZGGoTcVDI_o https://www.youtube.com/watch?v=DJ6hCnD_glE&t=36s ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
IV ქვეთემა **ტყის ბინადრები**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ტექსტი – მოთხრობა. **ქვესაკითხები:** მოთხრობის – „ფოსტალიონი კოდალას“ პერსონაჟები და მონაკვეთები.	რა მოხდებოდა, რომ...	**მოსასმენი ტექსტი:** ნინო გორდელაძე „ფოსტალიონი კოდალა“. **კონტექსტმაგალითები**: „ფოსტალიონი მტრედი“ წერილები.	**სახელმძღვანელო.** **კონტექსტმაგალითები**: „ფოსტალიონი მტრედი“ წერილები. „ტყე და მისი ბინადრები“. გ.ჭიჭინაძის „დათუნია დრუნჩა“. ილუსტრაციები, ბგერების, მარცვლების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.

II თემა გართობა	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი, კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვა**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
I ქვეთემა **გართობა ეზოში, ურთიერთობა თანატოლებთან, მათი სურვილები**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: პერსონაჟი. **ქვესაკითხები**: ნესტან კუპრავას – „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე“ – პერსონაჟები, ქცევა, დამოკიდებულებები; ემოციები, ზრდილობიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვები.	როლური გათამაშება შერჩეული პერსონაჟის როლის მორგებით.	**მოსასმენი ტექსტი:** ნესტან კუპრავას „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე!“ **კონტექსტმაგალითები:** **ილუსტრაცია:** თოჯინებით თამაში.	**სახელმძღვანელო.** **ილუსტრაცია**: თოჯინებით თამაში. ბგერების, მარცვლების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
II ქვეთემა **სპორტის დრო**	**სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: აღწერა. **ქვესაკითხები**: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ ელემენტები (ატრიბუტები/ ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები).	ჩაფიქრებული სპორტის სახეობის აღწერა.	**მოსასმენი ტექსტი:** მ. მრევლიშვილის „ვარჯიში“. **კონტექსტმაგალითები**: სპორტის სახეობების აღწერა ილუსტრაციებით.	**სახელმძღვანელო**. **კონტექსტმაგალითები:** სპორტის სახეობების აღწერა ილუსტრაციებით. ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
III ქვეთემა **გართობა ზამთარ-ზაფხულ**	**სამიზნე ცნება:** წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება:** ბგერა და წარმოთქმული სიტყვა. **ქვესაკითხები**: ბგერა, საერთო ბგერა, სიტყვა, რითმა.	რითმების შექმნა ადამიანის სახელების გამოყენებით	**მოსასმენი ტექსტი:** მ. წიკლაურის „როგორ გავხდეთ ბაყაყი“. მარიამ წიკლაურის „მალე გამოიდარებს“. **კონტექსტმაგალითები**: რითმოცანები გამოცანები	**სახელმძღვანელო** **კონტექსტმაგალითები**: რითმოცანები გამოცანები ნესტან კუპრავას „ქვიშის კოშკი“. გამოცანები. ნოდარ დუმბაძის „შეჯიბრი“. ილუსტრაციები, ბგერების, მარცვლების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
III თემა ჩვენი სკოლა	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი, კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვა**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
I ქვეთემა **ბავშვები სკოლაში**	**სამიზნე ცნება:** წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება:** სიტყვის ხმოვანი ხატი. **ქვესაკითხები:** ოთხი და მეტბგერიანი სიტყვები; სასკოლო ნივთები; საკვანძო შეკითხვა: როგორ დავშალო სიტყვები ბგერებად? როგორ წარმოვიდგინო სიტყვის ხმოვანი ხატი მოცემული ნახატის დახმარებით?	სიტყვების პოსტერი – სასკოლო ნივთები.	**მოსასმენი ტექსტი:** ქ. ქუჩუკაშვილის „მე სკოლაში მივდივარ“. **კონტექსტმაგალითები**: პოსტერების ნიმუშები. სასკოლო ნივთების ილუსტრაციები.	**სახელმძღვანელო.** პოსტერების ნიმუშები. **კონტექსტმაგალითები**: სასკოლო ნივთების ილუსტრაციები. ტარიელ ჭანტურიას „ნუციკო“. ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.

II ქვეთემა **გზა სკოლისაკენ**	სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: აღწერა. **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ ელემენტები (ატრიბუტები/ ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები).	დახატე გზა სკოლიდან სახლამდე და აღწერე.	**მოსასმენი ტექსტი:** ზღაპარი – „სკოლა უდაბნოში“.	**სახელმძღვანელო** ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.
III ქვეთემა **ჩვენი სკოლის დარბაზი – ხელოვნების საღამო**.	**ტექსტი** (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება** – ლექსი. სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა. **ქვესაკითხები:** ვასილ გულეურის „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“ – თემა, პერსონაჟები, აღწერის შემადგენელი ნაწილები/ ელემენტები (ფერი, ფორმა, ზომა; ადგილმდებარეობა – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ)	სკოლის დარბაზის უჩვეულო ნაძვის ხისთვის საჩუქრების აპლიკაციით მომზადება და აღწერა.	**მოსასმენი ტექსტი:** ვ. გულეურის „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“. **კონტექსტმაგალითები**: მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან – საყვარელი საჩუქარი.	**სახელმძღვანელო** **კონტექსტმაგალითები**: მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან – საყვარელი საჩუქარი. „თხა და ვენახი“. ილუსტრაციები, ბგერების, მოტორიკის, ლექსიკის სავარჯიშოები.

შენიშვნა: ამგვარად შეივსება საანბანო და ანბანისშემდგომი პერიოდის კურიკულუმის ჩარჩო.

ტერმინი „კონტექსტმაგალითი“ აღნიშნავს სწავლა-სწავლების პროცესში განსახილველ სხვადასხვა ტიპის მაგალითებს, რომელთა განხილვა-გაანალიზება სამიზნე ცოდნის – ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების მნიშვნელობის გაგებამდე მიიყვანს მოსწავლეს. კონტექსტმაგალითი შეიძლება იყოს: შემთხვევა, ექსპერიმენტი, სიმულაცია, ხელოვნების ნიმუში, ამბავი, ლიტერატურული მაგალითი, სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტი (მაგ. ტექსტი, სურათი, ვიდეო) და სხვა. (მაგალითად, ტექსტები „ნაცარქექია“ და „ხუთკუნჭულა“ არის ქვეცნება „ზღაპრის“ კონკრეტული კონტექსმაგალითები – მათი შესწავლის და შედარების საფუძველზე მოსწავლე შეძლებს გაიაზროს, რა არის ზღაპარი, რა მახასიათებლები აქვს მას;

ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შევთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი კონტექსტმაგალითები. ამასთანავე, სასურველია, კონკრეტულ სამიზნე ცოდნასთან მიმართებით რამდენიმე კონტექსტმაგალითი გამოვიყენოთ. ერთი იქნება ძირითადი კონტექსტმაგალითი, ძირითადი ტექსტი, რომელიც მრავალმხრივად და საფუძვლიანად დამუშავდება, დანარჩენს კი გამოვიყენებთ შედარებების გასაკეთებლად და ამ გზით მოსწავლეთა დასაფიქრებლად, მათი ცოდნის გასაღრმავებლად, მათი თვალსაწიერის გასაფართოებლად.

წინასაანბანო პერიოდის მატრიცების დეტალიზებული დანართები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი დაუფლება, შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს.

I კლასში, საგნისთვის „ქართული ენა და ლიტერატურა“ განსაზღვრულია შემდეგი **გრძელვადიანი სამიზნე ცნებები:**

- ✓ ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
- ✓ სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
- ✓ წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6)
- ✓ დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საჭიროა, სასწავლო პროცესი დაიყოს შუალედურ სასწავლო მიზნებად. განსხვავებით გრძელვადიანი მიზნებისგან (რომელიც უკვე განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით), შუალედურ სასწავლო მიზნებს სკოლა განსაზღვრავს საკუთარი საჭიროებებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

შუალედური მიზნის განხორციელების საშუალებაა **კომპლექსური დავალება.** ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელი, რომ თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

წინასაანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6) (შენიშვნა: ამ პერიოდში მხოლოდ წარმოთქმულ სიტყვას ვამუშავებთ)
პირველი თემის შესწავლის პროცესში, რომელიც მოიცავს სამ სასწავლო კვირას განვახორციელებთ სამ მარტივ კომპლექსურ დავალებას. (რასაკვირველია, მოსწავლეთა გაცნობისა და წესების გაზიარების შემდეგ.)

I თემა: ჩვენ და ბუნება

პირველი ქვეთემა – ერთად ხილის ბაღში

გთავაზობთ წინასაანბანო პერიოდში დასამუშავებელი პირველი თემის – „ჩვენ და ბუნება“ – ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების სარეკომენდაციო სცენარებს. მასწავლებელს, სურვილისამებრ შეუძლია, შეცვალოს რესურსები, აქტივობები, გეზისმიმცემი შეკითხვები, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა რესურსი და აქტივობა უნდა შეირჩეს **გრძელვადიანი სამიზნე ცნების დაუფლების მიზნით.**
ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების შეცვლა დაუშვებელია.

შუალედური მიზანი N 1. სურათზე გამოსახული ხილის ბაღის აღწერა.
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N1
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I) 4, 5, 6) **ქვეცნება** – აღწერა	**საკითხი:** სურათზე გამოსახული ხილის ბაღის აღწერა. ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები: ადგილის აღმნიშვნელი სიტყვები – მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით ქვევით, შუაში; ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები – ფერი, ზომა, ფორმა. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ აღვწერო სურათზე გამოსახული საკლასო ოთახი ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს? როგორ გამოვკვეთო ნიშან-თვისებებისა და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები? **კომპლექსური დავალება** – სურათზე გამოსახული ხილის ბაღის აღწერა. ისე აღწერე ხილის ბაღი, რომ მსმენელებმა ნათლად წარმოიდგინონ, როგორია ის.
მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლე აცნობიერებს, რომ:** 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე / მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები** **აღწერისას წარმოაჩინე:** ✓ სურათის რომელ ნაწილში რა არის გამოსახული (მაგ: ბაღის შუაში, ვაშლის ხის წინ, მარჯვნივ, მარცხნივ); როგორია (რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის). (ს.1, 2, 3). ✓ ვინ არიან სურათზე გამოსახული, როგორები არიან, რატომ არიან ერთად, თითოეული სად არის და რას აკეთებს, რა აცვიათ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველები (ს.1. 2. 3).

შენიშვნა 1. კომპლექსური დავალების პირობაში, შეფასების კრიტერიუმებთან, ფრჩხილებში, შემოკლებითაა მითითებული სამიზნე ცნება: „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“, ანუ „ს“ და მისი მკვიდრი წარმოდგენები.

შენიშვნა 2. ყველა რესურსი და აქტივობა შერჩეულია სამიზნე ცნება „სიტყვა, წინადადება, ტექსტის“ დასამუშავებლად. ამავდროულად, გაწერილია ამ პერიოდში შესასრულებელი ფონემური და მოტორიკის სავარჯიშოები, საკითხავი ტექსტები. ყოველივე წარმოდგენილია უწყვეტად, ჯაჭვური ბმით. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ხილის ბაღის აღწერა ისე, რომ მსმენელებმა ნათლად წარმოიდგინონ, როგორია ის.

მართალია, ამ დროს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მოსწავლეებმა კითხვა არ იციან, მაგრამ თემის სათაურის გაცნობისთანავე, ვაჩვენებთ ფორმატის/ფლიპჩარტის ქაღალდზე ან პროექტორით ეკრანზე კომპლექსური დავალების პირობას ასეთი სახით:

კომპლექსური დავალება – **სურათზე გამოსახული ხილის ბაღის აღწერა.**
ისე აღწერე ხილის ბაღი, რომ მსმენელებმა ნათლად წარმოიდგინონ, როგორია ის.

შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები

აღწერისას წარმოაჩინე:

✓ სურათის რომელ ნაწილში რა არის გამოსახული (მაგ: ბაღის შუაში, ვაშლის ხის წინ, მარჯვნივ, მარცხნივ); როგორია (რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის) (ს.1, 2, 3);

✓ ვინ არიან სურათზე გამოსახული, როგორები არიან, რატომ არიან ერთად, თითოეული სად არის და რას აკეთებს, რა აცვიათ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველები (ს.1. 2. 3).

ამ ეტაპზე შეიძლება, არ ვახსენოთ ფრაზა „შეფასების კრიტერიუმები“, მაგრამ მოსწავლეებს ყოველდღე უნდა წავუკითხოთ დავალების პირობა და შევახსენოთ, რომ მათ უნდა აღწერონ სურათი. ძალიან მარტივი ფრაზებით ვუხსნით, რომ აღწერისას გამოიყენონ საჭირო სიტყვები (მაგ: ბაღის შუაში, ვაშლის ხის წინ, მარჯვნივ, მარცხნივ); როგორია (რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის).

ვინ არიან სურათზე გამოსახული, როგორები არიან, რატომ არიან ერთად, თითოეული სად არის და რას აკეთებს, რა აცვიათ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველები.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

რესურსი 1. აღსაწერი სურათი (მასწავლებელს რესურსად შეუძლია, გამოიყენოს ზაფხულის ილუსტრაცია).

- ✓ ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ახსნას, რას მოითხოვს დავალება?
- ✓ ხომ არ იცით, რას ნიშნავს სურათის აღწერა?
- ✓ გაიხსენეთ, რას ვაქცევთ ყურადღებას, როცა რაიმეს აღვწერთ?
- ✓ რას ხედავთ სურათზე? წელიწადის რომელი დროა?

- ✓ სად არიან ბავშვები? რას აკეთებენ? ვინ არის ყველაზე ახლოს ზღვასთან?
- ✓ რა ფერის არის ზღვა?
- ✓ ვინ აშენებს ქვიშისგან კოშკს? რას ხედავთ მათგან მარჯვნივ?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. სურათის რომელ ნაწილში რა არის გამოსახული (ბაღის შუაში, ვაშლის ხის წინ, მარჯვნივ, მარცხნივ); როგორია (რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის). (ს.1, 2, 3).

ვინ არიან სურათზე გამოსახული, როგორები არიან, რატომ არიან ერთად, თითოეული სად არის და რას აკეთებს, რა აცვიათ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველები (ს.1. 2. 3).

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები – ადგილის აღმნიშვნელი სიტყვები – მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით ქვევით, შუაში; ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები – ფერი, ზომა, ფორმა.

შენიშვნა: ნაბიჯები გაწერილია შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებელს შეუძლია, ორივე კრიტერიუმი ერთ ნაბიჯში გააერთიანოს, ასევე – თითოეული ცალკე ნაბიჯად გაწეროს თანამდევი ქვესაკითხებით, გეზისმიმცემი კითხვებით, რესურსებითა და აქტივობებით.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვესაკითხებზე, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით ნამუშევრების შეფასების დროს ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ტექსტი/რესურსი

რესურსი 1. აღსაწერი სურათი სახელმძღვანელოდან.



სიტყვა – ვაშლის ხე/ ვაზი (ნახატი).
წინადადება – გოგონა კალათაში აწყობს ვაშლებს/ ბიჭს ურიკით მიაქვს ვაშლები.
აღწერა – შემოდგომის სურათი.
აქტივობა 1. სახელმძღვანელოში მოცემული სურათების აღწერა.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
ა) რას ვხედავთ სურათების პირველ რიგში? (ვაშლის ხე, ვაზი)
ბ) მეორე რიგის სურათებში? (გოგონა კალათაში აწყობს ვაშლებს/ ბიჭს ურიკით მიაქვს ვაშლები)
გ) წელიწადის რომელი დროა? რა მინიშნებებზე დაყრდნობით ფიქრობ ასე?
დ) როგორ შევადგინოთ სახელმძღვანელოს ილუსტრაციების მიხედვით წინადადებები? ამაში შეკითხვები დაგვეხმარება:

წინადადება 1-ელი. ილუსტრაცია.
1. რა აწყვია კალათაში?
   კალათაში ვაშლები აწყვია. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? (სამი)
2. ვინ აწყობს ვაშლებს კალათაში?
   ბავშვი ვაშლებს კალათაში აწყობს. (ოთხსიტყვიანი)
   ახლა ხუთსიტყვიანი მოვიფიქროთ!
3. რა ფერის ვაშლებს აწყობს ბავშვი კალათაში?
   ბავშვი წითელ ვაშლებს კალათაში აწყობს. (ხუთსიტყვიანი)

წინადადება მე-2. ილუსტრაცია
1. რა აწყვია ურიკაში?
   ურიკაში ვაშლები აწყვია. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? (სამი)
2. ვის მიაქვს ვაშლები ურიკით?
ბიჭუნას ვაშლები ურიკით მიაქვს. (ოთხსიტყვიანი)
3. რა ფერის ვაშლები მიაქვს ურიკით ბიჭუნას?
   ბიჭუნას წითელი ვაშლები ურიკით მიაქვს. (ხუთსიტყვიანი)

ე) თამაში – ტყუილია თუ მართალია? (მასწავლებელი ხან იცავს, ხან კი განზრახ ცვლის ნახატის მოცემულობას, ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, ტყუილია თუ მართალია. ნიმუში: – ნახატზე მე ვხედავ ყვითელ მსხალს, ტყუილია თუ მართალი? ნახატზე ვხედავ ყურძნის მტევნებს, ტყუილია თუ მართალი? ნახატზე ჩანს მოხუცი ქალი, მართალია თუ ტყუილი? ნახატზე ვხედავ ძაღლს და კატას, ტყუილია თუ მართალი? და ა.შ.)

ვ) შემოდგომის მთლიანი სურათის აღწერა დიდი ილუსტრაციის მიხედვით – „ერთად ხილის ბაღში“
✓ რა არის ყველაზე მეტი სურათზე? რა ფერისაა?
✓ რა მოჩანს ხეების უკან? რა ფერისაა მთა?
✓ რას აკეთებს მოხუცი კაცი, პაპა? გოგონა? ბიჭუნა?
✓ სად დგას გოგონა? ძაღლი? კატა?

რესურსი 2. საკითხავი: ლადო ასათიანი „შემოდგომა“ (ნაწყვეტი)
შემოდგომა მოვიდა
წითელ-ყვითელ ფერებით,
მოსავალმა აავსო
ბაღები და ველები.
დაიტვირთნენ ვაზები,
დაიშაქრნენ მტევნები,
აღაჟღაჟდნენ ვაშლები,
გადაყვითლდნენ ტევრები.

აქტივობა 2. ლექსის მხატვრულად წაკითხვა მასწავლებლის მიერ (მოსწავლეებთან ერთად გამეორება).

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

✓ როგორი ფერებით მოვიდა შემოდგომა?

✓ თქვენ კარგად იცით, რა არის საბავშვო ბაღი, მაგრამ ახლა დაფიქრდით, კიდევ რაზე ითქმის ბაღი?

✓ რის ბაღი არსებობს?! გარეთ, ბუნებაში,რას უვლიან, როგორ ბაღებს გააშენებენ ხოლმე ადამიანები? (ხილის, ყვავილების). პოეტი ამ ლექსში სწორედ ხილის ბაღებს გულისხმობს!

✓ რას ნიშნავს „აღაჟღაჟდნენ ვაშლები“? (ნახატზე მართლაც ლოყაწითელა ვაშლებია!).

✓ სხვანაირად როგორ იტყოდი კიდევ?

✓ რას უნდა ნიშნავდეს „დაიშაქრნენ მტევნები“? (უკვე მწიფე და ტკბილია). (მასწავლებელმა აუხსნას ბავშვებს, რომ მტევანს ვაზი ისხამს; ასევე, ახსნას, რას ნიშნავს ტევრი (დაბურული ტყე)

✓ რომელი ხილია წითელი? ყვითელი? (მასწავლებელმა „წითელ-ყვითელ ფერებს“ მიაქციოს ყურადღება და ბოლოს განმარტოს ბავშვებთან ერთად სიტყვა „მოსავალი“)

✓ ამ ყველა ხილს ერთად მოსავალი ჰქვია. შემოდგომაზე მოსავალს ვიღებთ.

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 4. გასაფერადებელი ვაშლები.

აქტივობა 3. ნახატზე ხუთი ვაშლის გაფერადება.

რესურსი 4. ლექსიკა ნახატებით. სახელმძღვანელოში მოცემული ხილ-ბოსტნეულის ნახატები – გვერდი 5.

წითელი ბალი	ყვითელი მსხალი	წითელი ვაშლი
ყავისფერი წაბლი	ლურჯი ქლიავი	ნარინჯისფერი ფორთოხალი
მწვანე კიტრი	წითელი პომიდორი	ნარინჯისფერი სტაფილო
ყვითელი გოგრა	წითელი ჭარხალი	ყავისფერი კარტოფილი

აქტივობა 4. მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებზე დაკვირვებით ასახელებენ ხილის, ბოსტნეულის სახელწოდებას და ფერს. ნახატებზე მოსავალია, ხილი და ბოსტნეული. მათ მშვენიერი, სხვადასხვაგვარი ფერი აქვთ! რა ფერისაა კიტრი? პომიდორი? კარტოფილი? ჭარხალი? ნახატზე რომელია ბოსტნეული? ბოსტანში რომელი მოჰყავს ადამიანებს? აქ სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს, როგორ წარმოთქვეს „კარტოფილი“ (ხშირად ეშლებათ ბგერები).

რესურსი 5. მოტორიკის სავარჯიშო მოსწავლის რვეულში (გვ.4)



აქტივობა 5. დაკავშირება: ბიჭის ვაზთან, გოგონასი – ვაშლის ხესთან.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:
✓ სად მიდის ბიჭი? გოგონა?
✓ როგორ მივიყვანო ბიჭი ვაზთან? გოგონა ვაშლის ხესთან?

რესურსი 6. ა) ლექსი „ჩვენი ნობათი“
მე მაქვს მწვანე მსხალი,
შენ კი – ვაშლი წითელი!
მე მაქვს ლურჯი ქლიავი,
შენ – ლიმონი ყვითელი!
ჩემს ძმას – შავი ყურძენი აქვს,
შენს ძმას – წაბლი ყავისფერი,
კალათაში ხელს თუ ჩავყოფთ,
ატმებია ვარდისფერი!

რესურსი 6. ბ) ლექსიკის სავარჯიშო – მოსწავლის რვეულში გასაფერადებელი სურათები. (გვ.5)
აქტივობა 6. მასწავლებელი ნელ ტემპში კითხულობს მოკლე ტექსტს (რესურსი 6. ბ) და მოსმენილის მიხედვით მოსწავლეები აფერადებენ სურათებს. (გვ.5)

რესურსი 7. მოტორიკის სავარჯიშო მოსწავლის რვეულში. (გვ.6).
აქტივობა 7. ა) დახატულია მზე, რომელმაც სხივები უნდა მოჰფინოს დედამიწას, მოსწავლე წერტილების დახმარებით სხივებს ხატავს.
ბ) ღრუბლიდან მოდის წვიმის გრძელი წვეთები წერტილებით, მოსწავლემ უნდა შეაერთოს და გამოვა გრძელი ხაზი.



რესურსი 8. ა) მოტორიკა /ლექსიკის სავარჯიშო – გასაფერადებელი ფოთლები (ფოთლის მცირე მონაკვეთზე ფერი მინიშნებულია) მოსწავლის რვეული (გვ.7).

ბ) ბმული – https://bit.ly/3GIS0DU



აქტივობა 8. აქტივობის განხორციელებამდე მასწავლებელი ბმულის საშუალებით მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოებს, დაასახელებენ, რა ფერისაა და შემდეგ გააფერადებენ სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფოთლებს (წითელი/მუქი წითელი, ღია მწვანე/მუქი მწვანე, ყვითელი/ყავისფერი) (გვ. 7).

რესურსი 9. დიდი ზომის ბადე – მოსწავლის რვეული, გვერდი 8.

აქტივობა 9. დიდი ზომის ბადეში უჯრების გაფერადება. თან ბადესაც გააცნობს მასწავლებელი (უმთავრესია, ახსნას, რომ სამი ნაწილი აქვს ბადეს, შესაძლებელია, მოსწავლეთა გასახალისებლად ამას ვუწოდოთ სამი სართული: ზედა, შუა, ქვედა).

აქტივობა 10. კომპლექსური დავალების წარდგენა – ხილის ბაღის სურათის აღწერა.

შენიშვნა: აღწერას წარადგენს ყველა მოსწავლე. მასწავლებელი წარდგენის პროცესს უთმობს იმდენ დღეს, რამდენის საჭიროებაც იქნება. თითოეულ გამომსვლელს გაამხნევებს და სტიმულს მისცემს, რომ შემდეგი დავალება კიდევ უფრო უკეთესად წარადგინოს.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ როგორ უნდა აღწეროთ სურათი?
- ✓ რა უნდა გაითვალისწინო აღწერისას?
- ✓ სურათის რომელ ნაწილში რა არის გამოსახული (ბაღის შუაში, ვაშლის ხის წინ, მარჯვნივ, მარცხნივ); როგორებია – რა ფორმის, რა ზომის, რა ფერის.
- ✓ ვინ არიან სურათზე გამოსახული, როგორები არიან, რატომ არიან ერთად, თითოეული სად არის და რას აკეთებს, რა აცვიათ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველები.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ როგორ აღწერე სურათი?
- ✓ ადგილის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე? (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით ქვევით, შუაში)
- ✓ ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე? (ფერი, ზომა, ფორმა)
- ✓ გასაგებია მსმენელისთვის შენი აღწერა?
- ✓ სწორად აღწერე, რას აკეთებენ სურათზე გამოსახული ადამიანები?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

ამით პირველი თემის „ჩვენ და ბუნების“ პირველი ქვეთემის – „ერთად ხილის ბაღში“ შესწავლა დასრულებულია.

შენიშვნა: შემოთავაზებული აქტივობების განხორციელებას დაახლოებით შვიდი საათი დასჭირდება. ეს დამოკიდებულია მოსწავლეთა მზაობაზე. რაც მთავარია, მასწავლებელმა არ უნდა ააჩქაროს ხელოვნურად პროცესი, არამედ ის მორგებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებისამებრ განსაზღვროს საათების რაოდენობა.

ავტორთა ჯგუფი ფიქრობს, რომ მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები დაძლევენ ეტაპებს და საბოლოოდ შეძლებენ პატარა ამბის შეთხზვას, რადგან სამიზნე ცნების, „სიტყვა, წინადადება, ტექსტის“ დამუშავების პროცესს ბევრად აადვილებს ასეთი მარტივი კომპლექსური დავალების შესრულება. ფაქტობრივად, ყველაფერი საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესში კეთდება და მასწავლებელი თვალ-ყურს ადევნებს, რამდენად არიან ჩართულნი მოსწავლეები, სად სჭირდებათ მასწავლებლის დახმარება, რას აკეთებენ დამოუკიდებლად და ასე შემდეგ.

I თემა: ჩვენ და ბუნება

მეორე ქვეთემა – ერთად სახლში (შინაური ცხოველები ადამიანებთან ერთად)

შუალედური მიზანი N 2. სიტყვის ბგერებად დაშლა და ბგერების სიტყვად გამთლიანება (სინთეზი და ანალიზი).

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 2**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა** (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნებები**: ბგერა და წარმოთქმული სიტყვა.	**საკითხი:** სიტყვის ბგერებად დაშლა და ბგერების სიტყვად გამთლიანება (სინთეზი და ანალიზი). **ქვესაკითხები**: ბგერა, მარცვალი, სიტყვა, სიტყვის ბგერებად დაშლა და გამთლიანება. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ ამოვიცნო, რამდენი ბგერისაგან შედგება სიტყვა? როგორ დავუკავშირო უჯრებს? **კომპლექსური დავალება:** სიტყვის ბგერებად დაშლა და ბგერების სიტყვად გამთლიანება (სინთეზი და ანალიზი). გამოიცანი ნახატით სიტყვა, დააკვირდი ნიმუშს და ნახატი დააკავშირე სიტყვის ბგერების რაოდენობის შესაბამის უჯრებთან (ხე, თხა, ბუდე, ძროხა). შეარჩიე ერთ-ერთი სიტყვა, ბგერებად დაშალე და ვნახოთ, შენი თანაკლასელები გამოიცნობენ თუ არა შენ მიერ ჩაფიქრებულ სიტყვას.
✓ **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** ✓ მოსწავლე აცნობიერებს, რომ წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. ✓ ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. ✓ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**შეფასების კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რატომ ფიქრობ, რომ სწორად დააკავშირე ნახატები უჯრებთან. (წ.1,2) ✓ როგორ დაიშლება სიტყვები ბგერებად. (წ.1) ✓ რამდენი ბგერისაგან შედგება თითოეული სიტყვა; (წ.2) ✓ როგორ გამთლიანდება ბგერები სიტყვად. (წ.1)

შენიშვნა 1: როგორც პირველი ქვეთემის დამუშავების პროცესში, მეორე ქვეთემასაც წინ უძღვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა და შემდეგ ყოველდღე წაკითხვა და მოსწავლეებისთვის მარტივი, გასაგები ენით შეფასების კრიტერიუმების ახსნა, მაგ: ეს დავალება რომ კარგად შეასრულოთ, საჭირო იქნება, გამოიცნოთ, რამდენი ბგერაა სიტყვაში, დათვალოთ უჯრების რაოდენობა და შემდეგ გააფერადოთ. ამისათვის კარგად უნდა მოუსმინოთ მასწავლებელს.

შენიშვნა 2: კომპლექსური დავალების პირობაში, შეფასების კრიტერიუმებთან, ფრჩხილებში, შემოკლებითაა მითითებული სამიზნე ცნება: „წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“, ესე იგი, „წ“ და მისი მკვიდრი წარმოდგენები.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

რესურსი: სურათები (თქვენს ხელთ არსებული შინაური ცხოველების სურათები).
აქტივობა: მასწავლებელი რამდენიმე სურათის გამოყენებით სიტყვებს დაშლის ბგერებად და შემდეგ გაამთლიანებს, უჩვენებს ნიმუშს მოსწავლეებს, როგორ შეიძლება სიტყვების ბგერებად დაშლა.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- ✓ ვის შეუძლია საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?
- ✓ როგორ უნდა დავშალოთ სიტყვები ბგერებად და მივხვდეთ, რამდენი ბგერაა სიტყვაში? (ნახატის დახმარებით)
- ✓ რა უნდა გაიხსენოთ? როგორ უნდა დაშალოთ სიტყვა ბგერებად? (ცალ-ცალკე წარმოვთქვამთ)
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რატომ ფიქრობ, რომ სწორად დააკავშირე ნახატები უჯრებთან (წ.1, 2). როგორ დაიშლება სიტყვები ბგერებად (წ. 1);
რამდენი ბგერისგან შედგება თითოეული სიტყვა; (წ.2). როგორ გამთლიანდება ბგერები სიტყვად (წ.1).

ქვესაკითხები: ბგერა, მარცვალი, სიტყვა, სიტყვის ბგერებად დაშლა და გამთლიანება.
აქტივობა/რესურსი
რესურსი 1. აღსაწერი სურათი სახელმძღვანელოდან.

სიტყვა – ძაღლი, კატა.
წინადადება – ძაღლი დედასთან დგას/ფისო მოკალათებულა სავარძელში.
აღწერა – ოჯახი და შინაური ცხოველები (კატა, ძაღლი).

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რას ვხედავთ პირველ სურათზე? მეორეზე? (ძაღლს, კატას)
- ✓ სად ხედავთ მათ კიდევ? ისინი დიდ სურათზეც ჩანან?
- ✓ სად არის ოჯახი, შინ თუ გარეთ? ახსენი, რატომ ფიქრობ ასე?
- ✓ რას აკეთებს ქალი? მამაკაცი? გოგონა? ბიჭუნა?
- ✓ სად მოკალათებულა ფისო?
- ✓ ვისთან დგას ძაღლი?
- ✓ თქვენ გყავთ სახლში ცხოველები?
- ✓ როგორ უვლით მათ? (მოსწავლეები გაიხსენებენ პატარა ამბებს)

რესურსი 2. ლექსიკა ნახატებით – მოსწავლის რვეული (გვ. 9).
აქტივობა 2. მოსწავლეები გააფერადებენ ძაღლს და კატას რვეულში.
რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 9 – მოტორიკის სავარჯიშო N 1 – მოკლე ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).
აქტივობა 3. მოკლე ვერტიკალური ხაზების გავლება (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).
რესურსი 4. მოსწავლის რვეული – გვ.10 – ნახატები. მარცვლების სავარჯიშო.
აქტივობა 4. გაიხსენეთ ბავშვებთან ერთად პატარა, მოკლე, ადვილად სათქმელი სიტყვები ქართულ ენაში: (მისახვედრად დაიხმარეთ წიგნისა და რვეულის ნახატები): ხე, ბუ, კუ. 3. ახლა კი სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ სიტყვა, რომლის პირველი ნაწილი იქნება ხე. მინიშნებით ამოაცნობინეთ – ხელი, ხე-ლი. შემდეგ მოიფიქრონ სიტყვაზე კუ – კუდი, კუ-დი. ბოლოს – სიტყვაზე ბუ – ბუდე, ბუ-დე. 4. აღნიშნეთ, რომ სიტყვები: ზე-ცა, ბუ-დე, კუ-დი, ხე-ლი ორი ნაწილისგან შედგება. ჩვენ შეგვიძლია, ამ ორ ნაწილს სიტყვის ორი მარცვალიც ვუწოდოთ, ისე, როგორც ბლის კუნწულაზეა ერთად ორი მარცვალი! სიტყვაშიც ბა-ლი ორი მარცვალია! (შეგიძლიათ, აჩვენოთ ნახატი) ბოლოს კი გაიმეორეთ ბავშვებთან ერთად დამარცვლით:
ხე-ლი, კუ-დი, ბუ-დე, ზე-ცა. პირველი თქვენ წარმოთქვით, მეორე მარცვალი ბავშვებმა. ამის შემდეგ მოსწავლეები რვეულში მოცემული ნახატების მიხედვით (გვ.10) გამოიცნობენ, რომელ სიტყვაშია ერთი მარცვალი, რომელია განსხვავებული და შემოხაზავენ.

რესურსი 5. მასწავლებლის ხელთ არსებული ცხოველებისა და ფრინველების სურათები.

აქტივობა 5. ბგერებით თამაში. მოსწავლეები აირჩევენ დაფაზე განთავსებულ ნახატს და ჩუმად ეუბნებიან მასწავლებელს. შემდეგ დაშლიან ბგერებად, ხმამაღლა წარმოთქვამენ რამდენი ბგერაც არის სიტყვაში. თანაკლასელებმა უნდა გამოიცნონ, რომელი სიტყვაა.

რესურსი 6. მოსწავლის რვეული – მოტორიკის სავარჯიშო N 2 – მოკლე ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული) (გვ.10).



აქტივობა 6. მოკლე ვერტიკალური ხაზების გავლება ორი უჯრის გამოტოვებით.
რესურსი 7. საკითხავი – მარიამ წიკლაურის „ჩვენი ძაღლი“.
აქტივობა 7. მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ლექსს.

ჰამ-ჰამ!
– რა ყეფს?
– ძაღლი,
დარაჯია სახლის!
აფრთხობს ეზოს კატებს,
ღამეს ფხიზლად ათევს.
დაბადების დღე აქვს ხვალ.
– რას აჩუქებ? – ბურთს და ძვალს!
ბუდრუგანას მოვრთავ,
სტუმრად შენც ხომ მოხვალ?

აქტივობა 8. კითხვებზე პასუხები:
1. რა შეკითხვით იწყება ლექსი? (რა ყეფს?)
2. რომელი სიტყვა გამოხატავს ხმას? (ჰამ, ჰამ). რის ხმაა? (ძაღლის!)
3. რატომ უწოდეს ძაღლს დარაჯი?
4. რა მიგვანიშნებს იმას, რომ პატრონს უყვარს თავისი ძაღლი? (დაბადების დღეს უხდის, საჩუქარს უმზადებს)
5. რას მორთავენ მომდევნო დღეს? რატომ?
6. მოძებნეთ წიგნში ნახატი, რომელზეც ძაღლის სახლია
7. იცით, რა ჰქვია მას? ეს ბუდრუგანაა.
8. გაიხსენე სიტყვა, რომელსაც პაწია ძაღლზე ვამბობთ. (ლეკვი). (ლეკვი ძაღლის ნაშიერია, შვილია).
9. თქვენც გიყვართ ძაღლი და მისი ლეკვი?

რესურსი 8. მოსწავლის რვეული – გვ.11 მოტორიკის სავარჯიშოები.
გრძელი ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

აქტივობა 8. შეიყვანე ძაღლი ბუდრუგანაში; მიიყვანე ბიჭი კარავთან: გირჩა ჩააგდე კალათაში.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირებისთვის:
- ✓ რა დავარქვით ძაღლის სახლს?
- ✓ რომელი ხე ისხამს გირჩებს?
- ✓ რისთვის იყენებს ადამიანი კარავს?
- ✓ თქვენ გაგისეირნებიათ ბუნებაში კარვით?
- ✓ შეგიგროვებიათ გირჩები?

აქტივობა 9. გრძელი ვერტიკალური ხაზების გავლება ერთი უჯრის გამოტოვებით.
რესურსი 9. ბგერების სავარჯიშო. მოსწავლის რვეული – გვ.12.
აქტივობა 10. გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაც არის სიტყვაში.

დაწყების წინ ავუხსნათ ბავშვებს, რომ იმ ხმებს, რომლებსაც ადამიანები მეტყველების დროს წარმოვთქვამთ, სიტყვაში გამოვთქვამთ, ბგერები ჰქვია! მოვუყვანოთ სამეტყველო ბგერების მაგალითიც (მოკლე სიტყვების დახმარებით): „ია“ – ამ სიტყვაში ორი ბგერა გვესმის – ი და ა. ახლა თქვენ გამოიცანით, რამდენი ბგერაა სიტყვაში „და“? რამდენი ბგერა გვესმის, როდესაც წარმოვთქვამთ სიტყვას „ძმა“?

ურჩიეთ, რომ შეუძლიათ, თითების დახმარებით დაითვალონ. ძ / მ / ა.

აიღეთ წინასწარ გამზადებული ბარათები, ზედ დახაზული 4 უჯრით. წარმოთქვით სიტყვა „და“ და მათ თვალწინ გააფერადეთ მხოლოდ ორი უჯრა. შემდეგ წარმოთქვით „ძმა“ და ახლა სამი უჯრა გააფერადეთ. გაამხნევეთ ბავშვები, რომ მალე ბგერების რაოდენობის ზუსტად გამოცნობას თვითონაც დამოუკიდებლად შეძლებენ...

განაგრძეთ ვარჯიში მოკლე, 2-3 ბგერიან სიტყვებზე. მაგალითად: ხე, ბუ, კუ, ცა... მზე, დღე, ტყე...

- ასევე, შესაძლებელია, ჩამოთვლილ სიტყვებს მარცვალი -კო/კუ დაამატონ:

ხე-კო, ხე-კუ, მზე-კო, მზე-კუ, ვაშლი-კუ, ბალი-კუ, ცხენი-კუ, ვირი-კუ, ბატკანი-კუ, ჩოჩორი-კუ...

აქტივობა 10. სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა – მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვების მოსმენისას.

აქტივობა 11. სახალისო აქტივობა. სიტყვებში ერთი და იმავე ბგერის გამეორება: მასწავლებლის მინიშნებით მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვებს და ასახელებენ. 1. გემრიელია, დილით მიირთმევენ ბავშვები, პირველი ბგერა არის – ფ (ფაფა); 2. პატარა საყვარელი ცხოველია, თითქოს თაგუნიას ჰგავს, პირველი ბგერა არის – ზ (ზაზუნა); 3. დაბადების დღისთვის აცხობენ, ძალიან ლამაზია, პირველი ბგერა არის – ტ (ტორტი) და ა.შ.

რესურსი 10. გიორგი შატბერაშვილი „მაიას ყვავილები".

აქტივობა 11. მასწავლებლის მიერ მოთხრობის წაკითხვა.

პატარა მაია ბოლო დროს ძალიან გაცელქდა. გვიან იძინებდა, ამიტომ დილით ადრე ადგომა ეზარებოდა.

– შვილო, – უთხრა ერთხელ დიდედა მართამ მაიას, – ძილის დრო რომ დადგება, ჩიტმაც კი თავისი ბუდე იცის.

მაია უხალისოდ ისმენდა დიდედას დარიგებას.

– მზის ჩასვლისას ჩვენი ლამაზი ყვავილებიც კი იძინებენ, რომ დილით მზის ამოსვლისას გაახილონ თვალი, – თქვა დიდედამ ღიმილით.

– ყვავილების ძილი ვის გაუგონია! – გაკვირვებით წამოიძახა მაიამ.

– კარგი! მაშ, დღეს მზის ჩასვლისას ვნახოთ, – მიუგო დიდედამ.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

1. რა ჰქვია ამ მოთხრობაში გოგონას?
2. რა უჭირდა, რა ეზარებოდა პატარა მაიას? რატომ? (ცელქობდა და გვიან იძინებდა).
3. კიდევ ვის სახელს ვხვდებით მოთხრობაში? (დიდედა მართას).
4. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სიტყვა – დარიგება? ვინ ვის არიგებს ამ მოთხრობაში?
5. რას ამბობს დიდედა ლამაზი ყვავილების შესახებ?

II ნაწილი

მზე ჩავიდა. ყვავილებმა სიფრიფანა ფურცლების შეკუმშვა დაიწყეს, თითქოს თვალებს ხუჭავდნენ. ფურცლები მწვანე პარკუჭებში (პარკუჭი – პატარა პარკი) *დაიმალნენ. გაოცებულმა მაიამ მიირბინა დიდედასთან და ახარა:*

– დიდედა, ყვავილებმა მართლა დაიძინეს! როდის გაიღვიძებენ?

– ხვალ დილით, მზის ამოსვლისას, – მიუგო დიდედამ.

დილით ადრე მაიას დიდედას ხმა მოესმა. მაია მარდად წამოხტა და კიბეზე ჩაირბინა. მზე ის იყო ამოდიოდა, მწვანე პარკუჭანები შეუმჩნევლად ხსნიდნენ პირს. ბუნება ხარობდა, ტოროლა ცაში გალობდა, ფუტკრები ზუზუნით გამოდიოდნენ სკებიდან და ყვავილებისკენ მიფრინავდნენ.

მაია სიხარულით შეჰყურებდა ბუნებას.

– რა კარგია დილა! არა, დღეიდან გვიან აღარ ავდგები! – თქვა გოგონამ და სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

1. როდის დაიჯერა მაიამ დიდედას ნათქვამი?
2. რას მიხვდით, რა ყოფილა პარკუჭი?
3. რას ელოდებოდა მოუთმენლად მაია, რა უნდა ენახა დილით?
4. როგორი იყო ბუნება დილით? (ბუნება ხარობდა, ტოროლა (ჩიტი) ცაში გალობდა, ფუტკრები ზუზუნით გამიდიოდნენ სკიდან და ყვავილებისკენ მიფრინავდნენ.)
5. რა გადაწყვიტა მაიამ?
6. ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ამ მოთხრობაში ბავშვს ორი „მასწავლებელი" ჰყავს – დიდედა და ბუნება?

რესურსი 11. მოსწავლის რვეული – გვ.12 – მოტორიკის სავარჯიშო N 4 გრძელი ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 12. გრძელი ვერტიკალური ხაზების გავლება ორი უჯრის გამოტოვებით.

რესურსი 12. მოსწავლის რვეული – გვ.12 ნახატები.

აქტივობა 13. სახალისო აქტივობა – სიტყვის ბგერებად დაშლა-გამთლიანება.

ნახატებზე დაკვირვებით მასწავლებელი სიტყვებს დაშლის ბგერებად და მოსწავლეები ამოიცნობენ.

შემდეგ სხვადასხვა სურათებზე დაკვირვებით გაგრძელდება აქტივობა. ჯერ მასწავლებელი წარმოთქვამს სანიმუშოდ და შემდეგ მოსწავლეები გააგრძელებენ თამაშს.

დააკვირდი ნახატს, ჩაიფიქრე სიტყვა, დაშალე ბგერებად, წარმოთქვი და ვნახოთ, გამოიცნობენ თუ არა შენი თანაკლასელები!

ნიმუშები:

თ ა. თ. ი,

გ. ი. რ. ჩ. ა,

ვ. ა. რ. დ. ი,

კ. ნ. უ. ტ. ი,

წ. ვ. ი. მ. ა,

გ. უ. ბ. ე.

ქ. ო. ლ. გ. ა...

რესურსი 13. მოსწავლის რვეული – გვ. 13 – მოტორიკის სავარჯიშო N5 – მოკლე ჰორიზონტალური ხაზები – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 14. მოკლე ჰორიზონტალური ხაზების გავლება ერთი უჯრის გამოტოვებით.

რესურსი 14. ნახატები მოსწავლის რვეული. გვერდი 13. დააკვირდი ნიმუშს, დათვალე ბგერები და ნახატი შეაერთე უჯრებთან.

აქტივობა 15. კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა.

მოსწავლეები ნახატებით ამოიცნობენ სიტყვებს, დააკვირდებიან ნიმუშს და ნახატს დააკავშირებენ სიტყვის ბგერების რაოდენობის შესაბამის უჯრებთან (ხე, თხა, ბუდე, ძროხა). შეარჩევენ ერთ-ერთ სიტყვას, ბგერებად დაშლიან და თანაკლასელებმა უნდა გამოიცნონ მოსწავლის მიერ ჩაფიქრებული სიტყვა.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ როგორ მიხვდი, რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა?
- ✓ რატომ ფიქრობ, რომ სწორად დააკავშირე ნახატები უჯრებთან?
- ✓ როგორ დაშალე სიტყვები ბგერებად? როგორ გაამთლიანე ბგერები სიტყვად?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ ხომ არ გაგიძნელდა ნახატების უჯრებთან დაკავშირება?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

I თემა: ჩვენ და ბუნება

მესამე ქვეთემა – ჩვენი ეზოს ბინადრები

შუალედური მიზანი N 3. ეზოს ბინადრების პოსტერის შექმნა ერთნაირი/ტოლი რაოდენობის ბგერების მქონე სიტყვებით.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 3**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა** (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება:** ბგერა და წარმოთქმული სიტყვა.	**საკითხი:** ეზოს ბინადრების პოსტერზე დაყრდნობით სიტყვის ფონემური ანალიზი და სინთეზი. **ქვესაკითხები**: სიტყვის ხმოვანი ხატი (ფონემური ხატი), სამეტყველო ბგერა (ფონემა), **საკვანძო შეკითხვები:** როგორ მივხვდე, რამდენი ბგერაა სიტყვაში? როგორ დავაჯგუფო სიტყვები ბგერების ტოლი რაოდენობის მიხედვით? **კომპლექსური დავალება: ეზოს ბინადრების პოსტერის შექმნა ერთნაირი/ტოლი რაოდენობის ბგერების მქონე სიტყვებით.** მოამზადე პოსტერი: სახელმძღვანელოში მოცემული შინაური ცხოველებისა და ფრინველების სურათებიდან შეარჩიე და დახატე ოთხი სურათი, რომელთა აღმნიშვნელ სიტყვებში ბგერების რაოდენობა ტოლია/ერთნაირია. დაშალე ბგერებად ერთ-ერთი სურათის შესაბამისი სიტყვა, ხმამაღლა და ნელა წარმოთქვი ეს ბგერები; ვნახოთ, თუ გამოიცნობენ შენი თანაკლასელები, რომელი სიტყვა წარმოთქვი დაშლილად.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლე აცნობიერებს, რომ:** 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ როგორ დაიშლება სიტყვა ბგერებად (წ. 1); ✓ რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ შესრულებული ნახატების აღმნიშვნელი სიტყვები? (წ. 1, 2); ✓ როგორ ამოიცანი ნახატების აღმნიშვნელ სიტყვებში ბგერების ერთნაირი რაოდენობა? (წ. 2); ✓ როგორ ერთიანდება ბგერები სიტყვებად (წ. 1).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

რესურსი 1. პოსტერის ნიმუში დაფაზე.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება:

- ✓ ხომ არ იცით, რა არის პოსტერი?
- ✓ დააკვირდით, რას ხედავთ, ფრინველებს თუ ცხოველებს?
- ✓ შინაური ფრინველები არიან თუ გარეული?
- ✓ კიდევ რას ხედავთ? (წარწერას) დიახ, აქ წერია სათაური: „შინაური ფრინველები“. პოსტერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათაური.
- ✓ ეს არის შინაური ფრინველების პოსტერი. თქვენ უნდა შექმნათ მსგავსი პოსტერი შინაურ ცხოველებსა და ფრინველებზე, ეზოს ბინადრებზე. უნდა დახატოთ სამი სურათი.
- ✓ შეგიძლიათ დაასახელოთ სიტყვები, რომლებშიც ბგერების ერთნაირი რაოდენობა არის? (მაგ: მამალი და ქათამი). სწორედ ასე უნდა იპოვოთ შემდეგ თქვენს ნახატებზე ერთნაირი რაოდენობის ბგერების მქონე სიტყვები.
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

ნაბიჯი 1. როგორ დაიშლება სიტყვა ბგერებად (წ. 1); რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ შესრულებული ნახატების აღმნიშვნელი სიტყვები? (წ. 1, 2). როგორ ამოიცანი ნახატების აღმნიშვნელ სიტყვებში ბგერების ერთნაირი რაოდენობა? (წ.2). როგორ ერთიანდება ბგერები სიტყვებად (წ. 1).

ქვესაკითხები: სიტყვების დაშლა და ერთნაირი/ტოლი რაოდენობის ბგერების მიხედვით დაჯგუფება.

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. ილუსტრაცია „ჩვენი ეზოს ბინადრები“ (შინაური ცხოველები და ფრინველები). მოსწავლის წიგნი (გვ.8).

სიტყვა – მამალი / თხა (ნახატი)
წინადადება – გოგონა უყრის წიწილებს საკენკს/ ღორი თქვლეფს სალაფავს (ნახატები)
აღწერა – სოფლის ეზო

აქტივობა 1. სურათის აღწერა. აღსაწერ სურათზე მინიშნებების პოვნა.
შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რას ვხედავთ სურათზე? (სოფლის ეზოს, ცხოველებს, ფრინველებს)
- ✓ დაასახელეთ ცხოველები/ფრინველები.
- ✓ სად დგას ღორი?
- ✓ რას ხედავთ მის უკან? წინ? გვერდზე?
- ✓ რას აკეთებს გოგონა?
- ✓ რას შვრება ღორი?

რესურსი 2. ა) საკითხავი მასალა. გივი ჭიჭინაძის გამოცანები.
ბ) ცხოველებისა და ფრინველების ხმები
https://www.youtube.com/watch?v=ZGGoTcVDl_o
https://www.youtube.com/watch?v=DJ6hCnD_glE&t=36s

– აბა, მითხარ
მართალი!
რა ყივის?
– * * * * * * (მამალი)
– ყოჩაღ, მჯერა შენი,
რა ჭიხვინებს?
– * * * * * (ცხენი)
– ესეც არის სწორი,
რა ღრუტუნებს?
– * * * * (ღორი)
_ დაუღია პირი,
რა ყროყინებს?
– * * * * (ვირი)

– მართალია, რაც
თქვი,
რა ბურდღუნებს?
– * * * * * (დათვი)
– შეკითხვაც კი არ
ღირს,
მითხარ, რა ყეფს?
– * * * * * (ძაღლი)
– ესეც იცი ეგება,
რა კიკინებს?
– * * * * * * (ბეკეკა)

აქტივობა 2. შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ხმების აღმნიშვნელი სიტყვების სწავლება.
ბავშვებო, მე დავასახელებ შინაურ ფრინველს ან ცხოველს, თქვენ კი მითხარით, რას შვრება, რა ხმას გამოსცემს?
ა. მამალი ... (ყივის)
ბ. ძაღლი ... (ყეფს)
გ. ცხენი ... (ჭიხვინებს)
დ. ვირი ... (ყროყინებს)
ე. ღორი ... (ღრუტუნებს)

აქტივობა 3. დანაწევრებული ბგერების სიტყვებად გამთლიანება. მასწავლებელი დაშლილად, ბგერა-ბგერა ამბობს შინაური ცხოველების სახელებს მ.ა.მ.ა.ლ.ი ; ძ.ა.ღ.ლ.ი; ც.ხ.ე.ნ.ი; ღ.ო.რ.ი; ძ.რ.ო.ხ.ა; მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვები წარმოთქვა მასწავლებელმა. ამთლიანებენ და ამოიცნობენ (ეს გამთლიანებაა ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელიც წინასაანბანოში უნდა განვითარდეს).

რესურსი 3. გასაფერადებელი ნახატი. მოსწავლის რვეული (გვ.14)
აქტივობა 4. ნახატზე მამლისა და ძროხის გაფერადება.

რესურსი 4. მოსწავლის რვეული გვ – 14. მოტორიკის სავარჯიშო N 6 – მოკლე ჰორიზონტალური ხაზები – (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 5. მოკლე ჰორიზონტალური ხაზების გავლება ორი უჯრის გამოტოვებით.

რესურსი 5. ლექსიკა ნახატებით **– მოსწავლის წიგნი (გვ.9).** თხა/თიკანი/ციკანი (მართებულია როგორც, თიკანი, ასევე ციკანი) ღორი/გოჭი ძროხა/ ხბო/ბოჩოლა ცხვარი/ბატკანი/ბეკეკა ინდაური/ჭუკი.

აქტივობა 6. ილუსტრაციებზე წარმოდგენილი შინაური ცხოველებისა და ფრინველების დასახელება.

აქტივობა 7. მოსწავლეებმა ბგერებად დაშალონ სხვადასხვა რაოდენობის შემცველი ბგერების სიტყვები – ჯერ ორ-სამბგერიანები; ამის შემდეგ, ორი უფრო გრძელი სიტყვა შევთავაზოთ, ოღონდ სხვადასხვა რაოდენობის ბგერით, მაგალითად: ჭუკი და ბოჩოლა, ჯერ ერთი დაშალონ და დაფაზე იმდენი ხაზი ჩამოწერონ, რამდენი ბგერაცაა, მერე იგივე – მეორეზე, ბოლოს თქვან, რომელში ყოფილა უფრო მეტი ბგერა; (შეიძლება რამდენიმე ასეთ წყვილზე მუშაობა განაგრძოს მასწავლებელმა, კლასის საჭიროების მიხედვით).

რესურსი 6. მოსწავლის რვეული (გვ.16)

აქტივობა 8. შინაური ცხოველ-ფრინველის ნაშიერთან დაკავშირება ხაზებით. სიტყვებით წინადადებების შედგენა



შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რას ვუწოდებთ თხის, ღორის, ძროხის, ცხვრის, ბატის, ინდაურის ნაშიერებს?
- ✓ როგორ შევადგინოთ ილუსტრაციების მიხედვით წინადადებები?

აქტივობა 9. მასწავლებელი მოსწავლეთა მეწყვილეებს (ან მცირე ჯგუფებს) მზაობის მიხედვით დაურიგებს განსხვავებული სიძნელის თითო სიტყვას (ამ მხრივ ყურადღება მიექცევა ბგერათა რაოდენობას და, ასევე თანხმოვანთა შეჯგუფებას); მეწყვილეები მოემზადებიან, დაფასთან გამოვლენ, ბგერა-ბგერა ხმამაღლა წარმოთქვამენ სიტყვას, სხვები გაამთლიანებენ და ამოიცნობენ, რომელი ცხოველის ბარათი ჰქონდა მოსწავლეს. დაფაზე ჩამოხაზავენ იმდენ ხაზს, რამდენი ბგერაც იყო ბარათის შესაბამის სიტყვაში.

ამ პროცესში მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას მიაქცევინებს სიტყვებში შემავალი ბგერების რაოდენობაზე, აძებნინებს ერთნაირი რაოდენობის ბგერების მქონე სიტყვებს, ასევე – შეადარებინებს განსხვავებული რაოდენობის ბგერების შემცველ სიტყვათა წყვილებს – რომელშია მეტი, რომელშია ნაკლები.

რესურსი 7. შინაური ცხოველებისა და ფრინველების საბინადრო გარემო. მოსწავლის რვეული, გვ. 15.

- ხაზით დააკავშირე ცხოველი და ფრინველი საბინადროსთან.



აქტივობა 10. ცხოველ/ფრინველის საბინადროს დასახელება, ვარჯიში სწორად წარმოთქმაში. ნახატის მიხედვით ბგერებად დაშლა და გამთლიანება: **ს – ა – ქ – ა – თ – მ – ე; ს – ა – ღ – ო – რ – ე; თ – ა – ვ – ლ – ა; ბ – უ – დ – რ – უ – გ – ა – ნ – ა.**

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რა ჰქვია თხის საბინადროს? ღორის? ქათმის? ცხენის?
- ✓ მოდით, ნახატზე ერთად დავაკვირდეთ ძაღლის საბინადროს. მე გეტყვით თითოეულ ბგერას და თქვენ დამეხმარეთ გამთლიანებაში და ასე ყველა სიტყვაზე ავარჯიშებს მასწავლებელი მოსწავლეებს.

აქტივობა 11. სავარჯიშო: ხაზის საშუალებით შესვი ქათამი საქათმეში, შეიყვანე ღორი საღორეში, ცხენი – თავლაში, ძაღლი – ბუდრუგანაში. მოსწავლის რვეული, გვერდი 15.

რესურსი 8. მოსწავლის რვეული – გვ. 15 – მოტორიკის სავარჯიშო N7. მოკლე კუთხოვანი ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 12. მოკლე კუთხოვანი ხაზების გავლება ერთი უჯრის გამოტოვებით.

რესურსი 9. ლექსიკურ-ფონემური (ბგერების) სავარჯიშო.
სურათები:

ძაღლი	მამალი
ცხენი	ღორი
ქათამი	ვირი
ჭუკი	ძროხა

აქტივობა 13. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს, ამოიცნონ, წარმოთქვან და დათვალონ, რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა. შემდეგ მოძებნიან სურათებს, რომელთა აღმნიშვნელ სიტყვებში ბგერების რაოდენობა ერთნაირია და იმდენი ხაზი ჩამოუსვან დაფაზე, რამდენი ბგერაცაა.

რესურსი 10. მოსწავლის რვეული (გვ.17)



აქტივობა 14. კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა.

მოსწავლეები რვეულში მოამზადებენ პოსტერს. სახელმძღვანელოში მოცემული შინაური ცხოველების სურათებიდან შეარჩევენ და დახატავენ სამ სურათს, რომელთა აღმნიშვნელ სიტყვებში ბგერების რაოდენობა ერთნაირია. დაშლიან ბგერებად ერთ-ერთი სურათის შესაბამის სიტყვას, ხმამაღლა და ნელა წარმოთქვამენ ამ ბგერებს; თანაკლასელები გამოიცნობენ, რომელი სიტყვა წარმოთქვა მოსწავლემ დაშლილად.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განსავითარებლად და წინსვლის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ როგორ დაშალე სიტყვა ბგერებად?
- ✓ რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ შესრულებული ნახატების აღმნიშვნელი სიტყვები?
- ✓ როგორ ამოიცანი სიტყვებში ბგერების ერთნაირი რაოდენობა?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით? რატომ შეარჩიე პოსტერისთვის ეს სურათები?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელი ნაშრომი მოგეწონა? რატომ?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გაგიძნელდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ✓ რა გამოგივიდა კარგად?

I თემა: ჩვენ და ბუნება

მეოთხე ქვეთემა – ტყის ბინადრები

შუალედური მიზანი N 4. რა მოხდებოდა, რომ...
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 4
სამიზნე ცნება **ტექსტი** (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ტექსტი – მოთხრობა.	**საკითხი:** მოთხრობის – „ფოსტალიონი კოდალას“ სიუჟეტის შეცვლა პერსონაჟის ქცევის შეცვლით. **ქვესაკითხები:** მოთხრობის „ფოსტალიონი კოდალას“ პერსონაჟები და მონაკვეთები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ შევცვალო პერსონაჟის ქცევა? რა მოჰყვება პერსონაჟის ქცევის შეცვლას? **კომპლექსური დავალება: რა მოხდებოდა, რომ...** გააფერადე ცხოველები, რომლებმაც წერილები გაუგზავნეს მონატრებულ მეგობრებს. მოიფიქრე ამბავი, როგორ შეიცვლება ნაწარმოები „ფოსტალიონი კოდალა“, თუკი კოდალა დათვის წერილს შეცდომით მიუტანს ბაჭიას და კურდღლის წერილს – თეთრ დათვს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** **ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რა მოხდება, რას იტყვის თეთრი დათვი? კურდღლის ბაჭია? (ტ.1, 2, 3) ✓ რატომ ფიქრობ, რომ ასე შეიცვლება ამბავი – რა მინიშნებები გაფიქრებინებს ამას; (ტ. 2).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება.

- ✓ ხომ არავინ იცის, რას ნიშნავს სიტყვა ფოსტალიონი? რა მიჰქონდათ ადამიანთან ფოსტალიონებს?
- ✓ გაგიგიათ რაიმე ფოსტალიონი მტრედების შესახებ? ფოსტალიონი კოდალას შესახებ?

- ✓ როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ წერილი თქვენ გამოგიგზავნეს და სხვასთან მივიდა?
- ✓ გქონიათ ასეთი შემთხვევა? ან ფილმში ხომ არ გინახავთ?
- ✓ როგორ წარმოგიდგენიათ, კოდალას შეუძლია იყოს კარგი ფოსტალიონი? რატომ ფიქრობთ ასე?
- ✓ ხომ არ იცით, როგორი ფრინველია კოდალა? რაში იყენებს თავის გრძელ ნისკარტს?
- ✓ მოდით, გავეცნოთ ტყის ბინადრების ცხოვრებას და თავად მიხვდებით, როგორ დაეხმაროთ ფოსტალიონ კოდალას.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ✓ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- ✓ რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? (ტ.3)

ქვესაკითხები: მოთხრობის „ფოსტალიონი კოდალას“ პერსონაჟები და მონაკვეთები.

რესურსი 1. ტყე და მისი ბინადრები.

სიტყვა – ნაძვი/დათვი (ნახატი)
წინადადება – დათვის ბელები ტყეში თამაშობენ/ ციყვი ფუღუროსკენ მირბის.
აღწერა – ტყეში (გარეული ცხოველები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები)

აქტივობა 2. სურათის აღწერა.

- ✓ რას ხედავთ სურათზე?
- ✓ სად დგას შველი? მელა?
- ✓ რომელ ხესთან ზის დათვი?
- ✓ რას აკეთებენ დათვის ბელები?
- ✓ სად დაძვრება ციყვი?
- ✓ რომელი ფრინველები სხედან ხის ტოტებზე?
- ✓ რას აკეთებს კოდალა?
- ✓ სად ზის კურდღელი?

რესურსი 2. ტყე და მისი ბინადრები.

აქტივობა 3. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა.

წარმოიდგინეთ დიდი, დაბურული ტყე! ნაძვები ცისკენ, მაღლა აღმართულან. წიწვებს შორის გირჩებს გამოუყვიათ თავები. აქვეა ფოთლოვანი ხეებიც. ერთ-ერთი ხის ძირას კურდღლის ბაჭია მოჩანს. სკუპ-სკუპით სოროში შეძვრომას ცდილობს!

ნაძვის ძირში რომ დიდი სოროა, მელიების საბინადროა. მელია და მისი ლეკვები მოზრდილ სოროებში ბინადრობენ.

კურდღელსა და მის ბაჭიებს კი ოდნავ უფრო პატარა საბინადრო აქვთ.

აი, ზემოთ, ხის ტოტებზე, ციყვი დახტის! კუდბუთქუნა ციყვუნია თავისი ფუღუროსაკენ მიცუნცულებს. ბუც ფუღუროში მოკალათებულა. თავისი მართვეებიც აქ ჰყავს, საკუთარ ფუღუროში. ღამით ფხიზლობს, ხანდახან კივის და ტყეში მისი ხმა გაისმის.

აი ყვავი კი დროგამოშვებით ჩხავის. დიდ ბუდეში თავისი ბახალები ჰყავს. ისინიც დედა ყვავივით შავი ფერისანი არიან!

ნეტავ რომელი ცხოველისაა ეს დიდი საბინადრო?! აი, ბელი მიბაჯბაჯებს მისკენ. ეს დათვის ბუნაგი ყოფილა!

დიდ ცხოველებს ბუნაგები აქვთ.

ტყის მეფეს – ლომსაც ბუნაგი აქვს. იქვე კოტრიალობენ მისი ბოკვრები...

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

1. ტყეში მაღალი ნაძვის ხეებია. ფოთლების ნაცვლად რა აქვს ნაძვს? (წიწვები). გირჩა რას ეწოდება?
2. რომელი ცხოველებია დასახელებული ამ ტექსტში?
(კურდღელი, მელა, ციყვი, დათვი, ლომი).
3. ფრინველები? (ბუ, ყვავი).
4. რას ჰყავს ბაჭია? ლეკვი? ბელი? ბოკვერი?
5. ბუს რა ჰყავს? ყვავს? (მართვე, ბახალა).
6. ხომ არ იცით, კიდევ რომელი ფრინველის ნაშიერს ვუწოდებთ მართვეს? (არწივის).
7. ხეების ფუღუროებში რომელ ფრინველებს გაუკეთებიათ თავისი საბინადრო? (ციყვს, ბუს).
8. რა ეწოდება კურდღლებისა და მელიების საბინადროს? (სორო).

შენი აზრით, რატომ აქვთ კურდღლებს შედარებით პატარა სოროები, ვიდრე მელიებს? (ტანით უფრო პატარები არიან).

9. დიდი ცხოველების, დათვის, ლომის საბინადროს რა ჰქვია? (ბუნაგი).
10. ცხოველთა მეფე რომელს უწოდეს? (ლომს).
11. რომელ ცხოველზე ითქმის კუდბუთქუნა? რატომ?
12. რა დაცუნცულებს და რა დაბაჯბაჯებს?
13. რა კივის და რა ჩხავის?
14. რომელი სიტყვით აღვნიშნავთ ქართულ ენაში ლომის ძლიერ ხმას? (ღრიალი, ღრიალებს).

რესურსი 3. მოსწავლის რვეული (გვ.18) გასაფერადებელი ნახატი (მელა, ბუ).

აქტივობა 4. ნახატის გაფერადება.

რესურსი 4. მოსწავლის რვეული – გვ. 18 – მოტორიკის სავარჯიშო N 8. მოკლე კუთხოვანი ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 5. მოკლე კუთხოვანი ხაზების გავლება ორი უჯრის გამოტოვებით.

რესურსი 5. ბგერების სავარჯიშო (4).

აქტივობა 6. ამ სავარჯიშოს მიზანი ბოლო ბგერების გამოცნობაა. აქაც, ძირითადად, ხმოვნების ამოცნობაზე ვივარჯიშებთ.

ა – თხა, კატა, ტურა, მუხა, მთა, ზღვა...
ე – ხე, რძე, მზე, დღე, კლდე...
ი – გოჭი, იხვი, ციყვი, ნაძვი, დათვი...
ო – ეზო, ორმო, უთო, ფისო..
უ – ბუ, ბალუ (დათვის სახელი ანიმაციური ფილმიდან), ბაბუ...

შემდეგ შევურიოთ გავარჯიშებული მასალიდან: ხე, დათვი, ბალუ, ფისო, კატა...
ბოლოს ახალი სიტყვები დავამატოთ:
ბუდე, ჩიტი, კოდალა...
აქაც შესაძლებელია ბავშვების საკუთარი სახელების ბოლო ბგერების გამოცნობაზე გავარჯიშება:
მაკა, ნინო, ელენე, ერეკლე, დათო, რეზო, გიორგი, ნიკა, ნანა, თათუ...
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი დახმარება, ბგერების მკვეთრად გამოთქმა.

რესურსი 6. ნაშიერი და საბინადრო. მოსწავლის რვეული (გვ.19)
აქტივობა 7. მოსწავლეები დააკავშირებენ ცხოველებისა და ფრინველების ფოტოებს საბინადრო გარემოსთან. მიიყვანე დათვი ბუნაგთან, კურდღელი-სოროსთან, შეიყვანე ბუ ფუღუროში, ჩააფრინე დედა ჩიტი ბუდეში.
რესურსი 7. მოსწავლის რვეული – გვ. 19 – მოტორიკის სავარჯიშო N9 ხაზებით თითო პატარა უჯრის შემოხაზვა – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 8. ხაზებით თითო პატარა უჯრის შემოხაზვა.
რესურსი 8. საკითხავი/მოსასმენი – გივი ჭიჭინაძის „დათუნია დრუნჩა“ https://www.youtube.com/watch?v=A-em7oklEDc

დათუნიას ერგო
ერთი ქილა ერბო.
მიდიოდა გზაზე,
ღიღინებდა ასე:
    დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!
უცებ შეხვდა ვირთხა –
არ უცდია დიდხანს,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევ ცოტასო.
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა ერთი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
    დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა.
წინ დაუხვდა ზღარბი,
მშიერი და ხარბი,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევ ცოტასო.
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა ორი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
    დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა.
გამოუდგა მელია,
მელა კუდაგრძელია,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევ ცოტასო.
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა სამი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
    დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!
ბოლოს შეხვდა კოდალა,
დათვს კი არა ჰქონდა რა!

აქტივობა 9. კითხვებზე პასუხები.

1. რა არის ამ ლექსის სათაური? რომელ ცხოველზე ითქმის მოფერებით დათუნია? (დათვზე). როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებენ დრუნჩას დათუნიებს?
2. ქარვა ძალიან ლამაზი, ყვითელი ქვაა. რა შეადარა პოეტმა მას? (ერბო).
3. ხომ არ იცით, რა არის ერბო? (გადამდნარი კარაქი, მსუყე და გემრიელი).
4. რას მღეროდა დათუნია? კიდევ რის ჭამა უყვართ დათვებს? (თაფლის)
5. პირველად რომელი ცხოველი შეხვდა მას? (ვირთხა).
6. როგორ მოიქცა დათუნია? მისი რა თვისება ჩანს ამ საქციელში?
7. შემდეგ მას ზღარბი შეხვდა. როგორ დაახასიათა ზღარბი პოეტმა, როგორია ის? (მსუნაგი და ხარბი).
8. ზღარბს ორი მუჭა ერბო ერგო. ახსენით, რას გულისხმობს სიტყვა – მუჭა? (ერთ მუჭში რაც ჩაეტევა.)
9. შემდეგი ცხოველი „კუდიგრძელიაა“. გამოიცანით, რომელია? (მელია.)
10. ბოლოს რა მოხდა?
11. კეთილ დათუნიას სამი ცხოველი და ერთი ფრინველი შემოხვდა გზაზე. ჩამოთვალეთ ისინი.
12. დაახასიათეთ დათუნია ამ ლექსის მიხედვით.

რესურსი 9. მოსწავლის რვეული (გვ. 20)

აქტივობა 10. მოსმენილი ლექსის მიხედვით სწორი თანამიმდევრობით ხაზებით დააკავშირეთ ნახატები ერთმანეთთან.

რესურსი 10. მოსწავლის რვეული (გვ. 20)

აქტივობა 11. ნახატების მიხედვით მოსწავლეებმა გამოიცნონ სიტყვა და წარმოთქვან ბოლო ბგერები: დათვი, კოდალა, ფუღურო, ბუდე, ბუ. რვეულში შემოხაზონ ნახატი/სიტყვა, რომელიც „ი“ ბგერით ბოლოვდება.

2. რომელი ბგერებით მთავრდება სიტყვები?
შემოხაზე ის, რომელიც „ი“ ბგერით მთავრდება.

რესურსი 11. მოსწავლის წიგნი – გვ. 11 – ლექსიკა ნახატებით – ნაშიერები (მგელი/ლეკვი, მელია/ ლეკვი, ლომი/ბოკვერი, ვეფხვი/ბოკვერი, შველი/ნუკრი, მერცხალი/ბარტყი, ყვავი/ბახალა)

ნაშიერები

აქტივობა 12. მოსწავლეები დაასახელებენ ცხოველებისა და ფრინველების ნაშიერებს და დათვლიან, რამდენი ბგერისგან შედგება თითოეული სიტყვა.

აქტივობა 13. ილუსტრაციებზე წარმოდგენილი გარეული ცხოველ – ფრინველის დასახელება და ნაშიერთან დაკავშირება ხაზებით. სიტყვებით წინადადებების შედგენა.

რესურსი 12. მოსწავლის რვეული. (გვ. 21) ბგერების სავარჯიშო (6)

აქტივობა 14. დავიწყოთ ვარჯიში სიტყვის საწყისი თანხმოვნების ამოცნობაზე.

გამოვიყენოთ, ძირითადად, სიტყვები, რომლებიც მოსასმენ ტექსტებში გვაქვს ან სახელმძღვანელოში შესაბამისი ნახატის სახით გვაქვს.

ბ – ბუდე, ბელი, ბაჭია...

კ – კუ, კატა, კოდალა...

შემდეგ სხვადასხვა სიტყვა ვცადოთ: ციყვი (ც).

მოსწავლის რვეულში გვაქვს სათანადო სავარჯიშოც. ბავშვებმა ნახატებით უნდა გამოიცნონ სიტყვები და ამოიცნონ, ამათგან რომლები იწყება ერთნაირი ბგერებით (გვ. 21).

დავალების შესრულების დროს, ასევე, მოსწავლეებმა უნდა შენიშნონ, რომ ერთი ზედმეტი ნახატი / სიტყვაა სავარჯიშოში – ციყვი. ის განსხვავებული ბგერით იწყება.
ერთნაირი ბგერებით დაწყებული სამეული კი მხოლოდ ორია.

რესურსი 13. მოსწავლის რვეული – გვ. 21 – მოტორიკის სავარჯიშო **N10–** დახრილი მოკლე ხაზები – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 15. დახრილი მოკლე ხაზების გავლება – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა ჰქვია დათვის, კურდღლის, მელიის, ლომის ნაშიერებს?
- ✓ ამ ფრინველთა ნაშიერს რას ვუწოდებთ? (მერცხლის, ყვავის)
- ✓ სად ცხოვრობს/ბინადრობს დათვი? კურდღელი? მელია?
- ✓ რომელი ცხოველი არ არის ნახატზე? (ლომი)
- ✓ რა უყვარს დათვს? კურდღელს?
- ✓ რომელი სიტყვით აღვნიშნავთ დათვის ხმას? ლომის? (ბურდღუნი, ღრიალი)
- ✓ როგორ შევადგინო ილუსტრაციების მიხედვით წინადადებები?
- ✓ რამდენსიტყვიანია შენ მიერ შედგენილი წინადადება? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?

რესურსი 14. მოსწავლის რვეული – გვ. 22-23 – მოტორიკა-ლექსიკის სავარჯიშო გარეული ცხოველებისა და ფრინველების საბინადრო გარემო.

აქტივობა 16. მოსწავლეები დააკავშირებენ ცხოველებისა და ფრინველების ილუსტრაციებს მათ ნაშიერთან და საბინადრო გარემოსთან.

რესურსი 15. მოსწავლის რვეული – გვ. 23 – მოტორიკის სავარჯიშო N11 – დახრილი მოკლე ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 17. დახრილი მოკლე ხაზების გავლება ბადის შუა ნაწილში (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

ნაბიჯი 2. რა მოხდება, რას იტყვის თეთრი დათვი? კურდღლის ბაჭია? (ტ.1, 2, 3) რატომ ფიქრობ, რომ ასე შეიცვლება ამბავი – რა მინიშნებები გაფიქრებინებს ამას; (ტ. 2).

ქვესაკითხები: მოთხრობის „ფოსტალიონი კოდალას“ პერსონაჟები და მონაკვეთები.

რესურსი 16. ვიდეობმული „კოდალა“ https://www.youtube.com/watch?v=07u_Cz5-dhU

აქტივობა 18. ვიდეობმულის ნახვის შემდეგ საუბარი კოდალას შესახებ.

რესურსი 17. ფოსტალიონი კოდალა (ტექსტი ნინო გორდელაძისგან)

ტყეში ერთი დიდფუღურროიანი ხე იდგა. ეს ფუღურო ფრინველ-ცხოველების ფოსტა იყო! იქ მიჰქონდათ გასაგზავნი წერილები თუ ბარათები. ტყის ფოსტალიონი კოდალა იყო. თავისი გრძელი ნისკარტით ადვილად არიგებდა წერილებს. ერთხელ ჩვენს გამრჯე კოდალას წვიმამ ისე დაუსველა ორი წერილი, რომ მისამართები ვერ ამოიცნო.

მოდით, დავეხმაროთ!

წერილი პირველი

– მოგესალმები, ჩემო თეთრო ძმობილო. მე მურა ვარ. ტყეში დიდ ბუნაგში ვცხოვრობ. ორი ბელი მყავს. ერთს დრუნჩა ჰქვია, მეორეს, უმცროსს, ბაჯბაჯა. ძალიან უყვართ თაფლი. ტყის ხეების ფუღუროებში თაფლს

ვაგროვებ მათთვის. საშიშ ფუტკრებს ვემალები! შენ როგორ ხარ? ძალიან ცივა შენს მხარეში?

გამახარებ, თუ წერილს მომწერ.

გემშვიდობები და სიკეთეს გისურვებ.

წერილი მეორე

– ჩემო ნაცარა, აბა შენ იცი, კარგად მოიქეცი: ფრთხილად იყავი და მელიებს ერიდე. შორს არ გაიპარო. ადამიანებთან, ბოსტანში არ შეიპარო! მე მოგიტან ბევრ სტაფილოს! ხომ გახსოვს, რომ ჩქარი სკუპ-სკუპი საშიშია! ხტუნვით კისერი არ მოიტეხო! ტყის სიღრმეშიც არ შეხვიდე, იქ მგლებს ბუნაგები აქვთ. როგორც კი საშიშ ცხოველს მოკრავ თვალს, მაშინვე ჩვენს სოროში ჩაძვერი და კარგად დაიმალე. მე მალე დავბრუნდები.

დედა.

აქტივობა 19. მასწავლებელი ტექსტს კითხულობს შეჩერებებით და მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღებით მოისმინონ და დაიმახსოვრონ მინიშნებები, რომელიც დაეხმარება წერილის ავტორის ამოცნობაში. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რა მოხდება.

პაუზა 1. მისამართები ვერ ამოიცნო... (როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? რა სჭირდება ფოსტალიონ კოდალას? შეგიძლიათ, დაეხმაროთ? როგორ?)

პაუზა 2. ტყეში, დიდ ბუნაგში ვცხოვრობ... (როგორ ფიქრობთ, რა არის? რა ცხოვრობს ტყეში, დიდ ბუნაგში?)

პაუზა 3. მე მოგიტან ბევრ სტაფილოს... (ვინ უნდა მიუტანოს ბევრი სტაფილო ნაცარას? რა ყოფილა?)

ვარაუდების გამოთქმის შემდეგ მასწავლებელი ერთხელ კიდევ წაუკითხავს ტექსტს მოსწავლეებს.

რესურსი 18. მოსწავლის რვეული (გვ. 24) ნახატები (თაგვი, კურდღელი, სტაფილო, თხილი)

აქტივობა 20. მოსწავლეები ხაზებით დააკავშირებენ თაგვს თხილთან და კურდღელს სტაფილოსთან.

ზეპირად დაასრულებენ აზრს: მურა დათვმა წერილი გაუგზავნა... ბაჭიას ბარათი დაუტოვა....

აქტივობა 21. სახალისო სიტყვების მოქმედებაში გადატანა. მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს: ბაჯბაჯი, სკუპ-სკუპით ხტუნვა, ცუნცული. მოსწავლეები გაიმეორებენ და სიტყვის შესაბამის მოქმედებას ასრულებენ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ როგორი ფრინველია კოდალა? რა სარგებლობა მოაქვს ტყისთვის? რაში იყენებს თავის გრძელ ნისკარტს?
- ✓ რისთვის იყენებდნენ ტყის ბინადრები დიდფუღუროიან ხეს? რას ნიშნავს დიდფუღუროიანი?
- ✓ რომელი ფრინველი იყო ტყის ფოსტალიონი? რა ეხმარებოდა მას წერილების მიტანაში?
- ✓ გაიხსენეთ, როგორი ყოფილა კოდალა, რომ არ ეზარებოდა წერილების ტარება? (გამრჯე)
- ✓ რომელი მინიშნება დაგეხმარათ პირველი წერილის ავტორის ამოცნობაში?
- ✓ რას ნიშნავს სიტყვები: მურა? ბუნაგი? დრუნჩა? ბაჯბაჯა? გამრჯე? ფუღურო?
- ✓ მეორე წერილი რომელი მინიშნებებით ამოიცანი? ჩამოთვალე. (ნაცარა, სორო, სტაფილო, სკუპ-სკუპი).
- ✓ რას ნიშნავს ნაცარა? სორო?
- ✓ ვის გაუგზავნა მურა დათვმა წერილი?

- ✓ როგორია მურა დათვის ძმობილი დათვი? სად ცხოვრობენ თეთრი დათვები? ცივა თუ ცხელა იქ? რას უყვება მურა დათვი თავის შესახებ?
- ✓ ვის გაუგზავნა დედა კურდღელმა წერილი? რა ჰქვია მის ბაჭიას?
- ✓ რას სთხოვს დედა ნაცარას?
- ✓ როგორ ფიქრობთ, ტყუილად ეშინია დედა კურდღელს, რომ რაიმე განსაცდელს არ გადაეყაროს ბაჭია, თუ მართლა ძალიან ცელქია ნაცარა?
- ✓ მოდი გავიხსენოთ, სად არ უნდა წავიდეს ბაჭია? რას უნდა მოერიდოს? რატომ არ უნდა შევიდეს ტყის სიღრმეში? რა უნდა ქნას, თუკი საშიშ ცხოველს დაინახავს? რატომ არის ჩქარი სკუპ-სკუპი საშიში? რა შეიძლება ამ დროს მოხდეს?
- ✓ დათვი ბაჯბაჯებს, კურდღელი სკუპ-სკუპით ხტუნავს, ციყვი? (მიცუნცულებს)
- ✓ ხედავთ, როგორი მნიშვნელოვანი წერილები გაგზავნეს მურა დათვმა და დედა კურდღელმა?
- ✓ რატომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დედა კურდღლის წერილი?
- ✓ რატომ აერია კოდალას მისამართები? უყურადღებოა?
- ✓ თუ თქვენ დაეხმარებით კოდალას, მაშინ თეთრი დათვი და ბაჭია წერილებს მიიღებენ, მაგრამ თუ შორს ხართ და ვერ დაეხმარებით, მაშინ შეიძლება კოდალამ წერილები შეცდომით ჩააბაროს მიმღებს.
- ✓ როგორ ფიქრობთ, რას იტყვის კურდღლის ბაჭია, როცა მურა დათვის წერილს წაიკითხავს? რა შეიძლება მოხდეს? მას ხომ დედა კურდღელი დარიგებას აძლევს წერილში, რომელიც ვერ მიიღო.
- ✓ რას იტყვის თეთრი დათვი, რომელიც ნაცარასთვის დაწერილ წერილს წაიკითხავს? გაუხარდება, თუ მას ბევრ სტაფილოს მიუტანენ?

აქტივობა 22. კომპლექსური დავალების შესრულება: მოსწავლეები გააფერადებენ ცხოველებს, რომლებმაც წერილები გაუგზავნეს მონატრებულ მეგობრებს. მოიფიქრებენ ამბავს, როგორ შეიცვლება ნაწარმოები „ფოსტალიონი კოდალა“, თუკი კოდალა დათვის წერილს შეცდომით მიუტანს ბაჭიას და კურდღლის წერილს – თეთრ დათვს. მოსწავლის რვეული, გვერდი 24.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ როგორ შეიცვალა ნაწარმოები, როცა კოდალამ დათვის წერილი ბაჭიას მიუტანა და კურდღლის წერილი – თეთრ დათვს?
- ✓ რით უკავშირდება შესწავლილ/მოსმენილ ტექსტებს და ვიდეორგოლს?
- ✓ გასაგებია მსმენელისთვის?
- ✓ რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- ✓ იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?

II თემა: გართობა

პირველი ქვეთემა – გართობა ეზოში

(ურთიერთობა თანატოლებთან, მათი სურვილები)

შუალედური მიზანი N 1. როლური თამაში – შერჩეული პერსონაჟის როლის მორგება და გათამაშება.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) **(შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5)** **ქვეცნება –** პერსონაჟი.	**საკითხი:** როლური თამაში – შერჩეული პერსონაჟის როლის მორგება და გათამაშება. **ქვესაკითხები:** ნესტან კუპრავას – „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე“ – პერსონაჟები, ქცევა, დამოკიდებულებები; ემოციები, ზრდილობიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხების გამოყენებით გავიგო ტექსტი? რვეულში მოცემული ილუსტრაციის დახმარებით როგორ მოვირგო და გავითამაშო პერსონაჟის როლი? როგორ წარმოვთქვა სწორად ზრდილობიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვები? **კომპლექსური დავალება – ტექსტის როლური გათამაშება** მოსმენილი ტექსტისა და რვეულში მოცემული ნახატების მიხედვით მასწავლებელთან (მთხრობელთან) და მონაწილეებთან ერთად შეარჩიეთ და გაინაწილეთ პერსონაჟების როლები. გაითამაშეთ ლიზიკოსთან ჩაის წვეულებაზე სტუმრობა.
მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმები ეპიზოდის/როლის გათამაშებისას:** ✓ წარმოაჩინე გრძნობა, რომლითაც პერსონაჟი წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს (ტ.1, 2, 3); ✓ პერსონაჟის გრძნობებს შეუსაბამე სათანადო გამომეტყველება და ხმა (ტ.1, 2, 3); ✓ სწორად წარმოთქვი ზრდილობიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვები (ტ.1, 2, 3)

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. გართობა ეზოში (ურთიერთობა თანატოლებთან, მათი სურვილები)

სიტყვა – საქანელა/სასრიალო

წინადადება – გოგონა თამაშობს კლასობანას/ბიჭი სათამაშო მანქანას დაატარებს.

აღწერა – გართობა ეზოში

ლექსიკა ნახატებით

დახუჭობანა დაჭერობანა გათვლა თოჯინებით თამაში

ფაზლი (გოგო აწყობს) ლეგო (ბიჭი აწყობს)

ამ თავთან ჩამოთვლილია სხვადასხვა თამაში: დახუჭობანა, დაჭერობანა, გათვლა, თოჯინებით თამაში, ფაზლი (გოგო აწყობს), ლეგო (ბიჭი აწყობს).

აქტივობა 1. კითხვებზე პასუხები

1. ჩამოთვლილი თამაშებიდან გითამაშიათ რომელიმე?
2. როგორ თამაშობენ გათვლას? დახუჭობანას? ფაზლის აწყობას? ლეგოს აწყობას? თოჯინებით როგორ თამაშობენ?
3. თქვენ რით ერთობით?
4. ხომ არ იცით, რას თამაშობდნენ თქვენი მშობლები, ბებია-ბაბუები/ბებო-პაპები? (იკითხონ სახლში და მეორე დღეს მოყვნენ.)

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- ✓ ვის შეუძლია, საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?
- ✓ როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს როლი?
- ✓ რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? ოდესმე შეგისრულებიათ ვინმეს როლი?
- ✓ რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? პერსონაჟის გრძნობებს შეუსაბამე სათანადო გამომეტყველება და ხმა (ტ.1, 2, 3); სწორად წარმოთქვი ზრდილობიანი მიმართვის გამომხატველი სიტყვები (ტ. 1,2,3).

ქვესაკითხები: პერსონაჟები, ქცევა, დამოკიდებულებები; ემოციები, ზრდილობიანი მიმართვის სწორად თქმა.

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 25 – გასაფერადებელი მაისურები.

აქტივობა 2. ნახატზე მაისურების გაფერადება

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 25 – მოტორიკის სავარჯიშო N 12 – გადაჯვარედინებული მოკლე ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 3. გადაჯვარედინებული მოკლე ხაზების გავლება. (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 4. მარცვლების სავარჯიშო

აქტივობა 4. „მოსაფერებელი“ მარცვლები – ჩამოუთვალეთ მოსწავლეებს სიტყვები, რომლებზეც დართულია ორი მარცვალი – იკო: დაიკო, ძამიკო, ნუციკო, ნოდარიკო... და ჰკითხეთ: – რა გესმით ყველა სიტყვის ბოლოს? – იკო! განმარტეთ: „იკო“ მოსაფერებელი, საალერსო მარცვლებია! 2. იკითხეთ: – კიდევ თუ გვაქვს ქართულ ენაში სხვა ამგვარი მარცვლები? ჩამოთვალეთ: დათუნა, თაგუნა, კატუნა, ციყვუნა, ზღარბუნა... იკითხეთ: – ამ სიტყვებში რა გესმით ბოლოს, რა აქვთ ერთნაირი? – უნა! – ესეც საალერსო მარცვლებია. 3. შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, თვითონ დაურთონ სიტყვებს „უნა“ ან „იკო“, მათი აზრით რომელიც მოუხდება: თათი, ფეხი, მელა, ჩიტი, დათვი, ბიჭი, კაცი. (მორიგეობით დაუსახელეთ). 4. ბოლოს სთხოვეთ, გაიხსენონ საკუთარი მოსაფერებელი სახელები (ჯერ სრულად თქვან, შემდეგ – მოფერებით). მაგალითად: ნინო, ნინიკო; რევაზ, რეზო, რეზიკო; რუსუდან, რუსიკო; ნანა, ნანიკო; თამუნა, დათუნა, ზაზუნა, ჯაბუნა და სხვ. 5. დასვით შეკითხვა: – რა ვისწავლეთ ახალი, რა გავიგეთ ამ გაკვეთილზე? იმსჯელონ და თქვენი დახმარებით ჩამოაყალიბონ: – ქართულ ენაში საალერსო სიტყვებს ემატება მარცვლები, ან „იკო“, ან „უნა“.

რესურსი 5. ბგერების სავარჯიშო (7)

აქტივობა 5. გამოიცანი სიტყვა და სიტყვაში ბგერების რაოდენობა: მოსწავლეებს რიგ-რიგობით ვაჩვენოთ ბარათები, რომლებიც მასწავლებლის წიგნში უკვე გამზადებულია ამ სავარჯიშოს შესასრულებლად (გვ. 265) თავდაპირველად ვაჩვენოთ 1 სამბგერიანი, მერე კი – რამდენიმე ოთხბგერიანი, ბოლოს 1 ხუთბგერიანი სიტყვის სათანადო ნახატები. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს სიტყვა (ნახატი „წაიკითხოს“), შემდეგ კი უნდა ამოიცნოს, რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში. ცხადია, შესაძლებელია ბგერებად დასაშლელად თითებზე გადათვლა. ბარათის უკანა მხარეს ზუსტად იმდენი უჯრაა (ოთხკუთხედია), რამდენი ბგერაც არის სიტყვაში. შესამოწმებლად მასწავლებელი ამოატრიალებს ბარათს და ბავშვები ასე შეამოწმებენ ზუსტ რაოდენობას. ბარათებზე ხატია და უკან შესაბამისი რაოდენობის ოთხკუთხედები აქვს სიტყვებს: **მზე, ბუდე, ჩიტი, ბალი, სოკო, დაფა, ჩანთა.**

რესურსი 6. ნესტან კუპრავას „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე!“

აქტივობა 6. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ნესტან კუპრავას მოთხრობას „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე“. (მოთხრობა წავუკითხოთ ნახატთან „თოჯინებით თამაში“.)

გიწვევთ ჩაის წვეულებაზე!

ნესტან კუპრავა

ლიზიკომ თავისი თოჯინები ჩაის დასალევად მიიპატიჟა. ორი ქართველი: ნანა, მოფერებით ნანუკა და ჯაბა – ჯაბუკა, ორი უცხოელი: ბარბიკო და ბეტმენიკო, ერთიც დათუნია ვინი პუჰი. გოგონამ ფინჯნებში ოქროსფერი ჩაი ჩამოასხა, მაგიდაზე დიდი სინით ნამცხვარი დადგა და თოჯინები მაგიდასთან მიიწვია:

– დაბრძანდით, ჩაი ტკბილად შეგერგოთ!

– ჩაი ძალიან გვიყვარს! დიდი მადლობა, ლიზიკო! – გაუხარდა ნანუკას.

– მე ჩაი რძით მიყვარს! – თქვა ბარბიკომ.

– მე მურაბით, – გამოაცხადა ჯაბუკამ.

– მე კი ლიმონით,– დაიძახა ბეტმენიკომ,– ასეთი ჩაი ძალიან სასარგებლოა!

– მე არც ერთს დავიწუნებ, არც – მეორეს, – გაიცინა დათუნია ვინი პუჰმა, – სხვათა შორის, არც მესამეს.

რა კარგია, მეგობრები ჩაის ერთად რომ სვამენ. ყველაზე მეტად ჩაი ვის მოეწონა? რა თქმა უნდა, დათუნიას. მან რძიანი ჩაიც დალია, ლიმონიანიც, მურაბიანიც... ისე მოეწონა, რომ მეგობრებს დათუნია ვინი-პუჰის სიმღერაც კი უმღერა, საგანგებოდ ჩაის სმაზე სამღერი. აი, ისიც:

ვინი პუჰის სამღერი სიმღერა

არავინ თქვას „ვაი, ვაი!“,
დაიძახეთ: „ჩაი, ჩაი!“
ლიმონით, რძით, მურაბით...
(ერითმება მას უნაბი).
ნამცხვრები და ნაზუქები!
მერე რა, თუ გავსუქდები.
(სხვათა შორის, მინდა ნაღდად,
უნაბიც რომ მომცა ახლა).
ვინი პუჰი დალევს ჩაის –
გინდ რძითა და გინდ მურაბით,
მეგობრებს ვერ შეედრება
ვერც ჩაი და ვერც უნაბი...
(სხვათა შორის, ვერც უნაბი,
ვიმეორებ, ვერც უ-ნა-ბი!)

თუ ხმამაღლა თქმა მოგერიდათ, გულში ფიქრად მაინც გაივლებდით, ეს რა სულელური სიმღერაა. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს სათამაშო დათუნია ვინი პუჰის სიმღერაა, თანაც ჩაიზე მისაყოლებელი.

მთავარი კი ისაა, რომ მეგობრებთან ერთად ჩაის სმა ძალიან სახალისოა.

აქტივობა 7. სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის შესახებ.
გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას გეუბნება სათაური ტექსტის შესახებ?
- თოჯინებთან, სათამაშო ცხოველებთან ერთად გითამაშია?
- თქვენი აზრით, მარტო თამაში სჯობს, თუ სხვებთან ერთად?
- რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 8. მოთხრობის ნაწილ-ნაწილ წაკითხვა პაუზებით.
პირველი პაუზა:

- რა გავიგეთ ამბის დასაწყისში, მის პირველ ნაწილში?
- „ვინ“ მიიწვია, მიიპატიჟა ჩაიზე ლიზიკომ?
- რა ჰქვიათ მის თოჯინებს?
- რა იცით ბეტმენის შესახებ? თოჯინა ბეტმენი, შესაძლოა, ბიჭებსაც ისევე მოგწონთ, როგორც გოგონებს! ასეა?
- ოთხი თოჯინას გარდა, „ვინ“ იყო მისული სტუმრად? „ვინი *პუჰის* თავგადასავალი“ თუ გსმენიათ ან ანიმაცია ხომ არ გინახავთ?

მეორე პაუზა

- რას გვიყვება ამბის შემდეგი მონაკვეთი?
- როგორ მიმართა ზრდილობიანად ლიზიკომ თავის სტუმრებს?
- როგორ უპასუხა ნანუკამ?
- ჩაი ყველას უყვარდა, მაგრამ მურაბით რომელმა მოინდომა? რძით? ლიმონით? თქვენ როგორ გიყვართ?
- რომელი სტუმარი აღმოჩნდა ყველაზე მსუნაგი? რატომ ფიქრობ ასე? საიდან ჩანს ეს?

მესამე პაუზა

- რას გვიყვება ამბის შემდეგი მონაკვეთი?
- რას გაურითმა დათუნიამ სიტყვა უნაბი? იცით ეს ხილი? ნახატზეც თუ არის? (მოსწავლის რვეული, გვერდი 27.)
- კიდევ რას ნატრობდა დათუნია, თუნდაც გასუქებულიყო? (ნამცხვრებსა და ნაზუქებს).
- მწერალი ამბობს, შესაძლოა იფიქროთ, ეს სიმღერა სულელურიაო. თქვენი აზრით, ვინის სიმღერა ცოტა სულელურია თუ უფრო სახალისო?
- რატომ ფიქრობთ ასე?

მეოთხე პაუზა

- ამ მოთხრობის ყველაზე მთავარ აზრს მწერალი სულ ბოლოს გვეუბნება! შეგიძლიათ თქვათ, რომელია ეს აზრი? *(მეგობრებთან ერთად ჩაის სმა სახალისოა / მეგობრებთან ყოფნას ვერაფერი შეედრება.)*
- რატომ ფიქრობთ ასე?

რესურსი 6. მოსწავლის რვეული – გვ. 26 – **მოტორიკის** სავარჯიშო N 13 – მოსწავლის რვეული – პატარა ვერტიკალური რკალები ბადის შუა ნაწილში (გახსნილი ნაწილი მარცხნივ).

აქტივობა 9. პატარა ვერტიკალური რკალები ბადის შუა ნაწილში (გახსნილი ნაწილი მარცხნივ).

რესურსი 7. ბგერების სავარჯიშო N 8.

აქტივობა 10. გამოიცანი ბგერა (სიტყვის შუაში მდებარე თანხმოვნის ამოცნობა) მოსწავლის რვეული – გვერდი 26.

გამოიცანი ბგერა! ამჯერად მიზნად ვისახავთ სიტყვის შუაში მდებარე თანხმოვნის ამოცნობას. ვიყენებთ სამბგერიან სიტყვათა მარაგს. წინასწარვე ვაფრთხილებთ ბავშვებს, რომ სულ 3 ბგერაა. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლის რვეულში ხატია ქვეშ ოთხკუთხედებით: თხა □ ■ □ მზე □ ■ □ რკო □ ■ □ შუა ოთხკუთხედი კი გაფერადებულია. სწორედ ეს არის გამოსაცნობი ბგერა. მოსწავლეებმა ჯერ გამოცნობილი ბგერა მკვეთრად უნდა წარმოთქვან, შემდეგ კი – მთლიანად სიტყვა.

რესურსი 8. მოსწავლის რვეული. უნაბის ილუსტრაცია. გვ. 27 (მესამე ნახატი)

აქტივობა 11. ახალი ლექსიკური ერთეულების/შესიტყვებების დამუშავება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას ნიშნავს ეს სიტყვა, სინი?
- გაიხსენე, რა არის, რას ნიშნავს სიტყვა „**უნაბი**“?
- მოიფიქრე სიტყვებზე – **„უნაბი“** და **„სინი“** – წინადადებები.
- ნახატზეც თუ არის სინი?
- რას ნიშნავს სიტყვა „შეედრება“? სხვანაირად როგორ იტყვი? (აჯობებს)
- რას ნიშნავს „ჩაიზე მისაყოლებელი“? თქვენ რას მიაყოლებთ ხოლმე ჩაის?
- შენი აზრით, რომელ პერსონაჟს მოუხდება სიტყვები: „თავაზიანი“? „ჭკვიანი“? „მსუნაგი“?

რესურსი 9. ნახატი „თოჯინებით თამაში“. (მოსწავლის რვეული – გვერდი 27.)

აქტივობა 12. ტექსტთან ხელახლა დაბრუნება. ილუსტრაციების დახმარებით ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა.

1-ელი მონაკვეთი – ლიზიკო სტუმრებს (თოჯინებს) მაგიდასთან იწვევს, მოსწავლეები ასახელებენ „პერსონაჟი“ თოჯინების სახელებს: ნანუკა, ჯაბუკა, ბარბიკო, ბეტმენიკო, დათუნია ვინი პუჰი.

მე-2 მონაკვეთი – თოჯინები მაგიდასთან სხედან და საუბრობენ (თოჯინების დიალოგი)

მე-3 მონაკვეთი – ვინი პუჰის სიმღერა

მე-4 მონაკვეთი – ტექსტის მთავარი სათქმელი – მეგობრებთან ერთად ჩაის სმა სახალისოა / მეგობრებთან ყოფნას ვერაფერი შეედრება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას ნიშნავს ამბის მონაკვეთი? მთლიანი ამბავია თუ პატარა ნაწილი? (მასწავლებელი უხსნის, რომ მონაკვეთი ამბის პატარა ნაწილია და ამბავი შეიძლება დაიყოს რამდენიმე მონაკვეთად)
- მოდი, დავთვალოთ, რამდენი ნაწილის, ანუ მონაკვეთისგან შედგება ეს ამბავი.
- პირველ მონაკვეთში ვის იწვევს ლიზიკო მაგიდასთან? რა ჰქვიათ მათ? დაასახელე და აღწერე: გოგონა თოჯინაა თუ ბიჭუნა? ქართველია თუ უცხოელი?
- მეორე მონაკვეთში როგორ მიმართავს ლიზიკო თავის სტუმრებს? რას ამბობენ ისინი?
- რას ამბობს ნანუკა? ჯაბუკა? ბარბიკო? ბეტმენი? დათუნია ვინი პუჰი?
- მესამე მონაკვეთში ვინ მღერის? რა უხარია? როგორია ის?
- მეოთხე მონაკვეთში რას ამბობენ თოჯინები, როგორია მეგობრებთან ერთად ყოფნა და ჩაის სმა?

რესურსი 10. მოსწავლის რვეული – გვ. 28 – მოტორიკის სავარჯიშო N 14 – პატარა ვერტიკალური რკალები ბადის შუა ნაწილში (გახსნილი ნაწილი მარჯვნივ).

აქტივობა 13. პატარა ვერტიკალური რკალების გავლება ბადის შუა ნაწილში. (გახსნილი ნაწილი მარჯვნივ).

რესურსი 11. თოჯინების ილუსტრაციები რვეულში – გვერდი 28 (ნანუკა, ჯაბუკა, ბარბიკო, ბეტ-მენიკო, დათუნია ვინი პუჰი).

აქტივობა 12. მოსწავლეები შეარჩევენ საყვარელ პერსონაჟს, შეძლებისდაგვარად დახატავენ და აღწერენ, როგორ გამოიყურება, რა აცვია, რას ამბობს მოთხრობაში, რა თვისება დაინახეს მისი? (როგორია ის?) (ეს იქნება საშინაო დავალება)

აქტივობა 13. სასურველია, ამ აქტივობის შესრულების დროს მასწავლებელმა ექვსეულებად დაყოს მოსწავლეები (შეძლებისდაგვარად, თითოეულ ჯგუფში გოგონები და ბიჭუნები თანაბრად გადაანაწილოს), თუ ბავშვების რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს, როგორ გაანაწილოს.

როლური თამაში „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე!“ (მოსმენილი ტექსტისა და რვეულში მოცემული ნახატების მიხედვით)

როლები:

1. გოგონა – ლიზიკო, 2. თოჯინა ნანა, მოფერებით, ნანუკა, 3. ბიჭი თოჯინა ჯაბა, ჯაბუკა, 4.თოჯინა ბარბიკო, 5. ბიჭი თოჯინა ბეტმენიკო, 6. „ბიჭი“ დათუნია ვინი პუჰი.

მთხრობელი მასწავლებელია. განაწილდება **როლები.**

დასაწყისი:

ლიზიკო ჩაიზე, მაგიდასთან, მიიწვევს სტუმრებს. სტუმრები სათითაოდ გადაუხდიან მადლობას, აღნიშნავენ, როგორ უყვართ ჩაის დალევა და რასთან ერთად ურჩევნიათ.

მონაწილეების ტექსტი:

1. ლიზიკო: – დაბრძანდით! ჩაი ტკბილად შეგერგოთ!
2. ნანუკა: – ჩაი ძალიან მიყვარს! დიდი მადლობა!
3. ბარბიკო: – გმადლობთ, ჩემო ლიზიკო! მე ჩაი რძით მიყვარს!
4. ჯაბუკა: – დიდი მადლობა! მე ჩაის მურაბით დავლევ.
5. ბეტმენი: – გმადლობთ, ლიზიკო! მე ჩაი ლიმონით მიყვარს! ასეთი ჩაი ძალიან სასარგებლოა.
6. ვინი პუჰი: – დიდი მადლობა! რა კარგია, მე არცერთს არ დავიწუნებ! სამივე მინდა!

შემდეგი მონაკვეთი:

შეასრულებენ ვინის მხიარულ სიმღერას. მასწავლებელი იწყებს სტრიქონს, ბოლო სიტყვას კი მთელი ჯგუფის ბავშვები ერთად იტყვიან:

არავინ თქვას, ვაი, [ვაი], დაიძახეთ: ჩაი, [ჩაი], ლიმონით, რძით, [მურაბით], ერითმება მას [უნაბი]... და ა. შ.

[ვიდრე გაითამაშებენ წვეულებას, მონაწილეები ივარჯიშებენ საკუთარი ტექსტის წარმოთქმაში. სასურველია, ტექსტი ამოვუწეროთ და შინ გავატანოთ, რათა უფროსები დაეხმარონ.]

აქტივობა 14. კომპლექსური დავალების წარდგენა.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- მოგეწონა დავალება? სახალისო იყო?
- მოგეწონა შენი როლი? რატომ?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად თქვენი ჯგუფის წარმოდგენაში?
- განსაკუთრებით რომელი როლის შემსრულებელმა შეძლო შენი აღფრთოვანება?
- რა გასწავლა ამ მოთხრობამ? (გართობა სხვებთან ერთად უფრო სახალისოა, ვიდრე – მარტო.)
- რატომ არის მნიშვნელოვანი თავაზიანი სიტყვებით საუბარი? (თავაზიანი სიტყვებით ზრდილობიანი გახდები.)

აღწერე, როგორ იმუშავე ამ დავალებაზე:

- რა გააკეთეთ თავდაპირველად? შემდეგ? როგორ შეისწავლეთ, რომელ თოჯინას რა უნდა ეთქვა?
- როგორ ამოიცანი ტექსტის მთავარი აზრი? პერსონაჟების თვისებების გასაგებად, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რას გააკეთებდი სხვანაირად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად საკუთარი როლის შესწავლისა და შესრულების პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ვისთან ერთად იმუშავე საკუთარი როლის მოსამზადებლად?
- რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს ჯგუფის წევრები?

II თემა: გართობა

მეორე ქვეთემა – სპორტის დრო

შუალედური მიზანი N 2. ჩაფიქრებული სპორტის სახეობის აღწერა – მატრიცის დეტალიზებული დანართი.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება** – აღწერა	**საკითხი:** ჩაფიქრებული სპორტის სახეობის აღწერა და გამოცნობა. **ქვესაკითხები:** აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები). **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აღვწერო სპორტის ესა თუ ის სახეობა? როგორ გამოვიცნო, სპორტის რომელი სახეობა ჩაიფიქრა მეწყვილემ? **კომპლექსური დავალება – სახალისო გამოცანის შედგენა მეწყვილისათვის.** ჩაიფიქრე სპორტის ერთ-ერთი სახეობა. ჯერ კარგად მოიფიქრე, როგორ აღწერ მას. შემდეგ ხმამაღლა აღწერე, ისე, რომ თანაკლასელებმა გამოიცნონ, სპორტის რომელი სახეობა ჩაიფიქრე.
მკვიდრი წარმოდგენები 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე / მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტ-ყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები** **აღწერისას წარმოაჩინე:** ✓ რის მიხედვით აღწერე ჩაფიქ-რებული სპორტის სახეობა – რა აცვია მოთამაშეს, რა საგნები სჭირდება, რას აკეთებს და სხვ. (ს.1, 3) ✓ ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები (ს.1, 2)

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- იცით, რას ნიშნავს თამაში „გამოცნობანა“? ადვილად შეგიძლიათ გამოცნობა?
- თქვენ ხომ არ გიცდიათ გამოცანის შედგენა? რას ეხებოდა?
- როგორ გამოიცანით გამოცანის პასუხი? რა მინიშნებები იყო გამოცანაში ისეთი, რაც დაგეხმარა პასუხის ამოცნობაში?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება გამოცანის შედგენის დროს?
- როგორ აღვწეროთ სპორტის სახეობა და სასპორტო საგანი ისე, რომ მსმენელმა შეძლოს მისი გამოცნობა?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ აღწერისთვის?
- რის შესწავლა დაგვჭირდება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1: რის მიხედვით აღწერე ჩაფიქრებული სპორტის სახეობა – რა აცვია მოთამაშეს, რა საგნები სჭირდება, რას აკეთებს და სხვ. (ს.1, 3) ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები (ს.1, 2)

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები)

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1-ა

სიტყვა – ფეხბურთის კარი/მოედანი

წინადადება – გოგონები გულშემატკივრობენ/ბიჭი კარში ბურთის დასაჭერად ემზადება.

აღწერა – ფეხბურთი (ფეხბურთი სპორტის სახეობაა. თამაშობს ორი გუნდი. ფეხბურთის გუნდში 11 ადამიანია, მათ შორის – ერთი მეკარე, რომელიც კარს იცავს. ფეხბურთს თამაშობენ სტადიონზე.)

რესურსი 1-ბ.

სიტყვა – კალათი და ბურთი

წინადადება – გოგონამ ბურთი კალათში ჩააგდო/გოგონები ბურთებით ვარჯიშობენ.

აღწერა – კალათბურთი (კალათბურთიც სპორტის სახეობაა. თამაშობს ორი გუნდი. თითოეულ გუნდში 5 მოთამაშეა. ამ თამაშს მოედანზე თამაშობენ. კალათბურთის მოედანი, ძირითადად, დახურულ დარბაზშია, თუმცა ეზოებშიც თამაშობენ).

რესურსი 1-გ.



სიტყვა – ჩოგანი და ბურთი, კორტი.

წინადადება – ბავშვები ჩოგბურთს თამაშობენ.

აღწერა – ჩოგბურთი (ჩოგბურთიც სპორტის სახეობაა. თამაშობს 2 მოთამაშე. მას სჭირდება სპეციალური პატარა ბურთი და ორი ჩოგანი. საჩოგბურთო მოედანს კორტი ჰქვია.)

სიტყვა – ჭადრაკის დაფა/ფიგურები

წინადადება – ორი ბავშვი ჭადრაკს თამაშობს.

აღწერა – ჭადრაკიც სპორტის სახეობაა. ორი მოჭადრაკე თამაშობს თეთრი და შავი ფიგურებით. თამაშს ყოველთვის „თეთრები“ იწყებენ.

დამატებითი რესურსი მასწავლებლისთვის: https://bit.ly/3GtGXbx

აქტივობა 1. სპორტის სახეობების გაცნობა/დასახელება და აღწერა მასწავლებლის დახმარებით.

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ.29

აქტივობა 2. გაუფერადე მაისური გულშემატკივარ ბავშვებს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რამდენი ადამიანია ფეხბურთის გუნდში?
- ვინ იცავს კარს?
- რამდენი მოთამაშეა კალათბურთის გუნდში?
- რა არის საჭირო ჩოგბურთის თამაშისთვის? (ჩოგანი და ბურთი)
- რა ჰქვია საჩოგბურთო მოედანს?
- რით თამაშობს ჩოგბურთელი?
- სად ისვრის კალათბურთელი ბურთს?
- სპორტის რომელი სახეობა მოგწონს? რომელი გითამაშია?
- კიდევ სხვა რომელი სახეობა გაგიგია ან გინახავს თამაში?
- დააკვირდით სურათებს და იპოვეთ, რომელი საგანი არის ამ სურათზე? (ბურთი)
- ერთხელ კიდევ ჩამოვთვალოთ სპორტის სახეობები, რომლებიც დღეს გავიხსენეთ. (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი)

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 29 – მოტორიკის სავარჯიშო N 15 – პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე (რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 2. პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე (რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 4. ბგერების სავარჯიშო N 9 გვ. 30

აქტივობა 3. ერთი ბგერის ძალა – ერთი ბგერის (სამეტყველო ბგერის) შეცვლას სიტყვის შეცვლა შეუძლია!

მოსწავლეებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ერთი ბგერის (სამეტყველო ბგერის) შეცვლას სიტყვის შეცვლა შეუძლია! ამ სამუშაოს წინ უძღვის – „ვეძებთ რითმას“ – რვეულში (გვ.30) წარმოდგენილია ნახატები, რომელთა მიხედვით ბავშვებმა გარითმული სიტყვები უნდა გამოიცნონ; ხატია: **ბელი, ბაჭია, ხელი, ზარი, კალამი, კარი**. გამოსაცნობია: **ბელი, ხელი; ზარი, კარი.**

ზეპირი ვარჯიშისთვის კი გამოვიყენოთ სიტყვები: ძმა – ხმა, წელი – ხელი, გალია – კალია, სალამი – კალამი, ბალახი – ტალახი.

რესურსი 5. საკითხავი: **მაყვალა მრევლიშვილის „ვარჯიში“**

აქტივობა 4. მასწავლებლის მიერ ლექსის გამომეტყველებით წაკითხვა.

სკუპ და სკუპ, სკუპ და სკუპ,
კურდღელივით დავხტუნავ;
ხომ კარგია ვარჯიში?
შენც იხტუნე, დათუნა!
ახლა მერცხალს ვგავარ, –
მოფრენილა ბანზე,
ბუდეში რომ ჯდება,
ფრთებს გადაშლის განზე.
ვეღარ ვხედავ მერცხალს,
გაფრენილა ცაში,
აბა, გავაგონოთ:
ტაში, ჩქარა ტაში!

ვივარჯიშეთ, ახლა
ტანი დავიზილოთ;
რა საამო არის
გაწურული ტილო.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ვის სთავაზობს პოეტი ვარჯიშს? (დათუნას – „დათუნა“, „დათო“, „დათა“ – დავითის მოფერებითი სახელებია)
- როდის ვამბობთ სკუპ, სკუპ-ს? (როცა დავხტივართ.)
- ხომ არ იცით, რას ვუწოდებთ მოძრაობას, როცა ვარჯიშის დროს ხელებს წინ გავწევთ ხოლმე? განზე? ზემოთ? (წინმკლავი, განმკლავი, ზემკლავი.)
- ბავშვებო, გინახავთ მერცხალი? როგორი ბოლო აქვს? (კუდმაკრატელას ვეძახით იმიტომ, რომ მისი ბოლო მაკრატელს ჰგავს.) მერცხლის ბუდე თუ გინახავთ? სად იშენებს მერცხალი ბუდეს? (აივნების კუთხეებში, სახლებზე.) სხვა ფრინველი? (ბუჩქებზე, ხეებზე.)
- როდის ემსგავსება მერცხალი ტანმოვარჯიშეს? (როდესაც ფრთებს გაშლის განზე.)
- რით ვიზელთ ტანს? (ტილოთი) რა არის ტილო?
- თქვენ ვარჯიშობთ ხოლმე სახლში?
- როგორ ვარჯიშობთ?
- მოდით, ახლა ვივარჯიშოთ. მოსწავლეები წამოდგებიან და 3 წუთიანი განტვირთვა ექნებათ. წინმკლავი, განმკლავი, ზემკლავი.
- მოდით, ახლა ვიყოთ მერცხლები და ვივარჯიშოთ (შემდეგ – კურდღლები განვასახიეროთ, ერთ ადგილზე ვიხტუნაოთ.)

რესურსი 6. ლექსიკა ნახატებით – მოსწავლის წიგნი – გვ.15

აქტივობა 5. მოსწავლეები ნახატებზე დაკვირვებით ასახელებენ, ვინ რას აკეთებს? სპორტის რომელი სახეობა არის ეს.

1. ბიჭუნა და გოგონა მთიდან თხილამურებით ეშვებიან.
2. ბიჭს ჩოგანი უჭირავს და მზადაა სათამაშოდ (სათანადო დგომა).
3. ტანმოვარჯიშე გოგონა და ბიჭუნა.
4. ბიჭი კრივის ხელთათმანებით „მსხალს“ ურტყამს.
5. სკოლის სპორტულ დარბაზში ბავშვები ფრენბურთს თამაშობენ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რით ეშვებიან ბიჭუნა და გოგონა მთიდან?
- რა უჭირავს ბიჭს ხელში?

- სპორტის რომელ სახეობაში არიან ჩართულნი ბიჭუნა და გოგონა?
- რას აკეთებს ბიჭუნა ხელთათმანებით? რა ჰქვია სპორტის ამ სახეობას?
- რით თამაშობენ ბავშვები სპორტულ დარბაზში?
- სურათებზე გამოსახული სპორტის რომელი სახეობა გიყვართ? რატომ?
- რომელმა ნახატმა მიგახვედრა, რომ შეუძლებელი არაფერია? მონდომებითა და გუნდის მხარდაჭერით ყველაფერს შეძლებთ?

რესურსი 8-ა. ფონოლოგიური უნარის სავარჯიშო.

აქტივობა 7. მასწავლებელი ნელა, დაყოვნებით ამბობს სიტყვის მარცვლებს და მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ, სიტყვა ამოიცნონ.

ნიმუშები: მო-კრი-ვე, მო-ჭად-რა-კე, მო-თხი-ლა-მუ-რე, ჭი-და-ო-ბა, კა-ლათ-ბურ-თი.

ამ აქტივობისთვის გთავაზობთ **სიტყვების სკივრს**: გუნდი, რინგი, მეკარე, ციგურები, მოედანი, მაყურებელი, შეჯიბრი, ჯარიმა, სასტვენი...

ამ ნიმუშების შესრულების, გავარჯიშების შემდეგ კი დამოუკიდებლად სცადონ: მოსწავლემ ჩაიფიქროს სიტყვა, დამარცვლოს ნელა, თანაკლასელებმა კი ამოიცნონ, გაამთლიანონ.

რესურსი 8-ბ. მოსწავლის რვეული – გვ. 30

აქტივობა 7. გააფერადე „მ“ ბგერით დაწყებული სიტყვები.

აქტივობა 8. სპორტის სხვადასხვა სახეობის მოთამაშის განსახიერება და ამოცნობა (ტანის მოძრაობით და ჟესტიკულაციით).

აქტივობა 9. წაკითხული ტექსტებისა და ნახატების მიხედვით მოსწავლეთა მიერ სპორტის სახეობების ერთხელ კიდევ დასახელება და ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით აღწერა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- სპორტის რომელი სახეობები გავიხსენეთ?
- რა არის საჭირო ფეხბურთის თამაშისთვის? რამდენი მოთამაშეა ფეხბურთელების გუნდში? რას აკეთებს მეკარე?
- როგორი ბურთი უნდა ჰქონდეთ ფეხბურთელებს? ხომ არ იცით, რა მასალით მზადდება? (ტყავით)
- რა არის საჭირო ჩოგბურთის თამაშისთვის? (ჩოგანი, ბურთი)
- რა ჰქვია საჩოგბურთო მოედანს?
- რამდენი მოთამაშეა კალათბურთის გუნდში?
- სად ისვრის კალათბურთელი ბურთს? იცით თუ არა, რისგან მზადდება კალათბურთის ბურთი? (რეზინისგან)
- რა განსხვავებაა ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთებს შორის – რომელია უფრო მაგარი და მკვრივი?
- შენი აზრით, რატომ არის შედარებით რბილი და რატომ კეთდება რეზინისაგან კალათბურთის ბურთი?
- გარდა დიდი რკინის რკალისა, რა აქვს კალათბურთის კალათს? (ბადე)
- რა უნდა ჩაიცვას-გაიკეთოს აუცილებლად მოკრივემ?
- როდის ემსგავსება მერცხალი ტანმოვარჯიშეს?
- რა სჭირდებათ მოთხილამურეებს? დაასახელე ორი მთავარი რამ (ჯოხები და თხილამურები)

აქტივობა 10. კომპლექსური დავალების წარდგენა.

მოსწავლეები ჩაფიქრებულ სპორტის სახეობას იმგვარად აღწერენ, რომ მსმენელებმა გამოიცნონ.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- უკავშირდება თუ არა შენი აღწერა სპორტის სახეობებს?
- რა აღმოაჩინე ახალი შენ მიერ მოფიქრებული სპორტის სახეობის აღწერის დროს, რისთვისაც მანამდე ყურადღება არ მიგიქცევია?
- რით არის საინტერესო შენი ნამუშევარი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ დაახასიათე შენ მიერ შერჩეული სპორტის სახეობა? რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- გასაგები იქნება თუ არა შენი აღწერა მსმენელისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდათ კარგად დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- როგორ გამოიცანი ჩაფიქრებული სპორტის სახეობა? რა ნიშან-თვისების მიხედვით ამოიცანი?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი თანაკლასელების მიერ აღწერილმა სპორტის რომელმა სახეობამ აღწერამ მიიპყრო შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

II თემა: გართობა

მესამე ქვეთემა – გართობა ზამთარ-ზაფხულ

შუალედური მიზანი N 3. რითმების შექმნა ადამიანის სახელების გამოყენებით – მატრიცის დეტალიზებული დანართი.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N3**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (შედეგები: (I) 2, 4, 6)** **ქვეცნებები:** ბგერა და წარმოთქმული სიტყვა.	**საკითხი:** რითმების შექმნა ადამიანის სახელების გამოყენებით და საერთო (ერთნაირი) ბგერების პოვნა. **ქვესაკითხები:** ბგერა, საერთო ბგერა, სიტყვა, რითმა.. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ ვიპოვო გარითმულ სიტყვებში საერთო (ერთნაირი) ბგერები? **კომპლექსური დავალება – რითმების შექმნა ადამიანების სახელების გამოყენებით** დააკვირდი რვეულში მოცემულ ნახატებს. ბავშვის სახელს მასწავლებელი წაგიკითხავს და შენ ნახატით რითმა გამოიცანი (მაგ., ნატა – კატა, რეზო – ეზო, მელა – გელა და ა. შ.)
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლე აცნობიერებს, რომ:** 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**შეფასების კრიტერიუმები** **გარითმული სიტყვების წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რომელი ბგერები აქვთ ერთნაირი ბავშვის სახელს და მასთან გარითმულ ნახატზე გამოსახულ სიტყვას (წ. 1); ✓ რამდენი ბგერისგან შედგება ბავშვის სახელი და მასთან გარითმული ნახატზე გამოსახული სიტყვა (წ.2).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

რესურსი 1. ილუსტრაციები მოსწავლის რვეულში – გვ. 32

რესურსი: 2.
1. კარი, ქარი. უბერავს ქარი, გააღო... (კარი).
2. ეს არის გვრიტი, პატარა... (ჩიტი).
3. დგას მზიანი დარი, დაირეკა... (ზარი).
4. აი მწვანე ველი, სიო არხევს... (ნელი).
5. აღარა მაქვს დარდი, გაიშალა... (ვარდი).
6. ერთი, ორი სამი, გადის სამი... (წამი).

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.
- ხომ არ იცით, რა არის რითმოცანა?
- დააკვირდი სურათებს და დაასახელე სიტყვები. (ბალი – თვალი; ტარო – თარო;)
- როგორ შეიძლება დავასრულოთ ეს რითმოცანები? (რესურსი 2)
- ვის შეუძლია, საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რომელი ბგერები აქვთ ერთნაირი ნახატზე გამოსახულ სიტყვას და მასთან გარითმულ ადამიანის სახელს (წ. 1); რამდენი ბგერისგან შედგება ნახატზე გამოსახული სიტყვა და მასთან გარითმული ადამიანის სახელი (წ.2).
ქვესაკითხები: ბგერა, საერთო ბგერა, სიტყვა, რითმა.

რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. გართობა თოვლში

სიტყვა – ციგა/თოვლის ბაბუა/პაპა
წინადადება – გოგო და ბიჭი გუნდაობენ/გოგონა ციგით ეშვება გორაკიდან.
აღწერა – გართობა თოვლში
აქტივობა 1.
- როგორ ერთობიან ბავშვები თოვლში?
- რას აკეთებენ? (გოგო და ბიჭი გუნდაობენ/გოგონა ციგით ეშვება გორაკიდან.)
- რა უხარიათ?

რესურსი 2. მონაკვეთი **იროდიონ ევდოშვილის ლექსიდან „ზამთრის პირი“**
შემოდგომა გაგვეპარა,

არემარეს ნისლი ბურავს,
და საცაა დედამიწა
თოვლის
საბანს დაი...(ხურავს)

აქტივობა 2. ნახატზე დაკვირვებისა და მასწავლებლის მიერ წარმოთქმული მონაკვეთის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ გარითმული სიტყვა.

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 31

აქტივობა 3. გაუფერადე ბავშვებს ქურთუკები

რესურსი 4. გამოცანები

მოფარფატებს ზეციდან,
არც კი გინდა ფიქრი –
ჰქვია ორი სახელი:
ფანტელი და... **(ფიფქი)**

ათჯერ უფრო გრძელია,
ვიდრე კურდღლის ყურები,
დადგები და გასრიალებს,
ჰქვია... **(**თხილამურები)

მოდი, თოვლში ვითამაშოთ,
იციგაოს, ვისაც უნდა,
გამოძერწოს თოვლის კაცი,
დაამრგვალოს დიდი... (გუნდა)

აქტივობა 4. მასწავლებელი კითხულობს გამოცანებს. მოსწავლეები გამოიცნობენ. მასწავლებელთან ერთად იმეორებენ გარითმულ სიტყვებს და ბოლო ბგერებზე დაკვირვებით პოულობენ საერთო (ერთნაირ) ბგერებს.

- წარმოთქვით სიტყვები: „ყურები“ და თხილამურები“, „უნდა“ და „გუნდა“.
- რით ჰგავს ერთმანეთს? დააკვირდით ბოლო ბგერებს.
-

რესურსი 5. მოსწავლის რვეული გვ. 31 – მოტორიკის სავარჯიშო N16 – პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ქვედა ხაზზე (რკალებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

აქტივობა 5. პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ქვედა ხაზზე (რკალებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 6. ნახატები მოსწავლის რვეულში – გვ. 32 (ბალი – თვალი; ტარო – თარო...)

აქტივობა 6. მოსწავლეები ხაზებით დააკავშირებენ სარითმო სიტყვებს (ბალი – თვალი; ტარო – თარო...)

- წარმოთქვით სიტყვები: „ბალი“ და „თვალი“.
- რით ჰგავს ერთმანეთს? რომელი ბგერებით ბოლოვდება? დააკვირდით ბოლო ბგერებს.

რესურსი 7. მოსწავლის წიგნი. გვ. 17 – ლექსიკა ნახატებით – რა გვაცვია?

ქურთუკი	**ქურქი**	**ლაბადა**	
პალტო	**პიჯაკი**	**ელვა (შესაკრავი)/ღილი**	
ქამარი	**ჩექმა**	**ბოტი**	**ქოლგა**

აქტივობა 7. ნახატების მიხედვით ნივთების დასახელება და სიტყვების ბგერებად დაშლა.
რესურსი 8. გართობა წვიმაში. (საკითხავი: **მარიამ წიკლაურის „როგორ გავხდეთ ბაყაყი“**)

ნაწვიმარზე ფანჯრებიდან
რომც იყურო დიდხანს,
შენ ბაყაყი ვერ გახდები,
თუ კართან არ მიხვალ.
თუ ბოტებსაც არ ჩაიცვამ,
თუ ქოლგას არ გაშლი
და არ გავარდები უმალ
ნაწვიმარზე კარში.
რის ბაყაყი, რისი ყი-ყი,
რისი სკუპი-სკუპი,
თუ არ გაილუმპე წყალში,
არ დასველდი თუკი.
თუკი გუბეს გადაახტი,
შიგ ფეხი არ ტუცე,
არ გექნება არასოდეს
საკუთარი გუბე!
ყი-ყი-ყი-ყი, ყიყინელა
წვიმა ჩვენთვის მღერის.
წამო, გავხდეთ ბაყაყები,
ვიხტუნაოთ ბევრი!

აქტივობა 8. მასწავლებელი ლექსს კითხულობს გამომეტყველებით.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
1. რა არის ბოტები? *ფეხზე წვიმაში ჩასაცმელი.*
2. რას ნიშნავს სიტყვა „ნაწვიმარზე“? *წვიმის შემდეგ.*
3. როდის იცვამენ ბოტებს? ბოტებს იცვამენ წვიმაში და ნაწვიმარზე, ფეხები რომ არ დავისველოთ.
4. ვის მიმართავს პოეტი ლექსში? *ბავშვებს. ჩვენ.*
5. ლექსის მიხედვით რატომ უნდა ჩაიცვა ბოტები და დაიჭირო ქოლგა ნაწვიმარზე? *თუ გინდა, ბაყაყს დაემსგავსო/ბაყაყი გახდე, უნდა ჩაიცვა ბოტები.*
6. კიდევ რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ ბაყაყს დაემსგავსო/„გახდე ბაყაყი“? *უნდა გაილუმპო, დასველდე; გუბეში ფეხი უნდა ტუცო; იხტუნაო.*
7. რა ხმას გამოსცემს ბაყაყი? *ყიყინებს.* (შეგვიძლია, ვუთხრათ: ბაყაყი წყალში ყიყინებს. (რამდენჯერმე ათქმევინოს მასწავლებელმა მთელ კლასს).
8. რას ნიშნავს სიტყვა „ტუცე“? *ჩავტოპე.* (თითიც შეიძლება ტუცო ფაფაში, წვნიანში...)
9. რას ნიშნავს „სკუპ, სკუპ“? *ე.ი. ხტუნავს.*
10. თქვენ თუ მოგნდომებიათ „ბაყაყობანას“ თამაში? გითამაშიათ? (იგულისხმება წუწაობა, სირბილი, ხტუნვა...)
11. თქვენ როგორ ერთობით ეზოში წვიმის შემდეგ?

რესურსი 9. მარიამ წიკლაურის „როგორ გავხდეთ ბაყაყი“
აქტივობა 9. მასწავლებელი განმეორებით კითხულობს ლექსის მონაკვეთს:

თუ ქოლგას არ გაშლი
და არ გავარდები უმალ
ნაწვიმარზე კარში.
რის ბაყაყი, რისი ყი-ყი,
რისი სკუპი-სკუპი,

თუ არ გაილუმპე წყალში,
არ დასველდი თუკი.

მკაფიოდ წარმოთქვამს გარითმულ სიტყვებს (კარში – წყალში, სკუპი – თუკი) და ეკითხება მოსწავლეებს, როდის გაიგონეს ერთნაირი ბგერები სიტყვებში, დასაწყისში თუ ბოლოს, რომელი ბგერებია. მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით დაასახელონ და დათვალონ გარითმულ სიტყვებში ბგერების რაოდენობა.

რესურსი 10. მარიამ წიკლაურის „მალე გამოიდარებს“
მთელი ღამე იწვიმა.
ბოტებს, ქოლგებს, ლაბადებს
უხარიათ, დილით რომ
დატოვებენ კარადებს!
რას ნახავენ ქუჩაში?
გუბეს, წვეთებს – წკაპუნებს,
წვიმის დიდი ღრუბელი
მიწას როგორ აპურებს.
მალე გამოიდარებს,
მზეც ამოვა, ცხრათვალა,
წვიმის წვეთი იცინის –
ჩვენ ვერავინ დაგვთვალა.

აქტივობა 10. მოსწავლეებმა წიგნში იპოვონ ლექსში მოცემული სიტყვების – ლაბადა, ბოტი – შესაბამისი ნახატები.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რა იცავს წვიმისაგან ადამიანს? (ქოლგა)
- შენი აზრით, რატომ უხარიათ ბოტებს, ქოლგებს, ლაბადებს?
- რას ნახავენ ქუჩაში?
- რა მოხდება მალე?
- რატომ იცინის წვიმის წვეთი?
- განუმარტეთ გამონათქვამი „მზე პირს იბანს“ (ასე ამბობენ, როცა ზაფხულში ჟუჟუნა წვიმაა და მზეც ანათებს).

რესურსი 11. გურამ კობერიძის გამოცანები:

ჭაობების ბინადარი
ყიყინა და ამაყი,
მწვანეა და იბერება,
თქვი, რა არის?... (ბაყაყი)

გაუშლიათ ქოლგები
ელენეს და პაპუნას,
ასე მიიმღერიან:
წვიმა მოდის... (შხაპუნა)

აქტივობა 11. მასწავლებელი კითხულობს გამოცანებს. მოსწავლეები გამოიცნობენ და მასწავლებლის დახმარებით, სარითმო სიტყვებზე დაკვირვებით პოულობენ საერთო (ერთნაირ) ბგერებს (ამაყი-ბაყაყი, პაპუნა – შხაპუნა) ფორმატის დიდ ფურცელზე დაწერილ სიტყვებში მოაძებნინებს ერთნაირ ასოებს, ვიზუალურად შეადარებინებს მსგავსებას.

რესურსი 12. ბგერების სავარჯიშო.

აქტივობა 12. განსხვავებული ბგერის გამორჩევა.
მასწავლებელი:
– მოუსმინეთ, რომელი სიტყვა იწყება განსხვავებული ბგერით?
სიტყვათა რიგით ჩამოთვალეთ და დამოუკიდებლად აპოვნინეთ:
1. ბადე, ბუდე, ბელი, <u>გული.</u>
2. თავი, თითი, თმა, თვალი, <u>ხელი.</u>
3. ცა, ცივი, ცხელი, <u>წყალი.</u>
და ა.შ.

რესურსი 13. მოსწავლის რვეული – გვ.32

აქტივობა 13. შემოხაზე ის ნახატი, რომელიც განსხვავებული ბგერებით იწყება.

რესურსი 14. მოსწავლის წიგნი – გვ. 18 – გართობა ზღვაზე

სიტყვა – მზის ქოლგა/საცურაო რგოლი
წინადადება – ბიჭი ზღვაში ჭყუმპალაობს/ ბავშვები ქვიშით სასახლეს აგებენ.
აღწერა – გართობა ზღვაზე
აქტივობა 14.
- როგორ ერთობით ზღვაზე?
- რატომ არის აუცილებელი, რომ ზღვაზე გვქონდეს მზის ქოლგა? საცურაო რგოლი?
- რას აკეთებენ ბავშვები ქვიშაში?

რესურსი 15. მოსასმენი: **ნესტან კუპრავას „ქვიშის კოშკი“**
აქტივობა 15. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. თავდაპირველად სათაურს მივაქციოთ ყურადღება და ვიკითხოთ, რაზე იქნება ეს მოთხრობა, თქვენი აზრით? ვარაუდების გამოთქმისა და მოთხრობის მოსმენის შემდეგ დავსვათ შეკითხვები მოსმენილის გასააზრებლად.

ზღვის სანაპიროზე ბავშვები ერთობოდნენ. პატარა კესო ქვიშის სათამაშო კოშკს აგებდა, ძალიან ლამაზი გამოსდიოდა და კესოს უხაროდა.
ამ დროს ნიკა სწრაფ სირბილში ვარჯიშობდა, შემთხვევით კოშკს გაჰკრა ფეხი და დაანგრია.
პატარა კესო ატირდა:

– ამ კოშკს დიდხანს ვაგებდი! თითქმის მზად იყო! მინდოდა, მამიკოსთვის მეჩვენებინა!
ტირილის ხმა კეთილმა კატომ გაიგონა. წამსვე კესოსთან გაჩნდა და უთხრა:
– ნუ ტირი! ქვიშის კოშკი ისევ ავაშენოთ!
ნიკა დაღონდა. ეს რა მიქნიაო, გაიფიქრა. მივიდა გოგონებთან და კესოს ბოდიში მოუხადა.
ახლა სამივე ერთად აგებს ქვიშის კოშკს! ვფიქრობ, ის ულამაზესი იქნება და კესოს მამას ძალიან მოეწონება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
1. როგორ იწყება მოთხრობა, სად ერთობოდნენ ბავშვები? (ზღვის სანაპიროზე.)
2. რა უხაროდა პატარა კესოს? რატომ? (კოშკი ძალიან ლამაზი გამოსდიოდა.)
3. რა ჩაიდინა შემთხვევით ნიკამ? (ნიკამ სირბილის დროს დაუდევრობა გამოიჩინა და პატარა კესოს კოშკი დაანგრია).
4. შეაწუხა თუ არა ნიკა ამ შემთხვევამ?
5. განსაკუთრებით რა სწყინდა პატარა კესოს? ვისთვის აგებდა ის კოშკს?
6. რას ვიგებთ მოთხრობაში მეორე გოგონას – კატოს – შესახებ?
7. ბოლოს როგორ მოიქცა ნიკა?
8. როგორ მთავრდება ეს მოთხრობა? თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ულამაზესი იქნება ახალი კოშკი? რატომ გგონიათ?
9. ამ მოთხრობაში ერთი ამბავი სევდიანია, დასასრული კი იმედიანია. რომელია სამწუხარო, სევდიანი? ბოლოს, დასასრულში რის იმედია გამოთქმული?
10. წარმოიდგინეთ და ერთი-ორი წინადადებით გადმოეცით, რა მოხდებოდა შემდეგ.

რესურსი 16. მოსწავლის წიგნი – გვ.19 – ლექსიკა ნახატებით.

კაბა	**მაისური**	**მოკლე შარვალი (შორტი)**
წინდა	**კეპი**	**მზის ქუდი**
მზის სათვალე		**წყლის სათვალე**

აქტივობა 16. გაიხსენეთ, რა გვაცვია ზაფხულობით, როცა ცხელა? მაისური, შორტი (მოკლე შარვალი), თხელი/სიფრიფანა კაბა, გვახურავს მზის ქუდი, გვიკეთია მზის სათვალე... ზამთარში გუნდაობთ, ზაფხულში რით ერთობით? ვწუწაობთ, ქვიშაში ვთამაშობთ.

რესურსი 17. მოსწავლის რვეული – გვ. 33
აქტივობა 17. გააფერადე: მზის ქოლგები და საცურაო რგოლი.
რესურსი 18. მოსასმენი: ნოდარ დუმბაძე „შეჯიბრი“

ნოდარიკოს და მაიკოს
აქვთ კამათი და დავა.
ამ ზაფხულს დასასვენებლად
ვინ სად და როდის წავა.
მაიკომ უთხრა: – ბორჯომში
წავალ ივლისის ათში.
ნოდარმა უთხრა: – შენს ჯიბრზე
მე წავალ ლიმონათში.

აქტივობა 18. მასწავლებელი ნაწილ-ნაწილ კითხულობს ლექსს და მოსწავლეები იპოვიან გასარითმ სიტყვებს ჯერ პირველ სტროფში, შემდეგ – მეორეში. (დავა-წავა; ათში – ლიმონათში)

გეზისმიმცემი შეკითხვები:
1. რაზე კამათობენ ბავშვები? (ვინ სად დაისვენებს.)
2. სად მიემგზავრება მაიკო? (ბორჯომში) ნოდარიკო? (ლიმონათში)

3. ყოფილხართ ბორჯომში? ლიმონათში? მართლა არსებობს ასეთი ადგილი – ლიმონათი?
4. რატომ ვუწოდებთ სასმელ „ბორჯომს“ ასე? (ეს ბუნებრივი წყალია, მიწიდან ამოდის, როგორც წყარო და ჰქვია იმ ადგილის სახელი, სადაც მოიპოვება – ბორჯომი.)
5. როდის გაიგონეთ ერთნაირი ბგერები სიტყვებში, დასაწყისში თუ ბოლოს? (დავა-წავა; ათში – ლიმონათში)
6. რატომ უპასუხა ნოდარმა ასე მაიკოს? (მან იცოდა, რომ „ბორჯომი“ სასმელია, არ იცოდა, რომ ბორჯომი დასასვენებელი კურორტიც არის.)
7. რა არის შეჯიბრი? როდის ეჯიბრებიან ერთმანეთს? ნოდარიკო და მაიკო რაში ეჯიბრებიან ერთმანეთს?
8. თქვენ სად მიდიხართ ხოლმე, სად ატარებთ ზაფხულს?

რესურსი 19. მოსწავლის რვეული – გვ. 33 – მოტორიკის სავარჯიშო N 17 – ორი პატარა გადაბმული რკალი ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე (რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 19. პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე (რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 20. სიტყვების სამეულები

აქტივობა 20. გარითმე სიტყვები (მასწავლებელი ამბობს სამ სიტყვას, რომელთაგან მხოლოდ ორი ერითმება ერთმანეთს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ სარითმო წყვილები: გოლი-დოლი, მერხი-ხერხი, ქარი-მარი, მაია-ბაჭია).

გოლი –კარი – დოლი
მერხი – დაფა – ხერხი
ქარი – ნინო – მარი
მაია – თოჯინა – ბაჭია

რესურსი 21. ნახატები მოსწავლის რვეულში – გვ. 34

აქტივობა 13. კომპლექსური დავალების შესრულება.

რვეულში მოცემულ ნახატებზე ჯერ საგანი უნდა დაასახელოს ბავშვმა და შემდეგ მოიფიქროს, რა დაარქვას ნახატზე გამოსახულ გოგონას თუ ბიჭუნას, რითმა რომ მოუხდეს. მაგალითად, პალტოს კატო მოუხდება, მელას გელა და ა. შ. სახელების მოფიქრებაში დაეხმარეთ პატარა გამოცანებით/რითმოცანებით:

ნატა – კატა
რეზო – ეზო
მაია – ბაია
ზაზა – ვაზა
გელა – მელა
ზურა – ქურა

სახელის გამოსაცნობად დაეხმარეთ: უთხარით პირველი მარცვალი და მეორეს ადვილად დაამატებენ მოსწავლეები. მაგალითად: რე... (რე-ზო). ყველა გამოსაცნობი სახელი ორმარცვლიანია.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რა ყოფილა რითმოცანა? რა გაიგე რითმების შესახებ?
- რა აღმოაჩინე ახალი, რისთვისაც მანამდე ყურადღება არ მიგიქცევია?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით? (ჯერ საგანი ამოვიცანი, დავასახელე და შემდეგ მოვიფიქრე ადამიანის სახელი)
- როგორ გარითმე მოფიქრებული სახელი ნახატთან?
- რომელი ბგერები აქვთ ერთნაირი ნახატზე გამოსახულ სიტყვას და მასთან გარითმულ ადამიანის სახელს?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდათ კარგად დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- როგორ მიხვდი, რომელი სახელი უნდა შეგერჩია ნახატზე გამოსახული სიტყვისთვის?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- რომელი რითმოცანა მოგეწონა განსაკუთრებით? რატომ?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

III თემა: ჩვენი სკოლა

პირველი ქვეთემა – ბავშვები სკოლაში

შუალედური მიზანი N 1. სიტყვების პოსტერი – სასკოლო ნივთები.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა** (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება:** სიტყვის ხმოვანი ხატი	**საკითხი**: სიტყვების პოსტერზე დაყრდნობით სიტყვების ბგერებად დაშლა; **ქვესაკითხები:** ოთხი და მეტბგერიანი სიტყვები; სასკოლო ნივთები; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავშალო სიტყვები ბგერებად? როგორ წარმოვიდგინო სიტყვის ხმოვანი ხატი მოცემული ნახატის დახმარებით? **კომპლექსური დავალება:** სიტყვების პოსტერი – სასკოლო ნივთები რვეულში მოცემული ნახატებიდან (დაფა, ჩანთა, წიგნი, კალამი, რვეული, პენალი), ამოჭერი ოთხი ნახატი, ასევე – პოსტერის სათაური და მოამზადე სიტყვების პოსტერი – სასკოლო ნივთები. პოსტერზე უნდა იყოს ოთხი სიტყვის ბარათი (მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლება აქვთ). თითოეული ნახატის ქვეშ, გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაცაა შესაბამის სიტყვაში.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლე აცნობიერებს, რომ 1.წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. 2.ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**შეფასების კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ როგორ დაიშლება სიტყვები ბგერებად (წ. 1); ✓ რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ წარმოთქმული სიტყვა (წ.2).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

რესურსი 1. მოსწავლის რვეული – გვ. 36 – პოსტერის ნიმუშები.

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება. (პოსტერის ნიმუშის მონიშვნა)

- იცით თუ არა, რა არის პოსტერი?
- დააკვირდით ნიმუშს. რისგან შედგება სიტყვების ბარათებით მომზადებული პოსტერი? (სათაური, სურათები, სიტყვები)
- რომელ საგნებს ხედავთ საოჯახო ნივთების პოსტერზე?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რა ყოფილა პოსტერი?
- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს სასკოლო ნივთების პოსტერი? რა უნდა ეხატოს? რა უნდა ეწეროს?

სწორედ მისი შექმნაა თქვენი დავალება.

- ვის შეუძლია, საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რას მოითხოვს დავალება, რის პოსტერი უნდა შექმნათ თქვენ? (სასკოლო ნივთების)
- რის შესწავლა და გახსენება დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. როგორ დაიშლება სიტყვები ბგერებად (წ. 1) რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ წარმოთქმული სიტყვა (წ.2) როგორ გამოსახე ბადეში შენ მიერ წარმოთქმული სიტყვა (წ. 3).

ქვესაკითხები: ოთხი და მეტბგერიანი სიტყვები; სასკოლო ნივთები.

რესურსი 1. ნახატები – ჩანთა, დაფა, წიგნი, ცარცი, კალმები, ბუკი, საკლასო ოთახი, მასწავლებელი, ბავშვები, ფანჯარა, რაფა, ქოთნის ყვავილი, ანბანის პლაკატი, გოგონა მერხთან, ბიჭუნა მერხთან.

სიტყვა – ჩანთა/დაფა

წინადადება – გოგონა ზის მერხთან/ბიჭი დგას მერხთან.

აღწერა – **ბავშვები გაკვეთილზე**

აქტივობა 1. სურათებზე გამოსახული სასკოლო ნივთების დასახელება, წინადადებების შედგენა და სურათის აღწერა მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების დახმარებით.

- რას ხედავთ სურათზე, სად არიან ბავშვები?
- სად დევს ჩანთა? რა კიდია კედელზე? სად ჩანს ცარცი?
- სად ზის გოგონა? სად დგას ბიჭუნა?
- სად სხედან მოსწავლეები? რას აკეთებენ?
- რა აწყვია მერხებზე?
- სად დგას მასწავლებელი? რა აწყვია მასწავლებლის მაგიდაზე?
- რა დგას ფანჯრის რაფაზე?

აქტივობა 2. მასწავლებელი დამარცვლავს სურათზე გამოსახულ სასკოლო ნივთების აღმნიშვნელ სამ სიტყვას: დაფა, წიგნი, ჩანთა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლა მასწავლებელმა, წარმოთქვან და გაამთლიანონ.

აქტივობა 3. მასწავლებელი გამოიყენებს სიტყვის მარცვლების წაღმა-უკუღმა შეტრიალების მეთოდს: წარმოთქვამს სიტყვებს შებრუნებული მარცვლებით, გადააადგილებს მარცვლებს („ფადა“, „ბოწე“, „ლასკო“, „თაჩან“, „ხიმერ“, „ციცარ“) მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ სიტყვა და წარმოთქვან სწორად.

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ.35

აქტივობა 4. გააფერადე მოსწავლის ჩანთა და მაისური.

რესურსი 3. მოსასმენი: **ქეთევან ქუჩუკაშვილი** (შიო მღვიმელის ქალიშვილი) **„მე სკოლაში მივდივარ“**

https://kids.ge/poesy-verse?id=1768&rel=6

სკოლისათვის ვემზადები,
ახლა უკვე დიდი ვარ,
დღეს პირველად,
სულ პირველად
მე სკოლაში მივდივარ.
ჩანთას ვეძებ,
წიგნებს ვეძებ,
არ ვივიწყებ არაფერს,
უჰ, რამდენჯერ სავსე ჩანთა
ისევ ამოვალაგე.
ფანჯარაზე ჭრელი კატა
წევს და ჩუმად კრუტუნებს.
ჩემს უცნაურ ორომტრიალს
ის შორიდან უყურებს.
ჭრელ კუდს იქნევს, ქურდბაცაცას
ულვაშები უბზინავს,
თან დამცინის: ეგ ჩანთა ხომ
გასტენეო უწინაც...
სტყუი, ფისო, შემომხედე!
ახლა მართლა დიდი ვარ,
დამიჯერე,
დღეს ნამდვილად
მე სკოლაში მივდივარ.

აქტივობა 5. მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ლექსს. მოსწავლეები შეკითხვებზე პასუხებით ჩასწვდებიან ლექსის შინაარსს.

- რატომ დასცინის ჭრელი ფისუნია ბავშვს? (ასე ერთობოდა ბავშვი სკოლაში წასვლამდე და ფისუნიას ეცინება მის ამ გართობაზე.)
- თქვენ გყავთ სახლში შინაური ცხოველები?
- როდის კრუტუნებს კატა? (როცა ეფერები ან რამე სიამოვნებს.) კიდევ რა ხმას გამოსცემს? (კნავის.)
- თქვენც ხომ არ ერთობოდით სასკოლო ნივთების ჩაწყობა-ამოწყობით?
- როდის ამზადებთ ჩანთას სკოლისთვის საღამოთი თუ დილით?

რესურსი 4. მოსწავლის რვეული – გვ. 35 – მოტორიკის სავარჯიშო N 18-სამი პატარა გადაბმული რკალი ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე(რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 6. სამი პატარა გადაბმული რკალი ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე(რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 5. ბგერების სავარჯიშო (ფონემური N 1)

აქტივობა 7. დ, თ ბგერებზე ვარჯიში: რვეულში (**გვერდი 36**) ნახატებია: თაგვი, დათვი, თხა, თხილი, დოლი.

დავალება: რომელი სიტყვები იწყება „დ“ ბგერით? შემოხაზე წითელი ფანქრით. „თ“ ბგერა რომელ სიტყვებს იწყებს? შემოხაზე ლურჯი ფანქრით.

ზეპირად: რა გესმით სიტყვის ბოლოს, „დ“ თუ „თ“? მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: კარგად, ვმღერით, ვსწავლობთ, ყოჩაღად, ლამაზად, ვუკრავთ, ძლიერად, ჩუმად, ვთამაშობთ, ვაკეთებთ, სუსტად, სუფთად, ვალაგებთ.

რესურსი 6. ლექსიკა ნახატებით – სასწავლო თუ სათამაშო? (მოსწავლის წიგნი გვ.21.)



დაფა **სათამაშო მანქანა** **წიგნი**
თოჯინა **ბზრიალა** **კალამი**
კუბი **ფანქარი** **სახტუნაო**
პენალი **სახაზავი** **რუკა**

აქტივობა 8. საგნების დაჯგუფება – სასკოლო (სასწავლო) ნივთები და სათამაშოები. სურათებზე მოცემული საგნების აღმნიშვნელი სიტყვების საწყისი ბგერებისა და შეძლებისდაგვარად ბგერათა რაოდენობის ამოცნობა, ორმარცვლიანი სიტყვების (დაფა, რუკა, კუბი) მარცვლებად დაშლა.

რესურსი 7. მოსწავლის რვეული – გვ. 36 – მოტორიკის სავარჯიშო N 19– პატარა რგოლები ბადის შუა ნაწილში (რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 9. პატარა რგოლების შემოხაზვა ბადის შუა ნაწილში (რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 8. ამოსაჭრელ ფურცელზე დახატულია კალამი. სიტყვა დაყოფილია მარცვლებად. (მასწავლებლის წიგნში დართული რესურსი გვ. 265)



აქტივობა 10. პირველი და ბოლო მარცვლის ჩამოცილება – მასწავლებელი ასახელებს სიტყვას – კალამი, რომელსაც „ჩამოჭრილი“ აქვს პირველი მარცვალი, შემდეგ – ბოლო მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია „ჩამოჭრილი“ (მასწავლებელი ფურცლის გადაკეცვით „ჩამოჭრის“ ჯერ პირველს, ხოლო შემდეგ – ბოლო მარცვალს.)

წიგნის შეძენა

რესურსი. ნახატები
სიტყვა – დახლი/თარო
წინადადება – ბიჭი წიგნს ათვალიერებს. /გამყიდველი ქალი ეხმარება შერჩევაში
აღწერა – წიგნის შეძენა
ჯერ გაახსენეთ წინა ნახატი და ჰკითხეთ, რის მაღაზია ეხატა? (წიგნების). მოდით, ახლა წიგნების მაღაზიას კარგად დავაკვირდეთ.

აქტივობა. ნახატების აღწერა, კითხვა-პასუხი.
1. სასკოლო წიგნების გარდა როგორი წიგნები არსებობს? (ნახატებიანი, კომიქსები, ლექსების, ზღაპრების, მოთხრობების, სახელმძღვანელო...)

2. სად არის დახატული სხვადასხვა წიგნი? (უნდა მიუთითონ **დახლსა** და **თაროებზე.** ასწავლეთ ეს სიტყვები.)

შემდეგ მეორე რიგის ნახატების მიხედვით წინადადებები შეადგენინეთ:
ა) ბიჭი წიგნს ათვალიერებს.
ბ) გამყიდველი ქალი ბავშვს ეხმარება.

ბოლოს მთლიანად დიდი ნახატის აღწერაში დაეხმარეთ შეკითხვებით. მიაქცევინეთ ყურადღება წიგნზე, რომელსაც ირემი ახატია.

ბიჭმა თითქოს ეს წიგნი შეიძინა, შემდეგ კი პაპამ წაუკითხა.

მოსწავლის წიგნი გვ. 25
რესურსი 2. წიგნები:

საბავშვო ენციკლოპედია	**ანბანი**	**შინაური ცხოველები**
წითელქუდა	**კომბლე**	
მათემატიკა	**ეზოპეს წიგნი ცხოველებით**	

აქტივობა. ბავშვებმა ყდის მიხედვითა და მასწავლებლის დახმარებით უნდა ამოიცნონ, რა შეიძლება ეწეროს თითოეულ წიგნში.

რესურსი 9. ნახატები მოსწავლის რვეულში (გვ. 37)

აქტივობა 11. ნახატებზე დაკვირვება და სასწავლო ნივთების დასახელება. ზედმეტი ნივთის ამოცნობა და გადახაზვა.
მასწავლებლის მინიშნებით მოსწავლეები იპოვიან სამმარცვლიან სიტყვას (კალამი), ხოლო შემდეგ სიტყვას – პენალი.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რომელ სასკოლო ნივთებს ხედავთ სურათზე? (რესურსი 4)
- რომელია სათამაშო? (რესურსი 4)
- რომელია ერთდროულად სასწავლო და სათამაშო ნივთი? (კუბი) (რესურსი 4)
- რომელი სასკოლო ნივთებია ჩვენს საკლასო ოთახში?
- რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში? (რაფა) დაასახელე პირველი ბგერა.

(და ა.შ. მასწავლებლის მიერ შერჩეულ რამდენიმე სიტყვაში დაასახელებენ საწყის ბგერას და რამდენი ბგერისგან შედგება ეს სიტყვა.)

- რამდენი მარცვალია ამ სიტყვებში? (დაფა, რუკა, კუბი)
- დააკვირდით ფურცელს და მითხარით, რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? (კალამი)
- რომელი მარცვალი „მოვჭერი“ თავდაპირველად? შემდეგ? (რესურსი 5)
- რომელ ნივთებს ხედავ ნახატზე? (რესურსი 6)
- რომელი ნივთია ზედმეტი? რატომ ფიქრობ ასე? (რესურსი 6)
- რომელი სამმარცვლიანი სიტყვა გეცნო? (კალამი) (რესურსი 5)
- რაში ვაწყობთ კალმებს? რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? იმდენჯერ დაუკარით ტაში (პენალი) (რესურსი 6)

რესურსი 10. მოსწავლის რვეული – გვ. 37 – მოტორიკის სავარჯიშო N 20 – დიდი რგოლი ბადის შუა და ქვედა ნაწილში (რგოლებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 12. დიდი რგოლის შემოხაზვა ბადის შუა და ქვედა ნაწილში (რგოლებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული).

რესურსი 11. მოსასმენი: ტარიელ ჭანტურია, „ნუციკო“.
https://kids.ge/poesy-verse?id=196

აქტივობა 13. ლექსის წაკითხვამდე მასწავლებელი დასვამს შეკითხვებს:
1. ვინ მეტყვის, მელაკუდას რა აქვს გრძელი? (კუდი.)
2. ოფოფს რა ადგას თავზე? (სავარცხელი.)
3. სოკო როგორია, რა ნაწილები აქვს? (ფეხი აქვს და ქუდი/თავი.)
4. კენგურუს რა აქვს ისეთი, რაც სხვა ცხოველს არ აქვს? (ჩანთა.)

ნუციკო
სად გინახავს, მითხარი,
მელაკუდა – უკუდოდ,
უსავარცხლოდ – ოფოფი,
ანდა სოკო – უქუდოდ!
სად გინახავს, კენგურუს
ჩანთა შინ დარჩენოდეს,
და მონადირეს ხელში
თოფი არა სჭეროდეს!
შენ კი, ჩემო ჭკვიანო,
ჩემო კარგო ნუციკო,
როგორ მოხდა, სკოლაში
რომ წახვედი უწიგნოდ?!

შეკითხვები ლექსის წაკითხვის შემდეგ:
1. ვის მიმართავს პოეტი? (ნუციკოს.)
2. თქვენ გინახავთ ან გაგიგონიათ, რომ:
მელაკუდა უკუდოდ დაიარებოდეს,
ოფოფი – უსავარცხლოდ,
სოკო უქუდოდ ამოდიოდეს ტყეში,
კენგურუს ჩანთა შინ დარჩენოდეს,
მონადირეს ხელში თოფი არა სჭეროდეს?
3. რატომ ახსენებს პოეტი ნუციკოს ამას? (ნუციკოს წიგნი დარჩა სახლში.)

4. როგორ ფიქრობთ, წიგნის გარეშე რატომ არ შეიძლება სკოლაში სიარული?
5. თქვენ თუ დაგრჩენიათ წიგნი სახლში? ჩანთას ხომ თქვენ თვითონ ალაგებთ? გეხმარებათ ვინმე?
6. ჩამოთვალეთ ის ნივთები, რომლებიც სასკოლო ჩანთაში გიწყვიათ.

რესურსი 12. მოსწავლის რვეული – გვ.38 – ბგერების სავარჯიშო (ფონემური N 2)
აქტივობა 14. „გ“, „ქ“ ბგერებზე ვარჯიში: რვეულში ნახატებია:

ქათამი, გედი, ოფოფი
გალია, ქოთანი,
გოგრა, ქლიავი.

დავალება: წითელი ფანქრით შემოხაზე „გ“ ბგერით დაწყებული სიტყვები, ხოლო „ქ“ ბგერით დაწყებული – ლურჯი ფანქრით. იპოვე ერთი ზედმეტი სიტყვა.

ზეპირად: რომელი ბგერა გესმით ამ სიტყვაში, „გ“ თუ „ქ“? მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: ქუდი, კარგი, კარაქი, ქადა, გუფთა, გუნდა, სექტემბერი, ოქტომბერი, აგვისტო, კენგურუ, აქლემი, მქვია, მგავს.

რესურსი 13. მცირე ზომის სამი ყუთი და მასწავლებლის წიგნში განთავსებული 12 დასაჭრელი ნახატი (გვერდი 277-281). პირველი ყუთი გამიზნულია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის (ხე, ბუ, კუ) მეორე – ორმარცვლიანებისათვის (ბუდე, დაფა, თარო, რაფა, კარი), მესამე – სამმარცვლიანებისათვის (კალამი, პენალი, ქოთანი, კარადა).

აქტივობა 15. სურათების დაჯგუფება შესაბამის ყუთებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

მასწავლებელს თავის მაგიდაზე აქვს სამი ყუთი: ერთ, ორ და სამმარცვლიანი სიტყვებისთვის. მაგიდაზე აწყვია ბარათები (ნახატები) მასწავლებელი ჯერ ნახატების მიხედვით დაამარცვლინებს ყველა სიტყვას, ხოლო შემდეგ ათამაშებს. (თუ კლასში თორმეტ მოსწავლეზე მეტია, მასწავლებელი გადაამრავლებს ნახატების ბარათებს სასურველი რაოდენობის შესაბამისად). მოსწავლეები რიგ-რიგობით იღებენ ბარათს, მოიფიქრებენ, რამდენი მარცვალია სიტყვაში და ჩააგდებენ შესაბამის ყუთში. შედეგებს მასწავლებელი მოსწავლეების თანდასწრებით ამოწმებს. ყველა ბარათს სათითაოდ ამოიღებს. ბარათი, რომელიც არასწორად აღმოჩნდება ყუთში განთავსებული, სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ გადანაცვლდება სათანადო ყუთში.

რესურსი 14. მოსწავლის რვეული – გვ. 38 მოტორიკის სავარჯიშო N 21 – ასო დ-ს ფეხი ბადის ქვედა ორ უჯრაში („ფეხებს“ შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).



აქტივობა 16. ასო დ-ს ფეხის გამოწერა ბადის ქვედა ორ უჯრაში(„ფეხებს“ შორის ორი უჯრაა გამოტოვებული).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რამდენი მარცვალია სიტყვაში „ხე“? „ბუ“? „დაფა“? „კარი“? და ა.შ. იმდენჯერ დაუკარი ტაში, რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში.
- რომელი საგნის სახელი შედგება ოთხი ბგერისაგან? და ა.შ
- სურათებიანი ბარათებიდან კიდევ რომელი სიტყვა შედგება ოთხი ბგერისაგან? ექვსი ბგერისგან?
- რამდენმარცვლიანია სიტყვა „კარადა“? იმდენჯერ დაუკარი ტაში, რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში.

რესურსი 15. მოსწავლის რვეულში ამოსაჭრელი ბარათები პოსტერისთვის (დაფა, ჩანთა, წიგნი, კალამი, რვეული, პენალი) გვ. 39

აქტივობა 14. პოსტერის შექმნაზე მუშაობა: მოსწავლეები საკუთარ რვეულში (გვ 39) შეარჩევენ ექვსიდან სასურველ ოთხ ნახატს, ამოჭრიან და თითოეული ნახატის ქვეშ, გააფერადებენ იმდენ უჯრას, რამდენი ბგერაცაა შესაბამის სიტყვაში; ასევე, რვეულიდან ამოჭრიან პოსტერის სათაურს **(სასკოლო ნივთები),** შემდეგ კი ყველაფერს ერთად დიდ ფურცელზე დააკრავენ, დაიცავენ თანამიმდევრობას (სათაური ზემოთ, ქვემოთ – ნივთები) ბოლოს კლასის წინაშე წარადგენენ ნამუშევრებს. ზეპირად იტყვიან: რა შექმნეს, რომელი ნივთები აირჩიეს, რამდენი ბგერაა თითოეულში და როგორ გამოსახეს რაოდენობა უჯრებში.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ახსენი, რატომ არის შენი ნაშრომი სიტყვების პოსტერი?
- რამდენი ბგერისგან შედგება შენ მიერ წარმოთქმული სიტყვა?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე, რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით.
- როგორ დაშალე სიტყვები ბგერებად? (ჯერ ვთქვი სიტყვა, შემდეგ – პირველი ბგერა, მეორე და ა.შ.)

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა მოგეწონა განსაკუთრებით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

III თემა: „ჩვენი სკოლა“ – მეორე ქვეთემა – გზა სკოლისაკენ

შუალედური მიზანი N 2. აღწერითი ტექსტის – გზა სახლიდან სკოლამდე – შექმნა საკუთარ ნახატზე დაყრდნობით.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 2**
სამიზნე ცნება **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება: აღწერა.**	**საკითხი** – აღწერითი ტექსტის – გზა სახლიდან სკოლამდე – შექმნა საკუთარ ნახატზე დაყრდნობით. **ქვესაკითხები – აღწერა, აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება: ადგილმდებარეობის** (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ), **ნიშან-თვისებებისა (**ზომის, ფორმის, ფერის) და რაოდენობის გამომხატველი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევადგინო ნახატის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს იგი? რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო აღწერითი ტექსტის შესაქმნელად? **კომპლექსური დავალების პირობა – აღწერითი ტექსტის შექმნა საკუთარ ნახატზე დაყრდნობით.** დილით, სახლიდან გამოსვლისას, კარგად დააკვირდი გარემოს. დაიმახსოვრე გზა სახლიდან სკოლამდე. დააკვირდი შენობებს, გადასასვლელებს, შუქნიშნებს. თუკი სოფლად ცხოვრობ, როგორი ბუნება გხვდება გზაზე, მდინარეზე ხიდით გადასვლა ხომ არ გიწევს? ან გორაკზე ასვლა? დახატე სურათი, რომელიც გამოხატავს შენს გზას სახლიდან სკოლამდე და აღწერე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები** **აღწერისას წარმოაჩინე:** ✓ რა არის გამოსახული შენს ნახატზე (ს. 1, 2). ✓ ადგილმდებარეობის (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ), ნიშან-თვისებებისა (ზომის, ფორმის, ფერის) და რაოდენობის გამომხატველი სიტყვები (ს. 1, 2, 3).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.

წინარე ცოდნის გააქტიურება, დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

რესურსი: გზა სკოლისაკენ https://www.youtube.com/watch?v=b6L79BZtEHk

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- გაიხსენეთ, დილით, ტრანსპორტით მოდიხართ სკოლაში თუ ფეხით?
- აკვირდებით, რა გხვდებათ გზაზე? მაგალითად, შენობები, გადასასვლელები, შუქნიშნები.
- თუკი სოფლად ცხოვრობ, როგორი ბუნება გხვდება გზაზე, მდინარეზე ხიდით გადასვლა ხომ არ გიწევს? ან გორაკზე ასვლა?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება, როგორ უნდა აღწეროთ გზა თქვენი სახლიდან სკოლამდე?
- რა ცოდნა გამოგადგებათ მის შესასრულებლად?
- რას უნდა დააკვირდეთ მგზავრობის დროს? როგორ უნდა აღწეროთ, რაც გზაზე გხვდებათ?
- შენობების, შუქნიშნების, ხეების ადგილმდებარეობის გამომხატველი რომელი სიტყვები უნდა გამოიყენოთ? (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ).
- კიდევ რას უნდა დააკვირდეთ, რომ მივხვდეთ, როგორია საგნები, რასაც თქვენ ხედავთ, რა ფერისა და ზომისაა?
- რამდენსართულიანია შენობები? რამდენია?
- თუ ყველაფერს კარგად დაიმახსოვრებთ და აღწერთ, მივხვდებით, როგორია თქვენი გზა სახლიდან სკოლამდე.

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

ნაბიჯი 1. რა არის გამოსახული შენს ნახატზე (ს. 1, 2). **ადგილმდებარეობის** (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ), **ნიშან-თვისებებისა** (ზომის, ფორმის, ფერის) და რაოდენობის გამომხატველი რომელი სიტყვები გამოიყენე (ს. 1, 2, 3).

ქვესაკითხები: აღწერა, აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება: ადგილმდებარეობის (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ), **ნიშან-თვისებებისა** (ზომის, ფორმის, ფერის) და რაოდენობის გამომხატველი სიტყვები.

რესურსი 1. მოსწავლის წიგნი – გვ.24

სიტყვები – სკოლის შენობა/ავტობუსი

წინადადებები – ბავშვი გადასასვლელზე გადადის. პატარა გოგონა ხელჩაკიდებული მოჰყავს ქალს ტროტუარზე.

აქტივობა 1. სურათის აღწერა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას ხედავთ პირველ სურათზე, რა შენობა დგას? (სკოლის შენობა)
- გზაზე რა მოძრაობს? (ავტობუსი)
- ვინ გადადის გადასასვლელზე? ვინ მიდის ტროტუარზე?
- სად არის ამ ნახატზე შუქნიშანი?
- თქვენ რით დადიხართ სკოლაში? თუ ფეხით მიდის ადამიანი, ქუჩის რომელ ნაწილზე უნდა იაროს? (ტროტუარზე)
- სად მიჰყავს ავტობუსს ბავშვები? რა ფერისაა? დიდია თუ პატარა?
- როგორია სკოლის შენობა, დიდი თუ პატარა? რამდენსართულიანია?
- რას ხედავთ სკოლის ეზოში? რამდენი ხეა? როგორი ხეებია, ტანმაღალი თუ ტანდაბალი? ფოთლოვანია თუ წიწვოვანი?
- კიდევ სად ხედავთ მწვანე გარემოს? იქ ხეებია თუ პატარა ბუჩქები?
- წიგნის მაღაზია მარჯვნივ არის თუ მარცხნივ? რა ფერისაა?
- რა დგას მაღაზიის წინ? კიდევ ვის ხედავთ?

და ა.შ... ნახატის მიხედვით კიდევ დაისმება შეკითხვები...

რესურსი 2. მოსასმენი: შუქნიშანი https://www.youtube.com/watch?v=akwFzQuirbY

აქტივობა 2. ვიდეორგოლის ჩვენება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რამდენი ფერი აქვს შუქნიშანს? (სამი: წითელი, ყვითელი, მწვანე.)
- რას მიგვანიშნებს ფეხით მოსიარულეს წითელი ფერი? (არ შეიძლება გადასვლა.) რას მიგვანიშნებს ყვითელი ფერი? (მოემზადე გადასასვლელად.) რას მიგვანიშნებს მწვანე ფერი? (შეგიძლია გადახვიდე.) სად დგას შუქნიშნები? (ზებრასთან/გადასასვლელებთან.)
- სად შეგხვედრიათ შუქნიშანი ამ წიგნში? სავარაუდოდ ნახატს მიუთითებენ.
- რატომ დგანან ხოლმე ადამიანები ზებრა გადასასვლელთან? წითელი ანთია და არ შეიძლება გადასვლა.
- როდის გადავლენ? როცა მწვანე აინთება.

რესურსი 3. რვეულში გასაფერადებელი შუქნიშანი (გვ. 42).

აქტივობა 3. შუქნიშნის გაფერადება შესაბამისი ფერებით და პატარა როლური გათამაშება, რას ამბობს შუქნიშნის წითელი, ყვითელი და მწვანე ფერის თვალი.

რესურსი 4. ბგერების სავარჯიშო რვეულში (გვ.42).

აქტივობა 4. ბავშვებს წაუკითხეთ ასეთი წინადადება: შუქნიშნის ბრტყელ დაფაზე სამი სხვადასხვა ფერის ბურთია და შემდეგ დაუსვით შეკითხვა: რომელ სიტყვაში გაიგონეთ „ბ“ ბგერა პირველი? (ბრტყელი და ბურთი)

„ფ“ ბგერა რომელ სიტყვებში გვესმის? (დაფა, ფერი).

მოდით, ვივარჯიშოთ „ბ“ და „ფ“ ბგერების წარმოთქმაში.

რვეულში ნახატებია:

ბურთი, ფორთოხალი,

ფურცელი, ბუმბული,

ფანქარი, ბლოკნოტი.

ბაფთა.

დავალება: „ბ“ ბგერით დაწყებული სიტყვები წითელი ფანქრით შემოხაზე, „ფ“ ბგერით დაწყებული – ლურჯით. იპოვეთ ერთი სიტყვა, რომელშიც ორივე ბგერაა. (ბაფთა)

ზეპირად: რომელი ბგერა გესმის სიტყვაში, „ბ“ თუ „ფ“? მასწავლებელი მკვეთრად წარმოთქვამს:

ფაფუკი, ბამბუკი, ბრტყელი, ფრჩხილი, თბილი, ტკბილი, ფრთხილი. ახლა დააკვირდით, ორივე ბგერა – „ბ“ და „ფ“ რომელ სიტყვაში გესმით? ბამბა, სუფთა, ფაბრიკა.

რესურსი 5. ტექსტი – სკოლა უდაბნოში.

ზღაპრის წაკითხვამდე მასწავლებელი სვამს კითხვას: ხომ არ იცით, რა არის უდაბნო?

ბავშვების პასუხების შემდეგ მასწავლებელი სრულყოფილად განმარტავს: უდაბნო არის ცხელი, უწყლო ადგილი, ძირითადად დაუსახლებელი, ძალიან ცოტა მცენარით. იქ უმთავრესად ქვიშაა.

ახლა ერთ ზღაპარს წაგიკითხავთ, რომელშიც მოქმედება სწორედ საჰარას უდაბნოში ხდება. მისი სათაურია: „სკოლა უდაბნოში“.

აქტივობა 5. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და შინაარსის უკეთ წარმოსადგენად აჩვენებს ამავე ზღაპრის აუდიოვერსიას ნახატებით **„სკოლა უდაბნოში“**

https://www.youtube.com/watch?v=IVTVcU8Jjos

შუაგულ საჰარაში ერთი უცნაური სკოლა არსებობდა. არც კედლები ჰქონდა, არც – ფანჯრები, არც – სახურავი, მაგიდებსა და სკამებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველდღე მოსწავლეები აქლემებს ზურგზე ააცოცდებოდნენ და უდაბნოში მასწავლებელს მიჰყვებოდნენ, რომელიც თვითონაც აქლემზე იყო ამხედრებული. მიირწეოდნენ და თან მათემატიკას, ისტორიას თუ მუსიკას სწავლობდნენ.

ერთ წელიწადს აკადემიიდან ინსპექტორი გამოგზავნეს მოსწავლეთა ცოდნის დონის შესამოწმებლად. ინსპექტორს ცუდად მოხვდა თვალში უკედლო და უფანჯრო სკოლა, რომელიც დილიდან საღამომდე ადგილს რამდენჯერმე იცვლიდა.

„რის მაქნისია ეს უდაბნოს სკოლა“ – გაიფიქრა გაკვირვებულმა ინსპექტორმა.

– აქლემზე შემოსკუპებულმა რა უნდა ისწავლო, ერთი შეცდომა და მაშინვე დავხურავ!

აქლემის ზურგზე კოხტად მოკალათებული ბავშვები მყისვე შეუდგნენ მუშაობას. კითხვები ადვილი მოეჩვენათ და პასუხებიც ყველამ იოლად გასცა, ყველამ ჰიშემის გარდა. ჰიშემი აქ ახალი გადმოსული იყო, იგი ღარიბი ოჯახის ნაბოლარა შვილი გახლდათ. მათ მხოლოდ ერთი აქლემი ჰყავდათ, ამიტომ სკოლაში სიარული მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა უფროსმა ძმებმა სწავლა დაამთავრეს და ბებერი აქლემი მას დაუთმეს. აქლემზე გადამჯდარი ჰიშემი თავს იფხანდა და გამალებით ფიქრობდა.

– შვიდჯერ სამი, – წაიკითხა ხმამაღლა.

– ოცდაერთი, – უკარნახა ნაზმა ხმამ.

ბავშვმა მიიხედ-მოიხედა, რათა დაენახა, თუ ვინ დაეხმარა, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა და იფიქრა, მომეჩვენაო.

– საფრანგეთის დედაქალაქი რომელია? – დაეკითხა საკუთარ თავს.

– პარიზი! – უჩურჩულა იმავე ხმამ.

ამჯერად ჰიშემი დარწმუნებული იყო, რომ ხმა ნამდვილად გაიგონა.

– აბა, მუსიკალური ნოტები ჩამომითვალე, – ისევ სცადა კითხვის დასმა.

– დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო!

ჰიშემი ყურებს არ უჯერებდა: მას აქლემი პასუხობდა!

– მაშ, შენ ლაპარაკი იცი? – მორცხვად ჰკითხა ცხოველს.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა აქლემმა და თვალი ჩაუკრა, – ეგ კი არა, კითხვა და თვლაც ვიცი! იმდენი ხანია, რაც უდაბნოს სკოლაში ვარ, რომ ბოლოს მეც ყველაფერი დავიმახსოვრე.

ჰიშემს გაეცინა და აქლემს სთხოვა, – კითხვებზე პასუხის გაცემაში დამეხმარეო.

ჰიშემმა და მისმა აქლემმა ყველაზე ბოლოს ჩააბარეს შევსებული ფურცელი, მაგრამ შეცდომა არც მათ დაუშვიათ. ინსპექტორი ძალზე გაოცებული, მაგრამ დამშვიდებული გაემგზავრა უდაბნოდან. რაც შეეხება მასწავლებელს, იგი კიდევ დიდხანს ასწავლიდა სკოლაში, სადაც აქლემებმაც კი იცოდნენ წერა-კითხვა და თვლა!

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა მთავარი განსხვავებაა თქვენს სკოლასა და ზღაპარში აღწერილ სკოლას შორის, რას დაჰყავს ბავშვები სკოლაში? ჩვენს ქვეყანაში რით ვმგზავრობთ?
- როგორ გესმით ეს წინადადება – მოსწავლეები აქლემებს ზურგზე ააცოცდებოდნენ?

სხვანაირად როგორ იტყოდით იმავეს? (მოსწავლეები პატარები იყვნენ, ვერ სწვდებოდნენ აქლემს და აცოცდებოდნენ ხოლმე ისე, როგორც ჩვენ – ხეზე.

- რას ნიშნავს „ნაბოლარა“? სხვანაირად როგორ იტყოდით? (ყველაზე პატარა)
- რას ნიშნავს აქლემზე ამხედრებული? კიდევ რაზე შეიძლება ითქვას ამხედრებული? (ცხენზე)
- საიდან ჩანს, რომ აქლემი კეთილია და ბიჭუნას მეგობარია? მოგეწონათ ზღაპრულად აღწერილი მათი დიდი მეგობრობა?
- თვლა, რა თქმა უნდა, თქვენც კარგად იცით, მაგრამ ზღაპარში ბიჭუნამ და აქლემმა ნოტების სახელებიც იცოდნენ. იცით თუ არა, თქვენც? (გაიმეორონ: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი)
- საფრანგეთის დედაქალაქი თქვენც იცოდით? აბა, შემახსენეთ! (პარიზი)
- თქვენ თუ გყავთ საყვარელი შინაური ცხოველი? ან რომლის ყოლას ისურვებდით?
- ზღაპარში „სკოლა უდაბნოში“ ბიჭუნას მეგობარი აქლემი დაეხმარება. თქვენ თუ გყავთ ერთგული შინაური ცხოველი, ძაღლი ან ფისო?
- სინამდვილეშიც ხომ არ დაგხმარებიათ რაიმეში თქვენი საყვარელი შინაური ცხოველი, ან რაიმე ამბავი ხომ არ გსმენიათ, რომ სხვას დაეხმარა.

აქტივობა 6. მარცვლების სავარჯიშო

მარცვლის გამეორება (რედუპლიცირება):

გაახსენეთ მოსწავლეებს ნოტების სახელები. აღნიშნეთ, რომ ისინი ერთმარცვლიანია! შემდეგ კი გამოიყენეთ მარცვლის გამეორების მეთოდი და ავარჯიშეთ: ა) „ფა“ ნოტის სახელია. იგივე მარცვალი რომ დავუმატოთ, რა სიტყვა გამოვა?! ფა-ფა, ფაფა (გაამთლიანებინეთ). ბ) „დო“ ნოტის სახელია. რა სიტყვას მივიღებთ ამ მარცვლის გამეორებით? დო-დო, დოდო (სახელი!). გ) კიდევ რომელ სახელებში მეორდება მარცვლები? პირველი მარცვალი თქვენ წარმოთქვით: ნა-ნა, ლი-ლი, ნუ-ნუ, თა-თა. გა-გა, სო-სო, გი-გი, ზა-ზა... დ) სხვა სიტყვებიც თუ გახსენდებათ, რომლებშიც მარცვალი მეორდება? ერთად გავიხსენოთ: თი-თი, თო-თო, მა-მა, პა-პა... სცადეთ ესეც – ბულ-ბული. ე) ახლა დავაკვირდეთ, რა სიტყვებს მივიღებთ, ამ მარცვლებს თუ გავიმეორებთ? (პირველი მარცვალი თქვენ წარმოთქვით, შემდეგ სიტყვის გამთლიანებაშიც დაეხმარეთ): ხით (ხით-ხითი), ხარ (ხარ-ხარი), კის (კის-კისი), რაკ (რაკ-რაკი), ფუს (ფუს-ფუსი)...

2. დასვით შეკითხვა: რა გავიგეთ ახალი, რა აღმოვაჩინეთ ამ გაკვეთილზე? მიიყვანეთ მოსწავლეები პასუხამდე, ამსჯელეთ: ზოგიერთ სიტყვაში მარცვალი მეორდება, / ზოგ სიტყვაში ორი ერთნაირი მარცვალია.

რესურსი 6. ლექსიკა ნახატებით – მგზავრობა ძველად და ახლა – მოსწავლის წიგნი, გვ.25.

ავტობუსი მეტროს მატარებელი
მსუბუქი მანქანა ველოსიპედი
ეტლი (ცხენშებმული) ურემი (ცხენშებმული)
უდაბნოს **ქვიშაზე აქლემი**

აქტივობა 7. კითხვა-პასუხი.

მასწავლებელმა შეკითხვების დასმით მიახვედროს მოსწავლეებს და ათქმევინოს მათ, რომ ხატია ახალი და ძველი ტრანსპორტი.

- ბავშვებო, რა ხატია ამ გვერდზე? (სავარაუდოდ, დაიწყებენ ჩამოთვლას. მასწავლებელი ეხმარება).
- დააკვირდით და დაასახელეთ, ამ ტრანსპორტიდან რომელია ძველი? ძველად რით მგზავრობდნენ, როგორ შეძლებდნენ ბავშვები სკოლაში მისვლას? (ცხენიანი ეტლი, ურემი).
- ახლა რით მგზავრობენ ბავშვები ქალაქში? (მანქანით, ავტობუსით, მეტროთი) სოფელში? (ავტობუსით)
- თქვენ რით მგზავრობთ?
- ვინც ფეხით დადის, ქუჩის რომელ ნაწილზე უნდა გაიაროს?(ტროტუარზე)
- ქუჩაში გადასასვლელზე როგორ უნდა მოიქცეთ? (გავჩერდეთ შუქნიშანთან)
- რა იცით შუქნიშნის შესახებ? (გაიხსენონ) შეძლებისდაგვარად, მასწავლებლის დახმარებით აღწერონ თითოეული მათგანი. დიდ ნახატზე ტრანსპორტის რომელ სახეობას ხედავთ? (ავტობუსი, მანქანა)

- ვინ მიეშურება სკოლისკენ? (ბიჭი) როგორ მიხვდი? (მას ჩანთა უჭირავს)
- თქვენი აზრით, კიდევ რით შეიძლება დადიოდნენ მოსწავლეები სკოლაში ჩვენთან? სხვა ქვეყანაში? (ველოსიპედით, ავტობუსით, მანქანით,ფეხით)
- რომელია ნახატებს შორის ყველაზე უცნაური „ტრანსპორტი“? (აქლემი)
- როგორ ქვეყნებში ეხმარება აქლემი ბავშვებს მგზავრობაში? მოთხრობაც ხომ არ გაგახსენდათ? („სკოლა უდაბნოში“)
- რომელი ტრანსპორტით ისურვებდით მგზავრობას სკოლის გზაზე? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, თუკი ბავშვი მონდომებულია, დაეზარება თუ არა მას ფეხით, ცხენით, აქლემით სკოლაში სიარული?
- რას ვუწოდებთ ასეთ მონდომებულ ბავშვებს? (ის ბეჯითია, უყვარს სწავლა)

რესურსი 7. რვეულში სავარჯიშო (გვ.43).

აქტივობა 8. დააკავშირეთ ხაზებით: ა) ცხენშებმული ურემი, აქლემი, ავტობუსი ბ) ქალაქის ფართო ქუჩა, სოფლის ვიწრო ორღობე, უდაბნოს ქვიშა.

რესურსი 8. დავალება რვეულში (გვ.46)

აქტივობა 9. გამოიცანი ნახატებით სიტყვები. რომელი სიტყვები იწყება ერთნაირი ბგერებით? შესაბამისი ნახატები ხაზით დააკავშირე.

რესურსი 9. ნახატები მოსწავლის რვეულში – გვ.47

აქტივობა 10. ვარჯიში „ძ“ და „ხ“ ბგერებზე რვეულში ნახატებია: ძროხა, ხბო, ძაღლი, ძაბრი, ხერხი, ხე. დავალება: წითელი ფანქრით შემოხაზე „ძ“ ბგერით დაწყებული სიტყვები, ხოლო „ხ“ ბგერით დაწყებული – ლურჯი ფანქრით. ზეპირად: რომელი ბგერა გესმით ამ სიტყვაში, ძ თუ ხ? მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: ხმა, ძმა, ძნელი, ხმელი, ძვალი, მაძებარი, მკითხველი, ძვირი, ხურდა, ძუნძული, ხარხარი... ამ სიტყვებიდან რომელში გესმით ორივე – ძ და ხ? ხალხი, ძლიერი, ძროხა, ძერა, ხახვი. ბავშვებო, თქვენ ნახატებზე ეტლსა და ურემში შებმული ერთი ცხოველი ნახეთ. რომელი? (ცხენი)

- რას ვუწოდებთ ცხენის კუდს? (ძუას)
- ამ სიტყვებიდან: ცხენი, ძუა, რომელში გესმით ბგერა „ძ“? ბგერა „ხ“? მოდით, ვივარჯიშოთ „ძ“ და „ხ“ ბგერების წარმოთქმაში.

დავალება: წითელი ფანქრით შემოხაზე „ძ“ ბგერით დაწყებული სიტყვები, ხოლო „ხ“ ბგერით დაწყებული – ლურჯი ფანქრით.

ზეპირად: რომელი ბგერა გესმით ამ სიტყვაში, ძ თუ ხ? მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: ხმა, ძმა, ძნელი, ხმელი, ძვალი, მაძებარი, მკითხველი, ძვირი, ხურდა, ძუნძული, ხარხარი... ამ სიტყვებიდან რომელში გესმით ორივე – ძ და ხ? ხალხი, ძლიერი, ძროხა, ძერა, ხახვი.

აქტივობა 11. კომპლექსური დავალების შესრულება. მოსწავლეები დახატავენ სურათს, რომელიც გამოხატავს გზას მათი სახლიდან სკოლამდე. სურათზე ასახავენ შენობებს, გადასასვლელს, შუქნიშანს, ბუნებას, მდინარეზე ხიდს (თუ უწევთ ხიდზე გადასვლა), გორაკებს და აღწერენ **ადგილმდებარეობის** (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ), **ნიშან-თვისებებისა (**ზომის, ფორმის, ფერის) და რაოდენობის გამომხატველი სიტყვების დახმარებით.

შენიშვნა: ვიდრე მოსწავლეები საბოლოო პროდუქტს შექმნიან, ანუ, სურათს დახატავენ, მასწავლებელი ყოველდღე შეახსენებს (დაახლოებით 3-4 დღე), რომ კარგად დაიმახსოვრონ, რასაც ხედავენ სახლიდან სკოლამდე გზის გავლისას. შეუძლიათ, მგზავრობის დროს უფროსებს უკარნახონ, რასაც ხედავენ გზაზე და წიგნაკში ჩააწერინონ.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი, სახლიდან სკოლამდე მგზავრობის დროს რასაც ხედავ, იმის აღწერაა?
- რა ცოდნა დაგეხმარა ნახატის შექმნაში?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ დაიმახსოვრე, რასაც სახლიდან სკოლამდე მგზავრობის დროს ხედავდი?
- რა მინიშნებები დაგეხმარა აღწერის დროს?
- რომელი სიტყვები გამოიყენე?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

დანართი: თუ საკმარისი დრო დარჩება, მასწავლებელს შეუძლია, დამატებით დავალებად შესთავაზოს მოსწავლეებს დავალება.

მოდით, ჩვენც მოვიფიქროთ ზღაპარი ბავშვისა და ცხოველის მეგობრობაზე.

მაგალითად: 1. როგორ შეიძლება მოსწავლეს დაეხმაროს შინაური ცხოველი – ძაღლი, კატა ან ფრინველი თუთიყუში სასკოლო ნივთის სწრაფად მოძებნაში, რომ მას სკოლაში არ დააგვიანდეს? 2. ან სახლში დარჩენილი ნივთის პოვნასა და მიტანაში როგორ დაეხმარება ბავშვს ერთგული შინაური ცხოველი? 3. ზღაპარში ალბათ ისიც შესაძლებელია, თუთიყუშმა უკარნახოს ბავშვს მეცადინეობის დროს, როგორც აქლემი ეხმარებოდა ბიჭუნას. აირჩიეთ ერთ-ერთი ამბავი, მოსაყოლად მოამზადეთ და ორი ნახატით წარმოადგინეთ.

მასწავლებელმა ნებისმიერი ნახატი უნდა მოიწონოს, მთავარია, გვიამბოს ბავშვმა.

III თემა: ჩვენი სკოლა

მესამე ქვეთემა – ჩვენი სკოლის დარბაზი – ხელოვნების საღამო

შუალედური მიზანი N 3. აპლიკაციის შექმნა – „უჩვეულო ნაძვის ხე“ და აღწერა. მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 3**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება – ლექსი** **სამიზნე ცნება** **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I) 4, 5, 6) **ქვეცნება – აღწერა**	**საკითხი:** ვასილ გულეურის „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“ – ლექსზე დაყრდნობით უჩვეულო ნაძვის ხისთვის საჩუქრების აპლიკაციით მომზადება და აღწერა. **ქვესაკითხები**: ვასილ გულეურის „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“ – თემა, პერსონაჟები, აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ფერი, ფორმა, ზომა) ადგილმდებარეობა – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ აღვწერო უჩვეულო ნაძვის ხე ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს? როგორ გამოვკვეთო ნიშანთვისებებისა და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები? **კომპლექსური დავალება – უჩვეულო ნაძვის ხისთვის საჩუქრების აპლიკაციით მომზადება და აღწერა.** **დავალების წარდგენის ადგილი** – სკოლის დარბაზი ან საკლასო ოთახი ვასილ გულეურის– „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“ – ლექსზე დაყრდნობით, სკოლის დარბაზისთვის შექმენი უჩვეულო ნაძვის ხე. ამისათვის ამოჭერი რვეულში მოცემული ნახატი და უცნაური „საჩუქარი“ დააწებე/დააკარი წინასწარ შექმნილ დიდი ნაძვის ხის აპლიკაციაზე. **შენიშვნა:** მოსწავლეები ნახატს მასწავლებლის მინიშნებით ამოჭრიან, რომ ყველა საჩუქარი განაწილდეს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: **სამიზნე ცნება ტექსტი (ჟანრები)** 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა. **სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი** 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე / მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3.იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** **ნამუშევრის წარდგენისას:** ✓ ნაძვის ხის „საჩუქრებიდან“ აირჩიე ერთ-ერთი და გვიამბე, რომელ ცხოველს აჩუქა თოვლის პაპამ და რატომ აჩუქა. (ტ.1) ✓ ეს უჩვეულო საჩუქარი რაში გამოადგება მას (ტ.2, 3) ✓ აღწერე საჩუქარი, როგორია – რა ფორმის, რა ფერისა და ზომისაა? სად დააწებე მისი ნახატი? (ნაძვის წვერთან, ძირში, შუაში, ზევით, ქვევით... სხვა საჩუქრის მარჯვნივ, მარცხნივ) (ს.1, 2, 3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი 1. აპლიკაციის ნიმუშები



აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- რას ხედავთ ნახატებზე?
- იცით თუ არა, რა არის აპლიკაცია? (ნახატის შექმნა სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით/დაკერებით. გამოიყენებენ ასევე ფოთლებს, კენჭებს, ყვავილებს)
- დააკვირდით პირველ აპლიკაციას. როგორ ფიქრობთ, რა მასალით არის დამზადებული? მეორე? მესამე?
- რომლის მსგავსი იქნება თქვენ მიერ შექმნილი აპლიკაცია? რით იქნება განსხვავებული?
- ვის შეუძლია, საკუთარი სიტყვებით ამიხსნას, რა ყოფილა აპლიკაცია, რას მოითხოვს დავალება, რის აპლიკაცია უნდა შექმნათ თქვენ, რა უნდა დააწებოთ ნაძვის ხეზე? (უცნაური საჩუქრები)
- ამის შემდეგ რა უნდა გააკეთოთ, რა უნდა გვიამბოთ? (ვის აჩუქა თოვლის პაპამ ეს საჩუქრები, რატომ შეარჩია სწორედ ეს საჩუქრები?)
- როგორ უნდა აღწეროთ შემდეგ? (ფერის, ფორმის, მდებარეობის მიხედვით)
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

მოსწავლის წიგნი გვერდი 26 – ჩვენი სკოლის დარბაზი – ხელოვნების საღამო

რესურსი 1. ნახატები

სიტყვა – გიტარა, მიკროფონი
წინადადება – ბიჭუნა გიტარაზე უკრავს. /გოგონას მიკროფონი უჭირავს და მღერის.
აღწერა – ხელოვნების საღამო და ნახატების გამოფენა
რესურსი 2. მოსასმენი: ნატო მეტონიძე, სიმღერა: „თუ, თუ, თუ“.
https://www.youtube.com/watch?v=C5b4xhLco-U

აქტივობა 1. გეზისმიმცემი შეკითხვები:
1) რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტს ხედავთ პირველ ნახატზე? (გიტარა)
2) რას ვხედავთ მეორე ნახატზე? (მიკროფონს) რისთვის იყენებენ მიკროფონს? (ხმას აძლიერებს/ ხმა რომ კარგად ისმოდეს)
3) რას ხედავთ პირველ ნახატზე? („ბიჭი გიტარაზე უკრავს.“) მშვენიერი წინადადება გამოვიდა. რამდენი სიტყვაა თქვენ მიერ შედგენილ წინადადებაში? (სამი)
4) მეორე ნახატიც (გოგონა მიკროფონით) აღწერეთ. თქვენი აზრით, რას შვრება გოგონა? („გოგონა მღერის.“/„გოგონას მიკროფონი უჭირავს და მღერის“./„გოგონა სცენაზე დგას და ლექსს ამბობს.“/ გოგონა ლექსს ამბობს)
5) ახლა გადავიდეთ დიდ სურათზე და აღვწეროთ. რას ხედავთ?/რა ხდება? (კონცერტია) სად დგანან ბავშვები? (სცენაზე)
6) რას შვრებიან ბავშვები? (ბიჭი უკრავს გიტარაზე.) გოგონა მღერის./გოგონა ლექსს ამბობს.)
7) თქვენი აზრით, სად გაიმართა ეს კონცერტი? (სკოლის დარბაზში) გაიხსენეთ, თქვენ თუ გაგიმართავთ კონცერტი სკოლაში?
8) რომელ მხარეს დგანან გოგონები? (მარჯვენა მხარეს) ბიჭი? (მარცხნივ დგას.)
9) ძალიან კარგი ამბავი გამოვიდა. იქნებ, გინდათ დამოუკიდებლად/ჩემი დახმარების გარეშე აღწეროთ სურათი? (მსურველი გამოიყვანეთ და მოაყოლეთ.)
10) კედელზე რას ხედავთ? (მოსწავლეებს გამოფენაც მოუწყვიათ./ მოსწავლეებმა თავიანთი ნახატები გამოფინეს.)

მოსწავლის წიგნის 27-ე გვერდის გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რას ვხედავთ პირველ ნახატზე? როგორ აღწერთ, რომელი მუსიკალური ინსტრუმენტია აქ? (პიანინო) მასზე მოთავსებულია სიმღერის ნოტები).
- მეორე ნახატზე რა კიდია კედელზე? (ორი ნახატია. ორივეზე დახატულია ილუსტრაცია ხალხური ლექსიდან. ერთზე თხა და ვენახი, მეორეზე კი – მიწასთან მისული თაგვი).
- რას აკეთებენ ბიჭუნა და გოგონა მესამე ნახატზე? რა უნდა დააკრან დიდ ფურცელზე? ხომ არ იცით რა ჰქვია ამას? (აპლიკაცია)
- თქვენც გააკეთებთ აპლიკაციას, როცა ძალიან საინტერესო და სახალისო ლექსს შევისწავლით.
- რისთვის უნდათ ბავშვებს ნახატები, რა უნდა მოაწყონ? (გამოფენა)
- მეოთხე ნახატზე რის სცენას ხედავთ? (სპექტაკლის, წარმოდგენის) რაიმე ხომ არ გეცნოთ, რომელი წარმოდგენის, სპექტაკლის სცენაა? (გოგონა და ბიჭი განასახიერებენ როლებს. (ეს ლიზიკოა! ჩვენც ხომ გავითამაშეთ „გიწვევთ ჩაის წვეულებაზე“ ! ბიჭი ვინის პუჰის როლშია).

სიმღერის მოსმენის შემდეგ დასასმელი გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ვის უყვარს სიმღერა?
- მოდით, ახლა, მოვუსმინოთ სიმღერას, შეგიძლიათ, თქვენც იმღეროთ და იცეკვოთ.
- რა გავიგეთ ამ სიმღერიდან? რა მოხდება თუ ბავშვი ცდილობს, სწავლობს, ინდომებს? *(ყველაფერი გამოუვა)*
- რას ფიქრობთ, თქვენ როდის გამოგივათ ყველაფერი? *(როცა ვისწავლით, ვეცდებით, მოვინდომებთ...)*

რესურსი 3. სხარტულა
აქტივობა 2. ვარჯიში სხარტულას გამოთქმაში.

სიმღერაში „თუ, თუ, თუ“ **თ** ბგერა ბევრჯერ მოვისმინეთ. მოდით, ახლა სახალისო ენის გასატეხიც ვისწავლოთ ამ ბგერაზე.

სათაურია: **„დაიკო თათა, დაიკო ტატა და კატა“!**

მასწავლებელი წაიკითხავს პირველ სტრიქონს, ბავშვებმა კი უნდა გაიმეორონ; შემდეგ მეორე, შემდგომ მესამე, ბოლოს კი მეოთხე სტრიქონსაც გაიმეორებენ. გამოგვდის თამაში – „ექო“. ბავშვების ხმა ექოსავით იმეორებს მასწავლებლისას.

ეკითხება თათა ტატას:
– ეფერები, ტატა, კატას?
უპასუხა ტატამ თათას:
– ვეფერები, თათა, კატას!

(გავამეორებინოთ სათაურიც).
ენის გასატეხს სხარტულას უწოდებენ. სწრაფად, სხარტად გამოსათქმელია.
გარდა **თ** ბგერისა, კიდევ რომელი ბგერა გესმით ხშირად ამ სხარტულაში? (ტ).

რესურსი 5. მოსწავლის რვეული (გვ. 48)
აქტივობა 5. გააფერადე გიტარა და ფარდა.
რესურსი 6. მოსწავლის რვეული (გვ.48) მოტორიკის სავარჯიშო N 26 – ასო **ჟ**-ს დეტალი. ბადის შუა ნაწილში იწერება;



აქტივობა 6. ასო **ჟ**-ს დეტალის ბადის შუა ნაწილში ჩაწერა.
რესურსი 7. ნოტები

რესურსი 8. მოსასმენი: ნოტების სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=Uzc4rH9rKsM
აქტივობა 8. ნოტების სიმღერის მოსმენისას და შემდეგ ნოტების დასახელება.
აქტივობა 9. მარცვლის გამეორება (რედუპლიცირება)

1. გაახსენეთ მოსწავლეებს ნოტების სახელები. აღნიშნეთ, რომ ისინი ერთმარცვლიანია! შემდეგ კი გამოიყენეთ მარცვლის გამეორების მეთოდი და ავარჯიშეთ: ა) „ფა“ ნოტის სახელია. იგივე მარცვალი რომ დავუმატოთ, რა სიტყვა გამოვა?! ფა-ფა, ფაფა (გაამთლიანებინეთ). ბ) „დო“ ნოტის სახელია. რა სიტყვას მივიღებთ ამ მარცვლის გამეორებით? დო-დო, დოდო (სახელი!). გ) კიდევ რომელ სახელებში მეორდება მარცვლები? პირველი მარცვალი თქვენ წარმოთქვით: ნა-ნა, ლი-ლი, ნუ-ნუ, თა-თა. გა-გა, სო-სო, გი-გი, ზა-ზა... დ) სხვა სიტყვებიც თუ გახსენდებათ, რომლებშიც მარცვალი მეორდება? ერთად გავიხსენოთ: თი-თი, თო-თო, მა-მა, პა-პა... სცადეთ ესეც – ბულ-ბული. ე) ახლა დავაკვირდეთ, რა სიტყვებს მივიღებთ, ამ მარცვლებს თუ გავიმეორებთ? (პირველი მარცვალი თქვენ წარმოთქვით, შემდეგ სიტყვის გამთლიანებაშიც დაეხმარეთ): ხით (ხით-ხითი), ხარ (ხარ-ხარი), კის (კის-კისი), რაკ (რაკ-რაკი), ფუს (ფუს-ფუსი).

2. დასვით შეკითხვა: რა გავიგეთ ახალი, რა აღმოვაჩინეთ ამ გაკვეთილზე? მიიყვანეთ მოსწავლეები პასუხამდე, ამსჯელეთ: ზოგიერთ სიტყვაში მარცვალი მეორდება, / ზოგ სიტყვაში ორი ერთნაირი მარცვალია.

რესურსი 9. მოსასმენი: „თხამ ვენახი შეჭამა“ – https://www.youtube.com/watch?v=5PMSLAVwPH4
რესურსი 10. საკითხავი ტექსტი: https://kids.ge/poesy-verse?id=245
რესურსი 11. მოსწავლის რვეული (გვ.49) ბგერების სავარჯიშო („ლ“ ბგერა)
აქტივობა 10. ვარჯიში **ლ** ბგერის (ფონემის) წარმოთქმაში.

კოლეგებო, თავდაპირველად ავარჯიშეთ მოსწავლეები ამ ბგერის სწორად წარმოთქმაში. ქართული ენის ფონეტიკის მიხედვით, **ლ** თანხმოვნის წარმოსათქმელად ენის წვერი ზედა კბილებს (შიგნიდან) უნდა მიებჯინოს. ათქმევინეთ სიტყვები: მგელი, ძაღლი, ლაღი, ლალი...

შეასრულებინეთ რვეულში მოცემული დავალება: შემოხაზე მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც **ლ** ბგერით იწყება, შემდეგ კი ხმამაღლა წარმოთქვი ისინი. ხატია:

ლომი, იხვი,
ვაშლი, ლელვი,
ლამბაქი, ფინჯანი.

კიდევ რომელ სიტყვებში გვესმის **ლ** ბგერა? (ვაშლი, მგელი)

შემდეგ წაუკითხეთ ეს პატარა ლექსი, რომლის სხვადასხვა სიტყვა **ლ** ბგერას შეიცავს. სთხოვეთ ბავშვებს, მათაც წარმოთქვან ეს სიტყვები. ლექსი:

„ეკამ დაკრიფა მაყვალი, ვერ აშინებდა ეკალი!
მალე ეკას აჰყვა ლია, მაყვალი სულ ახალია!“

გურამ კობერიძე

სიტყვები: მაყვალი, ეკალი, ლია, სულ, ახალი.

რესურსი 12. მოსწავლის რვეული (გვ.49) მოტორიკის სავარჯიშო N 27 – ასო **ჭ**-ს დეტალი ბადის შუა ნაწილში.



აქტივობა 11. ასო ჭ-ს დეტალის გამოწერა ბადის შუა ნაწილში.

რესურსი 13. „თხამ ვენახი შეჭამა“ – ნახატები მოსწავლის რვეულში (გვ. 50)
აქტივობა 12. სურათების ერთმანეთთან ხაზებით დაკავშირება.



გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რამ შეჭამა ვენახი?
- თხის შემდეგ რომელი ცხოველია ლექსში?
- თოფი რომელი ცხოველის შემდეგ გვხვდება?
- რამ შეჭამა თოფი?
- ჟანგი რამ შეჭამა?
- რამ შეჭამა მიწა?
- ბოლოს რომელი ცხოველი გვხვდება ლექსში? (თაგვი)

აქტივობა 13. მკითხველთა თეატრი

ბავშვებმა გამართონ „მკითხველთა თეატრი". ტექსტი – „თხამ ვენახი შეჭამა". მასწავლებელმა გაანაწილოს სტროფები ინდივიდუალურად. რეფრენი კი მთელმა კლასმა ერთად თქვას. პირველი ბავშვი: მოდი, ვნახოთ ვენახი! რამ შეჭამა ვენახი? მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი! ყველა ერთად: თხამ ვენახი შეჭამა! მეორე ბავშვი: მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა?

მიველ, ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა! ყველა ერთად: მგელმა – თხა, თხამ ვენახი შეჭამა! მესამე ბავშვი მგელზე იტყვის და ასე შემდეგ.

რესურსი 14. ბგერების სავარჯიშო („წ" და „შ")

აქტივობა 14. ზეპირი ვარჯიში **წ** და **შ** ბგერებზე (ფონემებზე)

ზეპირად: რომელი ბგერა გესმით ამ სიტყვაში, წ თუ შ? მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: წრუწუნა, შეჭამა, წელი, შვილი, შორი, საშლელი, წერილი, შავი, წითელი, ბურბუშელა, შაშვი, მზეწვია, შველი, წიწაკა... ამ სიტყვებიდან რომელში გესმით ორივე – შ და წ? ააშენა, წაიკითხა, შეინახა, შეისწავლა.

ლექსი მოსასმენად „წ" ბგერასთან:

„წამდაუწუმ წერილს მწერენ
წვივწერწეტა წეროები:
– ჩიტებმა არ დაიკავონ
ანძების კენწეროები!"

„შ" ბგერასთან:

„როცა თოვს უსაშველოდა,
ძნელია ყოფნა შველადა,
შველის საშველად გავრბივარ,
ის მოხტის ჩემს საშველადა".

გურამ კობერიძე

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? გვიამბე, რომელ ცხოველს აჩუქა შენ მიერ მიკრული საჩუქარი თოვლის პაპამ. (ტ.1) რატომ არის უჩვეულო ეს საჩუქარი იმ ცხოველისთვის, „ვისაც" აჩუქა. (ტ.2)

ქვესაკითხები: ვასილ გულეურის „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ" – თემა, პერსონაჟები.

რესურსი 1. მასწავლებლის წიგნში ამოსაჭრელი ცხოველებისა და ფრინველების ნახატები: დათვი, მგელი, კურდღელი, ჟირაფი, ზღარბი, ზებრა, მელა, ლომი, მაიმუნი, ტურა, ოფოფი, სპილო, ჩიტები (მასწავლებლის წიგნი, გვერდი 269).

აქტივობა 1. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ცხოველებისა და ფრინველების ნახატებს და სთხოვს, დაასახელონ, რა ცხოველი/ფრინველია, შემდეგ ჰკითხოს, მათი აზრით, ყველაზე მეტად რომელი საჩუქარი გაახარებდა: თაგუნიას, (კაკალი) ჩიტუნებს (საკენკი, მარცვალი, პურის ნამცეცები), კურდღელს (სტაფილო), ზღარბს (ვაშლი), დათვს (თაფლი), მაიმუნს (ბანანი).

რესურსი 2. საკითხავი: ვასილ გულეური „ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ"

აქტივობა 2. ლექსის მხატვრულად წაკითხვა მასწავლებლის მიერ. ტექსტის რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილ წაკითხვა, შეჩერება და შეკითხვების დასმა.

(ლექსის წაკითხვამდე მასწავლებელი განაწყობს ბავშვებს: – ახლა ნოემბერია. შემოდგომა მთავრდება და ზამთარიც მალე მოვა! ხომ გახსოვთ, ახალი წელი როდის დგება?! დეკემბერში, სულ ერთი თვეღა დარჩა! ახლა წაგიკითხავთ ლექსს, რომელშიც პოეტი ტყის ცხოველების ზეიმს აღწერს! იქ ახლა ჰქონიათ ახალი წელი! ამ ლექს-ზღაპარში საახალწლო ბარათებს ცხოველები წერენ! როგორ მიხარია, რომ როდესაც ჩვენთან, ადამიანებთან, ბავშვებთან ჩვენი ახალი წელი დადგება, უკვე ასოების წერაც გეცოდინებათ. თქვენც მოგამზადებინებთ საახალწლო ბარათებს! წიგნში თქვენ უკვე ნახეთ სურათი, რომელზეც ბავშვები აპლიკაციას აკეთებენ. ამ ლექსს როდესაც მოისმენთ, შემდეგ ჩვენც გავაკეთოთ ერთად აპლიკაცია! ძალიან სახალისო გამოვა, გპირდებით! ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ! ტყის ცხოველების ზეიმი ერთად წარმოვიდგინოთ! (წაუკითხავს ვ. გულეურის ლექსს).

I ნაწილი

ზეიმია უღრან ტყეში, ცეკვავენ და მღერიან –
შეიკრიბნენ ცხოველები, თოვლის პაპას ელიან.
ნაძვი მორთეს, ათასფერად ციმციმებს და ანათებს.
ნაძვის ძირში ალაგებენ საახალწლო ბარათებს.

უხარიათ ხეზე ჩიტებს, სოროში კი თაგუნებს:
–მალე მოვა თოვლის პაპა და ჩვენც რამეს გვარგუნებს.
სწორედ მაშინ, ტყის საათმა თორმეტჯერ რომ ჩამოჰკრა,
ატყდა ერთი ჟრიამული, – რა გგონიათ, რა მოხდა?
აწკრიალდა ზანზალაკი, წამოვიდა თოვლი და
თეთრი წვერით, შავი ნაბდით თოვლის პაპა მოვიდა.

მის გარშემო შეიკრიბა ყველა – ტყეში ვინც არის.
ვის რა ერგო საჩუქარი, აბა, გამოიცანით?!
დათუნიას – განა თაფლი? მისცა ჭრელი ბალიში.
მაინც სძინავს მთელ ზამთარს და თათის ლოკვას არ იშლის.

მგელს აჩუქა რადიოლა, – დამიფასებ ამაგსო,
ღამღამობით რომ ყმუიხარ, მოუსმინე ამასო.
ჩამოაცვა გრძელ ყურებზე კურდღელს დიდი სათვალე –
ბაჭიები არ დაკარგო, გაიკეთე, დათვალე!

აქტივობა 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სიტყვები: უღრანი, ზანზალაკი, ჟრიამული, რადიოლა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- სად შეიკრიბნენ ცხოველები და ფრინველები? მოდით, გავიხსენოთ, როგორია უღრანი ტყე?
- დაასახელე, რომელი ცხოველები და ფრინველები იყვნენ?
- სად დაალაგეს საახალწლო ბარათები?
- რომელ საათზე მივიდა ტყეში თოვლის პაპა?
- რა აჩუქა დათუნიას? – ჭრელი ბალიში. რატომ? ზამთარში რომ სძინავს (მთელ ზამთარს რომ ძილში ატარებს).
- რა აჩუქა მგელს? – რადიოლა. რა არის რადიოლა? თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა რადიოლა? რას გაგონებთ ეს სიტყვა? ძველად, მისი საშუალებით შეეძლოთ მოესმინათ ინფორმაცია, მუსიკა... რატომ აჩუქა? მისი ყმუილის ხმას აჯობებს, ჩართოს და მოუსმინოს.
- ხომ არ იცით, რას ჰქვია ზანზალაკი? აბა, დააკვირდით, როგორ ვამბობთ: ზან-ზა-ლა-კი. ავტორი ამბობს, რომ ზანზალაკი აწკრიალდა. რა შეიძლება იყოს? (მცირე ზომის ზარი)
- კურდღელს რა აჩუქა? – სათვალე. რატომ? – ბევრი ბაჭია ჰყავს, კარგად რომ დაინახოს და დათვალოს.

შენიშვნა: მასწავლებელი საჩუქრების სურათებს – თაფლი, რადიოლა, სათვალე, ჭრელი ბალიში – განალაგებს თვალსაჩინო ადგილზე, დაფაზე და პერიოდულად ეკითხება მოსწავლეებს, ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ და მეორე ნაწილის შესწავლის შემდეგ დაამატებს კვლავ დაამატებს სხვა საჩუქრების სურათებს.

აქტივობა 4. ტექსტის რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილ წაკითხვა, შეჩერება და შეკითხვების დასმა.

II ნაწილი

კალათბურთის სათამაშოდ ჟირაფს ერგო ბურთი და
ზღარბს – ძაფები ათასფერი, ჯადოსნური ყუთიდან.
წიგნი მისცა ზღაპრებისა მელაკუდა-მელიას –
წაიკითხე არაკები, შენ თუ გამოგელია.

ლომს აჩუქა მაკრატელი, – არ გამიწყრე ამაზე,
მეფე ხარ და დაგჭირდება, ფაფარს გაილამაზებ.
სარკე მისცა მაიმუნს და ტურას – დიდი საყვირი,
სავარცხელი – ოფოფს, ზებრას – ზოლიანი აღვირი.

სპილოს აძლევს კბილის ჯაგრისს – დაიხეხე ეშვები!
ჩიტებს – ლამაზ პარაშუტებს – ძირს ამით დაეშვებით!
საჩუქარი ჭრელ ხურჯინში ყველასათვის აღმოჩნდა.
მერე ისევ ჩაყო ხელი, მგონი, რაღაც გამორჩა...

ჰო, ახალ წელს, გაგონილა, ტკბილეული არ იყოს?
რა თქმა უნდა, კანფეტებიც უნდა ჩამოარიგოს.
მთელი ღამე ლხინი ჰქონდათ უღრანი ტყის ბინადართ...
მაგრამ დილით, თოვლის პაპა ისევ გაუჩინარდა...

აქტივობა 5. ლექსიკური ერთეულების დამუშავება: არაკები, ფაფარი, ზოლიანი აღვირი, ეშვი, პარაშუტი, ხურჯინი, გაუჩინარდა.

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ. 51-54 ლექსის შინაარსის გასააზრებლად და თანამიმდევრობის შესახსენებლად დაიხმარეთ რვეულში მოთავსებული ამოსაჭრელი ნახატები. ვიდრე აპლიკაციას დაამზადებენ, ეს ნახატები ტექსტის გაგება-გააზრებას და სიტყვების (რადიოლა, აღვირი) ამოცნობას ემსახურება.

ლექსის შინაარსის გათვალისწინებით ყველა ბავშვმა გონებაში დაუკავშიროს ნახატებს საჩუქრები, ვის აჩუქა და რატომ.

აქტივობა 6. მეთოთხმეტე ნახატის ადგილი ცარიელია, რადგან ლექსში არ ჩანს, რა აჩუქა თოვლის პაპამ თაგუნიებს. მთელი კლასი მოიფიქრებს, დაეხმარონ თოვლის პაპას, რა უჩვეულო საჩუქარს აჩუქებს თაგუნიას და ყველა თავის რვეულში ჩახატავს.

მასწავლებლისთვის რესურსი ნაძვის ხის მოსართავად:
https://drive.google.com/file/d/1g0267vkhPqX9A0L0EtD-XKj6UKiXFPWH/view

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა აჩუქა ჟირაფს? – რადგან მაღალია, კალათბურთის ბურთი ერგო.
- ზღარბს? – ჭრელი ძაფები სათამაშოდ. რატომ? ზღარბი გორგალს ჰგავს! რა არის გორგალი? ბურთივით დამრგვალებული ძაფი.
- რა აჩუქა მელაკუდას? – ზღაპრების წიგნი წასაკითხად. რატომ? – ბევრი ზღაპარია მელაზე, თან მელას მატყუარას უწოდებენ, უყვარს ამბების მოგონება.
- ლომს? – მაკრატელი. რატომ? – ფაფარი რომ გაილამაზოს ცხოველების მეფემ. რა არის

ფაფარი? ცხენის, ვირის, ლომის გრძელი ბეწვი. კიდევ რომელ ცხოველს აქვს ფაფარი? (ცხენს)

- რა შეურჩია მაიმუნს? მაიმუნს სარკე შეურჩია! რატომ? -მას პრანჭიას უწოდებენ ლექსში. სარკეში ჩაიხედავს და გაიპრანჭება. (ნოდარ დუმბაძეს აქვს: „მაიმუნი პრანჭია, სახე დაუმანჭია, დარბის, დახტის, ქაქანებს, საქანელას აქანებს...“)
- ტურას? – საყვირი. რატომ? – ის მაღალ ხმაზე კივის, ამიტომ საყვირი აჩუქა. საყვირის ხმა ჰგავს ტურების ხმიანობას.
- რა აჩუქა ოფოფს? – სავარცხელი. რატომ? – მასაც ხომ „სავარცხელი“ აქვს თავზე!
- ზოლიან ზებრას? – ზოლიანი აღვირი. რა არის აღვირი? ზოლიანი იმიტომ, რომ ზებრაა, შესაჩერებლად, ბევრი რომ არ იქროლოს, ამოსდებენ (უკეთებენ) აღვირს. (ცხენსაც აქვს აღვირი.)
- რა აჩუქა სპილოს? – კბილის ჯაგრისი ეშვების გასახეხად! რა არის ეშვები? (სპილოს ორი გრძელი კბილი)
- ჩიტებს? – ლამაზი პარაშუტები ძირს დასაშვებად. რა არის პარაშუტი? (დიდი ქოლგა)
- თაგუნიებს? – ჩიტებს ერგოთ საჩუქარი, თაგუნიებს ჩვენ დავეხმაროთ, შევურჩიოთ ერთად უჩვეულო საჩუქარი!
- სად ჰქონდა თოვლის პაპას საჩუქრები? (ხურჯინში) რა არის ხურჯინი? (ძველებური, ნაჭრის დიდი ჩანთა)
- ბოლოს რა მოხდა? (თოვლის პაპა გაუჩინარდა) რას ნიშნავს გაუჩინარდა? (გაქრა)
- გიფიქრიათ, რომ ცხოველებსაც ექნებოდათ საახალწლო სურვილების ბარათები?
- თქვენი აზრით, სწორად შეურჩია თოვლის პაპამ საჩუქრები? კმაყოფილები დარჩნენ ცხოველები და ფრინველები?

ნაბიჯი 2. აღწერე საჩუქარი, როგორია – რა ფორმის, რა ფერისა და ზომისაა? სად დააწებე ნახატი? (ნაძვის წვერთან, ძირში, შუაში, ზევით, სხვა საჩუქრის მარჯვნივ, მარცხნივ) (ს.1, 2, 3))

ქვესაკითხები: აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ფორმა, ფერი, ზომა, ადგილმდებარეობა – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ)

რესურსი 4. იდუმალი ყუთი – მასში აწყვია რამდენიმე ნივთი (სარკე, სავარცხელი, წიგნი, სათვალე, ჯაგრისი)

აქტივობა 7. რამდენიმე მოსწავლე „იდუმალი ყუთიდან“ ამოიღებს ერთ ნივთს და აღწერს ისე, რომ მხოლოდ თვითონ ხედავს და თანატოლები უნდა მიხვდნენ, რა ნივთია.

რესურსი 5. ანიმაციური ფილმი „მარჯვენა და მარცხენა“ https://www.youtube.com/watch?v=Nvh_E6ByV1k

აქტივობა 8. ანიმაციის ჩვენება.

აქტივობა 9. თამაში: მასწავლებლის ძახილზე მოსწავლეებმა სწორად უნდა ასწიონ მარჯვენა და მარცხენა ხელი, მიიხედონ მარჯვნივ, მარცხნივ.

რესურსი 6. წინასწარ მომზადებული დიდი, მწვანე ნაძვისხის აპლიკაცია და მოსწავლის რვეულში ამოსაჭრელი ბარათები (გვ. 51-54)

აქტივობა 10. მოსწავლეები მასწავლებლის მიერ შერჩეულ ნახატებს ამოჭრიან მოსწავლის რვეულში და დააწებებენ სასკოლო დარბაზისთვის მომზადებულ დიდ, მწვანე ნაძვისხის აპლიკაციაზე.

აქტივობა 11. კომპლექსური დავალების წარდგენა – თითოეული მოსწავლე აღწერს მის მიერ ამოჭრილ ნახატს („საჩუქარს“) უამბობს მსმენელებს, ვის და რატომ აჩუქა თოვლის პაპამ და აღწერს მას.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- გაიხსენე, როგორ (რა ნიშან-თვისების მიხედვით) უნდა აღწერო საგანი? (ფერი, ფორმა, ზომა, ადგილმდებარეობა – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ)
- როგორ ისწავლა მარკომ მარჯვენა და მარცხენა?
- შენ როგორ ისწავლე? (მასწავლებელმა მიჩვენა ხელით და დავიმახსოვრე)
- ვინ ზის შენს მარჯვნივ? მარცხნივ?

- სად დგას ყვავილის ქოთანი შენს მარჯვნივ თუ მარცხნივ?
- სად კიდია სურათი? დაფის ზევით თუ ქვევით?
- ვის და რატომ აჩუქა თოვლის პაპამ შენ მიერ ამორჩეული საჩუქარი?
- როგორია შენ მიერ შერჩეული საჩუქარი? რა ფორმის, რა ფერისა და ზომისაა?
- სად დააწებე ნახატი? (ნაძვის წვერთან, ძირში, შუაში, ზევით, ქვევით, სხვა საჩუქრის მარჯვნივ, მარცხნივ)
- რატომ არის ნაძვის ხე უცნაური?
- როგორ ფიქრობთ, მოეწონებათ სკოლის დარბაზში შემოსულ მოსწავლეებს თქვენ მიერ შექმნილი უჩვეულო ნაძვის ხე?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი აპლიკაციაა?
- რომელი „საჩუქარი“ აირჩიე ამბის გადმოსაცემად? რატომ?
- როგორ აღწერე შენ მიერ შერჩეული „საჩუქარი“?
- ხომ არ გაგიჭირდა საჭირო სიტყვების მოძებნა?რა სიტყვებით აღწერე?
- გასაგებია მსმენელისთვის?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?

წინასაანბანო პერიოდის საკითხავი ტექსტები

პირველი თემა: ჩვენ და ბუნება

I ქვეთემა – ერთად ხილის ბაღში

„შემოდგომა“ (ნაწყვეტი)
ლადო ასათიანი

შემოდგომა მოვიდა
წითელ-ყვითელ ფერებით,
მოსავალმა აავსო
ბაღები და ველები.
დაიტვირთნენ ვაზები,
დაიშაქრნენ მტევნები,
აღაჟღაჟდნენ ვაშლები,
გადაყვითლდნენ ტევრები.

„შემოდგომის ნობათი“
ნინო გორდელაძე

მე მაქვს მწვანე მსხალი,
შენ კი – ვაშლი წითელი!
მე მაქვს ლურჯი ქლიავი,
შენ – ლიმონი ყვითელი!
ჩემს ძმას – შავი ყურძენი აქვს,
შენს ძმას – წაბლი ყავისფერი,
კალათაში ხელს თუ ჩავყოფთ,
ატმებია ვარდისფერი!

II ქვეთემა – ერთად სახლში

„ჩვენი ძაღლი“
მარიამ წიკლაური

ჰამ-ჰამ!
– რა ყეფს?
– ძაღლი,
დარაჯია სახლის!
აფრთხობს ეზოს კატებს,
ღამეს ფხიზლად ათევს.
დაბადების დღე აქვს ხვალ.
– რას აჩუქებ? – ბურთს და ძვალს!
ბუდრუგანას მოვრთავ,
სტუმრად შენც ხომ მოხვალ?

„მაიას ყვავილები“

გიორგი შატბერაშვილი

პატარა მაია ბოლო დროს ძალიან გაცელქდა. გვიან იძინებდა, ამიტომ დილით ადრე ადგომა ეზარებოდა.

– შვილო, – უთხრა ერთხელ დიდედა მართამ მაიას, – ძილის დრო რომ დადგება, ჩიტმაც კი თავისი ბუდე იცის.

მაია უხალისოდ ისმენდა დიდედას დარიგებას.

მზის ჩასვლისას ჩვენი ლამაზი ყვავილებიც კი იძინებენ, რომ დილით მზის ამოსვლისას გაახილონ თვალი, – თქვა დიდედამ ღიმილით.

ყვავილების ძილი ვის გაუგონია! – გაკვირვებით წამოიძახა მაიამ.

კარგი! მაშ, დღეს მზის ჩასვლისას ვნახოთ, – მიუგო დიდედამ.

მზე ჩავიდა. ყვავილებმა სიფრიფანა ფურცლების შეკუმშვა დაიწყეს, თითქოს თვალებს ხუჭავდნენ. ფურცლები მწვანე პარკუჭებში დაიმალნენ. გაოცებულმა მაიამ მიირბინა დიდედასთან და ახარა:

დიდედა, ყვავილებმა მართლა დაიძინეს! როდის გაიღვიძებენ?

ხვალ დილით, მზის ამოსვლისას, – მიუგო დიდედამ.

დილით ადრე მაიას დიდედას ხმა მოესმა. მაია მარდად წამოხტა და კიბეზე ჩაირბინა. მზე ის იყო ამოდიოდა, მწვანე პარკუჭანები შეუმჩნევლად ხსნიდნენ პირს. ბუნება ხარობდა, ტოროლა ცაში გალობდა, ფუტკრები ზუზუნით გამოდიოდნენ სკებიდან და ყვავილებისკენ მიფრინავდნენ.

მაია სიხარულით შეჰყურებდა ბუნებას.

რა კარგია დილა! არა, დღეიდან გვიან აღარ ავდგები! – თქვა გოგონამ და სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

III ქვეთემა – ჩვენი ეზოს ბინადრები

„გამოცანები“

გივი ჭიჭინაძე

– აბა, მითხარ მართალი!
რა ყივის?
– მამალი.
– ყოჩაღ, მჯერა შენი,
რა ჭიხვინებს?
– ცხენი.
– ესეც არის სწორი,
რა ღრუტუნებს?
– ღორი.
– დაუღია პირი,
რა ყროყინებს?
– ვირი.
– მართალია, რაც თქვი,
რა ბურდღუნებს?
– დათვი.
– შეკითხვაც კი არ ღირს,
მითხარ, რა ყეფს?
– ძაღლი.
– ესეც იცი ეგება,
რა კიკინებს?
– ბეკეკა.

IV ქვეთემა – ტყის ბინადრები

„ფოსტალიონი კოდალა“
ნინო გორდელაძე

ტყეში ერთი დიდფუღუროიანი ხე იდგა. ეს ფუღურო ფრინველ-ცხოველების ფოსტა იყო! იქ მიჰქონდათ გასაგზავნი წერილები თუ ბარათები. ტყის ფოსტალიონი კოდალა იყო. თავისი გრძელი ნისკარტით ადვილად არიგებდა წერილებს. ერთხელ ჩვენს გამრჯე კოდალას წვიმამ ისე დაუსველა ორი წერილი, რომ მისამართები ვერ ამოიცნო.

მოდით, დავეხმაროთ!

წერილი პირველი

– მოგესალმები, ჩემო თეთრო ძმობილო. მე მურა ვარ. ტყეში დიდ ბუნაგში ვცხოვრობ. ორი ბელი მყავს. ერთს დრუნჩა ჰქვია, მეორეს, უმცროსს, ბაჯბაჯა. ძალიან უყვართ თაფლი. ტყის ხეების ფუღუროებში თაფლს ვაგროვებ მათთვის. საშიშ ფუტკრებს ვემალები! შენ როგორ ხარ? ძალიან ცივა შენს მხარეში?

გამახარებ, თუ წერილს მომწერ.

გემშვიდობები და სიკეთეს გისურვებ.

წერილი მეორე

– ჩემო ნაცარა, აბა შენ იცი, კარგად მოიქეცი: ფრთხილად იყავი და მელიებს ერიდე. შორს არ გაიპარო. ადამიანებთან, ბოსტანში არ შეიპარო! მე მოგიტან ბევრ სტაფილოს! ხომ გახსოვს, რომ ჩქარი სკუპ-სკუპი საშიშია! ხტუნვით კისერი არ მოიტეხო! ტყის სიღრმეშიც არ შეხვიდე, იქ მგლებს ბუნაგები აქვთ. როგორც კი საშიშ ცხოველს მოკრავ თვალს, მაშინვე ჩვენს სოროში ჩაძვერი და კარგად დაიმალე. მე მალე დავბრუნდები.

დედა.

„ტყე და მისი ბინადრები“
ნინო გორდელაძე

წარმოიდგინეთ დიდი, დაბურული ტყე! ნაძვები ცისკენ, მაღლა აღმართულან. წიწვებს შორის გირჩებს გამოუყვიათ თავები. აქვეა ფოთლოვანი ხეებიც. ერთ-ერთი ხის ძირას კურდღლის ბაჭია მოჩანს. სკუპ-სკუპით სოროში შეძვრომას ცდილობს!

ნაძვის ძირში რომ დიდი სოროა, მელიების საბინადროა. მელია და მისი ლეკვები მოზრდილ სოროებში ბინადრობენ.

კურდღელსა და მის ბაჭიებს კი ოდნავ უფრო პატარა საბინადრო აქვთ.

აი, ზემოთ, ხის ტოტებზე, ციყვი დახტის! კუდბუთქუნა ციყვუნია თავისი ფუღუროსაკენ მიცუნცულებს. ბუც ფუღუროში მოკალათებულა. თავისი მართვეებიც აქ ჰყავს, საკუთარ ფუღუროში. ღამით ფხიზლობს, ხანდახან კივის და ტყეში მისი ხმა გაისმის.

აი ყვავი კი დროგამოშვებით ჩხავის. დიდ ბუდეში თავისი ბახალები ჰყავს. ისინიც დედა ყვავივით შავი ფერისანი არიან!

ნეტავ რომელი ცხოველისაა ეს დიდი საბინადრო?! აი, ბელი მიბაჯბაჯებს მისკენ. ეს დათვის ბუნაგი ყოფილა!

დიდ ცხოველებს ბუნაგები აქვთ.

ტყის მეფეს – ლომსაც ბუნაგი აქვს. იქვე კოტრიალობენ მისი ბოკვრები...

„დათუნია დრუნჩასა“

გივი ჭიჭინაძე

დათუნიას ერგო
ერთი ქილა ერბო.
მიდიოდა გზაზე,
ღიღინებდა ასე:
– დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!
უცებ შეხვდა ვირთხა,
– არ უცდია დიდხანს,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევთ ცოტასო!
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა ერთი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
– დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!
წინ დაუხვდა ზღარბი,
მშიერი და ხარბი,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევთ ცოტასო!
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა ორი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
– დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,

არ დაგითმობთ არვისა!
გადმოუდგა მელია,
გაუწვდინა ყელია,
თქვა: – დაიდებ ცოდვასო,
თუ არ მაჭმევთ ცოტასო!
რას იზამდა დრუნჩა,
მისცა ორი მუჭა.
მერე ისევ გზაზე
ღიღინებდა ასე:
– დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!
ბოლოს შეხვდა კოდალა,
დათვს კი არა ჰქონდა რა!..

მეორე თემა: გართობა

I ქვეთემა – გართობა ეზოში, ურთიერთობა თანატოლებთან, მათი სურვილები

„გიწვევთ ჩაის წვეულებაზე!“
ნესტან კუპრავა

ლიზიკომ თავისი თოჯინები ჩაის დასალევად მიიპატიჟა. ორი ქართველი: ნანა, მოფერებით ნანუკა და ჯაბა – ჯაბუკა, ორი უცხოელი: ბარბიკო და ბეტმენიკო, ერთიც დათუნია ვინი პუჰი. გოგონამ ფინჯნებში ოქროსფერი ჩაი ჩამოასხა, მაგიდაზე დიდი სინით ნამცხვარი დადგა და თოჯინები მაგიდასთან მიიწვია:

– დაბრძანდით, ჩაი ტკბილად შეგერგოთ!

– ჩაი ძალიან გვიყვარს! დიდი მადლობა, ლიზიკო! – გაუხარდა ნანუკას.

– მე ჩაი რძით მიყვარს! – თქვა ბარბიკომ.

– მე მურაბით, – გამოაცხადა ჯაბუკამ.

– მე კი ლიმონით,– დაიძახა ბეტმენიკომ,– ასეთი ჩაი ძალიან სასარგებლოა!

– მე არც ერთს დავიწუნებ, არც – მეორეს, – გაიცინა დათუნია ვინი პუჰმა, – სხვათა შორის, არც მესამეს.

რა კარგია, მეგობრები ჩაის ერთად რომ სვამენ. ყველაზე მეტად ჩაი ვის მოეწონა? რა თქმა უნდა, დათუნიას. მან რძიანი ჩაიც დალია, ლიმონიანიც, მურაბიანიც... ისე მოეწონა, რომ მეგობრებს დათუნია ვინი-პუჰის სიმღერაც კი უმღერა, საგანგებოდ ჩაის სმაზე სამღერი. აი, ისიც:

ვინი პუჰის სამღერი სიმღერა

არავინ თქვას „ვაი, ვაი!“,
დაიძახეთ: „ჩაი, ჩაი!“
ლიმონით, რძით, მურაბით...
(ერითმება მას უნაბი).
ნამცხვრები და ნაზუქები!
მერე რა, თუ გავსუქდები.
(სხვათა შორის, მინდა ნაღდად,
უნაბიც რომ მომცა ახლა).
ვინი პუჰი დალევს ჩაის –
გინდ რძითა და გინდ მურაბით,
მეგობრებს ვერ შეედრება
ვერც ჩაი და ვერც უნაბი...
(სხვათა შორის, ვერც უნაბი,
ვიმეორებ, ვერც უ-ნა-ბი!)

თუ ხმამაღლა თქმა მოგერიდათ, გულში ფიქრად მაინც გაივლებდით, ეს რა სულელური სიმღერააო. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს სათამაშო დათუნია ვინი პუჰის სიმღერაა, თანაც ჩაიზე მისაყოლებელი.

მთავარი კი ისაა, რომ მეგობრებთან ერთად ჩაის სმა ძალიან სახალისოა.

II ქვეთემა – სპორტის დრო!

„ვარჯიში“
მაყვალა მრევლიშვილი

სკუპ და სკუპ, სკუპ და სკუპ,
კურდღელივით დავხტუნავ;
ხომ კარგია ვარჯიში?
შენც იხტუნე, დათუნა!

ახლა მერცხალს ვგავარ, –
მოფრენილა ბანზე,
ბუდეში რომ ჯდება,
ფრთებს გადაშლის განზე.
ველარ ვხედავ მერცხალს,
გაფრენილა ცაში,
აბა, გავაგონოთ:
ტაში, ჩქარა ტაში!
ვივარჯიშეთ, ახლა
ტანი დავიზილოთ;
რა საამო არის
გაწურული ტილო.

III ქვეთემა – გართობა ზამთარ-ზაფხულ

გამოცანები
მოფარფატებს ზეციდან,
არც კი გინდა ფიქრი –
ჰქვია ორი სახელი:
ფანტელი და... **(ფიფქი)**

ათჯერ უფრო გრძელია,
ვიდრე კურდღლის ყურები,
დადგები და გასრიალებს,
ჰქვია... (თხილამურები)

მოდი, თოვლში ვითამაშოთ,
იციგაოს, ვისაც უნდა,
გამოძერწოს თოვლის კაცი,
დაამრგვალოს დიდი... **(გუნდა)**

„როგორ გავხდეთ ბაყაყი“
მარიამ წიკლაური

ნაწვიმარზე ფანჯრებიდან
რომც იყურო დიდხანს,
შენ ბაყაყი ვერ გახდები,
თუ კართან არ მიხვალ.
თუ ბოტებსაც არ ჩაიცვამ,
თუ ქოლგას არ გაშლი
და არ გავარდები უმალ
ნაწვიმარზე კარში.
რის ბაყაყი, რისი ყი-ყი,
რისი სკუპი-სკუპი,
თუ არ გაილუმპე წყალში,
არ დასველდი თუკი.
თუკი გუბეს გადაახტი,
შიგ ფეხი არ ტუცე,
არ გექნება არასოდეს
საკუთარი გუბე!

ყი-ყი-ყი-ყი, ყიყინელა
წვიმა ჩვენთვის მღერის.
წამო, გავხდეთ ბაყაყები,
ვიხტუნაოთ ბევრი!

„მალე გამოიდარებს“
მარიამ წიკლაური

მთელი ღამე იწვიმა.
ბოტებს, ქოლგებს, ლაბადებს
უხარიათ, დილით რომ
დატოვებენ კარადებს!
რას ნახავენ ქუჩაში?
გუბეს, წვეთებს – წკაპუნებს,
წვიმის დიდი ღრუბელი
მიწას როგორ აპურებს.
მალე გამოიდარებს,
მზეც ამოვა, ცხრათვალა,
წვიმის წვეთი იცინის –
ჩვენ ვერავინ დაგვთვალა.

„ქვიშის კოშკი“
ნესტან კუპრავა

ზღვის სანაპიროზე ბავშვები ერთობოდნენ. პატარა კესო ქვიშის სათამაშო კოშკს აგებდა, ძალიან ლამაზი გამოსდიოდა და კესოს უხაროდა.
ამ დროს ნიკა სწრაფ სირბილში ვარჯიშობდა, შემთხვევით კოშკს გაჰკრა ფეხი და დაანგრია.
პატარა კესო ატირდა:
– ამ კოშკს დიდხანს ვაგებდი! თითქმის მზად იყო! მინდოდა, მამიკოსთვის მეჩვენებინა!
ტირილის ხმა კეთილმა კატომ გაიგონა. წამსვე კესოსთან გაჩნდა და უთხრა:
– ნუ ტირი! ქვიშის კოშკი ისევ ავაშენოთ!
ნიკა დაღონდა. ეს რა მიქნიაო, გაიფიქრა. მივიდა გოგონებთან და კესოს ბოდიში მოუხადა.
ახლა სამივე ერთად აგებს ქვიშის კოშკს! ვფიქრობ, ის ულამაზესი იქნება და კესოს მამას ძალიან მოეწონება.

„შეჯიბრი“
ნოდარ დუმბაძე

ნოდარიკოს და მაიკოს
აქვთ კამათი და დავა.
ამ ზაფხულს დასასვენებლად
ვინ სად და როდის წავა.
მაიკომ უთხრა: – ბორჯომში
წავალ ივლისის ათში.
ნოდარმა უთხრა: – შენს ჯიბრზე
მე წავალ ლიმონათში.

მესამე თემა: ჩვენი სკოლა

I ქვეთემა – ბავშვები სკოლაში

„მე სკოლაში მივდივარ“
ქეთევან ქუჩუკაშვილი

სკოლისათვის ვემზადები,
ახლა უკვე დიდი ვარ,
დღეს პირველად,
სულ პირველად
მე სკოლაში მივდივარ.
ჩანთას ვეძებ,
წიგნებს ვეძებ,
არ ვივიწყებ არაფერს,
უჰ, რამდენჯერ სავსე ჩანთა
ისევ ამოვალაგე.
ფანჯარაზე ჭრელი კატა
წევს და ჩუმად კრუტუნებს.
ჩემს უცნაურ ორომტრიალს
ის შორიდან უყურებს.
რელ კუდს იქნევს, ქურდბაცაცას
ულვაშები უბზინავს,
თან დამცინის: ეგ ჩანთა ხომ
გასტენეო უწინაც...
სტყუი, ფისო, შემომხედე!
ახლა მართლა დიდი ვარ,
დამიჯერე, დღეს ნამდვილად
მე სკოლაში მივდივარ.

„ნუციკო“
ტარიელ ჭანტურია

სად გინახავს, მითხარი,
მელაკუდა – უკუდოდ,
უსავარცხლოდ – ოფოფი,
ანდა სოკო – უქუდოდ!
სად გინახავს, კენგურუს
ჩანთა შინ დარჩენოდეს,
და მონადირეს ხელში
თოფი არა სჭეროდეს!
შენ კი, ჩემო ჭკვიანო,
ჩემო კარგო ნუციკო,
როგორ მოხდა, სკოლაში
რომ წახვედი უწიგნოდ?!

II ქვეთემა – გზა სკოლისაკენ

„სკოლა უდაბნოში“

ზღაპარი

შუაგულ საჰარაში ერთი უცნაური სკოლა არსებობდა. არც კედლები ჰქონდა, არც – ფანჯრები, არც – სახურავი, მაგიდებსა და სკამებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველდღე მოსწავლეები აქლემებს ზურგზე ააცოცდებოდნენ და უდაბნოში მასწავლებელს მიჰყვებოდნენ, რომელიც თვითონაც აქლემზე იყო ამხედრებული. მიირწეოდნენ და თან მათემატიკას, ისტორიას თუ მუსიკას სწავლობდნენ.

ერთ წელიწადს აკადემიიდან ინსპექტორი გამოგზავნეს მოსწავლეთა ცოდნის დონის შესამოწმებლად. ინსპექტორს ცუდად მოხვდა თვალში უკედლო და უფანჯრო სკოლა, რომელიც დილიდან საღამომდე ადგილს რამდენჯერმე იცვლიდა.

„რის მაქნისია ეს უდაბნოს სკოლა“ – გაიფიქრა გაკვირვებულმა ინსპექტორმა.

– აქლემზე შემოსკუპებულმა რა უნდა ისწავლო, ერთი შეცდომა და მაშინვე დავხურავ!

აქლემის ზურგზე კოხტად მოკალათებული ბავშვები მყისვე შეუდგნენ მუშაობას. კითხვები ადვილი მოეჩვენათ და პასუხებიც ყველამ იოლად გასცა, ყველამ ჰიშემის გარდა. ჰიშემი აქ ახალი გადმოსული იყო, იგი ღარიბი ოჯახის ნაბოლარა შვილი გახლდათ. მათ მხოლოდ ერთი აქლემი ჰყავდათ, ამიტომ სკოლაში სიარული მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა უფროსმა ძმებმა სწავლა დაამთავრეს და ბებერი აქლემი მას დაუთმეს. აქლემზე გადამჯდარი ჰიშემი თავს იფხანდა და გამალებით ფიქრობდა.

– შვიდჯერ სამი, – წაიკითხა ხმამაღლა.

– ოცდაერთი, – უკარნახა ნაზმა ხმამ.

ბავშვმა მიიხედ-მოიხედა, რათა დაენახა, თუ ვინ დაეხმარა, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა და იფიქრა, მომეჩვენაო.

– საფრანგეთის დედაქალაქი რომელია? – დაეკითხა საკუთარ თავს.

– პარიზი! – უჩურჩულა იმავე ხმამ.

ამჯერად ჰიშემი დარწმუნებული იყო, რომ ხმა ნამდვილად გაიგონა.

– აბა, მუსიკალური ნოტები ჩამომითვალე, – ისევ სცადა კითხვის დასმა.

– დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო!

ჰიშემი ყურებს არ უჯერებდა: მას აქლემი პასუხობდა!

– მაშ, შენ ლაპარაკი იცი? – მორცხვად ჰკითხა ცხოველს.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა აქლემმა და თვალი ჩაუკრა, – ეგ კი არა, კითხვა და თვლაც ვიცი! იმდენი ხანია, რაც უდაბნოს სკოლაში ვარ, რომ ბოლოს მეც ყველაფერი დავიმახსოვრე.

ჰიშემს გაეცინა და აქლემს სთხოვა, – კითხვებზე პასუხის გაცემაში დამეხმარეო.

ჰიშემმა და მისმა აქლემმა ყველაზე ბოლოს ჩააბარეს შევსებული ფურცელი, მაგრამ შეცდომა არც მათ დაუშვიათ. ინსპექტორი ძალზე გაოცებული, მაგრამ დამშვიდებული გაემგზავრა უდაბნოდან. რაც შეეხება მასწავლებელს, იგი კიდევ დიდხანს ასწავლიდა სკოლაში, სადაც აქლემებმაც კი იცოდნენ წერა-კითხვა და თვლა!

III ქვეთემა – ჩვენი სკოლის დარბაზი – ხელოვნების საღამო

„ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ“

ვასილ გულეური

ზეიმია უღრან ტყეში, ცეკვავენ და მღერიან –
შეიკრიბნენ ცხოველები, თოვლის პაპას ელიან.
ნაძვი მორთეს, ათასფერად ციმციმებს და ანათებს.
ნაძვის ძირში ალაგებენ საახალწლო ბარათებს.

უხარიათ ხეზე ჩიტებს, სოროში კი თაგუნებს:
–მალე მოვა თოვლის პაპა და ჩვენც რამეს გვარგუნებს.
სწორედ მაშინ, ტყის საათმა თორმეტჯერ რომ ჩამოჰკრა,
ატყდა ერთი ჟრიამული, – რა გგონიათ, რა მოხდა?
აწკრიალდა ზანზალაკი, წამოვიდა თოვლი და
თეთრი წვერით, შავი ნაბდით თოვლის პაპა მოვიდა.
მის გარშემო შეიკრიბა ყველა – ტყეში ვინც არის.
ვის რა ერგო საჩუქარი, აბა, გამოიცანით?!
დათუნიას – განა თაფლი? მისცა ჭრელი ბალიში.
მაინც სძინავს მთელ ზამთარს და თათის ლოკვას არ იშლის.

მგელს აჩუქა რადიოლა, – დამიფასებ ამაგსო,
ღამღამობით რომ ყმუიხარ, მოუსმინე ამასო.
ჩამოაცვა გრძელ ყურებზე კურდღელს დიდი სათვალე –
ბაჭიები არ დაკარგო, გაიკეთე, დათვალე!

კალათბურთის სათამაშოდ ჟირაფს ერგო ბურთი და
ზღარბს – ძაფები ათასფერი, ჯადოსნური ყუთიდან.
წიგნი მისცა ზღაპრებისა მელაკუდა-მელიას –
წაიკითხე არაკები, შენ თუ გამოგელია.

ლომს აჩუქა მაკრატელი, – არ გამიწყრე ამაზე,
მეფე ხარ და დაგჭირდება, ფაფარს გაილამაზებ.
სარკე მისცა მაიმუნს და ტურას – დიდი საყვირი,
სავარცხელი – ოფოფს, ზებრას – ზოლიანი აღვირი.

სპილოს აძლევს კბილის ჯაგრისს – დაიხეხე ეშვები!
ჩიტებს – ლამაზ პარაშუტებს – ძირს ამით დაეშვებით!
საჩუქარი ჭრელ ხურჯინში ყველასათვის აღმოჩნდა.
მერე ისევ ჩაყო ხელი, მგონი, რაღაც გამორჩა...

ჰო, ახალ წელს, გაგონილა, ტკბილეული არ იყოს?
რა თქმა უნდა, კანფეტებიც უნდა ჩამოარიგოს.
მთელი ღამე ლხინი ჰქონდათ უღრანი ტყის ბინადართ...
მაგრამ დილით, თოვლის პაპა ისევ გაუჩინარდა...

„თხა და ვენახი“
ხალხური

მოდი, ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი;

მოდი, ვნახო თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ, ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა;
მგელმა – თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი;
თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი;
ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი,
მგელმა – თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი;
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი;
მიწამ – ჟანგი, ჟანგმა – თოფი,
თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ, ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა;
თაგვმა – მიწა, მიწამ – ჟანგი,

ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი,
მოდი, ვნახო მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ, ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა;
თაგვმა – მიწა, მიწამ – ჟანგი,
ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი,
მგელმა – თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ, ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი;
კატამ – თაგვი, თაგვმა – მიწა,
მიწამ – ჟანგი, ჟანგმა – თოფი,
თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

წინასაანბანო პერიოდის საწყისი ეტაპის ფონოლოგიური სავარჯიშოები

(მოკლე აღწერა)

საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია, ბგერებზე ვარჯიშს წინ უსწრებდეს მარცვლებზე შესასრულებელი სავარჯიშოები.
ჩვენი მიზანია მოსწავლეთა ხშირად გავარჯიშება:
ა) სიტყვაში მარცვლის რაოდენობის ამოცნობაში,
ბ) დამარცვლული სიტყვის მოსმენასა და მარცვლების სიტყვად გამთლიანებაში.
საგანგებოდ ამ მიზნით შემოგთავაზეთ:

1. „სიტყვების სკივრი“
მარცვლებზე სავარჯიშოდ (1, 2, 3):

ხე (1)
ხილი, ხელი (2)
ხეხილი, ფოთოლი. (3)

ბუ (1)
ბუდე, ბადე (2)
ბუნება, ბაყაყი. (3)

კუ (1)
კუდი, კიბე, კატა (2)
კოდალა, კალათა, ურიკა. (3)

ცა (1)
მიწა, ღობე, ვაზი, ტოტი (2)
ატამი, ალუჩა, ლიმონი, ბანანი. (3)

დო (1)
დოლი, დილა, დიდი, დევი (2)
დიდედა, დაბალი, დობილი, დათუნა. (3)

ფა (1)
ფაფა, დაფა, ფეხი, მეფე. (2)
ფაფარი, ზეფირი, ფაფუკი, ფიცარი...(3)

რუ (1),
რუკა (2),
სურათი (3).

და (1),
დაფა (2),
ნაბადი (3)...

* პატარა მოსწავლეებს გაახალისებთ, თუკი თქვენ წარმოთქვამთ სიტყვას, და მათ სთხოვთ, იმდენჯერ დაუკრან ტაში, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში!

2. ასევე, გთავაზობთ მარცვლებზე ვარჯიშის სხვა ნიმუშებსაც:
ა) გამოიცანი დაკარგული მარცვალი!
(მასწავლებელი ამბობს პირველ მარცვალს, მეორე მოსწავლემ უნდა გამოიცნოს და სიტყვა დაასრულოს.)

1. ჩან (თა)
მერ (ხი)
სკა (მი)
ზურ (გი)
ფარ (და)

2. თვა (ლი)
ყუ (რი)
ფე (ხი)
ტა (ნი)
წე (ლი)
თა (ვი)
გუ (ლი)

ბ) სიტყვის მარცვლების გადაადგილება, შეტრიალება (ვიყენებთ ორმარცვლიან სიტყვებს).
მასწავლებელი ამბობს სიტყვას, მოსწავლემ მარცვლები უნდა გადააადგილოს:

თავი – ვითა,
ტანი – ნიტა,
კატა – ტაკა,
ფისო – სოფი,
გოჭი – ჭიგო,
კუდი – დიკუ,
ყური – რიყუ...

ასევე, შესაძლებელია, პირიქით ვარჯიშიც; მასწავლებელი შეაბრუნებს სიტყვის მარცვლებს, მოსწავლემ სიტყვა ამოიცნოს:

ლი ბა (ბალი),
ლო ჟო (ჟოლო),
ტა ტი (ტიტა),
კო სო (სოკო),
დი ქუ (ქუდი),
დი ბუ (ბუდე),
დი ბა (ბადე)....

* კოლეგებო, ამასთან, მთელი წინასაანბანო პერიოდის განმავლობაში გზადაგზა მოწოდებულია სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური სავარჯიშო.
ცხადია, მეორე ეტაპისთვის ასევე შემოთავაზებულია სხვადასხვაგვარი სავარჯიშო ბგერებზე.
მათი მიზანია სიტყვის ხმოვანი ხატის სინთეზი – ანალიზი.
მაგალითისთვის ერთ-ერთს აქაც წარმოგიდგენთ:

* სახალისო აქტივობა – სიტყვის ბგერებად დაშლა-გამთლიანებაზე;
სთხოვეთ მოსწავლეებს:
– ჩაიფიქრე სიტყვა, დაშალე ბგერებად, წარმოთქვი და ვნახოთ, გამოიცნობენ თუ არა თქვენი თანაკლასელები!

ნიმუშები:
თ . ა. თ. ი,
გ. ი. რ. ჩ. ა,
ვ. ა. რ. დ. ი,
კ. ნ. უ. ტ. ი,
წ. ვ. ი. მ. ა,
გ. უ. ბ. ე.
ქ. ო. ლ. გ. ა...

ასევე, სახალისო აქტივობაა:
ნელა, შეყოვნებით დამარცვლეთ სიტყვები, მოსწავლეებმა კი უნდა გაამთლიანონ, სიტყვა ამოიცნონ!

მაგალითად:
ლო. კო. კი. ნა,
ბე. ჰე. მო. თი,
გა. მო. ცა. ნა...

როგორც დასაწყისში მარცვლებზე, ისე შემდეგ ბგერებზეც გზადაგზა მოწოდებულია სათანადო ფონოლოგიური სავარჯიშოები.

წინასაანბანო პერიოდის სამუშაო (ფონემური ცოდნა)

ფონემური ცოდნის შეძენა წინასაანბანო პერიოდში

(სავარჯიშოთა ათი ტიპი)

დრო: ყოველ გაკვეთილზე დაუთმეთ რამდენიმე წუთი.

შესავალი: საუბრის თემა – სიტყვა და ბგერა

მასწავლებელი:
– შეხედეთ ამ ნახატებს და გამოიცანით სიტყვები!
(მიუთითეთ მოსწავლის რვეულის სათანადო გვერდი (გვ. 4), სასურველია, სიტყვისა და ნახატის კავშირის გაცნობიერება ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვებით დავიწყოთ).
მოსწავლეები: ია, ხე, მზე, ბუდე, ჩიტი.
მასწავლებელი:
– თქვენ ხუთივე სიტყვა სწორად დაასახელეთ! ნახატების დახმარებით სიტყვები გამოიცანით!
„ია“ სიტყვაა. დააკვირდით, რა გესმით, როდესაც მე ამ სიტყვას ხმამაღლა ვამბობ? ი ა
როდესაც მოსწავლეები დაშლიან სიტყვას ბგერებად – „ი“ და „ა“, აუხსენით:
„ი“ და „ა“ ბგერებია. სიტყვა ბგერებს აერთიანებს.
სიტყვაში „ია“ ორი ბგერაა და ა.შ.

ზეპირი სავარჯიშო 1. მიზანი – სიტყვაში პირველი ბგერის გამოყოფა

(ვიწყებთ ხმოვნებით)
დასვით შეკითხვა:
რა ბგერაზე იწყება სიტყვა: „ია“? (ი), **„აი“?** (ა), **„ირემი“?** (ი), **„ალი“?** (ა), **„იხვი“?** (ი), **„აივანი“?** (ა)...
მასწავლებელი:

– ახლა გამოიცანით, რა ბგერაზე იწყება სიტყვა:

ა) **ეზო** (ე),
ბ) **ერთი** (ე),
გ) **ორი** (ო),
დ) **ორმო** (ო),
ე) **ურო** (უ),
ვ) **ურემი** (უ)...

(გაიმეორეთ: ა, ი, ე, ო, უ).
(გადავდივართ თანხმოვნებზე) წარმოთქვით სიტყვა **„ცა“** და დასვით შეკითხვა:
– რა ბგერა გესმით „ა“-ს წინ? (ც)
წარმოთქვით სიტყვა „ხე“ და დასვით შეკითხვა:
– რა ბგერა გესმით „ე“-ს წინ? (ხ)
ასევე განაგრძეთ:
– **ჩიტი** (ჩ), **ბუდე** (ბ).
დასვით შეკითხვა:
– **რა ბგერით იწყება სიტყვა „მზე“**? (მ)
ასევე: **მთა, გზა.**
გააგრძელეთ ვარჯიში სიტყვაში პირველი ბგერის გამოყოფაზე;
თუ მოსწავლეებს ამ დავალების მოსმენით შესრულება გაუჭირდებათ, **მოიშველიეთ ნახატები** (მოსწავლის რვეული, გვ. 5), თვალსაჩინო საგნები:
ჩანთა, მერხი, წიგნი, კალამი, დაფა.

მასწავლებელი:
–რა ბგერაზე იწყება სიტყვა: „ჩანთა“? (ჩ) **„მერხი“**? (მ) **„წიგნი“**? (წ) და ა.შ.

ზეპირი სავარჯიშო 2.

ცნობიერდება სიტყვებში პირველი ბგერის იგივეობა

წარმოთქვით სიტყვა, მაგალითად, მზე. (მ)
სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ პირველი ბგერა;
შემდეგ გაიხსენონ, კიდევ რომელი სიტყვა იწყება ამავე ბგერით?
მუთითეთ თვალსაჩინო ნივთები, საგნები საკლასო ოთახში და თან ხმამაღლა ჩამოთვალეთ:
1. – დაფა, წიგნი, სკამი, მერხი.
2. – ჭერი, კედელი, ფანჯარა, მინა.
გაიმეორეთ: მზე, მერხი, მინა.
სამივე სიტყვა „მ“ ბგერაზე იწყება!
შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ სხვა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც „მ“ ბგერით იწყება.
(მიწა, მე, მამა, მაგიდა, მამალი, მელა...)

ზეპირი სავარჯიშო 3

ერთი ბგერის შეცვლა სიტყვასაც შეცვლის!

ცნობიერდება ბგერის (ფონემის) არსი.
განაწყვეთ მოსწავლეები, დააკვირდნენ, რა ძალა ჰქონია ერთ ბგერას!
ჩამოთვალეთ სიტყვები:
ზარი, კარი, დარი, ბარი, ტარი, სარი...
გაამეორებინეთ ეს სიტყვები მოსწავლეებსაც.
აუხსენით მათ, რომ **ერთი ბგერის შეცვლამ სიტყვა შეცვალა.**
მოიშველიეთ ნახატები: (მოსწავლის რვეული, გვ. 8)
ნახ. 1. **ბუ**
ნახ. 2. **კუ**
დასვით შეკითხვა:
ნახ. 1. **გამოიცანით სიტყვა და წარმოთქვით, რომელი ბგერაა პირველი?** (ბ)
ნახ. 2. **რა არის ამ სიტყვის პირველი ბგერა?** (კ)

ნახ. 4, 5 (ბელი) (ბაჭია). **დასვით შეკითხვა:**
–რომელი ბგერით იწყება ეს „სიტყვები“? (ბ).
(დაეხმარეთ: დათვის..., კურდღლის...)

ნახ. 3 (კვიცი). **დასვით შეკითხვა:**
–ეს სიტყვა რომელი ბგერით იწყება? (კ).
(დაეხმარეთ: ცხენის...).

განსამტკიცებელი თამაში ბგერებზე „ბ“ და „კ“
თქვენ მიანიშნეთ სიტყვა, რომელიც უნდა გამოიცნონ და წარმოთქვან:
პატარა ცხოველებს, ფრინველებს ქართულ ენაში შესაფერისი სიტყვებით გამოვხატავთ; სწრაფად დაასახელეთ მათი პირველი ბგერა!
ჩამოთვალეთ:
ა) დათვის... ბ(ელი)
ბ) კურდღლის... ბ(აჭია)
გ) ცხენის... კ(ვიცი)

დ) კატის...კ(ნუტი)
ე) ცხვრის... ბ(ატკანი) ან კ(რავი)
ვ) ჩიტის... ბ(არტყი)

ზეპირი სავარჯიშო 4.

განსხვავებული ბგერის გამორჩევა

მასწავლებელი:
– მოუსმინეთ, რომელი სიტყვა იწყება განსხვავებული ბგერით?
სიტყვათა რიგი ჩამოთვალეთ და დამოუკიდებლად აპოვნინეთ:
1. **ბადე, ბუდე, ბელი, გული.**
2. **თავი, თითი, თმა, თვალი, ხელი.**
3. **ცა, ცივი, ცხელი, წყალი.**
და ა. შ.

დაასახელეთ სიტყვა და იკითხეთ:
– **პირველად რა ბგერა გესმით?** მაგალითად: **დიდი** (დ), **თითი** (თ) და ასე შემდეგ.
დიდი ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებას მჟღერ და ყრუ ბგერებს შორის: ბ – ფ, დ – თ, გ – ქ. ავარჯიშეთ მათ წარმოთქმაში; სიტყვებიც შეაშველეთ:
ბარი ფარი
გორი ქორი
დევი თავი

ბამბა ფაფა
გორგალი ქანქარა

ზეპირი სავარჯიშო 5.

ვივარჯიშოთ სიტყვაში ერთი ბგერის შეცვლასა და ახალი სიტყვის მიღებაზე:

მაგალითები:
ძმა – ხმა
წელი – ხელი
სალამი – კალამი
ბალახი – ტალახი
შესაძლებელია ნახატების გამოყენებაც (გვ. 10) **მასწავლებელი ამბობს სიტყვას, მოსწავლე გამოიცნობს ნახატს. მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა გასარითმია:**

დარდი (ვარდი)
თარო (ტარო)
ქოჩორი (ჩოჩორი)
ქარი (ზარი)
ბასრი (კასრი)
ნაზი (ვაზი)

ე) ვარჯიში პირველი ბგერის გამოკლებით ახალი სიტყვის მიღებაზე:

რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „მგელი“ პირველ ბგერას გამოვაკლებთ? (გელი)
*** შველი** (ველი)
*** ღორი** (ორი)
*** ცალი** (ალი)

*** თავი** (ავი)
*** კვიცი** (ვიცი)
*** გუნდა** (უნდა)

სავარჯიშო 6.

სიტყვაში ბოლო ბგერის გამოყოფა

მასწავლებლის შეკითხვა:
1. რით დასრულდა სიტყვა?
ია / მზე / ბუ / დრო / ბურთი

2. იპოვეთ განსხვავებული ბოლო ბგერა:
ხელი, თავი, თვალი, თმა (ა)
კედელი, ჭერი, ჭაღი, თარო (ო)
ჭია, კალია, კოდალა, კუ (უ)
რკო, წერო, დრო, ბუდე (ე)
მელა, ძერა, ტურა, მგელი (ი)

აუხსენით: **ა, ი, ე, ო, უ ხმოვნებია.** (ხმოვანი ბგერებია)
ქართულ ენაში 5 ხმოვანია.

*** რამდენჯერ გესმით ა ხმოვანი ამ სიტყვაში?**
(თუ გაუჭირდებათ, დამარცვლით მოასმენინეთ).
კარადა, მაგიდა, კალათა, ბარათი...

*** რამდენჯერ გესმით ო ხმოვანი?**
ღობე, გოგონა, გოგრა, გოდორი...

*** რამდენჯერ გესმით ი ხმოვანი?**
ბილიკი, ბიბინი, სირბილი, ქუხილი...

*** რამდენჯერ გესმით ე ხმოვანი?**
ღამე, სახე, ენძელა, მეეტლე...

*** რამდენჯერ გესმით უ ხმოვანი?**
ბუბუნი, ზუზუნი, გუგუნი..

თამაშები ცოდნის განსამტკიცებლად:

ა) საკუთარი სახელების პირველი ბგერა
ყველამ უნდა წარმოთქვას საკუთარი სახელის მხოლოდ პირველი ბგერა.
ბ) ცხოველები დასახელებულ ბგერაზე
მასწავლებელი ასახელებს ბგერას, ბავშვები მოიფიქრებენ ცხოველს:
ჟ (ჟირაფი)
ძ (ძროხა)
თ (თხა)
ლ (ლომი)
ც (ცხვარი) და ა. შ.

გ) სიტყვის გამოცნობა:

• რა უნდა იყოს პირველი ბგერა, სიტყვა რომ გამოვიდეს?

მასწავლებელი ამბობს:	ბავშვები:
–ათვი	**დ**ათვი
–ხუნელა	**თ**ხუნელა
–აზუნა	**ზ**აზუნა
–იანგი	**ნ**იანგი
–ოდალა	**კ**ოდალა
–ულბული	**ბ**ულბული
–აშვი	**შ**აშვი
–ელია	**მ**ელია და ა. შ.

• დ) რა უნდა იყოს ბოლო ბგერა, სიტყვა რომ გამოვიდეს?

კენგურ–	(უ)
მარტორქ–	(ა)
ბეჰემოთ–	(ი)
მიმინ–	(ო)
ყანჩ–	(ა)
პინგვინ–	(ი)
სპილ–	(ო)
ტბ–	(ა)
წყარ–	(ო)
მდინარ–	(ე)
ნაკადულ–	(ი)
რ–	(უ)

ზეპირი სავარჯიშო 7.

სიტყვაში ბგერების დათვლა

მასწავლებელი:
რამდენი ბგერა გესმის?
სთხოვეთ მოსწავლეებს, რამდენი ბგერაც ესმით, იმდენი წერტილი დასვან.

ა (1)
ია (2)
გია (3)
მაია (4)

მე (2)
მზე (3)
ზღვა (4)

აი (2)
ალი (3
ქალი (4)
გალია (5)

სიტყვის ბგერებად დაშლა

მასწავლებელი:	ბავშვები:
ია	ი / ა

გია	გ / ი / ა
მაია	მ / ა / ი / ა
მე	მ / ე
მზე	მ / ზ /ე
ზღვა	ზ / ღ / ვ /ა
მთა	მ / თ / ა
მიწა	მ / ი / წ /ა
გალია	გ / ა / ლ / ი / ა

*** ბგერების სიტყვად გამთლიანება**
მასწავლებელი:
დ / ა
ძ / მ / ა
გ / უ / ლ / ი
თ / ვ / ა / ლ / ი
ბავშვები:
და
ძმა
გული და ა. შ.

ზეპირი სავარჯიშო 8.

სიტყვაში ბგერის შეცვლით ახალი სიტყვის მიღება
მასწავლებელი:
1. **სიტყვაში „ბალი“ ბგერა ლ შევცვალოთ „ღ“ ბგერით.**
რა სიტყვას მივიღებთ? (ბაღი)
2. **სიტყვაში „ნაზი“ ბგერა ნ შევცვალოთ „ხ“ ბგერით.** (ხაზი).

მაგალითები:

ქუდი – კუდი
ტოლი – დოლი
ბუზი – კუზი

ხმოვნის შეცვლა:

ქორი – ქარი
ხელი – ხალი
ცული – ცელი

ზეპირი სავარჯიშო 9.

სიტყვის დამარცვლა (მარცვლების დათვლა)

მასწავლებელი:
– დააკვირდით, ი – ა
სიტყვაში რამდენი ხმოვანიცაა, იმდენი მარცვალია.
ი-ა (2)
მი–წა (2)
ხე (1)
ბუ-ნე-ბა (3)
და (1)
გუ-და (2)
ზღა-პა-რი (3)

მასწავლებელი:
რომელია ამ სიტყვის პირველი მარცვალი?
კიბე
ღობე
კალია
გალია
ბალახი
ტალახი

რომელია ამ სიტყვის ბოლო მარცვალი?
რა გესმით სიტყვის ბოლოს?
მდინარე
ნაკადული
მცენარე
ყვავილი
მინდორი
ღიღილო

ზეპირი სავარჯიშო 10.

მარცვლის გამოცნობა

მასწავლებელი:
– რომელი მარცვალი უნდა დაემატოს ბოლოში, სიტყვა რომ გამოვიდეს?
სავარცხე–(ლი)
ხელოსა-(ნი)
მაკრატე-(ლი)
პატრო-(ნი)
და. ა. შ.

– რა უნდა იყოს პირველი მარცვალი, სიტყვა რომ გამოვიდეს?
(მიანიშნეთ, რომ ტანსაცმელია):

-**ბა** (კა)
-**რანგი** (პე)
-**ყელო** (სა)
-**ჯაკი** (პი)
-**ლათი** (ხა)
და ა. შ.
II. **საუბრის თემა:**
ბგერა– მარცვალი – სიტყვა – წინადადება

1 მასწავლებელი:
– რამდენი ბგერა გესმით? დასვით იმდენივე წერტილი:
ჩიტი ....
– რამდენი მარცვალი გესმით?
დახატეთ იმდენივე რკალი:
ჩი/ტი))

– რამდენი სიტყვა გესმით?
გაავლეთ იმდენივე ხაზი:
ჩიტი —

შემდეგი ნიმუში:
ა) ბეღურა .....
ბეღურა)))
ბეღურა —

2 დასვით შეკითხვა:
– რამდენი სიტყვა გესმით?
და წარმოთქვით:
ბეღურა ჩიტია.
სთხოვეთ მოსწავლეებს, გაავლონ იმდენივე ხაზი.
– –
ბეღურა პატარა ჩიტია.
– – –
აუხსენით:
– სიტყვებით წინადადებას ვადგენთ.
ჰკითხეთ:
– რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში?
პატარა ბეღურა ტოტზე ზის. (4).
ხის წვერზე ჩიტი ზის. (4)
ქარი ხეს არხევს. (3)

3 წაიკითხეთ და დასვით შეკითხვა:
– რამდენი წინადადება მოისმინეთ?
ა) **მზე ამოვიდა. ადამიანებმა გაიღვიძეს.** (2)
ბ) **სახლში სიჩუმეა. ბავშვი იძინებს. მთვარე ოთახს ანათებს.** (3)

სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოყონ წინადადებები მოსმენილი მონათხრობიდან:
წვიმს.
მიწა დასველდა.
ქალი ქუჩაზე გადადის. (3)

დაწერეთ დაფაზე წინადადებები და შეუქმენით მოსწავლეებს წინადადებაზე ვიზუალური წარმოდგენა ერთმანეთისაგან გამოყოფილი სიტყვებისა და წერტილის დახმარებით:

1 2 1 2 3 1 2 3 4 1
ია ყვავილია. ბეღურა პატარა ჩიტია. ჩიტმა ხეზე ბუდე გაიკეთა. წვიმს.
• • / . • • / . • • • / .

ბავშვებს დაათვლევინეთ:
წინადადებების რაოდენობა (4);
წინადადებაში სიტყვების რაოდენობა;
სიტყვაში ასოს (ანუ დაწერილი ბგერის) **რაოდენობა**.

სთხოვეთ, იპოვონ:
მოკლე წინადადება, გრძელი წინადადება.
მოკლე სიტყვა, გრძელი სიტყვა.

წერის წინმსწრები სავარჯიშოები

კოლეგებო!

წინასაანბანო პერიოდში რვეულში გამოსაწერად 27 ტიპის სხვადასხვა სავარჯიშოა (ხაზები/რკალები) მოცემული. სავარჯიშოების გამოწერაზე ვარჯიში წინასაანბანო პერიოდში უნდა დასრულდეს. თემატურ მატრიცაში აღნიშნულია, როდის უნდა გამოწეროს მოსწავლემ ესა თუ ის სავარჯიშო.

რვეულის გვერდებზე (ფურცლის ზედა და ქვედა ნაწილებში) მოცემულია სამხაზიანი ბადე ნიმუშებით. სამივე ბადე ერთი ტიპის სავარჯიშოს დაეთმობა. პირველი ბადე განკუთვნილია კლასში გამოსაწერად, მეორე ბადე – სახლში გამოსაწერად, მესამე ცარიელია. ეს ცარიელი ბადე თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. შესაძლებელია, გავარჯიშების მიზნით, მთელ კლასს ხელმეორედ გამოაწერინოთ ნიმუში ან ინდივიდუალური საჭიროებისთვის დაიხმაროთ.

რვეულში შეხვდებით სახალისო სავარჯიშოებს (გააფერადე, შეაერთე, დააკავშირე), რომლებიც აგრეთვე მოტორიკის უნარის განვითარებას უწყობს ხელს. ეს სავარჯიშოები, რკალების/ხაზების გამოწერასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ასაკის ბავშვებისთვის, რადგან მომავალში წერის ადვილად/უკეთ სწავლა-სწავლების საწინდარია. გაფერადებისას მნიშვნელოვანია, მოსწავლემ არ დაარღვიოს საზღვრები და არ გასცდეს მოცემულ კონტურს. სასურველია, მასწავლებელმა ურჩიოს მოსწავლეებს, რომ გაფერადების დროს ერთი მიმართულებით გაუსვან ფანქრები (უფრო ლამაზად ფერადდება/ერთგვაროვანია).

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ჩაეტევით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ დროში(9 კვირაში), არ იღელვოთ. შესაძლებელია, რომ კლასის საჭიროების გათვალისწინებისა (მრავალრიცხოვანი კლასი; ზოგ მოსწავლეს, სხვასთან შედარებით, მეტი დრო სჭირდება ახალი მასალის ასათვისებლად...) ანდა სხვა გარემოების(მოსწავლეების გაცდენები ვირუსის დროს...) გამო, მოგიწიოთ წინასაანბანო პერიოდის გაგრძელება რამდენიმე დღით (ან ერთი კვირით).

***

I თემის პირველი კვირა დაეთმობა სახალისო სავარჯიშოებს (მოტორიკის თამაშით გავარჯიშება). მეორე კვირიდან დავიწყებთ ხაზების/რკალების გამოწერას.

I კვირა

- სასწავლო წლის პირველი დღე მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ის პირველად ესწრება გაკვეთილს. ამ დღეს მასწავლებელი გაეცნობა მოსწავლეებს, გამოჰკითხავს სახელს, გვარს, გააცნობს საკლასო ოთახს, კლასში/სკოლაში მოქცევის ელემენტარულ წესებს, აუხსნის სასკოლო ნივთების(წიგნი, რვეული კალამი...) გამოყენების წესებს;
- ნახატზე ვაშლების გაფერადება;
- მიიყვანე ბიჭი ვაზთან, გოგონა – ვაშლის ხესთან;
- დახატულია ღრუბელი, მოდის წვიმის გრძელი წვეთები წერტილებით, მოსწავლემ უნდა შეაერთოს და გამოვა გრძელი ხაზი/ მზის სხივები გრძლად და მოკლედ ;
- ფოთლების გაფერადება. ბადის გაცნობა (ბავშვებო, ეს არის ბადე, რომელშიც უნდა ჩაიწეროს ასოები. ბადე სამი ნაწილისგან/"სართულისგან" შედგება: შუა, ზედა და ქვედა სართულებისგან. შუა სართული მოკლეა, ზედა და ქვედა სართულები შედარებით გრძელი. ქართული ასოებიც ასეთია, ბავშვებო, ზოგი მარტო შუა სართულზე იწერება, ზოგი – შუა და ზედა სართულებზე, ზოგი – შუა და ქვედა, ზოგიც – სამივე სართულზე. სანამ ასოების დაწერაზე გადავიდოდეთ, ვივარჯიშებთ და გამოვწერთ ხაზებს/რკალებს. ამ ხაზებს/რკალებს ბადეში გამოწერთ და სამომავლოდ გაგიადვილდებათ ასოების დაწერა.)

II კვირა

სავარჯიშოების თანმიმდევრობა დაცულია მარტივიდან რთულისკენ.

სავ.**N1** – მოკლე ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)

სავ.**N2** – მოკლე ვერტიკალური ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)

სავ.**N3** – გრძელი ვერტიკალური ხაზები – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)

სავ.**N4** – გრძელი ვერტიკალური ხაზები – (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)

სავ.**N5** – მოკლე ჰორიზონტალური ხაზები – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N6** – მოკლე ჰორიზონტალური ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N7** – მოკლე კუთხოვანი ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ. **N8** – მოკლე კუთხოვანი ხაზები (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N9** – ხაზებით თითო პატარა უჯრის შემოხაზვა – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N10** – დახრილი მოკლე ხაზები – (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N11** – დახრილი მოკლე ხაზები – (ხაზებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N12** – გადაჯვარედინებული მოკლე ხაზები (ხაზებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N13** – პატარა ვერტიკალური რკალები ბადის შუა ნაწილში (გახსნილი ნაწილი მარცხნივ)
სავ.**N14**– პატარა ვერტიკალური რკალები ბადის შუა ნაწილში (გახსნილი ნაწილი მარჯვნივ)
სავ. **N**15 – პატარა ჰორიზონტალური რკალები ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე(რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N17** – ორი პატარა გადაბმული რკალი ბადის შუა ნაწილის ზედა (რკალებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N18** – სამი პატარა გადაბმული რკალი ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე (რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N**19 – პატარა რგოლები ბადის შუა ნაწილში (რგოლებს შორის ორი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N20** – დიდი რგოლი ბადის შუა და ქვედა ნაწილში (რგოლებს შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N21** – ასო დ-ს ფეხი ბადის ქვედა ორ უჯრაში („ფეხებს“ შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N22** – ასო ლ-ს ფეხი ბადის ქვედა სამ უჯრაში („ფეხებს“ შორის ერთი უჯრაა გამოტოვებული)
სავ.**N23** – პატარა რგოლი ბადის ზედა ნაწილში, დიდი რგოლი ბადის შუა ნაწილში
სავ. **N**24 – ასო მ-ს დეტალი ბადის ზედა ნაწილიდან
სავ. **N**25 – ასო უ-ს დეტალი ბადის შუა ნაწილის ზედა ხაზზე იწერება
სავ. **N**26 – ასო ჟ-ს დეტალი ბადის შუა ნაწილში იწერება
სავ. **N**27 ასო – ს დეტალი ბადის შუა ნაწილში იწერება.

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გადადგას გარკვეული ნაბიჯები იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ რკალების/ხაზების გამოწერა; მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემით გაუადვილდეთ გამოსაწერი ნიმუშის აღწერა; დაშვებული ხარვეზების გამოსწორება; საკუთარი ნაწერის შეფასება.

ძვირფასო კოლეგებო!

- შეახსენეთ/აუხსენით მოსწავლეებს, რომ სწორად/გამართულად ჯდომა აუცილებელია (ლამაზად წერისთვის/ხერხემლისთვის/სილამაზისთვის...);
- შეახსენეთ, როგორ დაიჭირონ კალამი წერის დროს; არ იჩქარონ; წერონ ლამაზად; არ არის აუცილებელი ბევრი გამოწერონ, მთავარია სწორად/ხარისხიანად და ლამაზად იყოს შესრულებული;
- გადააშლევინეთ მოსწავლეებს რვეული, სადაც გამოსაწერი ნიმუშია;
- დაიწყეთ დაფაზე გამოწერა და აჩვენეთ მოსწავლეებს, ბადის რომელ ნაწილში უნდა დაიწეროს (ზემოთ/შუაში/ქვევით/მთელ სიგრძეზე/ ან პირველ სართულზე/შუა სართულზე/ ზედა სართულზე/გამოტოვებულია ერთი ან ორი უჯრა); გამოსაწერი ხაზი/რკალი;
- აჩვენეთ მიმართულება(ზემოდან ქვემოთ, შუიდან ზემოთ);
- აღწერეთ გამოსაწერი რკალი/ხაზი (გრძელია, მოკლეა,დახრილი ხაზია, გადაჯვარედინებული ხაზებია,რკალი მარჯვნივ იყურება);
- შესამოწმებლად (რამდენად გაიგეს) მოსწავლეებს დაუსვით შეკითხვები;
- ყოველ გაკვეთილზე „მარტივად“ და გასაგებად მიაწოდეთ მოსწავლეებს ინფორმაცია გამოსაწერ რკალებზე/ხაზებზე;
- დააკვირდით თითოეულ მოსწავლეს (მიუახლოვდით), დაეხმარეთ (საჭიროების შემთხვევაში), გაამხნევეთ, შეაქეთ, შეაფასეთ;

- შეფასებისას თუ რაიმე ხარვეზს შეამჩნევთ, ჯერ შეაქეთ („ყოჩაღ, ძალიან კარგად გამოგდის“, „აი, ეს კარგად გამოგსვლია, აბა, კიდევ ერთხელ სცადე“ და ა.შ.), შემდეგ კი თუ თავად მოსწავლემ ვერ შეძლო გამოსწორება, ურჩიეთ, როგორ გამოასწოროს ან გააუმჯობესოს;
- მესამე თემის დროს ასოების დეტალების გამოწერა იწყება. ამ დროს მიაქცევინეთ ყურადღება კედელზე გამოკრულ ანბანზე და დასვით შეკითხვა: ბავშვებო, დააკვირდით ასოებს და მაჩვენეთ/დაასახელეთ, რომელი ასოს ნაწილს ჰგავს გამოსაწერი ასო?

მოსწავლე

- ჯერ უსმენს მასწავლებელს;
- პასუხობს კითხვებს;
- ჯერ აუცილებლად აღწერს იმას, რაც გამოსაწერია და შემდეგ გამოწერს;
- აღწერისას მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება შეკითხვების დასმით;
- მასწავლებლისგან იგებს, იმახსოვრებს და სწავლობს, თუ როგორ უნდა აღწეროს გამოსაწერი რკალი/ხაზი (მასწავლებლის მიერ აღწერილი გამოსაწერი ხაზი/რკალი მოსწავლისთვის იქნება ნიმუში);
- იწყებს გამოწერას;
- ცდილობს, გამოასწოროს გამოწერისას დაშვებული ხარვეზი;
- ცდილობს, შეაფასოს თავისი ნამუშევარი, რაშიც მასწავლებლისგან ნასწავლი აღწერის ნიმუში გამოადგება.

საანბანო ნაწილის სარეკომენდაციო კურიკულუმის ნიმუში

წინასაანბანო პერიოდში მუშავდება სამი სამიზნე ცნება:

1. ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
2. სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)
3. დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6).

	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ასო, ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
თემა **ბავშვი და გარემო**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ტექსტი. **ქვესაკითხები**: მოთხრობა „ლურჯი ია და მაიას“ ერთი მონაკვეთი, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟი.	მოთხრობა – „ლურჯი ია და მაია“ – მონაკვეთის დახატვა/ გამოძერწვა.	ასოები – „ი“ და „ა“. „ლურჯი ია და მაია“. კონტექსტმაგალითები: იის ილუსტრაცია. ია – აღწერა (ი. გოგებაშვილი) თოჯინური ფილმი „ბომბორა სწავლას იწყებს“. https://www.youtube.com/watch?v=DaKIBO_8XhY	სახელმძღვანელო – გვ. 30; გვ.136. მასწავლებლის წიგნი – გვ. 183 კონტექსტმაგალითები იის ილუსტრაცია. ია – აღწერა (ი. გოგებაშვილი) თოჯინური ფილმი „ბომბორა სწავლას იწყებს“. https://www.youtube.com/watch?v=DaKIBO_8XhY ტექსტის მონაკვეთების ამსახველი ილუსტრაციები.
	სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება**: დაწერილი სიტყვა, ასო. **ქვესაკითხები**: ასოების, „ი“-ს და „ა“- ს ამოცნობა, მათი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში. სიტყვის წერილობითი ხატის ანალიზი და სინთეზი.	წიგნის ყდის გაფორმება ილუსტრაციით და სათაურით „აი ია“.	**კონტექსტმაგალითები**: წიგნების ყდების ნიმუშები. მოსწავლის რვეული – გვ. 58.	**კონტექსტმაგალითები**: წიგნების ყდების ნიმუშები. მოსწავლის რვეული – გვ.58. „ი“-სა და „ა“-ზე დაწყებული სიტყვების ილუსტრაციები. სავარჯიშოები მოსწავლის რვეულში – გვ.59
			ასო „თ“. ი. გოგებაშვილის – „ხუთი თითი“.	სახელმძღვანელო – გვ.32 მასწავლებლის წიგნი – გვ. 183
			ასო „ს“. ნ. დუმბაძის „საათი“.	სახელმძღვანელო – გვ.34 მასწავლებლის წიგნი – გვ. 184
			ასო „ხ“. ი. გოგებაშვილის „ჯიუტი თხები“.	სახელმძღვანელო – გვ.36 მასწავლებლის წიგნი – გვ. 184

	სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება**: აღწერა. **ქვესაკითხები**: აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/ აგებულება: ნიშან-თვისებების (ზომის, ფორმის, ფერის) და ადგილის (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან) აღმნიშვნელის სიტყვები.	ჩემი საყვარელი წელიწადის დრო – საკუთარ ნახატზე დაყრდნობით აღწერა.	ასო „ო“. გ. წერეთლის „ოთხი დრო“. კონტექსტმაგალითები: წელიწადის ოთხი დრო (ილუსტრაციები).	სახელმძღვანელო – გვ. 38 მასწავლებლის წიგნი – გვ. 184 **კონტექსტმაგალითები:** წელიწადის ოთხი დრო (ილუსტრაციები). https://www.youtube.com/watch?v=hOJLANpzyUY ყუთში მოთავსებული ილუსტრაციები (ენძელა, ნაძვის ხე, ჩურჩხელა, ყურძენი, ფიფქი, ია, საზამთრო, თოვლის პაპა, ციგა...). ილუსტრაციები – მოსწავლის წიგნი (გვ. 4-24) აღსაწერი სურათები (მოსწავლის წიგნი – გვ.132)
			ასო „ე“. მ. წიკლაურის „ნაძვი“.	სახელმძღვანელო – გვ.40 მასწავლებლის წიგნი – გვ. 184
			ასო „უ“. ნ. კუპრავას „ნუცას უთო“.	სახელმძღვანელო – გვ. 42 მასწავლებლის წიგნი – გვ. 185
			ასო „ძ“. ც. ქიტიაშვილის „მარხილი“. ვ. გულეურის „მგელი“ (ნაწყვეტი).	სახელმძღვანელო – გვ.44 მასწავლებლის წიგნი – გვ. 185
			ასო „მ“. გ. ჭიჭინაძის „ნამი“.	სახელმძღვანელო – გვ. 46 მასწავლებლის წიგნი – გვ. 186
	სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნებები**: დაწერილი სიტყვა, ასო. **ქვესაკითხები**: ასოები – ი, ა, თ, ს, ხ, ო, ე, უ, ძ, მ. ამ ასოებისგან შედგენილი სახელები, მისი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში.	დაბადების დღის პოსტერის შექმნა რვეულში.	შესწავლილი ასოები – ი, ა, თ, ს, ხ, ო, ე, უ, ძ , მ.	

თემა **ბუნების შვილები**	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ასო, ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
	სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) **სამიზნე ცნება:** დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)		ასო „შ“. მ. წიკლაურის „შაშვი“.	სახელმძღვანელო – გვ.50 მასწავლებლის წიგნი – გვ. 186
			ასო „კ“. ც. ტურაშვილის „გაზაფხულდა, ჩიტუნები...“	სახელმძღვანელო – გვ.52 მასწავლებლის წიგნი – გვ. 186
			ასო „ვ“. ვიტვიტა და ბათურა.	სახელმძღვანელო – გვ.54 მასწავლებლის წიგნი – გვ. 186
			ასო „ფ“. ი. გოგებაშვილის „სავარცხლიანი ოფოფი“.	სახელმძღვანელო – გვ.56 მასწავლებლის წიგნი – გვ. 187
			ასო „ნ“. გ. ჭიჭინაძის „ამანათი“. კუს ოინი. ეზოპეს „კურდღელი და კუ“.	სახელმძღვანელო – გვ.58 მასწავლებლის წიგნი – გვ. 187
			ასო „ზ“. გაზაფხული მოდის.	სახელმძღვანელო – გვ.60 მასწავლებლის წიგნი – გვ. 188
			ასო „რ“. ეზოპეს „ირემი“.	სახელმძღვანელო – გვ.62 მასწავლებლის წიგნი – გვ. 189
			ასო „ჩ“. ი. გოგებაშვილის „დიდი და მშვიდი კამეჩი“.	სახელმძღვანელო – გვ.64 მასწავლებლის წიგნი – გვ. 189
			ასო „დ“. მინდორში.	სახელმძღვანელო – გვ.66-67 მასწავლებლის წიგნი – გვ. 189
			ასო „ღ“. მ. ზაზიკაშვილის „ზაზა და ღრუტუნა“.	სახელმძღვანელო – გვ.68 მასწავლებლის წიგნი – გვ. 190
	სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება**: ასო, დაწერილი სიტყვა, დაწერილი წინადადება. **ქვესაკითხები**: ასო „ლ“. ამ ასოსგან შედგენილი მარცვლები, სიტყვები; ლ ასოს ნაწილები; სიტყვებს შორის შუალედი; წერტილი.	ილუსტრირებული ანბანის გვერდის შექმნა „ლ“ ასოზე;	ასო „ლ“. ი. გოგებაშვილის „ყურცქვიტა კურდღელი“. ლომა და ზოლიანი ხალიჩა. კონტექსტმაგალითები: ანბანის ნიმუშები (მათ შორის – ილუსტრირებულის).	სახელმძღვანელო – გვ.70-71 მასწავლებლის წიგნი – გვ. 190 **კონტექსტმაგალითები**: ანბანის ნიმუშები (მათ შორის – ილუსტრირებულის). ბასტი-ბუბუს ანიმაცია: ლოკოკინა. https://www.youtube.com/watch?v=ggghiUj_mCI როგორ დავწეროთ ასო ლ? https://www.youtube.com/watch?v=ggghiUj_mCI ლ ასოზე დაწყებული სააგნების ილუსტრაციები ქამაბუკი http://ncp.ge/ge/saganmanatleblo-tamashebi/qamabuki-988 სავარჯიშოები მოსწავლის რვეულში – გვ.86-87

			ასო „ქ“. ი. გოგებაშვილის „კაკანა ქათამი“. „ქორი“, ხალხური. ქეთო და ქორი.	სახელმძღვანელო – გვ.72 მასწავლებლის წიგნი – გვ. 191 სახელმძღვანელო – გვ.73
			ასო „გ“. გემი და სამი თოლია.	სახელმძღვანელო – გვ.74-75 მასწავლებლის წიგნი – გვ. 191
	სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: ზღაპარი **ქვესაკითხები**: „ბაიას ზღაპრის“ თემა, დედააზრი, ახალი სიტყვები, სიუჟეტი, მინიშნებები, პერსონაჟები. ამბის თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა.	ზღაპრის გაგრძელება საკუთარი ნახატის/ნაძერწის მიხედვით.	ასო „ბ“. ი. გოგებაშვილის „ბუდე“. ედიშერ ყიფიანის „ბაიას ზღაპარი“. კონტექსტმაგალითები: ფრინველების ილუსტრაციები ან ვიდეობმული. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბაღის ფრინველები – YouTube სკვინჩა, ბოლოქანქარა, მერცხალი, ბეღურა – ილუსტრაციები ან ვიდეობმული https://www.youtube.com/watch?v=dwRFZNzlWNI	სახელმძღვანელო – გვ.76 მასწავლებლის წიგნი – გვ. 191-92 **კონტექსტმაგალითები**: ფრინველების ილუსტრაციები ან ვიდეობმული. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბაღის ფრინველები – YouTube სკვინჩა, ბოლოქანქარა, მერცხალი, ბეღურა – ილუსტრაციები ან ვიდეობმული https://www.youtube.com/watch?v=dwRFZNzlWNI სიტყვის სკივრი. ფრინველების ხმები. https://www.youtube.com/watch?v=FdqUVM9pTek მოვლენების ჯაჭვი. პერსონაჟის სქემა. ამბის სამნაწილიანი ჩარჩო – დასაწყისი – შუა ნაწილი – დასასრული. როგორ დავხატოთ ჩიტი. https://www.youtube.com/watch?v=el-8phc_IkQ
			ასო „პ“. ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ – „პეპელა და ფუტკარი“. დაკარგული ხბო.	სახელმძღვანელო – გვ.78-79 მასწავლებლის წიგნი – გვ. 192
			ასო „ყ“. ყვითელი ყვავილები.	სახელმძღვანელო – გვ. 80-81
			ასო „ც“. შიო მღვიმელის „პაწია მერცხალი“.	სახელმძღვანელო – გვ.82 მასწავლებლის წიგნი – გვ. 193
			ასო „ტ“. საქართველოს ტბები. მ. მრევლიშვილის „მატიტელა“	სახელმძღვანელო – გვ.84-85 მასწავლებლის წიგნი – გვ. 193
			ასო „წ“. მ. მრევლიშვილის „წერო“. ერთგული ფისო.	სახელმძღვანელო – გვ.86-87 მასწავლებლის წიგნი – გვ. 194
			ასო „ჭ“. ი. გოგებაშვილის „კაჭკაჭი და კრუხი“.	სახელმძღვანელო – გვ.88

	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ასო, ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
	სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) **სამიზნე ცნება:** დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6)		ასო „ჯ“. შეჯიბრების მოლოდინი.	სახელმძღვანელო – გვ.90-91
			ასო „უ“. „ჟუჟუნა წვიმა.“ „ქართული ნაგაზი“. სანდრო და ქართული ნაგაზი.	სახელმძღვანელო – გვ.92-93 მასწავლებლის წიგნი – გვ. 194
	სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: ზღაპარი **სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე). შედეგები (I) 4, 5, 6. **ქვეცნება**: თხრობა. **ქვესაკითხები**: ლექსის თემა, შინაარსობრივი მხარე, გრძნობების გამომხატველი სიტყვები, ამბის სამნაწილიანი სგტრუქტურა.	ჩემი სამშობლოს მთა-ბარი – ნახატის შექმნა წარმოსახვით და ამბის თხრობა.	ასო „ჰ“. ჯ. ჩარკვიანის „სიმღერა მამულზე“. ლელა მანგოშვილის „პატარა ქართველების გამარჯვება“. **კონტექსტმაგალითები**: საქართველოს ბუნების ამსახველი სურათები (მთა, წყარო, ყვავილები...). ვიდეობმულები: https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhql https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhql	სახელმძღვანელო – გვ.94 მასწავლებლის წიგნი – გვ. 195 **კონტექსტმაგალითები**: საქართველოს ბუნების ამსახველი სურათები (მთა, წყარო, ყვავილები). ვიდეობმულები: https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhql https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhql სიტყვის რუკა – სამშობლო. საქართველოს ჰიმნი – ანსამბლი „მართვე“ (imedi.ge) ციდან დანახული საქართველო https://www.youtube.com/watch?v=vcly8jLSp-w
	სამიზნე ცნება: დეკოდირება – კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება**: სიტყვის გრაფემული ხატი. **სამიზნე ცნება:** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება**: აღწერა **ქვესაკითხები**: ასო, ბგერა, სიტყვა, წინადადება, მოსწავლის მიერ დახატული საგნის აღწერა ნიშან-თვისებების (მაგ: ფერის, ფორმის, ზომის) აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით.	სურათებიანი ლექსიკონის გვერდის შექმნა.	შესწავლილი ასოები. **კონტექსტმაგალითები**: ლექსიკონების ნიმუშები (მათ შორის – სურათებიანი ლექსიკონის).	**კონტექსტმაგალითები**: ლექსიკონების ნიმუშები (მათ შორის – სურათებიანი ლექსიკონის). ნახატები და სავარჯიშოები მოსწავლის რვეულში – გვ.99-101. ცხოველების, ფრინველების, ყვავილების სურათები.

საანბანო პერიოდის მატრიცის დეტალიზებული დანართები

თემა: ბავშვი და გარემო

ასოები „ი“ და „ა“

შუალედური მიზანი – მოთხრობა „ლურჯი ია და მაიას“ მონაკვეთის დახატვა/გამოძერწვა. მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ტექსტი	**საკითხი**: მოთხრობა – „ლურჯი ია და მაია“ – მონაკვეთის დახატვა/გამოძერწვა. **ქვესაკითხები:** მოთხრობა „ლურჯი ია და მაიას“ ერთი მონაკვეთი, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟი. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ, რა ხერხების გამოყენებით წარმოვაჩინო ჩემ მიერ დახატული/გამოძერწილი მონაკვეთით ტექსტის გაგება? რატომ ავირჩიე ეს მონაკვეთი? **კომპლექსური დავალება** – მოთხრობის მონაკვეთის დახატვა/გამოძერწვა. დახატე/გამოძერწე მოთხრობის („ლურჯი ია და მაია“) ის მონაკვეთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა. ნახატი დაასათაურე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გაგება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რით უკავშირდება შენი ნახატი ტექსტის მონაკვეთს, რა მინიშნებები გამოიყენე ნახატის შესაქმნელად (ტ. 1, 2, 3); ✓ რით არის ეს მონაკვეთი შენთვის საინტერესო, რას გახსენებს იგი (ტ. 1); ✓ რომელი სიტყვა ან სიტყვები მოგეწონა ამ მონაკვეთში ყველაზე მეტად. რატომ დაასათაურე ასე (ტ. 3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.

რესურსი 1. თოჯინური ფილმი „ბომბორა სწავლას იწყებს“ https://youtu.be/DaKIBO_8XhY (მონაკვეთების ილუსტრაციები).

აქტივობა 1. თოჯინური ფილმის – „ბომბორა სწავლას იწყებს – ჩვენება და ილუსტრაციების მიხედვით მონაკვეთების ამოცნობა.

- რას ხედავთ პირველ ნახატზე? ეს არის პირველი მონაკვეთი.
- დააკვირდით მეორე ნახატს? რა მოინდომა ბომბორამ? ეს უკვე მეორე მონაკვეთია.
- რატომ უსაყვედურა მეეზოვემ მესამე მონაკვეთში? რა ეწერა განცხადებაში? რატომ ვერ წაიკითხა ბომბორამ?
- რა მოხდა მეოთხე მონაკვეთში, რატომ უკბინა ძაღლმა ბომბორას? შეიძლება ნებართვის გარეშე სხვის ეზოში შესვლა და ვაშლის მოწყვეტა?
- გაიხსენეთ შემდეგი მონაკვეთი, რა აჩვენა გოგონამ, რა ეწერა ჭიშკარზე? შეძლო ბომბორამ წაკითხვა?
- დააკვირდით მეექვსე მონაკვეთს. რატომ აღმოჩნდა ბომბორა კარის ქვეშ?
- მეშვიდე მონაკვეთში რა შესთავაზა გოგონამ ბომბორას?
- როგორ მოიქცა ბომბორა მერვე მონაკვეთში და რა უთხრა გოგონას?
- ყველაზე მეტად რომელი ადგილი, რომელი მონაკვეთი მოგეწონა, მხატვარი რომ იყო, რომელს დახატავდი?
- როგორ ამოიცანით მონაკვეთები? (ნახატების დახმარებით)
- სწორედ ასე უნდა გამოიცნოთ ახალი მოთხრობის – „ლურჯი ია და მაია“ – მონაკვეთები და ერთ-ერთი დახატოთ.

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- შეგისრულებიათ თუ არა მსგავსი ტიპის დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის გასაგებად?
ქვესაკითხები: მონაკვეთი, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟი.

ტექსტი/რესურსი
რესურსი 1. ია – ილუსტრაცია წიგნიდან. (მოსწავლის წიგნი გვ. 28)

რესურსი 2. ია (აღწერა – იაკობ გოგებაშვილი) მასწავლებლის წიგნი გვ. 265, მოსწავლის რვეული გვ. 56.

აქტივობა 1. ნახატის მიხედვით იის აღწერა.
აქტივობა 2. შემეცნებითი ტექსტის წაკითხვა მასწავლებლის მიერ.
აქტივობა 3. ახალი სიტყვების დამუშავება (ყლორტი, ღერო, ფესვი.)

- როდის ამოდის ია? რას უწოდებენ მას?
- სად აქვს ფესვები იას?
- რა არის ფესვებზე ამოსული? ღეროზე?
- როგორი სურნელი აქვს იას?
- რა ფერის არის მისი ყვავილი? გული რა ფერის აქვს? ფოთლები?

რესურსი 3. მოსწავლის წიგნი (გვ.136) მოთხრობის ტექსტი: „ლურჯი ია და მაია“.

ლურჯი ია და მაია

ლელა მანგოშვილი

მაიას დიდედამ ლურჯყვავილებიანი კაბა შეუკერა.
გოგონას კაბა ძალიან მოეწონა, დიდედას ჩაეხუტა, მადლობა გადაუხადა
და ჰკითხა:
– დიდედა, რა ჰქვია ამ ლამაზ ყვავილს, ჩემს კაბაზე რომ ხატია?
– შვილო, ეს არის ია, ტყეში ამოდის და გაზაფხულის მოსვლას გვახარებს.
მაიამ დიდედის ნათქვამი დაიმახსოვრა და გაზაფხულზე პაპას სთხოვა, ტყეში წაეყვანა.
იქ გოგონამ ძალიან ბევრი ლურჯი ია ნახა, სწორედ ისეთი, როგორიც მის კაბაზე იყო
დახატული. გახარებული ხან ერთ ყვავილთან მირბოდა, ხან – მეორესთან.
გადაწყვიტა, მოეკრიფა და დიდედისთვის ეჩუქებინა.
შეშინებულმა იამ კანკალი დაიწყო, თავი მორცხვად დახარა და კიდევ უფრო დაპატარავდა.
– ნახე,როგორ შეეშინდა, მიხვდა, რომ უნდა მოწყვიტო. რამდენიმე დღე იცოცხლებს,
მერე კი გახმება, არ გეცოდება? – ჰკითხა პაპამ გოგონას.
– აბა, დიდედას როგორ მივუტანო ია?– მოიწყინა მაიამ.
– მოდი, ყვავილების მაღაზიაში წავიდეთ და ქოთანში ჩარგული ია ვუყიდოთ – შესთავაზა პაპამ.
– რა კარგია, პაპიკო! წავიდეთ! – სიხარულით ხტუნავდა გოგონა.
მაღაზიაში ქოთანში ჩარგული ძალიან ბევრი ყვავილი იყო.
უცებ მაიამ ლურჯი ია დაინახა და ხმამაღლა შესძახა:
– პაპიკო, შეხედე, აი, ია!
გამყიდველმა გოგონას გაუღიმა და ქოთანში ჩარგული ია მისცა.
გახარებულმა მაიამ პაწაწინა ხელები შემოხვია ქოთანს და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა დიდედასთან.

აქტივობა 4. სათაურზე და ნახატებზე დაკვირვებით ვარაუდების გამოთქმა.
- როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ეს მოთხრობა? საიდან მიხვდით?

აქტივობა 5. ტექსტის პაუზებით წაკითხვა, ვარაუდების გამოთქმა, კითხვა-პასუხი:
პაუზა 1.... გაზაფხულზე პაპას სთხოვა, ტყეში წაეყვანა.
პაუზა 2.... გადაწყვიტა, მოეკრიფა და დიდედასთვის ეჩუქებინა.
პაუზა 3.... აბა, დიდედას როგორ მივუტანო ია?– მოიწყინა მაიამ.
პაუზა 4.... მაღაზიაში ქოთანში ჩარგული ძალიან ბევრი ყვავილი იყო.
გეზისმიმცემი შეკითხვები:

პირველი პაუზა:
- როგორი კაბა შეუკერა დიდედამ მაიას?
- როგორ გამოხატა გოგონამ მადლიერება?
- რა ჰკითხა მაიამ დიდედას? რით დაინტერესდა?
- რა უპასუხა დიდედამ, რის მოსვლას გვახარებს ია?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ, წაიყვანს პაპა მაიას ტყეში?

მეორე პაუზა:
- რა ნახა მაიამ ტყეში? მითხარით, როგორი განწყობა დაეუფლა იების დანახვაზე?
- რა გადაწყვიტა გოგონამ? ვისთვის უნდოდა იების მირთმევა?
- რატომ დაიწყო იამ კანკალი?
- რა რჩევა მისცა პაპამ გოგონას? მოგწონთ პაპის რჩევა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?

მესამე პაუზა:
- რატომ მოიწყინა გოგონამ?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით, მაიას ადგილზე რომ ყოფილიყავით? მოწყვეტდით იებს?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?

მეოთხე პაუზა:
- რა შესთავაზა პაპამ მაიას? მოეწონა გოგონას მისი რჩევა? რატომ მოეწონა?
- იპოვეს მაღაზიაში ქოთანში ჩარგული ლურჯი ია? რა ქნა მაიამ?
- თქვენ გაქვთ სახლში ქოთნის ყვავილები? როგორ უვლით მათ?
- რა ისწავლეთ ამ მოთხრობიდან? რატომ არის მნიშვნელოვანი, გავუფრთხილდეთ ბუნებას და ვიზრუნოთ მშვენიერ ყვავილებზე, ხეებზე, მცენარეებზე?

აქტივობა 6. ტექსტის წაკითხვა მხატვრულად, მასწავლებლის მიერ.

ნაბიჯი 2. რით უკავშირდება შენი ნახატი ტექსტის მონაკვეთს, რა მინიშნებები გამოიყენე ნახატის შესაქმნელად (ტ. 1, 2, 3).

რით არის ეს მონაკვეთი შენთვის საინტერესო, რას გახსენებს იგი (ტ. 1) რომელი სიტყვა ან სიტყვები მოგეწონა ამ მონაკვეთში ყველაზე მეტად და რატომ (ტ. 3).

ქვესაკითხები: მონაკვეთი, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟი.

რესურსი 5. მონაკვეთების ამსახველი ილუსტრაციები (მოსწავლის რვეული გვერდი 57 – 1. დიდედა და მაია ლურჯყვავილებიანი კაბით; 2. პაპა და მაია ყვავილების მაღაზიაში; 3. მაია იებით მოფენილ ტყეში).

აქტივობა 7. მოსწავლეები თანამიმდევრობით დანომრავენ მონაკვეთების ნახატებს და პატარა ამბავს გადმოსცემენ.

აქტივობა 8. საუბარი პერსონაჟების შესახებ.

აქტივობა 9. პერსონაჟის განცდები/გრძნობები – მონაკვეთების ამსახველი ნახატების ქვეშ მოსწავლეები დახატავენ ღიმილის კაცუნას, როცა მაია გახარებულია, როცა მოწყენილია – მოწყენილ კაცუნას.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას ხედავთ პირველ ნახატზე? რომელ გარემოში/სად არიან მაია და დიდედა? მომიყევით, რა მოხდა ამ მონაკვეთში? **(აქტ.7)**
- რომელი იქნება შემდეგი ნახატი, სწორად არის მოცემული რვეულში მეორე მონაკვეთი? რატომ ფიქრობ ასე? (არ არის, რადგან ჯერ ტყეში წავიდნენ მაია და პაპა, სულ ბოლოს კი – ყვავილების მაღაზიაში) ნახატს დააწერეთ შესაბამისი ციფრი.
- გაიხსენეთ, რა მოხდა მესამე მონაკვეთში (მაიამ გადაწყვიტა იების მოკრეფა...) მომიყევით, რატომ გადაიფიქრა?
- რომელია ამბის ბოლო მონაკვეთი? რატომ ფიქრობ ასე?
- რის მიხედვით დაალაგე ნახატები თანმიმდევრულად?
- როგორი ადამიანია დიდედა? პაპა? (მოსიყვარულე, კეთილი, მზრუნველი) საიდან ჩანს? **(აქტ.8)**

- როგორი გოგონაა მაია? საიდან ჩანს, რომ ის ყურადღებიანია? (დაიმახსოვრა, რომ ია გაზაფხულზე ამოდის.)
- საიდან ჩანს, რომ მოსიყვარულე და მზრუნველია? (გადაწყვიტა დიდედისათვის იების მირთმევა.)
- როგორი გოგონაა მაია, დამჯერი თუ ჯიუტი? საიდან ჩანს? (მან პაპას დაუჯერა, არ მოწყვიტა ია და ქოთნის ყვავილის ყიდვა გადაწყვიტა.)
- კიდევ რა თვისება ჩანს, როცა მან ია არ მოწყვიტა? (გაუფრთხილდა ბუნებას.)
- სწორად მოიქცა მაია? თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილზე? ხომ არ გახსენდებათ მსგავსი ამბავი, რომელიც თქვენ გადაგხდათ თავს?
- როგორი განცდა აქვს გოგონას პირველ ნახატზე? მოწყენილია თუ გახარებული? რატომ? მეორეზე? მესამეზე? მეოთხეზე? **(აქტ. 9)**

აქტივობა 10. კომპლექსური დავალების შესრულება: მოსწავლეები დახატავენ ამბის შერჩეულ მონაკვეთს, წარადგენენ და ნახატებს გამოფენენ საკლასო გალერეაში.

- ყველაზე მეტად რომელი მონაკვეთი მოგეწონა? დიდედამ მაიას ლურჯყვავილებიანი კაბა შეუკერა? პაპა და მაია ტყეში არიან? შეშინებული ია? მაია და პაპა ყვავილების მაღაზიაში?
- რით უკავშირდება ეს მონაკვეთი შენს პირად გამოცდილებას, ხომ არ გაგახსენდა მსგავსი ამბავი?
- რით არის ის შენთვის საინტერესო? რომელ მონაკვეთს დახატავ/გამოძერწავ?
- ამ მონაკვეთში რომელი სიტყვა ან გამოთქმა მოგეწონა ყველაზე მეტად?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად შესწავლილი ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთია?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას? (მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ქოთნის ყვავილზე, რომლის ჩუქებით შეიძლება დიდი სიხარული მიანიჭოს სხვას; სახლში ჰქონდეს ქოთნის ია და მოუაროს...)
- რის თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რის მიხედვით შეარჩიე ეს მონაკვეთი, რატომ მოგეწონა, რით იყო ის შენთვის საინტერესო?
- ამოიცნობენ თუ არა მნახველები, ტექსტის რომელი მონაკვეთი გაქვს შერჩეული?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი – თემა: ბავშვი და გარემო

ასოები „ი“ და „ა“

შუალედური მიზანი – წიგნის ყდის გაფორმება.
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედურო სასწავლო მიზანი**
დეკოდირება-კოდირება **(შედეგები: (I). 2, 4, 6)** **ქვეცნებები:** დაწერილი სიტყვა, ასო	**საკითხი:** წიგნის ყდის გაფორმება ილუსტრაციით და სათაურით „აი ია“. **ქვესაკითხები**: ასო „*ი*“-ს *და ასო* „*ა*“-ს *ამოცნობა*, მათი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში. სიტყვის წერილობითი ხატის ანალიზი და სინთეზი. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გავაფორმო წიგნის ყდა, როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოს ცოდნა? როგორ გამოვწერო სიტყვები? როგორ გამოვწერო წინადადება? **კომპლექსური დავალება** – წიგნის ყდის გაფორმება ილუსტრაციით და წარწერით. წარმოიდგინე, რომ ხარ ილუსტრატორი და გააფორმე წიგნის ყდა, დახატე ია და გაუკეთე სათაური: „აი ია.“
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს – წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რომელ ბგერას გამოხატავს ახლად ნასწავლი ასო (დ.1); ✓ რა ნაწილებისგან შედგება გამოწერილი ასოები და ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება (დ. 2); ✓ რამდენი ასოსგან შედგება გამოწერილი სიტყვა; რომელია ეს ასოები (დ. 1); ✓ რამდენი სიტყვაა შენ მიერ გამოწერილ წინადადებაში; ახსენი, საიდან ხვდები (დ. 3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

რესურსი 1. მოსწავლის რვეული – გვ. 58 წიგნების ყდის ნიმუშები.

აქტივობა 1. წიგნის ყდების ნიმუშებზე დაკვირვება.
- გავიხსენოთ, რა არის ილუსტრაცია?
- ხომ არ იცით, ვის უწოდებენ ილუსტრატორებს?
- თქვენი აზრით, მოცემული ნიმუშებიდან რომელია წიგნის ყდა? რატომ ფიქრობთ ასე?
- რატომ არ არის მესამე ნიმუში წიგნის გარეკანი? რა აკლია მას?
- რა უნდა იყოს აუცილებლად წიგნის ყდაზე?
- სად არის წარწერა (ასო) სად არის ნახატი, ილუსტრაცია? რატომ არის შერჩეული ეს ნახატები?

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? რა უნდა გააფორმოთ ნახატით და სათაურით?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რომელ ბგერას/ბგერებს გამოხატავს ახლად ნასწავლი ასო/ასოები (დ.1).
რა ნაწილებისგან შედგება გამოწერილი ასოები და ბადიანი სტრიქონის რომელ (ზედა, ქვედა, შუა) უჯრებში იწერება (დ. 2).
ქვესაკითხები: ასო „ი“-ს და ასო „ა“-ს ამოცნობა, მათი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში. სიტყვის წერილობითი ხატის ანალიზი და სინთეზი.

რესურსი 1. მოსწავლის რვეული გვ. 58 – „ი“-ზე და „ა“-ზე დაწყებული სიტყვები (ირემი, ია, ატამი, აქლემი).

აქტივობა 1. „ი“-ზე და „ა“-ზე დაწყებული სიტყვების ამოცნობა, ბგერებად, მარცვლებად დაშლა და სიტყვებში შესასწავლი ასოს ადგილმდებარეობის დადგენა/გაცნობიერება. (მაგ., სიტყვაში მერამდენე ბგერაა ა, ი, რომელია მისი წინა/მომდევნო ბგერა (ირემი ია, ატამი, აქლემი).

აქტივობა 2. თამაში – „იპოვე ზედმეტი“ – რომელი სიტყვა არღვევს კანონზომიერებას? (ყველა სიტყვაში სამი მარცვალია, მხოლოდ ერთშია ორი) როცა იპოვიან, ამის შემდეგ უჯრებში ჩაწერენ მარცვლების რაოდენობას.

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 59 – სიტყვათა ჩამონათვალი

მოძებნე: ა	მოძებნე: ი
თავი	გული
თივა	თბილი
ბარათი	თეთრი

აქტივობა 3. ახალ ასოზე „ნადირობა“ – ი და ა ასოების პოვნა სიტყვათა ჩამონათვალში და შემოხაზვა.

რესურსი 3. მოთხრობის სათაური – „ლურჯი ია და მაია“ – მოსწავლის წიგნი. გვ. 136 ან დაფაზე დაწერილი.

აქტივობა 4. „ი“ და „ა“ ასოების ამოცნობა და დათვლა მოთხრობის სათაურში.

რესურსი 4. „ი“ და „ა“ ასოების ნაწილები (რკალები ბადის შუა ნაწილში) ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე.

აქტივობა 5. „ი“ და „ა“ ასოების ნაწილების აღწერა/შედარება – ფორმატზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე მითითებით.

- რომელ ბგერას გამოხატავს „ი“ ასო? „ა“ ასო?
- რა ნაწილებისგან შედგება „ი“ასო? „ა“ ასო? როგორ ამოვიცნობ მას?
- „ი“ ასოს ერთი რკალი აქვს თუ ორი? „ა“ ასოს?
- აქვს რგოლი? ხაზი?
- რა საერთო და განსხვავებული ნაწილები აქვს ამ ორ ასოს?
- აქვს თუ არა ამ ორი ასოს საერთო ნაწილს (რკალს) სტრიქონში ერთნაირი ადგილმდებარეობა?
- როგორ აღწერ, რა საერთო და განსხვავებული ნაწილები აქვს ი და ა ასოებს?

რესურსი 5. მოძრავი ანბანი.

აქტივობა 6. მოძრავი ანბანით მუშაობა. სიტყვების, წინადადების აწყობა, მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების ერთად შემოწმება. მოსწავლეები ნამუშევარს ერთად შეამოწმებენ შემდეგი პარამეტრებით:

ა) არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის;

ბ) სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში;

გ) სწორად არის თუ არა „დასმული“ ქვედა და ზედა ასოები;

დ) დასმულია თუ არა წერტილი (მოძრავ ანბანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წერტილი, თუ არა აქვს, თავად მასწავლებელი გააკეთებს).

აქტივობა 7. კითხვაში ვარჯიში.

რესურსი 6. მოსწავლის წიგნი – გვ. 30.

აქტივობა 8. მოსწავლეები ტექსტში იპოვიან, რამდენჯერ წერია სიტყვები: „ია“ და „მაია“.

აქტივობა 9. პატარა სიტყვის პოვნა დიდ სიტყვაში (მაგ., მაია, მახე, გალია, ჭიამაია).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ქართულ ანბანში რომელია ასო „ა“? ასო „ი“?
- რომელ ბგერას გამოხატავს „ი“ ასო? „ა“ ასო?
- როგორ ამოვიცნოთ „ი“-ზე და „ა“-ზე დაწყებული სიტყვები? რას დავაკვირდეთ? როგორ დავშალოთ ბგერებად? მარცვლებად? (აქტ.1)
- რომელი სიტყვა არღვევს კანონზომიერებას? რატომ? (ია, რადგან ორმარცვლიანია) (აქტ.2)
- როგორ ვიპოვოთ სიტყვათა ჩამონათვალში ი და ა ასოები? რა მინიშნებას დავაკვირდეთ? (აქტ.3)

- მაიამ ლურჯი ია დაინახა. სად ხედავთ „ი“ და „ა“ ასოიან სიტყვებს? რამდენი ასეთი სიტყვა იპოვეთ? მერამდენე სიტყვაა ია ამ წინადადებაში? (აქტ.4)
- როგორ აღვწერო ასოების ნაწილები? რას უნდა დავაკვირდე? (რკალს, ხაზს, რგოლს, ადგილმდებარეობას)
- თუ ამ ასოებს ი ა გადავანაცვლებთ, რას მივიღებთ?
- როგორ დავწერო მოძრავი ანბანის ასოებით „აი ია“? არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის? სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში? სწორად არის თუ არა „დასმული“ ქვედა და ზედა ასოები? დასმულია თუ არა წერტილი? (აქტ.6)
- როგორ წავიკითხო სიტყვები? (აქტ.7)
- რომელ ბგერებს უკავშირდება ამ სიტყვის ასოები?
- როგორ გავამთლიანო ეს ბგერები სიტყვად?

ნაბიჯი 2. რამდენი ასოსგან შედგება გამოწერილი სიტყვა? რომელია ეს ასოები? (დ. 1). რამდენი სიტყვაა შენ მიერ გამოწერილ წინადადებაში? ახსენი, საიდან ხვდები (დ. 3).

ქვესაკითხები: სიტყვის წერილობითი ხატის ანალიზი და სინთეზი, ასოების განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში.

აქტივობა 10. ჩვენება, როგორ იწერება ასო.

აქტივობა 11. მულტისენსორული მეთოდის გამოყენება – ასოს გამოძერწვა, ასოს გამოხატვა თასმით, მავთულით, ჰაერში ასოს მოხაზვა.

რესურსი 7. მოსწავლის რვეული – გვ.59

აქტივობა 12. ასოს ჩაწერა ბადეში.

აქტივობა 13. დაასახელე, რა ხატია და ჩაწერე პირველი ასო.

აქტივობა 14. წინადადების „აი ია“ ჩაწერა რვეულში.

აქტივობა 15. კომპლექსური დავალების შესრულება – მოსწავლეები რვეულში (გვ. 60) გააფორმებენ წიგნის ყდას და ჩაწერენ სათაურს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რომელი ასო წერია პირველ ხაზზე? მეორეზე?
- რომელი ასოები გამოხატავს ამ ბგერებს? რა თანმიმდევრობით დავწერო ეს ასოები?
- როგორ იწერება ასო ი ბადიან სტრიქონში? ასო ა?
- რა წერია მესამე ხაზზე? მეოთხეზე?
- რატომ არის მეოთხე ხაზზე დაწერილი სიტყვები წინადადება? (და ა.შ)
- როგორ დავწერო წინადადება „აი ია“?
- უნდა გამოვტოვოთ თუ არა სიტყვებს შორის უჯრები? რამდენი? რატომ?
- რა უნდა გაითვალისწინო წიგნის ყდის გაფორმებისას, რა უნდა დახატო? რომელი ფერები დაგჭირდება?
- სათაურში რა უნდა ჩაწერო? სიტყვებს შორის რამდენი უჯრა უნდა გამოტოვო?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რა ნაწილებისაგან შედგება შენი გამოწერილი ასოები?
- ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება?
- მეორდება თუ არა გამოწერილი ასოები შენ მიერ მოფიქრებული სიტყვების სხვა ნაწილებში (შუაში, ბოლოში)

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ გააფორმე წიგნის ყდა? რომელი ფერები გამოიყენე?
- სათაურისთვის რომელი სიტყვები და წინადადება შეარჩიე?
- გასაგები იქნება თუ არა შენ მიერ ილუსტრირებული წიგნი მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი – თემა: ბავშვი და გარემო

შუალედური მიზანი – ჩემი საყვარელი წელიწადის დრო – ნახატის შექმნა და აღწერა.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი **(**სიტყვიდან ტექსტამდე**)** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** – აღწერა	**საკითხი** – ჩემი საყვარელი წელიწადის დრო – ნახატის შექმნა და აღწერა. **ქვესაკითხები –** წელიწადის ოთხი დრო. აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება: ნიშან-თვისებების (ზომის, ფორმის, ფერის) და ადგილის (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან) აღმნიშვნელი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვა –** როგორ აღვწერო ჩემი საყვარელი წელიწადის დრო? რა ხერხები გამოვიყენო აღწერისთვის? **კომპლექსური დავალება – ჩემი საყვარელი წელიწადის დრო – ნახატის შექმნა და აღწერა.** შეარჩიე შენი საყვარელი წელიწადის დრო, დახატე და აღწერე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/ მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები:** **აღწერისას წარმოაჩინე:** ✓ წელიწადის რომელი დრო არის გამოსახული შენს ნახატზე? რატომ შეარჩიე ეს დრო? რატომ გიყვარს? (ს. 1, 2) ✓ რომელი სიტყვები გამოიყენე აღწერის დროს? (ს. 3)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

რესურსი 1. წელიწადის ოთხი დრო (სურათები).

(მასწავლებელმა წინასწარ მოიძიოს ან დაახატვინოს ხატვის მასწავლებელს/ უფროსკლასელებს საჭირო რესურსი).

რესურსი 2. გიორგი წერეთლის „წელიწადის ოთხი დრო“
გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადიც მზად არის.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- დააკვირდით სურათებს. რას ხედავთ?
- მოსმენილი ლექსის მიხედვით, რამდენი დრო არის წელიწადში? დაასახელეთ.
- თქვენ რომელი დრო გიყვართ ყველაზე მეტად? რატომ?
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? როგორ უნდა აღწეროთ თქვენი საყვარელი წელიწადის დრო?
- რა ცოდნა გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- ნიშან-თვისების გამომხატველი რომელი სიტყვები უნდა გამოიყენოთ აღწერის დროს? (ფერების, ზომის, ფორმის გამომხატველი).
- ადგილის აღმნიშვნელ რომელ სიტყვებს გამოიყენებთ? (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ).

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

ნაბიჯი 1. წელიწადის რომელი დრო არის გამოსახული შენს ნახატზე? (ს.1) რატომ შეარჩიე წელიწადის ეს დრო (ს.1,2.).
რომელი სიტყვები გამოიყენე აღწერისას? (ს.3).

ქვესაკითხები: წელიწადის ოთხი დრო. აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება: ნიშან-თვისებების (ზომის, ფორმის, ფერის) და ადგილის (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან) აღმნიშვნელი სიტყვები.

რესურსები და აქტივობები

რესურსი 1. წელიწადის ოთხი დრო https://www.youtube.com/watch?v=hOJLANpzyUY

აქტივობა 1. ა) ვიდეორგოლის მოსმენა და შეჩერებებით კითხვებზე პასუხების გაცემა.

1-ელი პაუზა (0:39)
- როგორია გაზაფხული? (ლამაზი) რა ამოდის მიწიდან? რა ფერისაა ბალახი?
- რა მოსდის დღეს. იმატებს თუ იკლებს? საიდან ბრუნდებიან ფრინველები?
- დავასახელოთ გაზაფხულის თვეები.

მე-2 პაუზა (0:52)
- წელიწადის როგორი დროა ზაფხული? (ყველაზე ცხელი) ფერები როგორია ზაფხულში (ჭრელი)
- რატომ უხარიათ ბავშვებს ზაფხულის მოსვლა? (არდადეგები გვაქვს, დასასვენებლად შეუძლიათ წასვლა)
- დავასახელოთ ზაფხულის თვეები.

მე-3 პაუზა (1:00)
- როგორი ამინდია შემოდგომაზე? ფერები როგორია? ფოთლებს რა მოსდის?
- რით არის მდიდარი შემოდგომა? რას იღებენ ამ დროს? რას წურავენ? რას აკეთებენ ყურძნისგან?
- სად მიფრინავენ ფრინველები? რატომ?
- დავასახელოთ შემოდგომის თვეები.

მე-4 პაუზა (1:32)
- რომელია წელიწადის ყველაზე ცივი დრო?
- რატომ არის ბავშვებისთვის მაინც საყვარელი და მხიარული დრო? რას ვდღესასწაულობთ ზამთარში?
- რას აკეთებენ ცხოველები ამ დროს?
- დავასახელოთ ზამთრის თვეები.

აქტივობა: ბ) პასუხები წელიწადის დროების ფერიის ბლიცკითხვებზე: (1:59)



- როდის იღვიძებს, მწვანდება და აყვავილდება ბუნება?
- რომელია ყველაზე ცხელი დრო?
- როდის მწიფდება ბევრი სხვადასხვა ხილი?
- როდის გვცივა ყველაზე ძალიან?

შენიშვნა: თუ ვიდეორგოლის ჩვენება ტექნიკურ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული, მასწავლებელს შეუძლია, ანიმაცია ჩაანაცვლოს ილუსტრაციებით.

რესურსი 2. სიტყვების სკივრი (წარწერა ფერად ბარათებზე: შემოდგომით ცივა, ზამთარში ცხელა, გაზაფხულზე ცივა, ზაფხულში თბილა, ზამთარში ცივა, გაზაფხულზე თბილა, შემოდგომით გრილა, ზაფხულში ცხელა).

აქტივობა 2. მოსწავლეები სათითაოდ იღებენ სკივრიდან ბარათებს. მასწავლებელი კითხულობს სიტყვებს და მოსწავლეები ამბობენ, ტყუილია თუ მართალი, რაც ბარათზე წერია.

რესურსი 3. მოსწავლის რვეული. გვ.63

აქტივობა 3. მარცვლებით შეადგინე ოთხი სიტყვა და ჩაწერე რვეულში.

რესურსი 4. ყუთში მოთავსებული სურათები: ენძელა, ნაძვის ხე, ჩურჩხელა, ყურძენი, ფიფქი, ია, საზამთრო, თოვლის პაპა, ციგა და ა.შ. მასწავლებლის ხელთ არსებული სხვა სურათები.

აქტივობა 4. თამაში „ასოციაციობანა“.
მოსწავლე ყუთიდან ამოიღებს სურათს და ამბობს, რა გაახსენდა ამ სიტყვასთან დაკავშირებით.
მაგ: ენძელა – გაზაფხული, პირველი ყვავილი; ნაძვის ხე – ახალი წელი, ზამთარი, საჩუქრები და ა.შ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
რის მოსვლას გვახარებენ ენძელა და ყოჩივარდა?
როდის მწიფდება საზამთრო?
როდის გვაწუხებს ყველაზე მეტად სიცხე?
წელიწადის რომელ დროს მოგაგონებს თოვლი, ფიფქი, ახალი წელი, თოვლის პაპა?
როდის მოფრინდებიან მერცხლები თბილი ქვეყნებიდან?
წელიწადის რომელ დროს მოგაგონებს ყურძენი, თათარა, ჩურჩხელა?
როდის სცვივათ ხეებს ფოთლები?

რესურსი 5. ილუსტრაციები. მოსწავლის წიგნი – წინასაანბანო ნაწილი (გვ. 4-24).

აქტივობა 5. ვარჯიში წინადადებების გავრცობაზე. ოთხსიტყვიანი წინადადებების გავრცობა ისე, რომ ექვს- რვასიტყვიანი წინადადება გამოვიდეს. მაგ: ბიჭს ურიკით ვაშლები მიაქვს.
პატარა ბიჭს ურიკით ვაშლები მიაქვს.
პატარა ბიჭს ურიკით წითელი ვაშლები მიაქვს.
და ა.შ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- დააკვირდი სურათს (მოსწავლის წიგნი გვ.4) რას აკეთებს ბიჭი? მოიფიქრე სამსიტყვიანი წინადადება. (ბიჭს მიაქვს ვაშლები – 3 სიტყვა).
- რით მიაქვს ბიჭს ვაშლები? (ბიჭს ურიკით მიაქვს ვაშლები – 4 სიტყვა).
- ბიჭი თავის დაიკოზე დიდია თუ პატარა? (პატარა) ეს სიტყვაც დაუმატეთ და გამოვა ხუთსიტყვიანი წინადადება. (პატარა ბიჭს ურიკით მიაქვს ვაშლები – 5 სიტყვა).
- რა ფერის ვაშლები მიაქვს პატარა ბიჭს ურიკით? (პატარა ბიჭს ურიკით წითელი ვაშლები მიაქვს – 6 სიტყვა).
- რამდენი წითელი ვაშლი მიაქვს პატარა ბიჭს ურიკით? (პატარა ბიჭს ურიკით ბევრი წითელი ვაშლი მიაქვს – 7 სიტყვა).
- სად მიაქვს პატარა ბიჭს ბევრი წითელი ვაშლი ურიკით? (პატარა ბიჭს ურიკით ბევრი წითელი ვაშლი მიაქვს სახლში – 8 სიტყვა)

აქტივობა 6. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სეზონის შესაბამისად შერჩეულ სამ ილუსტრაციას. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია ზედმეტი (მაგ: მზე, ზღვა, ხელთათმანი)

რესურსი 6. წელიწადის ოთხი დრო – გასაფერადებელი სურათები (მასწავლებლის წიგნი – გვ. 285). ანტონიო ვივალდის „წელიწადის დრონი“ https://www.youtube.com/watch?v=QDy35Lq6fkw

აქტივობა 7. მასწავლებელს წინასწარ აქვს ჩანიშნული მოსასმენი მელოდიის პაუზები. დასაწყისი – გაზაფხული, 10:35 – ზაფხული, 27:00 – შემოდგომა, 31:00 – ზამთარი. ასახელებს წელიწადის დროს, მოსწავლეები შეარჩევენ ფერებს და მუსიკის თანხლებით ორი-სამი წუთის განმავლობაში აფერადებენ წელიწადის შესაბამისი დროის ამსახველ სურათს (ნაძვის ხეს, იას, მზეს და ფოთოლს).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა ფერებს გამოიყენებთ ზამთრის სურათის გასაფერადებლად? რატომ?
- რომელი ფერებით დახატავთ ზაფხულის სურათს? რატომ?
- გაზაფხულის სურათს რა ფერებით გააფერადებთ? რატომ?
- რა ფერებს გამოიყენებთ შემოდგომის სურათის გასაფერადებლად? რატომ?

აქტივობა 8. თამაში „გამოცნობანა“. მასწავლებელი ჩამოთვლის სეზონის მახასიათებელს და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, წელიწადის რომელი დრო ჩაიფიქრა მან. ამის შემდეგ მოსწავლეები გააგრძელებენ თამაშს. მაგ: წელიწადის ამ დროს ყურძენს ვკრეფთ.

რესურსი 7. აღსაწერი სურათები. მოსწავლის წიგნი, გვ132.

აქტივობა 9. მოსწავლეები აღწერენ წელიწადის ოთხი დროის მიხედვით სურათებს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა გახსენდებათ, როცა ზამთარზე ფიქრობთ? როგორია ზამთარი, ბრაზიანი თუ მხიარული? რატომ?
- რომელია თქვენი საყვარელი გასართობი საქმიანობა ზაფხულში?
- როგორ/რით ერთობით ზამთარში? გაზაფხულზე?
- რა დღესასწაულები გვაქვს ზამთარში? გაზაფხულზე?
- წელიწადის რომელი დრო არის გამოსახული პირველ სურათზე? მეორეზე? მესამეზე? მეოთხეზე?
- რას უნდა დააკვირდეთ აღწერისას?
- ნიშან-თვისების გამომხატველი რომელი სიტყვები უნდა გამოიყენოთ? (ფერი, ფორმა, ზომა)
- ადგილის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები უნდა გამოიყენოთ? (წინ, უკან, ზევით, ქვევით, გვერდზე)

აქტივობა 10. დავალების წარდგენა – მოსწავლეები სურვილისამებრ შეარჩევენ წელიწადის ერთ დროს, დახატავენ და აღწერენ.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- წელიწადის რომელი დრო არის გამოსახული შენს ნახატზე?
- რატომ შეარჩიე წელიწადის ეს დრო. რატომ გიყვარს ის?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი შენთვის?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა დაგეხმარა აღწერაში, ნიშან-თვისების გამომხატველი რომელი სიტყვები გამოიყენე აღწერისას?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი – თემა: ბავშვი და გარემო

შუალედური მიზანი – დაბადების დღის პოსტერის შექმნა რვეულში.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **კერძო და ზოგადი ქვეცნებები:** დაწერილი სიტყვა, ასო	**საკითხი:** დაბადების დღის პოსტერის შექმნა რვეულში. **ქვესაკითხები**: ასოები – ი, ა, თ, ს, ხ, ო, ე, უ, ძ, მ. ამ ასოებისგან შედგენილი სახელები, მისი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა დაბადების დღისთვის შექმნილ პოსტერში? როგორ ჩავწერო სახელები? **კომპლექსური დავალება** – დაბადების დღის პოსტერის შექმნა რვეულში. წარმოიდგინე, რომ შენი დაბადების დღეა და სტუმრად წიგნის პერსონაჟები – ბავშვები დაპატიჟე. რვეულში შექმენი პოსტერი და მოცემული ნახატების ქვეშ ჩაწერე მათი სახელები. შუაში ჩახატე ან ჩააკარი საკუთარი ფოტოსურათი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები; 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს – წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რამდენი ასოსგან შედგება თითოეული სიტყვა (დ. 1); ✓ ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) ჩაწერე ასოები (დ. 2); ✓ რამდენი სიტყვაა პოსტერზე დაწერილ წინადადებაში? (დ.3); ✓ რამდენად გაწაფულად კითხულობ ნაცნობ სიტყვებს, წინადადებებს (დ. 4).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი 1. პოსტერის ნიმუშები (მოსწავლის რვეული გვერდი 69.)

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- რას ხედავთ ნახატებზე?
- გავიხსენოთ, რა არის პოსტერი?
- დააკვირდით ნიმუშებს. გარდა ნახატებისა, რა სჭირდება პოსტერს? (სათაური, სიტყვები)
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რა ყოფილა პოსტერი?
- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს დაბადების დღის პოსტერი? რა უნდა ეხატოს? (ბავშვების სურათები, ბუშტები) რა უნდა ეწეროს? (სათაური, ბავშვების სახელები) სწორედ მისი შექმნაა თქვენი დავალება.
- რის შესწავლა და გახსენება დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რამდენი ასოსგან შედგება თითოეული სიტყვა (დ. 1); რა ნაწილებისგან შედგება გამოწერილი ასო/ასოები და ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება (დ. 2) რამდენად გაწაფულად კითხულობ ნაცნობ სიტყვებს, წინადადებებს (დ.3, 4)

ქვესაკითხები: ასოები – ი, ა, თ, ს, ხ, ო, ე, უ, ძ, მ. ამ ასოებისგან შედგენილი სახელები, მისი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში. სიტყვები, წინადადება, წინადადების ბოლოს წერტილი.

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. ილუსტრაცია მოსწავლის წიგნში (გვ. 48)

რესურსი 2. გალექსილი ამბავი „სახელები“

აქტივობა 1. მასწავლებელი კითხულობს ლექსს.

სახელები

კითხვას სწავლობენ გიო და ია,
ანბანის წიგნში სახელებია:
გოგონებია – თათა, თათია,
აქვე არიან: თათუ, მაია!
სოსო და სესე ბიჭუნებია,
ბიჭებს თომა და იასეც ჰქვიათ!
მიხო და მიხაც აქვე არიან,
თუთა და მათეც სახელებია!

პერსონაჟებთან მეგობრდებიან!
მათზე ზრუნავენ, ეფერებიან!
ია გოგონებს ყვავილს უხატავს,
მეგობრებისთვის ხატავს ხუთ იას.
გიომ ბურთები გააფერადა,
შვიდი ბურთის ქვეშ ბარათებია.
იამ და გიომ წერაც იციან
და სახელები მიუწერიათ!

წვეულებაზეც მიუწვევიათ,
აბა, დათვალე,
სულ რამდენია?
აღწერე კარგად:
ვინ რომელია, რა ფერის თმა აქვს,
ვის რა აცვია,
შენს წიგნში
მათი სურათებია!

გეზისმიმცემი შეკითხვები:

1. წიგნის პერსონაჟებიდან რამდენია გოგონა? სად წერია წიგნში მათი სახელები? რომელი 4 სახელი იწყება **თ** ასოთი? (თათა, თათია, თათუ, თუთა). მეხუთეს რა ჰქვია? (მაია).

3. ამათგან რომელია ქერა, ქერათმიანი? წითური? შავთმიანი?

4. სად ხატია წიგნში სოსო და სესე? რა ფერის მაისურები აცვიათ?

5. მიხოს და მათეს მაისურები რა ფერისაა?

6. ბიჭუნებიდან რომლის სახელი იწყება თ ასოთი? სად ხატია ის? (თომა)

7. კიდევ რომელი პერსონაჟია ლექსში და ნახატზეც? (იასე). მისი მაისური რა ფერისაა? 8. მოდით, დავთვალოთ, სულ რამდენი არიან?

8. როგორ ფიქრობთ, რატომ დახატა იამ ხუთი ყვავილი და რატომ გააფერადა გიომ შვიდი ბურთი? (5 გოგონაა, 7 ბიჭია).

რესურსი 3. მოსწავლის რვეული (გვ.69)
აქტივობა 3. იპოვე სწორად დაწერილი სიტყვა

ოთიხი ოთახი ოთიხა
თათია თათაი თათუა

აქტივობა 4. ზეპირი დავალება: შეადგინე წინადადება ამ სიტყვების გამოყენებით.

რესურსი 4. მოსწავლის რვეული. (გვ.70)
აქტივობა 5. მოცემული სიტყვებით წინადადების შედგენა და უჯრების სწორი თანამიმდევრობით დანომვრა.

- წერტილმა რას მიგახვედრა? (წინადადების ბოლო სიტყვაა)
- როგორ უნდა შევადგინოთ წინადადება სიტყვებით? რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? (წინადადებამ აზრი უნდა გადმოსცეს, ყურადღება უნდა მივაქციოთ წერტილს)

აქტივობა 6. სახელები საწყისი ასოს მიხედვით ხაზით დააკავშირე.

რესურსი 5. მოსწავლის რვეული. (გვ.71)
აქტივობა 7. სახელების დამარცვლა, ერთნაირი მარცვლების პოვნა და ბადეში ჩაწერა.



უპასუხეთ შეკითხვებს:

- რა სიტყვები წერია პირველ ხაზზე? მეორე ხაზზე?
- რომელი ასოთი იწყება სახელი სოსო? ია? თათა? და ა.შ. ყველა სახელი. სად არის ეს ასოები-თავში, შუაში თუ ბოლოში? და ა.შ
- რამდენმარცვლიანია სახელი ია? თათა? და ა.შ. ყველა სიტყვაზე.
- დააკვირდი სახელებს – იას და იასეს. რომელი მარცვალი აქვთ ერთნაირი? ასევე – დანარჩენ სახელებზე.

რესურსი 6. მოსწავლის რვეული. (გვ. 71)



აქტივობა 8. ეს იასეს ნამუშევარია. გადახედე და მიეცი რჩევა. შენ როგორ დაწერდი ამ სიტყვებს?

- წაიკითხეთ პირველი წინადადება. სწორად წერია? სად არის შეცდომა? რომელი ასო აკლია სიტყვას – საათს? (აქტ..5)
- წავიკითხოთ მეორე წინადადება. სად არის შეცდომა? რომელი ასო წერია შეცდომით მეორე სიტყვაში? (ე)

შენიშვნა 1: თითოეული ასოს შესწავლის პროცესში მასწავლებელი შეასრულებს აქტივობებს:
- ასოს ჩაწერა ბადიან რვეულში
- დაფიდან გადაწერა (მაგ: აი თათუს სახე.)
- სიტყვების კარნახით წერა (მაგ: ეს სოსოა. ის თათუს ძმაა.)

შენიშვნა 2: მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ თითოეულ ტექსტში ბავშვის სახელზე ამახვილებს ყურადღებას და დამხმარე კითხვების საშუალებით დაამუშავებინებს.

- რამდენი ბგერისგან შედგება?
- რომელ ბგერაზე იწყება?
- რომელი ბგერით მთავრდება?
- რამდენი მარცვლისგან შედგება?
- რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე?

რესურსი 7. მოსწავლის რვეული. (გვ. 72)
აქტივობა 9. დააკავშირე წინადადება ნახატთან.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რ არის თასი? სად ხატია? ვის ეკუთვნის თასი?
- რამდენ ხეს ხედავთ ნახატზე?
- უთო ვისია?

რესურსი 8. მაგნიტური ასოები
აქტივობა 10. გამოიცანი ბავშვის სახელი (მასწავლებელი მაგნიტური ასოების გამოყენებით გაა-კეთებინებს ბავშვებს.)

რესურსი 9. მოსწავლის რვეული. (ხმოვნების შესწავლის შემდეგ) (გვ. 72)
აქტივობა 11. აქ ჩამოთვლილია სახელები. მოძებნე ხმოვნები და შემოხაზე.

რესურსი 10. მოსწავლის რვეული. (გვ. 73)
აქტივობა 12. მოძებნე სიტყვაში დამალული სიტყვა. **(თათია – ია, ათი; საათი – ათი; ძია – ია)**

რესურსი 13. მოსწავლის რვეული (გვ. 73)

აქტივობა 13. დამარცვლე და დააჯგუფე ორ – და სამმარცვლიანი სახელები. შეაერთე ისრით.

რესურსი 11. დაბადების დღე https://youtu.be/ViV8vzdzAlk
აქტივობა 14. სიმღერის მოსმენა და შესრულება (სურვილისამებრ)

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- დაასახელე ხმოვანი ბგერები.
- რამდენი ხმოვანია სახელში თათია? სოსო? თუთა? და ა.შ.
- რამდენი მარცვალია სიტყვაში თათია? რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე?
- ხომ არ შეგიძლია იპოვო ამ სახელში კიდევ სხვა სიტყვა? (თათია – ათი, ია; თუთა – თუ; მაია – ია).
- რამდენმარცვლიანია სახელი სოსო? ია? მიხო? თომა? მაია? იასე?
- ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში იწერება ასო „ა“? ასო „თ“? ასო „ს“? ასო „ე“? რა ნაწილებისგან შედგება ჩაწერილი ასოები?

აქტივობა 15. კომპლექსური დავალების შესრულება – პოსტერის მომზადება რვეულში, სახელების – ია, თათა, თათია, სოსო, სესე, იასე, მიხო, თომა, მაია – ამოცნობა და ბოლომდე ჩაწერა, ავტოპორტრეტის (როგორც შეძლებენ) ჩახატვა ან ფოტოს ჩაწებება, ნახატების გაფერადება (მოსწავლის რვეული, გვერდი 74-75).

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ არის შენი ნამუშევარი პოსტერი?
- რომელი მარცვლები გამოიცანი და დაამატე სახელებს? ჩამოთვალე.
- ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) ჩაწერე ასოები? ჩამოთვალე (ა, ი, ო, თ – შუაში, ს, ხ, მ – ზედა და შუა უჯრებში, ე – შუა და ქვედა უჯრებში)
- რამდენი სიტყვაა პოსტერზე დაწერილ წინადადებაში?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ გააფორმე პოსტერი? ჩახატე შენი სახე თუ ფოტო ჩააკარი?
- გასაგები იქნება თუ არა მკითხველისთვის შენი პოსტერი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი – თემა: ბუნების შვილები

შუალედური მიზანი – ჩემი ილუსტრირებული ანბანი – ასო „ლ“. საანბანო პერიოდის პროექტის ტიპობრივი კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელება მასწავლებელს შეუძლია ყველა ასოს შესწავლის პროცესში.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება – დეკოდირება-კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება**: ასო, დაწერილი სიტყვა, დაწერილი წინადადება.	**საკითხი**: ილუსტრირებული ანბანის გვერდის შექმნა „ლ“ ასოზე; **ქვესაკითხები:** ასო „ლ“. ამ ასოსგან შედგენილი მარცვლები, სიტყვები; ლ ასოს ნაწილები; სიტყვებს შორის შუალედი; წერტილი; **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ილუსტრირებული ანბანის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო ახალი ასოების ცოდნა? როგორ გამოვწერო სიტყვები? როგორ გამოვწერო წინადადება? **კომპლექსური დავალება – ჩემი ილუსტრირებული ანბანი (საანბანო პერიოდის პროექტი)** მოამზადე ნასწავლი ასოს „ლ“-ს საანბანო გვერდი შენი ილუსტრირებული ანბანისთვის. ამისათვის: • ჩაწერე ახლად ნასწავლი ასო და რამდენიმე ნაცნობი სიტყვა, რომლებშიც ეს ასოები გვხვდება. • პლასტილინით/თიხით ან სახატავი საშუალებებით შექმენი ისეთი სიტყვების გამოსახულება/ნახატები, რომლებიც ამ ასოზე/ასოებზე იწყება. • დაწერე ერთი წინადადება.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: დეკოდირება–კოდირება 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს – წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რომელ ბგერას/ბგერებს გამოხატავს ახლად ნასწავლი ასო (დ.1); ✓ რა ნაწილებისგან შედგება დაწერილი ასო და ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება (დ. 2); ✓ რამდენი ასოსგან შედგება დაწერილი სიტყვა; რომელია ეს ასოები (დ. 1); ✓ რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში; ახსენი, როგორ მივხვდებით ამას (დ. 3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი 1.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა; დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

რესურსი: ანბანის ნიმუშები. მასწავლებელმა მესამე ნიმუში თავად უნდა შექმნას. შესაძლებელია, ია და იხვი დახატოს მხოლოდ.



- ✓ გავიხსენოთ, რა არის ანბანი? ილუსტრაცია?
- ✓ ყურადღებით დააკვირდით და მითხარით, რით განსხვავდება მესამე სურათი დანარჩენი ორისგან? რა არის მასზე გამოსახული?
- ✓ რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ ანბანს? (სურათებიანი/ნახატებიანი/ილუსტრირებული ანბანი).
- ✓ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს ეს დავალება?
- ✓ რა ცოდნის გამოყენება დაგჭირდებათ?
- ✓ რატომ უნდა იყოს ძირითადი ასო კარგად გამოკვეთილი?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, კომპლექსური დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. რომელ ბგერას/ბგერებს გამოხატავს ახლად ნასწავლი ასო (დ.1);
რა ნაწილებისგან შედგება დაწერილი ასოები და ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება (დ. 2).
ქვესაკითხები: ლ ასო, ამ ასოსგან შედგენილი მარცვლები, სიტყვები, მისი ნაწილები, განაწილება ბადიანი სტრიქონის უჯრაში.

რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. მოსასმენი ტექსტი „ყურცქვიტა კურდღელი“, იაკობ გოგებაშვილი.

ყურცქვიტა კურდღელი

(აღწერა)

კურდღელი ცხოვრობს გარეთ, ტყესა და მინდორში, ამიტომ გარეული ცხოველი, ანუ ნადირი, ჰქვია. ტანი კურდღელს გრძელი აქვს მწევარი ძაღლივით. წინა ფეხები მოკლე აქვს, უკანა – გრძელი. თავზე გრძელი ყურები აქვს აცქვეტილი! კურდღელმა სწრაფი სირბილი იცის. მხდალია ძლიერ, ყველაფრის ეშინია. არც კბენა იცის, არც ფხაჭნა, არც წიხლი. მისი საყვარელი საჭმელი კომბოსტო და სტაფილოა. ხორცის ჭამა არ შეუძლია.

კურდღლის შვილს ბაჭია ჰქვია.

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს აღწერით ტექსტს – „ყურცქვიტა კურდღელი“ და სვამს შეკითხვებს:

- ✓ სად ცხოვრობს კურდღელი?
- ✓ როგორი ცხოველია, რა ჰქვია მას?
- ✓ როგორი ყურები აქვს კურდღელს? რას ნიშნავს აცქვეტილი?
- ✓ როგორი სირბილი შეუძლია?
- ✓ რატომ გარბის? რა თვისება აქვს, როგორია კურდღელი? (მხდალი) რას ნიშნავს მხდალი?
- ✓ რა არის მისი საყვარელი საჭმელი?

რესურსი 2. ბასტი-ბუბუს ანიმაცია: „ლოკოკინა“ – https://www.youtube.com/watch?v=ggghiUj_mCI
აქტივობა 2. ბასტი-ბუბუს ანბანის ჩვენება ლ ასოზე.
რესურსი 3. საანბანო ტექსტი სახელმძღვანელოში (გვ.70)

კურდღელი
კურ დღე ლი
კ უ რ დ ღ ე ლ ი
ლ

ლო–მი. ვე–ლი. ზო–ლი. ხი–ლი.
ლეღ–ვი. თოვ–ლი. თო–ლი–ა.
ლა–ვა–ში. მე–ლა–ნი.

აქტივობა 3. კითხვა სხვადასხვა სტრატეგიით (ერთობლივი კითხვა – კითხვა ქოროში, კითხვა ექოდ; ხმამაღალი კითხვა გაგრძელებით) და ლექსიკური ერთეულების განმარტება (ველი, თოლია, ლავაში, მელანი).

- ✓ ხომ არ იცით, რა ნიშნავს სიტყვა ველი? (ბალახიანი დიდი მინდორი).
- ✓ როგორი პურია ლავაში? (თონეში გამომცხვარი თხელი პური).
- ✓ როგორი ფრინველია თოლია? (წყალში მოცურავე ფრინველი).
- ✓ რა არის მელანი? (სხვადასხვა ფერის სითხე, რომელსაც საწერად გამოიყენებენ).

აქტივობა 4. საანბანო ტექსტში „ლ“ ბგერის შემცველი სიტყვების დაშლა ბგერებად და სიტყვებში „ლ“ ბგერის ადგილმდებარეობის დადგენა: ლომი, ველი, ზოლი, ხილი, ლეღვი, თოვლი, თოლია, ლავაში, მელანი.

რესურსი 4. ლ ასოს შემცველი სიტყვები – მოსწავლის რვეულში (გვ. 86)
საგანმანათლებლო თამაში – ქამაბუკი.
http://ncp.ge/en/educational-games/kamabuki

აქტივობა 5. „ლ“ ასოს ამოცნობა სიტყვებში – რვეულში ხაზის შემოვლება ან გაფერადება ქამაბუკში.

კ უ რ დ ღ ე ლ ი ლ ო მ ი თ ო ლ ი ა

ხ ი ლ ი ვ ა შ ლ ი მ ს ხ ა ლ ი

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად :

- ✓ რა იპოვეს ბასტიმ და ბუბუმ? (ლოკოკინა).
- ✓ როგორი იყო ლოკოკინა? (ლამაზი).
- ✓ რა დაწერა ლოკოკინამ ხის კუნძზე? (ასო ლ).
- ✓ ამ სიტყვაში მერამდენე ბგერაა „ლ“?
- ✓ მოდით, ვიპოვოთ საკლასო ოთახის ანბანში ასო „ლ“.
- ✓ მოცემულ სიტყვებში მერამდენე ბგერაა ასო ლ? რომელია მისი წინა/მომდევნო ბგერა?

რესურსი 5. ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე განთავსებული ლ-ს ნაწილები.

აქტივობა 6. ასოს ნაწილების იდენტიფიცირება.
ასოს აქვს რკალები. რომელია ამ ნახატზე ლ ასოს პირველი რკალი? ბოლო რკალი?

რესურსი 6. როგორ დავწეროთ ასო ლ?
https://www.youtube.com/watch?v=ggghiUj_mCI

რესურსი 7. „ლ“-ზე დაწყებული საგნების ილუსტრაციები.
https://www.youtube.com/watch?v=7HM0Ip4Vwl4



აქტივობა 7. ჩვენება, როგორ იწერება ასო „ლ“ და „ლ“-ზე დაწყებული საგნების დასახელება.

აქტივობა 8. მულტისენსორული მეთოდის გამოყენება – ასოს გამოძერწვა, ასოს გამოხატვა თასმით, მავთულით, ჰაერში ასოს მოხაზვა.

აქტივობა 9. ახალი ასოს გამოწერა ბადიან რვეულში (გვ. 86).

რესურსი 8. ლ ასოს შემცველი სიტყვების ილუსტრაციები მოსწავლის რვეულში. (გვ. 86) (მხოლოდ ბანანი არღვევს კანონზომიერებას).

აქტივობა 10. „იპოვე, **ზედმეტი სიტყვა**“ (მოსწავლეები დააკვირდებიან და აღმოაჩენენ, რომ ყველა სიტყვაში არის ახლად ნასწავლი ასო ლ და ბანანია ზედმეტი).

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რა ნაწილებისგან შედგება ლ ასო? (რკალი, თავი, ფეხი) როგორ ამოვიცნობ მას?
- ✓ კიდევ რომელ ასოებს აქვს ფეხი? (დ, ღ).
- ✓ ბადიანი სტრიქონის რომელ ნაწილებში იწერება ასო ლ? (შუა და ქვედა).

- ✓ რომელი სიტყვები ამოიცანი ილუსტრაციებზე?
- ✓ რომელია ზედმეტი სიტყვა? რა მიგვახვედრებს ამას?

ნაბიჯი 2. რამდენი ასოსგან შედგება დაწერილი სიტყვა; რომელია ეს ასოები (დ. 1); მეორდება თუ არა დაწერილი ასოები შენ მიერ მოფიქრებული სიტყვების სხვა ნაწილებში (შუაში, ბოლოში); რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში, ახსენი, როგორ მივხვდებით ამას (დ. 3).
ქვესაკითხები: დაწერილი სიტყვა და წინადადება.

რესურსი 1. მოძრავი ანბანის ასოები და მარცვლები დაფაზე ან ქამაბუკში.
http://ncp.ge/en/educational-games/kamabuki





აქტივობა 1. არეული ასოებით მარცვლების შედგენა; მარცვლებით სიტყვების შედგენა (სკოლა, ლალი, ხალი).
რესურსი 2. სავარჯიშოები მოსწავლის რვეულში (გვ. 86-87)
აქტივობა 2. გადაიწერე მეორე სიტყვა. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში?

აქტივობა 3-ა. ისე დაალაგე ასოები, რომ მიიღო სიტყვა. რამდენი მარცვალია?



აქტივობა 3-ბ. შეადგინე მარცვლებისგან სიტყვები.



აქტივობა 4. დაასახელე, რა ხატია და ჩაწერე სიტყვა.



შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რამდენი ასოსგან შედგება შენ მიერ გადაწერილი სიტყვა?
- ✓ რამდენი მარცვალია თითოეულ სიტყვაში?
- ✓ არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის?
- ✓ სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში?
- ✓ სწორად არის თუ არა „დასმული“ ქვედა და ზედა ასოები?
- ✓ რომელია ნახატის შესაბამისი სიტყვა?

რესურსი 3. საანბანო საკითხავი – მოსწავლის წიგნი (გვ.70).

აქტივობა 5. ვარჯიში წაკითხვაში. ლ ასოს შემცველი სიტყვების დასახელება.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ როგორი ცხოველია კურდღელი?
- ✓ რა მოდის ზამთარში? რა ფერის არის თოვლი?
- ✓ როგორია მზე ზაფხულში? (ძლიერი).
- ✓ როგორი ნადირია ლომი?
- ✓ რა არის ლავაში? როგორია ის?
- ✓ ლეღვი ხილია თუ ბოსტნეული?
- ✓ სად დაფრინავს თოლია?

რესურსი 4. ლომა და ზოლიანი ხალიჩა (დამოუკიდებლად საკითხავი ტექსტი). მოსწავლის წიგნი (გვ.71).

აქტივობა 6. კითხვა სხვადასხვა სტრატეგიით (ერთობლივი კითხვა – კითხვა ქოროში, კითხვა ექოდ; ხმამაღალი კითხვა გაგრძელებით) და ლ ასოს შემცველი სიტყვების დასახელება.

- ✓ როგორ ფიქრობთ, ამ სათაურის მიხედვით, რაზე იქნება მოთხრობა? (გამოთქვან ვარაუდები).
- ✓ სად არის გაშლილი ზოლიანი ხალიჩა? (იპოვეთ მოთხრობაში ეს წინადადება).
- ✓ რა გავიგეთ, რა ხდება ამ ხალიჩაზე?
- ✓ ვინ ყოფილან ამ ძაღლის პატრონები?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რით ჩამოჰგავს ლომა ლომს, რა აქვს მას ლომისმაგვარი?

[დააკვირდით მისი ბალნის (ბეწვის) ფერს!].

- ✓ თქვენი აზრით, რატომ ელაპარაკება ლელა ლევანს ჩუმად?
- ✓ (ლომა რომ არ გააღვიძოს).
- ✓ სად ჩანს მოთხრობაში, რომ ლელას მოსწონს თავისი ძაღლი? (იპოვეთ მოთხრობაში ეს წინადადება).
- ✓ ლელამ გარეგნობა მოუწონა ლომას. ლევანმა – თვისება.
- ✓ ლომას რა თვისება აღნიშნა ლევანმა?

- ✓ როგორ დაასაბუთა ლევანმა, რომ ლომა კეთილია?
- ✓ რა მოგეწონათ ამ მოთხრობაში, რას გამოარჩევთ განსაკუთრებით?
- ✓ რომელ ასოზე იწყება ბავშვებისა და ძაღლის სახელები?
- ✓ იპოვეთ მოთხრობაში ამ ასოთი დაწყებული სხვა სიტყვაც! (ლამაზია).

რჩევა: შეგიძლიათ, იდეა გამოიყენოთ კომპლექსური დავალებისთვის –
წარმოიდგინეთ, რომ ეს მფრინავი ხალიჩაა. ლელა, ლევანი და ლომა ზედ დასხდნენ და აფრინდნენ! მოიფიქრეთ მათი თავგადასავალი!

აქტივობა 7. მოძრავი ანბანით მუშაობა. ასაწყობი წინადადება: **ლომი ძლიერი ნადირია.**

აქტივობა 8. წინადადების რვეულში ჩაწერა.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რამდენი სიტყვისგან შედგება წინადადება: ლომი ძლიერი ნადირია?
- ✓ რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?
- ✓ სწორად წერია თუ არა ასოები სიტყვაში?
- ✓ არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის?
- ✓ დასმულია წერტილი წინადადების ბოლოს?

რესურსი 5. რებუსები მოსწავლის წიგნში (გვ.71).

აქტივობა 9. რებუსების გამოცნობა.

რესურსი 6. სიტყვების სკივრი (სკივრში მოთავსებულია ნაცნობი სიტყვების შესაბამისი გამოსახულებები, რომლებშიც ლ ასო გვხვდება).

აქტივობა 10. თამაში **„სიტყვობანა“**. მოსწავლეები სკივრიდან ამოიღებენ ილუსტრაციას და ასახელებენ, რა არის მასზე გამოსახული. სად არის ლ ასო (სიტყვის დასაწყისში, შუაში).

აქტივობა 11. „ლ“ საანბანო გვერდის მომზადება (სიტყვების შერჩევა, ილუსტრაციების შექმნა, საბოლოო ვარიანტის მომზადება, ნამუშევრების წარდგენა).

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ✓ რომელ სიტყვებს შეარჩევ საანბანო გვერდზე დასაწერად?
- ✓ რომელ სიტყვებს შეარჩევ ლ ასოსთვის და შესაბამის ნახატს შექმნი?
- ✓ როგორ გააფორმებ საანბანო გვერდს?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რა ნაწილებისაგან შედგება შენ მიერ დაწერილი ასო?
- ✓ ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრებში (ზედა, ქვედა, შუა) იწერება?
- ✓ მეორდება თუ არა ასო ლ შენ მიერ მოფიქრებული სიტყვების სხვა ნაწილებში (შუაში, ბოლოში)
- ✓ რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში;

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით? ლ ასოზე დაწყებული რომელი სიტყვები შეარჩიე?
- ✓ როგორ გააფორმე საანბანო გვერდი?
- ✓ რატომ ფიქრობ, რომ შენი ილუსტრირებული ანბანი გასაგები იქნება მკითხველისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიადვილდა? ხომ არ გაგიჭირდა წინადადების მოფიქრება? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

შენიშვნა: ბგერის „ლ“ წარმოთქმის დროს ენის წვერი შიგნიდან ზედა კბილებს ებჯინება. ივარჯიშეთ წარმოთქმასა და გამოთქმაში:

- ლელვი,
- ლომი,
- ასკილი,
- კურდღელი...

საანბანო პერიოდი – თემა: ბუნების შვილები

შუალედური მიზანი – ზღაპრის გაგრძელება საკუთარი ნახატის /ნაძერწის მიხედვით. მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: ზღაპარი	**საკითხი:** ზღაპრის გაგრძელება საკუთარი ნახატის/ნაძერწის მიხედვით. **ქვესაკითხები:** „ბაიას ზღაპრის“ თემა, დედააზრი, ახალი სიტყვები, სიუჟეტი, მინიშნებები, პერსონაჟები. ამბის თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა **საკვანძო შეკითხვა** – რის საფუძველზე გავაგრძელო ზღაპარი? როგორ გადმოვცე გახარებული ჩიტების ჭიკჭიკით ნათქვამი ამბავი? **კომპლექსური დავალება** – ნახატის/ნაძერწის შექმნა და ზღაპრის გაგრძელება ზეპირად. წარმოიდგინეთ და დახატეთ/გამოძერწეთ, როგორ გაგრძელდებოდა „ბაიას ზღაპარი“.
სამიზნე ცნება ტექსტის მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ✓ რას ეტყოდნენ ჯადოსნური ჩიტები ბაიას, რას უპასუხებდა გოგონა, რა მოხდებოდა ამის შემდეგ (ტ. 2, 3) ✓ რატომ გგონია, რომ ასე გაგრძელდებოდა ზღაპარი? რა მინიშნება დაგეხმარა? (ტ. 2). ✓ რით ჰგავს შენი დახატული/ გამოძერწილი ჩიტები ზღაპრის ჩიტებს. რატომ დახატე/ გამოძერწე ასე და არა სხვაგვარად (ტ. 1, 2, 3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.

რესურსი: ფერადბუმბულიანი, ლამაზი ფრინველების ილუსტრაციები ან ვიდეობმული.

https://www.youtube.com/watch?v=ToQlvUuJe-Y

წინარე ცოდნის გააქტიურება, დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ თქვენთვის ნაცნობი ჩიტების სახელები, რომლებიც შეგხვდათ ნასწავლ ტექსტებში.
- ✓ რომელი ჩიტი მოგწონთ? როგორი ხმა აქვს? რა ფერის ბუმბული აქვს?
- ✓ რომელი ფრინველები არ მიფრინავენ ზამთარში თბილ ქვეყნებში?
- ✓ რა სჭირდებათ ასეთ ფრინველებს ადამიანებისგან? ოდესმე საკენკი დაგიყრია მათთვის?
- ✓ დაჰკვირვებიხარ, მადლობას როგორ გიხდიან ჭიკჭიკით?
- ✓ ხომ არ გაიხსენებთ ზღაპარს ან ანიმაციას ჩიტების შესახებ?
- ✓ დღეს ჩვენ გვესტუმრებიან ზღაპრული, ულამაზესი ჩიტები. თქვენი დავალებაა, გააგრძელოთ ზღაპარი და გვიამბოთ, რას ეუბნებიან გოგონას ჩიტები ჭიკჭიკით.
- ✓ მოდით, გავიაზროთ, რას მოითხოვს, ეს დავალება თქვენგან.
- ✓ რა ცოდნა გამოგადგებათ?
- ✓ რის შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რატომ გგონია, რომ ასეგაგრძელდებოდა ზღაპარი? რა მინიშნება დაგეხმარა? (ტ.2) რით ჰგავს შენი დახატული/გამოძერწილი ჩიტები ზღაპრის ჩიტებს. რატომ დახატე/გამოძერწე ასე და არა სხვაგვარად (ტ. 1, 2, 3).

ქვესაკითხები: „ბაიას ზღაპრის“ თემა, დედააზრი, ახალი სიტყვები, სიუჟეტი, მინიშნებები, პერსონაჟები. ამბის თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა.

რესურსი 1. მოსწავლის წიგნი, გ. 168. მოსასმენი ტესტი: „ბაიას ზღაპარი“ – ედიშერ ყიფიანი.

რესურსი 2. ჩიტების ილუსტრაციები (სკვინჩა, ბოლოქანქარა, მერცხალი, ბეღურა) ანვიდეობმული https://www.youtube.com/watch?v=dwRFZNzlWNI

აქტივობა 1. ფრინველების ილუსტრაციების ან ვიდეობმულის ჩვენება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რომელი ფრინველი გვახარებს გაზაფხულის მოსვლას? (მერცხალი) როგორი ბოლო აქვს მერცხალს? (მაკრატელივით ბოლო აქვს) ამიტომაც ეძახიან მას კუდმაკრატელას.
- სად ატარებენ ზამთარს ბეღურები, თბილ ქვეყნებში მიფრინავენ თუ ჩვენთან რჩებიან?
- ხომ არ იცით, რატომ ჰქვია ამ ჩიტს სკვინჩა? დააკვირდით, როგორი პატარაა, თან – ჭრელი. მას ნიბლიასაც ეძახიან.
- მოდით, ერთად წარმოვთქვათ ჩიტის სახელი, ბოლოქანქარა. როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ბოლოქანქარა? (თურმე მას სჩვევია ჰაერში შეჩერება ქარის საპირისპიროდ და ბოლოს ქანქარი. ამიტომაც ჰქვია ბოლოქანქარა)

აქტივობა 2. ტექსტის სამოდელო წაკითხვა მასწავლებლის მიერ. ვარაუდების გამოთქმა წაკითხვამდე.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა არის ზღაპარი? როგორ იწყება? როგორ მთავრდება?
- როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ზღაპარი? რომელი მინიშნების მიხედვით ფიქრობთ?

რესურსი 3. სიტყვის სკივრში მოთავსებული შესასწავლი სიტყვები:

კამარა ჰკრეს – ცაში წრე შემოხაზეს.

შეფართხუნება – ფრთების შერხევა; შეუფართხუნებია – ფრთები შეურხევია.

დანავარდობდა – ლაღად, ხალისით დაფრინავდა.

აქტივობა 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა (სიტყვების განმარტება მოსწავლეთა დახმარებით).

თქვენი აზრით, რას ნიშნავს კამარა ჰკრეს? (ცაში წრე შემოხაზეს) მოდით, ჩვენც შემოვხაზოთ ხელით წრე.

შეგიძლიათ ხელებით მიჩვენოთ, როგორ დაფრინავენ ჩიტები? წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ხელები მათი ფრთებია. ახლა უფრო სწრაფად ამოძრავეთ ხელები. სწორედ ეს არის ფართხუნი, ანუ ფრთების შერხევა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ჩიტებს ფრთებიც არ შეუფართხუნებიათ და მიჩვენეთ ეს მოძრაობა ხელებით. ანუ, ეს ნიშნავს, რომ ფრთები აღარ შეურხევიათ.

როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სიტყვა – დანავარდობდა? როდის შეიძლება ფრინველები დანავარდობდნენ, როცა ხალისით დაფრინავენ თუ როცა რაიმესი ეშინიათ და იმალებიან? დიახ, სწორედ ამას ნიშნავს, ლაღად, ხალისთ დაფრინავენ, არაფრის ეშინიათ.

აქტივობა 4. ახლად ნასწავლი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა.

მაგ: მერცხლებმა ცაში კამარა ჰკრეს და ჭიკჭიკი დაიწყეს.

შეშინებული ბეღურები ჩუმად იყვნენ, ფრთებიც კი არ შეუფართხუნებიათ.

პატარა სკვინჩა და გახარებული ბოლოქანქარები ჰაერში დანავარდობდნენ.

აქტივობა 5. „ფანტაზიორები“ და „რეალისტები“

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. ნაწილს მიეცემა დავალება, რომ ახლად ნასწავლი სიტყვებით მოიფიქრონ რეალური შინაარსის წინადადებები, ფანტაზიორები კი მოიფიქრებენ უცნაურ, არარეალურ წინადადებებს.

მაგ: კუდმაკრატელა მერცხალი გაზაფხულის მოსვლას გვახარებს (რეალისტების წინადადება).

პატარა სკვინჩამ არწივი ზურგზე შემოისვა და გაფრინდა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა ფანტაზია?
- როგორია ადამიანი, რომელსაც ფანტაზიის, წარმოსახვის, წარმოდგენის უნარი აქვს? (ფანტაზიორი, მეოცნებე).
- წარმოიდგინეთ, რომ ხართ ფანტაზიორები/მეოცნებეები და მოიფიქროთ უცნაური შინაარსის წინადადება.
- მოდით, ახლა მოიფიქრეთ ჩვეულებრივი, ანუ რეალური წინადადება, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ხართ რეალისტები. ჩვენს თამაშსაც ასე ჰქვია – „ფანტაზიორები“ და „რეალისტები“?

რესურსი 4. ფრინველების ხმები. https://www.youtube.com/watch?v=FdqUVM9pTek

აქტივობა 6. ფრინველების ხმის მოსმენა.

აქტივობა 7. მასწავლებლის მიერ „ბაიას ზღაპრის“ განმეორებით წაკითხვა და ტექსტის გააზრება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ როგორ ჩიტებს ხატავდა მასწავლებელი დაფაზე? (ფერადბუმბულიანს) რა ბგერაზე იწყება სიტყვა – ბუმბული? გოგონას სახელი?
- ✓ ზღაპარში ვკითხულობთ: „დღეს შენ იქნები მორიგე, გააღე ფანჯრები, მერე აიღე ჩვარი და ააფრინე ეს ჩიტები დაფიდან. მასწავლებელმა ბაიას გაუღიმა და გარეთ გავიდა.“ რატომ უთხრა მასწავლებელმა ბაიას „ააფრინე“ ჩიტებიო? რა იგულისხმა?
- ✓ რა წარმოიდგინა ბაიამ, როცა შეხედა დახატულ ჩიტებს?
- ✓ ბაიასაც ნამდვილ ჩიტებს აგონებდა ნახატები, თუმცა რაღაც მაინც განასხვავებდა მათ ცოცხალი ჩიტებისაგან. რა? (არ ჭიკჭიკებდნენ)
- ✓ როგორ „ააფრინა“ ბაიამ ჩიტები?
- ✓ ამ ტექსტის სათაურია „ბაიას ზღაპარი“. თქვენი აზრით, რატომ არის ეს ზღაპარი? ხატვისას, თუ გიოცნებიათ გაგეცოცხლებინათ თქვენი ნახატები? გვიამბეთ ამის შესახებ.
- ✓ ჩამოთვალეთ ჩიტები, რომლებიც ამ ზღაპარში შეგხვდათ. რომელი იწყება ბ ბგერაზე? (ბოლოქანქარა, ბელურა)
- ✓ მასწავლებელს შეუძლია, ასო ბ დაწეროს დაფაზე და შემდეგ ჩამოათვლევინოს მოსწავლეებს ამ ასოზე დაწყებული ფრინველთა სახელები.

რესურსი 5. მოვლენების ჯაჭვი (დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე).



აქტივობა 8. მოსწავლეები მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით ქმნიან მოვლენების ჯაჭვს. მასწავლებელს თანამიმდევრობით კარნახობენ, რა მოხდა პირველ მოვლენაში, მეორეში და ა.შ.

მაგ: 1. რას ხატავდა მასწავლებელი დაფაზე?
2. რა დაავალა ბაიას ზარის დარეკვის შემდეგ?
3. როგორ გააცოცხლა ბაიამ ჩიტები?
4. რა ქნეს გახარებულმა ჩიტებმა?

რესურსი 6. პერსონაჟის სქემა დაფაზე/ფორმატის ქაღალდზე/ფლიპჩარტის ფურცელზე.

პერსონაჟი	თვისება როგორია?	რას აკეთებს?	მინიშნება, მაგალითი ტექსტიდან
ბაია			

აქტივობა 9. პერსონაჟის (ბაიას) სქემის შევსება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ბაიამ ზღაპარში დაფაზე აღმოაჩინა ცოცხალი ჩიტები, რომლებიც არ ჭიკჭიკებდნენ. რას ფიქრობთ, გოგონას რა თვისება გამოჩნდა, როცა მან დახატულ ჩიტებს ასაფრენად ხელი აუქნია? როგორი გოგონა ყოფილა ბაია?

რესურსი 7. როგორ დავხატოთ ჩიტი.
https://www.youtube.com/watch?v=el-8phc_IkQ

აქტივობა 10. ჩიტის დახატვა.

რესურსი 7. თხრობითი ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურა – დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული (ჩარჩო). ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე დაწერილი.

აქტივობა 11. კომპლექსური დავალების შესრულების წინარე აქტივობა.

მასწავლებელი გეზისმიმცემი შეკითხვების დახმარებით მოსწავლეებს მოამზადებს ზღაპრის გაგრძელების მოსაფიქრებლად. ყურადღებას გაამახვილებს თხრობითი ტექსტის სამნაწილიან სტრუქტურაზე (დასაწყისი – შუა ნაწილი – დასასრული).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა მინიშნებებს უნდა მიაქციოთ ყურადღება ზღაპრის გასაგრძელებლად? გაიხსენეთ, როგორ დასრულდა ზღაპარი, სად აფრინდნენ ჩიტები?
- ✓ რა შეკრეს გახარებულმა ჩიტებმა ცაში? რას აკეთებდა ერთი? (ხის ტოტზე შემოჯდა) მეორე? (მეორე ელექტრომავთულზე შესკუპდა)
- ✓ სხვები რას აკეთებდნენ? (ჰაერში დანავარდობდნენ)
- ✓ როგორ უნდა დაიწყოთ ამბის გაგრძელება? როგორ ფიქრობთ, რას ჩაუჭიკჭიკებდნენ გოგონას ჩიტები?
- ✓ რა მოხდებოდა ამბის შუა ნაწილში?
- ✓ რას უპასუხებს ბაია?
- ✓ როგორ დაასრულებთ ამბავს?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად ზღაპრის გაგრძელებაა?
- ✓ რა ცოდნა დაგეხმარა ნახატის შექმნაში?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა მინიშნებები დაგეხმარა, რომ ასე გაგეგრძელებინა ამბავი?
- ✓ რომელი ჩიტები დახატე? რატომ შეარჩიე ისინი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი – თემა: ჩვენი სამშობლო

შუალედური მიზანი – ჩემი სამშობლოს მთა-ბარი – ნახატის შექმნა წარმოსახვით და ამბის თხრობა. მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I) 1,2,3,4,5) **ქვეცნება –** ზღაპარი. **სამიზნე ცნება –** სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე). შედეგები (I) 4,5,6. **ქვეცნება –** თხრობა.	**საკითხი**: ჩემი სამშობლოს მთა-ბარი – ნახატის შექმნა წარმოსახვით და ამბის თხრობა. **ქვესაკითხები**: ლექსის თემა, შინაარსობრივი მხარე, გრძნობების გამომხატველი სიტყვები, ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ დავხატო ჩემი სამშობლოს მთა-ბარი წარმოსახვით? როგორ გადმოვცე, რა ვნახე, რა მომეწონა? **კომპლექსური დავალება – ჩემი სამშობლოს მთა-ბარი – ნახატის შექმნა წარმოსახვით და ამბის გადმოცემა.** წარმოიდგინე, რომ შენ, ამ ლექსის გმირის მსგავსად, მოიარე საქართველოს მთა-ბარი. სახატავი საშუალებებით ან ციფრული რესურსის – „ვსწავლობთ თამაშით“ – გამოყენებით შექმენი სურათი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება. **სამიზნე ცნება – სიტყვა წინადადება, ტექსტი. მკვიდრი წარმოდგენები**: 1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები თხრობისას წარმოაჩინე:** ✓ **რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3);** ✓ **რა ნახე, როცა შენი სამშობლოს მთა-ბარი შემოირბინე? რა მოგეწონა? (ს. 2);** ✓ **რას გრძნობ სამშობლოს მიმართ და როგორ გამოხატავ საკუთარ გრძნობებს? (ტ.1, ს.3).**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

წინარე ცოდნის გააქტიურება, დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.
რესურსი: საქართველოს ბუნების ამსახველი სურათები (მთა, წყარო, ყვავილები).
https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhqI
https://www.youtube.com/watch?v=1MgbJHSvhqI



რესურსი: სიტყვის რუკა

აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით შეავსებს სიტყვის რუკას – სამშობლო.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- თქვენი აზრით, რა არის სამშობლო? რას ვუწოდებთ სამშობლოს? (ადგილს, სადაც დავიბადე; სადაც ვცხოვრობ...)
- რა ჰქვია ჩვენს სამშობლოს? (საქართველო)
- როდესაც ფიქრობთ სამშობლოზე, რა გახსენდებათ?
- გაიხსენეთ, ჯ – ასო. ვინ იცავს მეფეს? (ჯარი)
- როგორია ჯარი? (მეფის ერთგული)
- გაიხსენეთ ჯ ასოსთან ნასწავლი ლექსი. რაზეა ეს ლექსი? რას ახსენებს ავტორი ამ ლექსში? (ჯეჯილს, ტყეს, საქართველოს ტყეს, მზეს)
- რა არის ჯეჯილი? (ჯეჯილი მწვანე ბალახია, მწვანედ ბიბინებს; ჯეჯილი თავთავებად გადაიქცევა, რომელშიც მარცვლებია... ახალგაზრდა ყანაა; პურის ყანაა...)
- გაიხსენეთ, როგორია საქართველოს დროშა? (ხუთი ჯვარი აქვს) რა ფერისაა? (თეთრი, წითელი) აღწერეთ!
- დააკვირდით სურათებს/გაიხსენეთ ვიდეობმულის კადრები. როგორ ფიქრობთ, სად არის გადაღებული? ლამაზია ჩვენი სამშობლო?
- თქვენ გიცდიათ მოგზაურობის დროს სურათების/ვიდეოს გადაღება?
- სწორედ ეს იქნება თქვენი დავალება. უნდა წარმოიდგინოთ, რომ ლექსის წაკითხვის დროს მართლა შემოირბინეთ საქართველოს მთა-ბარი და რაც მოგეწონათ, დახატოთ.

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3).
რა ნახე, როცა შენი სამშობლოს მთა-ბარი შემოირბინე? რა მოგეწონა? (ს.2)
რას გრძნობ სამშობლოს მიმართ და როგორ გამოხატავ საკუთარ გრძნობებს? (ტ.1, ს. 3).

ქვესაკითხები: ლექსის თემა, შინაარსობრივი მხარე, გრძნობების გამომხატველი სიტყვები, ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა.

რესურსი 1. ჯანსუღ ჩარკვიანის „სიმღერა მამულზე“. მოსწავლის წიგნი – გვ.94.

აქტივობა 1. მასწავლებელი ლექსს კითხულობს გამომსახველობითად.
განმეორებით ნაწილ-ნაწილ კითხულობს და მოსწავლეებს ლექსის შინაარსს გააზრებინებს გეზისმიმცემი შეკითხვებით.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- როგორ იწყება ლექსი? (ჰაი, დილილმე, დილილმე)
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს სიტყვები? როგორ ხასიათზე გაყენებთ? (კარგ ხასიათზე, მხიარულ ხასიათზე...) რას გაგონებთ? (სიმღერას) გადმოეცი შენი სიტყვებით ლექსის შინაარსი.
- რას ნიშნავს სიტყვა „მამული“? (სამშობლოს, ადგილს, სადაც დავიბადე)
- რაზეა ეს ლექსი? (მამულზე, სამშობლოზე, საქართველოზე)
- სად მღერიან წყარონი?
- რა ბიბინებს მინდორში?
- რას დაეწაფა ლექსის ავტორი? რა დაკრიფა?
- როგორია ჩვენი მამული, ანუ სამშობლო?

რესურსი 2. ლექსიკური ერთეულების ახსნა სურათებით (მთა – მაღალი ადგილი; ბარი – დაბლობი ადგილი; წყარო – წყალი, რომელიც მიწიდან ან კლდიდან გამოდის; დავეწაფები – შევსვამ; ბიბინებს – ნიავისაგან ბალახი/მცენარე ტალღისებურად ირხევა; ჭირიმე – გენაცვალე)

აქტივობა 2. ახალ სიტყვებზე მუშაობა. განმარტება, დასწავლა.
აქტივობა 3. მასწავლებელი დაფაზე დაწერს წინადადებებს, რომლებშიც გამოტოვებულია სიტყვები. გეზისმიმცემი შეკითხვების დახმარებით მოსწავლეები გამოიცნობენ გამოტოვებულ სიტყვებს და მასწავლებელს კარნახობენ.

..... შემოვირბინე,
მთაში ..... მღერიან,
ბარში მინდორი .....
წყაროსაც .....
..... ვარდებს და გვირილებს,
რა ..... ხარ, მამულო,
შენი გამჩენის .....

- თქვენი აზრით, როგორი ადგილია მთა? ბარი?
- გაიხსენეთ, რას ამბობს პოეტი ლექსში, ბარში მინდორი... (ბიბინებს). თქვენი აზრით, რას ნიშნავს მინდორი ბიბინებს?
- კიდევ რა შეიძლება ბიბინებდეს? (ჯეჯილი)
- დაჰკვირვებიხართ, როცა წყალი ძალიან გწყურიათ, როგორ სვამთ? სწორედ ამ დროს იტყვიან, რომ შევსვამ ანუ დავეწაფები.
- რატომ ეუბნებიან ამ სიტყვას – ჭირიმე, როცა ძალიან უყვართ ვინმე? რას ნიშნავს? როგორ იტყვით სხვანაირად თქვენი სიტყვებით?
- თქვენ გითქვამთ ოდესმე ეს სიტყვა? ვისთვის გითქვამთ?

აქტივობა 4. ლექსის წაკითხვა ექოდ – ჯერ მასწავლებელი, შემდეგ მოსწავლეები; გუნდურად – პირველი ჯგუფი ტაეპის პირველ ნაწილს კითხულობს, მეორე ჯგუფი – მეორე ნაწილს, რიტმისა და ინტონაციის დაცვით;

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორი წარმოუდგენია ავტორს მამული, სამშობლო? (ლამაზი) რას აღწერს ავტორი? (მთას, ბარს, წყაროს, მინდორს, ყვავილებს)
- მოდით, გავიხსენოთ, გივი ჭიჭინაძის ლექსი – „ჯეჯილო და ტყეო“. რას ახსენებს პოეტი ლექსში? (ჯეჯილს, მზეს და ტყეს)
- ამ ლექსში რას ახსენებს პოეტი? (მთა-ბარს, მინდორს, წყაროს და ყვავილებს).
- შეგიძლიათ გაიხსენოთ, როცა საქართველოში მოგზაურობთ, რა მოგწონებიათ ყველაზე მეტად? მთა? მინდორი? ტყე? ზღვა? რატომ?
- სურვილი გქონიათ, რომ სამშობლოზე ლექსი დაგეწერათ თქვენც?

რესურსი 3. საქართველოს ჰიმნი https://www.youtube.com/watch?v=eRB8IjmW1R0

აქტივობა 5. მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი საზეიმო სიმღერაა, რომელიც სამშობლოს ეძღვნება. ჰიმნი აუცილებლად ფეხზე მდგომმა უნდა მოვისმინოთ და ვიმღეროთ. ამ დროს გულზე ხელი უნდა დავიდოთ.

რესურსი 4. მოსწავლის წიგნი – გვ. 95

აქტივობა 6. მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს სტრიქონებს აკაკი წერეთლის ლექსიდან – „ხატის წინ“:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ეს სიტყვები სამშობლოს ერთგულების ფიცია. რას შეადარა პოეტმა თავისი სამშობლო?
- რა უწოდა მან მთელ ქვეყანას, რომლის ერთი ნაწილი მისი სამშობლოა?
- სად მოვისმინეთ ახლა ეს სიტყვები?
- რა არის ჰიმნი?

აქტივობა 7. ლექსის დაზეპირება სახალისო აქტივობებით (ერთობლივად სწრაფად/ნელა წაკითხვა, ჩუმად/ხმამაღლა, წვრილი/ბოხი ხმით; ექოდ)

აქტივობა 8. მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე გრძნობებს, რომლებიც შეიძლება აღეძრას ადამიანს ლექსის წაკითხვისას / მოსმენისას (მაგალითად, აღფრთოვანება, სიხარული, შიში, მხიარულება, მოწყენილობა) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ ამ ჩამონათვალიდან ის გრძნობა, რომელსაც აღძრავს მათში ლექსი. მოსწავლეები ასახელებენ გრძნობას და ასაბუთებენ საკუთარ პასუხს. მაგალითად, მე ვიგრძენი სიხარული, რადგან მომეწონა ლექსი, წარმოვიდგინე, როგორი ლამაზია ჩვენი სამშობლო და ა.შ.

რესურსი 5. ციდან დანახული საქართველო https://www.youtube.com/watch?v=vcly8jLSp-w

აქტივობა 9. საუბარი ნანახის შესახებ.

- როგორია ციდან დანახული საქართველო? რა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?
- რა ფერის არის ჩვენი ქვეყნის მინდორ-ველი?
- ვიდეობმულში ჩანდა გვირილებით მოფენილი მინდორი? წყაროები?
- რა იგრძენი, როცა ამ სილამაზეს უყურებდი? რა გრძნობა დაგეუფლა?

აქტივობა 10. კომპლექსური დავალების შესრულება.

მოდით, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ, ლექსის გმირის მსგავსად, მოიარეთ საქართველოს მთა-ბარი. ახლა უნდა დახატოთ, რა ნახეთ, რა მოგეწონათ ყველაზე მეტად. არ დაგავიწყდეთ თხრობისას ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რით დაიწყებთ ამბის თხრობას?
- რაგორ გააგრძელებთ შემდეგ?
- რით დასრულდება თქვენი პატარა ამბავი?
- რა ფერს გამოიყენებთ მთა-ბარის დასახატად? მინდვრის? მდინარეების? ყვავილების?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნახატი საქართველოს მთა-ბარს გამოსახავს?
- რა ცოდნა დაგეხმარა ნახატის შექმნაში?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა ნახე, როდესაც შენი სამშობლოს მთა-ბარი შემოირბინე, რა მოგეწონა?
- რას გრძნობ ამ დროს შენი სამშობლოს მიმართ და როგორ გამოხატავ საკუთარ გრძნობებს?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

საანბანო პერიოდი

შუალედური მიზანი – ჩემი სურათებიანი ლექსიკონი.
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზნები	**შუალედური სასწავლო მიზანი**
დეკოდირება – კოდირება (შედეგები: (I). 2, 4, 6) **ქვეცნება:** სიტყვის გრაფემული ხატი **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა	**საკითხი:** სურათებიანი ლექსიკონის გვერდის შექმნა. **ქვესაკითხები:** ასო, ბგერა, სიტყვა, წინადადება, მოსწავლის მიერ დახატული საგნის აღწერა ნიშან-თვისებების (მაგ: ფერის, ფორმის, ზომის) აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა სურათებიანი ლექსიკონის გვერდი? როგორ წარმოვაჩინო შესწავლილი ასოების ცოდნა? როგორ ჩავწერო სიტყვები? წინადადება? როგორ აღვწერო ჩემ მიერ დახატული საგანი ისე, რომ ადვილად გამოიცნოს მსმენელმა? **კომპლექსური დავალება** – ჩემი სურათებიანი ლექსიკონი. შენს რვეულში მოცემულია სურათებიანი ლექსიკონი, მაგრამ ყველა სიტყვას აკლია საწყისი ასო. ყურადღებით დააკვირდი სურათებს, გამოიცანი, რა სიტყვაა და ბადიან უჯრებში ჩაწერე სიტყვის პირველი ასო. შემდეგ ამოირჩიე ლექსიკონიდან ერთი სიტყვა, ჩაწერე ბადეში, გაუკეთე ილუსტრაცია და ისე აღწერე, რომ თანაკლასელებმა გამოიცნონ. დაწერე ერთი წინადადება.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: **დეკოდირება-კოდირება** 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს – წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს. **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2.შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/ მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რამდენი ასოსგან შედგება შენ მიერ დაწერილი სიტყვა; დაასახელე, რომელ ბგერებს გამოხატავს ეს ასოები (დ. 1); ✓ ბადის რომელ უჯრებში ჩაწერე ასოები (ზედა, შუა, ქვედა უჯრებში) რა ნაწილებისგან შედგება (დ. 2); ✓ რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში (დ. 3.4); ✓ აღწერე შენ მიერ დახატული საგანი. ისაუბრე, რა არის (ხილი, ყვავილი, ცხოველი, ფრინველი), რომელი სიტყვები გამოიყენე აღწერისას (ს.1.2.3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.

რესურსი 1. ლექსიკონების ნიმუშები



აქტივობა1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ლექსიკონის რამდენიმე ნიმუშს. სასურველია, ერთი მათგანი იყოს ნახატებით.

- ხომ არ იცით, რა არის ლექსიკონი? რა წერია მასში? (ანბანზე დალაგებული სიტყვები და მათი განმარტება)
- როგორ ფიქრობთ, რომ არ იყოს ანბანზე დალაგებული სიტყვები, ადვილად იპოვიდით სასურველი სიტყვის ახსნას?
- გარდა სიტყვებისა, რას ხედავთ მეორე ლექსიკონის გარეკანზე? (ეს არის ნახატებიანი ლექსიკონი)
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რა ყოფილა ლექსიკონი?
- ახლა დააკვირდით თქვენს რვეულში ლექსიკონის გვერდზე სიტყვების გარდა კიდევ რა არის მოცემული? (სურათები) რა აკლია სიტყვებს? (საწყისი ასო)
- რატომ არის მნიშვნელოვანი ძირითადი ასოს გამოყოფა? (იმიტომ, რომ კარგად დავინახოთ, რომელი ასოთი იწყება სიტყვა).ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? რა უნდა გაითვალისწინოთ სურათებიანი ლექსიკონის გვერდზე სიტყვისა და წინადადების დაწერის დროს?
- როგორ უნდა აღწეროთ საგანი ისე, რომ მსმენელებმა გამოიცნონ?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რამდენი ასოსგან შედგება შენ მიერ დაწერილი სიტყვა; დაასახელე, რომელ ბგერებს გამოხატავს ეს ასოები (დ. 1); ბადის რომელ უჯრებში ჩაწერე ასოები (ზედა, შუა, ქვედა უჯრებში) რა ნაწილებისგან შედგება (დ. 2); რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში (დ. 3.4.).

ქვესაკითხები: ასო, ბგერა, სიტყვა, წინადადება.

რესურსი 1. მოსწავლის რვეული (გვ. 98)

აქტივობა 1. ანბანში ხმოვნების პოვნა და წრის შემოვლება.
რესურსი 2. მოსწავლის რვეული (გვ. 99)
შვიდი სიტყვის ნახატი – ია, ბუდე, მუხა, ღორი, ქათამი, ტოროლა, წიწილა. ბადიანი უჯრები.

აქტივობა 2. მოსწავლეები ნახატსა და პირველ ასოზე დაკვირვებით გამოიცნობენ და დაასახელებენ სიტყვებს, ჩაწერენ ბადეში. (ამ ნიმუშით გაეცნობიან სურათებიან ლექსიკონს)



რესურსი 3. მოძრავი ანბანი.
აქტივობა 3. მასწავლებელი დაასახელებს სიტყვებს (ლომი, წერო, ჟოლო, გვირილა) მოსწავლეები დაფაზე მოძრავი ანბანის ბარათებით ააწყობენ ჯერ სიტყვებს და შემდეგ – წინადადებას. (მაგ: წერო გარეული ფრინველია. გვირილა ყვავილია და ა.შ.)
აქტივობა 4. მასწავლებელი დაფაზე განალაგებს ამავე სიტყვების არეულ მარცვლებს. მოსწავლეები სწორად დაალაგებენ.

რესურსი 5. მოსწავლის რვეული (გვ. 100)
შეადგინე ოთხი სიტყვა.



აქტივობა 5. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ ოთხ სიტყვას (ერთი ცხოველი, ერთი ფრინველი, ერთი ხილის სახეობა, ერთი ყვავილი. შესაძლებელია ასოების გამეორება) და შემდეგ დამოუკიდებლად ჩაწერენ რვეულებში (ია, ვირი, გარგარი, მამალი). შემდეგ ამ სიტყვებიდან აირჩევენ ერთს და ბადიან სტრიქონში ჩაწერენ წინადადებას. (მაგ: ლომი ცხოველია; ჟოლო ხილია).

რესურსი 6. მოსწავლის რვეული (გვ. 100)

აქტივობა 6. მოსწავლეები დააკავშირებენ შინაურ და გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს შესაბამის სიტყვასთან.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რამდენი ასო არის ქართულ ანბანში? აქედან რამდენია ხმოვანი? დანარჩენს რა ჰქვია? (თანხმოვნები) **(აქტ.1)**
- რომელ ბგერას გამოხატავს ანბანის პირველი ასო? მეორე ასო?
- დააკვირდით პირველ-მეორე ასოებს. როგორ ფიქრობთ, რატომ ჰქვია ქართული ასოების რიგს ანბანი?
- რომელი ასოები იწერება შუა უჯრაში (სართულზე)?
- რომელი ასოების წერა იწყება ბადის ზედა უჯრიდან (სართულიდან)? ქვედა უჯრიდან (სართულიდან)?
- რა ნაწილებისგან შედგება ასოები?
- როგორ ამოვიცნო სურათებზე მოცემული სიტყვები? რას დავაკვირდე? (პირველ ასოს) **(აქტ.2)**
- როგორ ჩავწერო სიტყვები ბადეში? როგორ გავამთლიანო ასოები სიტყვად?
- რომელ ბგერებს უკავშირდება ამ სიტყვის ასოები?
- როგორ დავალაგო მოძრავი ანბანის ბარათებით სიტყვები? წინადადებები? **(აქტ.3)**
- არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის?
- სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში? (მოძრავ ანბანში)
- დასმულია თუ არა წერტილი წინადადების ბოლოს?(მოძრავ ანბანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წერტილი, თუ არა აქვს, თავად მასწავლებელი გააკეთებს).
- როგორ დავალაგო მოძრავი ანბანის არეული მარცვლები? **(აქტ.4)**
- როგორ დავწერო სიტყვები ბადეში? რა ბგერებისგან შედგება ეს სიტყვა? **(აქტ.5)**
- რომელი ასოები გამოხატავს ამ ბგერებს? რა თანმიმდევრობით დავწერო ეს ასოები?
- როგორ ჩავწერო წინადადება ბადეში? არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის? სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში? ბოლოს დასმულია წერტილი?
- როგორ ვიპოვო სარითმო წყვილები და დავაკავშირო ერთმანეთთან? რას დავაკვირდე სიტყვაში, დასაწყისს თუ ბოლო მარცვალს? **(აქტ.6)**

ნაბიჯი 2. აღწერე შენ მიერ დახატული საგანი. ისაუბრე, რა არის (ხილი, ყვავილი, ცხოველი, ფრინველი) რომელი სიტყვები გამოიყენე აღწერისას (ს.1.2.3).)
ქვესაკითხები: მოსწავლის მიერ დახატული საგნის აღწერა ნიშან-თვისებების (მაგ., ფერის, ფორმის, ზომის) აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით.
რესურსები/აქტივობები
რესურსი 7. მოსწავლის რვეული (გვ. 101)
აქტივობა 7. ფრინველებისა და ცხოველებისთვის ვეძებთ რითმებს. მოსწავლეები ბოლო მარცვალზე დაკვირვებით სარითმო წყვილებს დააკავშირებენ ერთმანეთთან.



რესურსი 8. გამოცანები
1. გალობს შაშვი,
უსმენს... (ბავშვი).
2. ამ გრძელ წეროს
ფეხი უგავს... (ღეროს).
3. აი ვირის ჩოჩორი,
ამოსვლია... (ქოჩორი).
4. გავაჭენე რაში,
დაუკარით... (ტაში).

აქტივობა 8. გამოცანების გამოცნობა. (დაკვირვება აღწერის მახასიათებელზე)
რესურსი 9. ბარათები – აღწერა/გამოცანა (ბარათებზე მოცემულია ცხოველის/ფრინველის (ნაშიერის), ყვავილის, ხილის სურათები).

აქტივობა 9. მასწავლებელი აღწერს სურათს, ისე, რომ მოსწავლეები ვერ ხედავენ. აღწერილობის მიხედვით გამოიცნობენ, რა არის. შემდეგ კი პასუხის შესამოწმებლად სურათს აჩვენებს მასწავლებელი. შესაძლებელია, ამ აქტივობის შემდეგ მასწავლებელმა აჩვენოს ნახატი, მოსწავლემ აღწეროს.

რესურსი 10. მოსწავლის რვეული (გვ. 102-103-104) სურათებიანი ლექსიკონი (რვეულში სრულად არის წარმოდგენილი.).

აქტივობა 10. კომპლექსური დავალების შესრულება

მოსწავლეები **ჯერ** ყურადღებით აკვირდებიან რვეულის სურათებიან ლექსიკონს, მასწავლებელთან ერთად წაიკითხავენ სიტყვას და გამოტოვებულ პირველ ასოს ჩაწერენ ბადეში.

დამხმარე აქტივობა – **შემდეგ** გააკეთებენ მარტივ კლასიფიცირებას: ხილს შემოხაზავენ წითლად, ყვავილს – მწვანედ, ცხოველს – ლურჯად, ფრინველს – ყავისფრად.

ბოლოს სურათებიანი ლექსიკონიდან აირჩევენ ერთ სიტყვას, ჩაწერენ ბადეში, გაუკეთებენ ილუსტრაციას და აღწერენ ისე, რომ თანაკლასელებმა გამოიცნონ. დაწერენ ერთ წინადადებას. (მაგ: ვარდი ყვავილია).



გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორ განასხვავე შინაური და გარეული ცხოველები/ფრინველები? ადამიანთან ცხოვრობენ თუ ტყეში? **(აქტ.7)**
- რას მიაქციე ყურადღება? გინახავს რომელიმე მათგანი?
- ხომ არ გაიხსენებ, როგორი იყო, რა გააკეთა?
- როგორ გამოიცანი გამოცანა? რა მინიშნებებით ამოიცანი პასუხი? **(აქტ.8)**
- რომელი თვისებების მიხედვით არის აღწერილი გამოცანაში თითოეული ცხოველი, ფრინველი? როგორია ის? (რას აკეთებს შაშვი? როგორი ფეხი აქვს წეროს, რას ჰგავს ის? რა ამოსვლია თავზე ჩოჩორს?
- როგორ აღწერა მასწავლებელმა ბარათებზე დახატული საგნები? **(აქტ.9)**
- რა ფერის ყვავილია ია? როდის ამოდის? როგორი სურნელი აქვს? ხომ არ გინახავს?
- როგორი ცხოველია ლომი? რატომ ეშინია მისი ყველას? რა აქვს თავზე?
- რომელი ცხოველის ნაშიერია ბაჭია? რა ფერის შეიძლება იყოს? როგორ დარბის? მშიშარაა თუ გულადი?
- რას ამზადებენ ჟოლოსგან? რა ფერის არის? გაციების დროს როგორ გამოიყენებენ?
- როგორ ჩაწერ სიტყვის პირველ ასოს სურათებიან ლექსიკონში? **(აქტ.10)**
- რომელ სიტყვას შეარჩევ ლექსიკონის გვერდზე ჩასაწერად?
- რას გაითვალისწინებ წინადადების დაწერის დროს? (სიტყვებს შორის უნდა იყოს დაშორება და წინადადების ბოლოს დასმული წერტილი).
- როგორ აღწერ შენ მიერ შერჩეულ სიტყვას? რას მიაქცევ ყურადღებას?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით

- რამდენი ასოსგან შედგება შენ მიერ დაწერილი სიტყვა?
- დაასახელე, რომელ ბგერებს გამოხატავს ეს ასოები.
- ბადის რომელ უჯრებში ჩაწერე ასოები (ზედა, შუა, ქვედა უჯრებში) რა ნაწილებისგან შედგება?
- რამდენი სიტყვაა შენ მიერ დაწერილ წინადადებაში?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- როგორ გააფორმე შენ მიერ შექმნილი ლექსიკონის გვერდი? რომელი საგანი/სიტყვა შეარჩიე?
- წინადადების დაწერის დროს რა გაითვალისწინე?
- როგორ აღწერე ილუსტრაცია? გასაგებია მსმენელისთვის?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომ-პლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

რამდენიმე რეკომენდაცია ანბანის სწავლებისათვის

ანბანის სწავლებამდე, განწყობის შესაქმნელად, იაკობ გოგებაშვილის „აი იას“ ვიდრე წაიკითხავენ, მოსწავლეებს ვაჩვენოთ თოჯინური ფილმი „ბომბორა“; ისიც ხომ კითხვას სწავლობს! ასევე, მოვასმენინოთ მოთხრობა „ლურჯი ია და მაია“, ვაჩვენოთ სათანადო ნახატებიც. ეს მოთხრობა შეტანილია „თავისუფალ დროს საკითხავშიც“ და თან ერთვის შეკითხვები. (გვ. 136)

ანბანის სწავლების დროს დავიცვათ პრინციპი: **ტექსტი, სიტყვა, ასო.**

ეს თანამიმდევრობა იაკობ გოგებაშვილისეულ საანბანო ნაწილში ასე გადავჭრათ – ნახატი აღვიქვათ ტექსტად! გაკვეთილი უნდა დაიწყოს ამ ნახატით, მის მიხედვით პატარა ამბის სიტყვიერად გადმოცემით.

შემდეგ **სიტყვა** და ბოლოს არის სამიზნე **ასო.**

მაგალითად,

ხატია ია.

ბავშვები აღწერენ:

ეს იაა. ის ლამაზი ყვავილია. ლურჯი ფურცლები და მწვანე ფოთლები აქვს.

ფურცლებიდან პატარა ყვითელი გული მოუჩანს.

მერე დავიწყებთ წინადადებაზე დაფიქრებას:

როგორ ფიქრობთ, რა წერია აქ?

ივარაუდებენ.

ბოლოს გავაცნობთ ასოებს.

ა, ი.

რჩევა სხვადასხვა ასოს სასწავლებლად:

1. ასოსთან **ს**, სიტყვასთან „საათი“, გაახალისეთ მოსწავლეები: სათაურის გარეშე, გამოცანასავით წაუკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის ლექსიდან. მათ საათი უნდა ამოიცნონ! „წიკ, წიკ, წიკ, წიკ, იძახის, და კედელზე კიდია, დღე და ღამე ისრები მიდიან და მიდიან!“

2. ასოსთან **თ**, სადაც სიტყვა თხა შემოდის, დაგეგმილია „ჯიუტი თხები“. „თავისუფალ დროს საკითხავ“ ნაწილში ეს ტექსტიც შეტანილია. თან ერთვის შეკითხვები გასააზრებლად.

3. **ო** ასოსთან ხშირად გვხვდება სიტყვა ოთხი. ეს კარგი შესაძლებლობაა ავხსნათ, რომ წელს, წელიწადს ოთხი დრო აქვს. ამ მიზნით გამოიყენეთ გიორგი წერეთლის პატარა ლექსი „ოთხი დრო“. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, აი, შენი ოთხი დრო – წელიწადიც მზად არის!

4. **ე** ასოსთან გვაქვს სიტყვა ხე. მარჯვნივ ნაძვი ხატია. ძალიან მოუხდება თემას მარიამ წიკლაურის ლექსი „ნაძვი“. წაუკითხეთ, მოასმენინეთ. მხატვრული კითხვის, ინტონაციის დაცვის მაგალითი თქვენგან მიიღონ. შემდეგ მოსმენილზე საკუთარი ემოციებიც გამოახატვინეთ.

5. ასო **უ**-ს, უთოს, სწავლებას განვავრცობთ და გავახალისებთ ნესტან კუპრავას ლექსის მოსმენით – „ნუცას უთო“.

6. ასოსთან **ძ** გვაქვს სიტყვა ძუა. ხატია ცხენიც. რადგან ქართულ სინამდვილეში მარხილში სწორედ ცხენს აბამენ, შემოგთავაზეთ ცირა ქიტიაშვილის ლექსი. ამ ლექსით წინასაახალწლო განწყობაც შეიქმნება. „ქართველი“ თოვლის პაპის მარხილში შებმულია ცხენი. სანტა კლაუსის მარხილში კი – ირმები!

7. ასოს **შ**-ს სწავლებას, სადაც შოშია რამდენჯერმე გვხვდება, განწყობისთვის მარიამ წიკლაურის ლექსის – „შოშია“ – მოსმენა შევმატეთ. ლექსის წაკითხვის მაგალითსაც თქვენგან მიიღებენ და საკუთარ განცდებს, შთაბეჭდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს.

8. **ვ** ასოსთან, სიტყვასთან იხვი, დავგეგმეთ ქართული ზღაპარი „ვიტვიტა და ბათურა“. საყვარელი იხვის ჭუჭულისა და გულადი ლეკვი ბათურას მეგობრობის ამბავს შესანიშნავად კითხულობს მსახიობი გოგი გეგეჭკორი. https://www.youtube.com/watch?v=FaMZlDD8G6E

9. ასოსთან **ნ** ჩვენი მოსწავლეები უკვე შეძლებენ დამოუკიდებლად წაიკითხონ სიტყვა – ამანათი.
მოსასმენად შევარჩიეთ გივი ჭიჭინაძის ლექსი „ამანათი“.
ჯერ დაფაზე დაწერეთ სათაური. წაიკითხონ. ვარაუდი გამოთქვან, რას ნიშნავს, რაზე იქნება ლექსი.
შემდეგ კი წაუკითხეთ.

10. **ღ** ასოსთან წაუკითხეთ მოთხრობა „ზაზა და ღრუტუნა“.
ეს ტექსტი „თავისუფალ დროს საკითხავშიც“ შეტანილია. (გვ.144). თან ერთვის შეკითხვები.
ღ ასოსთან რადგან სიტყვა „ღორი“ შემოდის, ჩვენი კინოკლუბიდან „სამი გოჭი“ შევარჩიეთ.
ერთად უყურონ, დაახასიათონ პერსონაჟები – გოჭები, გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილება.

11. **ქ** ასოს სწავლების დროს გვხვდება სიტყვები: „ქალაქი“, „დალაქი“.
დალაქის მნიშვნელობის ასახსნელად გამოგვადგება ნაზი კილასონიას ცნობილი საბავშვო ლექსი.

12. **ცვ** ასოსთან, რადგან სიტყვა მერცხალი და წინადადება „მერცხალი მიფრინავს“ გვაქვს, შემოგთავაზეთ ნაწყვეტი შიო მღვიმელის ცნობილი ლექსიდან „პაწია მერცხალი“.
ბავშვები განეწყობიან, ყოველთვის გაუფრთხილდნენ ჩიტებს – ბუნების მშვენიერ შვილებს, რომლებიც ჩვენთან ბინადრობენ, ბუდეს იგებენ, ჭიკჭიკითა თუ გალობით გვატკბობენ.

საანბანო პერიოდის საკითხავი ტექსტები

თემა: ბავშვი და გარემო

ასოები – „ი“ და „ა“

ია

(აღწერა)

ეს იაა. იას ყვავილი ასხია. ყვავილი ამოსულია ყლორტზე. ყლორტი ამოსულია ღეროზე. ყლორტებს და ღეროს ფოთლებიც ასხია. ღერო ამოსულია ფესვებზე. ფესვები მიწაშია. ია ფესვებით იწოვს მიწიდან საკვებს და იზრდება. მისი ყვავილი ლურჯია. სურნელი ნაზი აქვს. ია გაზაფხულის დამდეგს აყვავდება ხოლმე.

იაკობ გოგებაშვილი

ლურჯი ია და მაია

მაიას დიდედამ ლურჯყვავილებიანი კაბა შეუკერა.
გოგონას კაბა ძალიან მოეწონა, დიდედას ჩაეხუტა, მადლობა გადაუხადა
და ჰკითხა:
– დიდედა, რა ჰქვია ამ ლამაზ ყვავილს, ჩემს კაბაზე რომ ხატია?
– შვილო, ეს არის ია, ტყეში ამოდის და გაზაფხულის მოსვლას გვახარებს.
მაიამ დიდედის ნათქვამი დაიმახსოვრა და გაზაფხულზე პაპას სთხოვა, ტყეში წაეყვანა.
იქ გოგონამ ძალიან ბევრი ლურჯი ია ნახა, სწორედ ისეთი, როგორიც მის კაბაზე იყო
დახატული. გახარებული ხან ერთ ყვავილთან მირბოდა, ხან – მეორესთან.
გადაწყვიტა, მოეკრიფა და დიდედისთვის ეჩუქებინა.
შეშინებულმა იამ კანკალი დაიწყო, თავი მორცხვად დახარა და კიდევ უფრო დაპატარავდა.
– ნახე,როგორ შეეშინდა, მიხვდა, რომ უნდა მოწყვიტო. რამდენიმე დღე იცოცხლებს,
მერე კი გახმება, არ გეცოდება? – ჰკითხა პაპამ გოგონას.
– აბა, დიდედას როგორ მივუტანო ია?– მოიწყინა მაიამ.
– მოდი, ყვავილების მაღაზიაში წავიდეთ და ქოთანში ჩარგული ია ვუყიდოთ – შესთავაზა პაპამ.
– რა კარგია, პაპიკო! წავიდეთ! – სიხარულით ხტუნავდა გოგონა.
მაღაზიაში ქოთანში ჩარგული ძალიან ბევრი ყვავილი იყო.
უცებ მაიამ ლურჯი ია დაინახა და ხმამაღლა შესძახა:
– პაპიკო, შეხედე, აი, ია!
გამყიდველმა გოგონას გაუღიმა და ქოთანში ჩარგული ია მისცა.
გახარებულმა მაიამ პაწაწინა ხელები შემოხვია ქოთანს და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა დიდედასთან.

ლელა მანგოშვილი

ასო „თ“

ხუთი თითი

(აღწერა)

ეს ხელის თითებია: ცერი, საჩვენებელი თითი, შუათითი, არათითი და ნეკი. ცერი მოკლე და მსხვილი თითია. საჩვენებელი თითი ცერზე გრძელია. შუათითი ყველა თითზე გრძელია. არათითი ცოტათი მოკლეა შუათითზე. ნეკი ყველა თითზე წვრილია. თითები ფრჩხილით თავდება.

ცერს ორი სახსარი აქვს და ორგან იკეცება. ყველა სხვა თითს სამი სახსარი აქვს და სამგან იკეცება.

თითებით ვაკეთებთ საქმეს.

იაკობ გოგებაშვილი

ასო „ს“

საათი

წიკ, წიკ, წიკ, წიკ
იძახის
და კედელზე კიდია.
დღე და ღამე ისრები
მოდიან და მიდიან.

ნოდარ დუმბაძე

ასო „ხ“

ჯიუტი თხები

მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო გადებული. ამ ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს. გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო.

– უკან დაიხიე! – უთხრა ერთმა მეორეს.

– ნურას უკაცრავად! რატომ უნდა დავიხიო?! მე პირველი ამოვედი ამ ხიდზე. შენ თვითონ დაიხიე! – მიუგო მეორემ.

არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა. მოუვიდათ ჩხუბი. დაეჯახნენ ერთმანეთს რქებით. ჯიუტმა თხებმა თავი ვეღარ შეიმაგრეს და ყირამალა გადაეშვნენ წყალში.

იაკობ გოგებაშვილი

ასო „ო“

ოთხი დრო

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
აი, შენი ოთხი დრო –
წელიწადიც მზად არის!

გიორგი წერეთელი

ასო „ე“

ნაძვი

რა ყოჩაღი ხეა ნაძვი –
არად აგდებს თოვლს და ყინვას.
თვალს არ ხუჭავს, წიწვებს არ ჰყრის,
მუდამ ფხიზლობს, განა ძინავს?!
გეგონება, ზამთრის ტყეში
დიდი, მწვანე დინოზავრი
დამდგარა, რომ შეიფაროს
სიცივეში ყველა მგზავრი.
ის დარაჯობს მოზამთრეთა
ძილს, უყვება მწვანე ზღაპრებს,
რომ სულ მალე გაზაფხული
ფიფქს ყვავილად გადააქცევს.

მარიამ წიკლაური

ასო „უ“

ნუცას უთო

დეიდამ ნუცას უყიდა
სათამაშო უთო.
ნუცა ფუსფუსა გოგოა,
საქმეს არვის უთმობს.

დაფაცურდა, დატრიალდა,
მოინდომა უფრო,
ჭრელ ქსოვილზე დანავარდობს
პაწაწინა უთო.

ნესტან კუპრავა

ასო „ძ“

მარხილი

თქვენკენ მოვეშურები,
აბა, ჰერი, მარხილო!
მოვალ წელი ახალი
საამო და სალხინო.
თეთრზე თეთრი ფიფქები
მომყვებიან მტრედებად,
სიუხვე და ბარაქა
სახლში დაგებედებათ.
აბა, ნუ შეგაშინებთ,
თოვლის კორიანტელი,
მომაქვს ქვეყნის სიკეთე
და მშვიდობის ნათელი!

ცირა ქიტიაშვილი

მგელი

(ნაწყვეტი)

გალიაში
უძლური ვარ, უძლური.
დარდით გავხდი,
არ გეგონოთ ტყუილი.

მენატრება
უღრან ტყეში ძუნძული,
ღამღამობით
მთვარის შუქზე ყმუილი.

ვასილ გულეური

ასო „მ“

ნამი

როდის ჩნდება, იცით, ნამი?
მხოლოდ ღამით, შუაღამით.
გაახარებს ვარდს და სოსანს,
მერე ელის მზის ამოსვლას.
მზეს შეხედავს ერთი წამით
და მაშინვე ქრება ნამი.

გივი ჭიჭინაძე

ასო „შ“

შაშვი

შემოდგომის ყვითელ ტყეებს
ახალისებს შაშვის ხმები:
-თბილ ქვეყნებში არ მივფრინავთ,
ზამთარშიაც შინ ვიქნებით!
არც შაშვებს და არც შოშიებს
შიში არ გვაქვს თოვლის, ქარის,
ჩვენც გვიშველის, გვანუგეშებს
სითბო მშობლიური მხარის.

მარიამ წიკლაური

ასო „კ“

გაზაფხულდა, ჩიტუნები...

გაზაფხულდა, ჩიტუნები
აჭიკჭიკდნენ სარკმელთან,
ეს როგორი წესი არის,
გამაღვიძეს საკენკად?
მაგრამ ხომ არ დავიზარებ,
იქნებ როგორ მოშივდათ,
მოვიტანე მარცვლეული,
ზოგმაც პური მოწიწკნა.

ცირა ტურაშვილი

თემა: ბუნების შვილები

ასო „ვ“

ვიტვიტა და ბათურა

(ქართული ზღაპარი)

ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვის ჭუჭული ვიტვიტა და ლეკვი ბათურა. ერთხელ ვიტვიტას წუწკი ფისო შესაჭმელად გამოუდგა.

– მიშველე, ბათურა! – ყვიროდა ვიტვიტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა.

– ჰამ, ჰამ! აი, შენ საძაგელო! – შეუყეფა ბათურამ ფისოს. ფისო გაიქცა და თავის გადასარჩენად ხეზე ახტა.

– გმადლობ, ბათურა! ახლა კი წავიდეთ და ვიბანაოთ, – უთხრა ვიტვიტამ ბათურას.

ორივე მდინარისაკენ სიმღერით გაეშურა.

– საბანაოდ მივდივართ, გავგრილდებით მალე, ცურვაც ვიცით, სიმღერაც დივლი დალალალე.

მდინარესთან რომ მივიდნენ, ვიტვიტა მაშინვე წყალში გადაეშვა.

– ვახ, ვახ, რა კარგია! ჩამოდი! – დაუძახა ბათურას.

ბათურა დიდ ქვაზე შედგა.

– ერთი, ორი, სამი, ჰოპ, – წამოიძახა და ისიც წყალში გადახტა.

ამ დროს ვიტვიტამ თევზი შეამჩნია. დასაჭერად გამოუდგა და ჩაყვინთა. ბათურამ მოიხედა და მეგობარი, რომ ვერ დაინახა, შეეშინდა, ხომ არ დაიხრჩოო და დაუძახა:

– ვიტვიტაა! – მაგრამ ვიტვიტა არსად ჩანდა.

დაღონებულმა ბათურამ ტირილი დაიწყო. უცბად მდინარიდან თავი ამოყო ვიტვიტამ, რომელსაც მოფართხალე თევზი ეჭირა პირში. ვიტვიტა ნაპირზე გამოვიდა, თევზი ნისკარტით შუაზე გაყო და ბათურას უთხრა:

– მიირთვი, ძმობილო, ბანაობის შემდეგ საუზმე მეტად გემრიელია!

– გმადლობ, მეგობარო! – მიუგო გახარებულმა ბათურამ.

მეგობრები მადიანად შეექცეოდნენ. საუზმის შემდეგ ვიტვიტა და ბათურა შინისაკენ წავიდნენ და თან ასე მიიმღეროდნენ:

– ვახ, ვახ, ჰამ, ჰამ, მოვდივართ! შინ ვიქნებით მალე! კარგი მეგობრები ვართ, დივლი დალალალე!

ასო „ფ“

სავარცხლიანი ოფოფი

(აღწერა)

ოფოფი ცხოვრობს მინდორსა და ტყეში, ამიტომ გარეული ფრინველი ჰქვია. ოფოფი პატარა ფრინველია, ნისკარტი კი გრძელი აბია. ტანი წვრილი და მოგრძო აქვს, ბოლო – გრძელი. თავზე ლამაზი ქოჩორი ასხია. ოფოფის ქოჩორს სავარცხელი ჰქვია! ამ სავარცხელს ხან გაშლის და ხან დაკეცავს.

ფერადი ოფოფი ჭრელია. ჩვენთან მოფრინავს გაზაფხულზე. შემოდგომაზე კი კვლავ თბილ ქვეყნებში მიფრინავს.

იაკობ გოგებაშვილი

ასო „ნ“

ამანათი

ფრენა-ფრენით სოფლიდან
ამანათი მოფრინდა.
იმ კალათას ფრენიას
ზედ ბარათი ჰფენია:
„ჩვენო ცუგრუმელებო,
ეს პატარა ნობათი
ბებიამ და ბაბუამ
საახალწლოდ მოგართვით!“

გივი ჭიჭინაძე

კურდღელი და კუ

დიდ მინდორში კურდღელი და კუ შეხვდნენ ერთმანეთს.

– საით მიიჩქარი, ძმობილო? – დაცინვით ჰკითხა კურდღელმა.

– ასე მითხრეს, აი იქ, გორაკი რომ მოჩანს, – ანიშნა კუმ მინდვრის ბოლოზე, – გემრიელ საკვებს იპოვიო. თუ გინდა, ერთად წავიდეთ!

კურდღელმა ჩაიცინა:

– სიამოვნებით წავალ, მაგრამ შენთან ერთად სიარული რას მარგებს?! სანამ შენ იმ გორაკთან მიხვალ, მე კიდეც დავნაყრდები და ჩემს სოროშიც დავბრუნდები. დავნაძლევდეთ, თუ ასე არ იქნება, – თქვა და გაიქცა.

ის ჯერ შუა მინდორში იყო, როცა თავის მეგობარ კურდღელს მოჰკრა თვალი. გაუხარდა მისი დანახვა და გადაწყვიტა: მოდი, მეგობართან წავითამაშებ, სულერთია, იმ კუს მაინც მივასწრებო.

კურდღლებმა კარგა ხანს ინავარდეს, თამაშით გული იჯერეს და ბოლოს გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გორაკამდე ჯერ ისევ შორი გზა იყო, როცა ჩვენმა კურდღელმა ახლა ბუჩქი დაინახა და გაიფიქრა: ბევრი ვინავარდე, ცოტა ხნით ამ ბუჩქის ძირში დავისვენებ და გზას მერე განვაგრძობ, კუს ხომ მაინც მივასწრებო.

ასეც მოიქცა. წამოგორდა ბუჩქის ქვეშ და დაღლილს მალე ჩაეძინა.

სანამ კურდღელს ეძინა, კუ თავის გზას განაგრძობდა, მიათრევდა თავისი ბაკნით დამძიმებულ სხეულს, უძნელდებოდა სიარული, მაგრამ არსად შეჩერებულა, ნაბიჯი არ შეუნელებია.

გამოიღვიძა თუ არა კურდღელმა, მარდად წამოხტა და გორაკისაკენ გაეშურა.

მიხტის ჩვენი კურდღელი და კმაყოფილი ფიქრობს: „მეგობართანაც ხალისიანად გავატარე დრო, გამოვიძინე კიდეც და ახლა იმ კუზე ადრე მაინც მივალ!“

მიაღწია კურდღელმა გორაკს და რას ხედავს: კუ უკვე იქ არის, დანაყრებულა და გამობრუნებასაც აპირებს.

– ეგ როგორ მოხდა, რომ ჩემზე ადრე მოხვედი? – გაიკვირვა კურდღელმა.

კუმ შეხედა და უპასუხა:

– შენ შენი მარდი ფეხების იმედი გქონდა, ის კი დაგავიწყდა, რომ სწრაფს და უდარდელს ყოველთვის აჯობებს დინჯად მშრომელი. მიბრძანდი, მიირთვი ბალახი. მე კი უნდა წავიდე, შინ დროზე მინდა დაბრუნება.

ეზოპე

შეკითხვები:

1. რის იმედით დაკარგა დრო კურდღელმა?
2. რატომ გაუძნელდა კუს აღმართზე სიარული?
3. რა შეახსენა გამარჯვებულმა კუმ გაოცებულ კურდღელს?
4. როგორ ადამიანს მოგაგონებს ამ ზღაპრის მიხედვით კურდღელი?
5. კუ კურდღელს ეუბნება: „შენ შენი მარდი ფეხების იმედი გქონდა.“ – რას ნიშნავს სიტყვა მარდი? სხვა მსგავსი სიტყვა ხომ არ გახსენდება? (სწრაფი)

აღწერე კურდღელი (კურდღელი არის სწრაფი, გრძელი ყურები აქვს, უყვარს სტაფილო და კომბოსტო, უკანა ფეხები წინაზე უფრო გრძელი აქვს, კურდღლის შვილს ბაჭია ჰქვია, კურდღელი სხვადასხვა ფერის შეიძლება იყოს: თეთრი, შავი, რუხი...).

6. თქვენ უკვე ორ ტექსტს გაეცანით კუზე: „კუს ოინი“ და „კურდღელი და კუ“. მეორე ტექსტში კუს როგორი ოინია აღწერილი?

აღწერეთ კუ (ტექსტების მიხედვით, გამოცდილებიდან, იქნებ ზოოპარკშიც კი გინახავთ).

7. იცით თუ არა, რას ჭამს? სად ცხოვრობს კუ? (კუ არის ნელი, დინჯი, უწყინარი, ბაკანი აქვს, ბაკანი მისი სახლია, ბალახს ჭამს...)

ასო „ზ“

გაზაფხული მოდის

(ხალხური)

თებერვალი გავიდაო,
მარტი კაბას კერავდაო,
მარტმა ნემსი დაკარგაო,
აპრილსა დააბრალაო,
აპრილმაცა ჰოპლა თქვაო,
მთა და ბარი დაქარგაო.

შეკითხვები:
1. გაიხსენე ბუნების შვილები – გაზაფხულის ყვავილები.
2. რომელი ყვავილები მოქარგავენ მთა-ბარს გაზაფხულზე?
(ია, ენძელა, ყოჩივარდა).

ასო „რ“

ირემი

ირემმა ჩაიხედა წყალში და საკუთარი ანარეკლი დაინახა. ძალიან მოეწონა თავისი გრძელი და ტოტიანი რქები. მერე ფეხებზე დაიხედა და თქვა: რა ლამაზი ვიქნებოდი, ეს წვრილი ფეხები რომ არ მაუშნოებდნენო.
უცებ გამოხტა ლომი და გაექანა ირმისკენ. ირემი ტრიალ მინდორზე ისარივით გავარდა. მაგრამ როცა ტყეში შევარდა, რქები გაეხლართა ხის ტოტებში. ლომი დაეწია ირემს.
მწარედ ნანობდა ირემი და ამბობდა:
აი, შე სულელო ჩემო თავო! რასაც იწუნებდი, იმათ ხიფათს გადაგარჩინეს და რაც მოგწონდა, იმათ კი გასაჭირში ჩაგაგდესო.

ეზოპე

უცხო სიტყვები:
ანარეკლი – გამოსახულება, რომელიც ჩანს სარკეში, წყალში ან სხვა პრიალა ზედაპირზე.
ხიფათი – საფრთხე, საშიშროება.

შეკითხვები:
1. რა ყოფილა ანარეკლი? (გამოსახულება წყლის ზედაპირზე)
2. აღწერე ირემი: როგორია ის? რა ადგას თავზე? ფეხები როგორი აქვს? შინაურია თუ გარეული ცხოველი?(ირემი გარეული ცხოველია და ტყეში ცხოვრობს. მას გრძელი ტოტიანი რქები და წვრილი ფეხები აქვს.)
3. თავდაპირველად რამ გადაარჩინა ირემი? (წვრილმა ფეხებმა.)
4. როგორ დაეხმარა დაწუნებული ფეხები ირემს? (ამ ფეხებით ძალიან სწრაფად დარბის ირემი.)
5. რამ ჩააგდო გასაჭირში ირემი? (რქებმა.) რატომ? (როცა ტყეში შევარდა, რქები ხის ტოტებში გაეხლართა და ლომი დაეწია.)
6. რატომ უწოდა ირემმა თავის თავს „სულელი“? (რასაც ის იწუნებდა, იმათ ხიფათს გადაარჩინეს და რაც მოსწონდა, იმათ გასაჭირში ჩააგდეს.)
7. თქვენ როგორ ფიქრობთ, როდის უფრო მართალი იყო ირემი, ამბის დასაწყისში თუ ბოლოს?
8. რას გვასწავლის ეს ამბავი წინასწარ რაიმეს დაწუნებისა და მოწონების შესახებ? თქვენც ეთანხმებით ამ გაფრთხილებას?

ასო „ჩ“

დიდი და მშვიდობიანი კამეჩი

(აღწერა)

კამეჩი შინაური ცხოველია. ხარზე დიდი ტანისაა, ღონეც მეტი აქვს. ფერი შავი აქვს. რქები დიდი და მოკაუჭებული აქვს. ტანად ტლანქია. ფეხებიც ტლანქი აქვს. კუდი გრძელი აბია. კამეჩს სიცხე სწყენს და სიცივესაც ვერ იტანს. ხასიათი მშვიდობიანი აქვს! ღონიერ კამეჩებს გლეხები ურემში აბამენ და ამუშავებენ. კამეჩმა ყოყინი იცის. კამეჩის შვილს ზაქი ჰქვია.

იაკობ გოგებაშვილი

ასო „დ“

მინდორში

დათა და ნინო მინდორში არიან. კარგი ამინდია. მზიანი დარია. მინდორში შინდის ხე დგას. ხეს შინდი ასხია. დათა და ნინო შინდს კრეფენ. ამ დროს დიდი ძერა გამოჩნდა.

– ნუ გეშინია! ძერა შორსაა, – დაამშვიდა ნინო დათამ.

ასო „ღ“

ზაზა და ღრუტუნა

პაპამ ზაზას სოფელში ნამდვილი გოჭი აჩუქა. ზაზამ ღრუტუნა ქალაქში წამოიყვანა და მეთექვსმეტე სართულზე ლიფტით აიყვანა. შეშინებული გოჭი ხან აქეთ ეცა, ხან – იქით. ჯერ შემოსასვლელში მოპრიალებულ იატაკზე გაიშხლართა და ძლივს წამოდგა. მერე

ჭყვიტინით დაუარა ოთახებს: სასადილოდან სამზარეულოში შევარდა, სამზარეულოდან აბაზანას მიაშურა. ონკანს დინგი გაჰკრა და იქაურობა მთლად მოწუწა. ბოლოს ღრუტუნა საძინებელში აღმოჩნდა. კარადასთან პატარა გოჭი შენიშნა. გახარებული გაექანა მისკენ და

სარკეს არ მიარტყა დინგი! მოიწყინა ღრუტუნამ და კუთხეში საცოდავად მიიკუნჭა.

ზაზას ძალიან შეეცოდა გოჭი და მამას სთხოვა, სოფელში წაეყვანათ.

ღრუტუნა სიხარულით ცას ეწია, როცა ისევ საღორეში ამოყო თავი!

მანანა ზაზიკაშვილი

ასო „ლ“

ყურცქვიტა კურდღელი

(აღწერა)

კურდღელი ცხოვრობს გარეთ, ტყესა და მინდორში, ამიტომ გარეული ცხოველი, ანუ ნადირი, ჰქვია. ტანი კურდღელს გრძელი აქვს მწევარი ძაღლივით. წინა ფეხები მოკლე აქვს, უკანა – გრძელი. თავზე გრძელი ყურები აქვს აცქვეტილი! კურდღელმა სწრაფი სირბილი იცის. მხდალია ძლიერ, ყველაფრის ეშინია. არც კბენა იცის, არც ფხაჭნა, არც წიხლი. მისი საყვარელი საჭმელი კომბოსტო და სტაფილოა. ხორცის ჭამა არ შეუძლია.

კურდღლის შვილს ბაჭია ჰქვია.

იაკობ გოგებაშვილი

ლომა და ზოლიანი ხალიჩა

აი ზოლიანი ხალიჩა. ის ძალიან ლამაზია. ხალიჩა ლელას ოთახშია. ლელა სახლშია.

ლომა ლელას ძაღლია. ახლა სად არის? – ოთახშია. მას ზოლიან ხალიჩაზე სძინავს.

ხალიჩა ფართოა. ლომასთან ახლოს ლევანი ზის. ის ლელას ძმაა.

– ლევან, ჩვენი ლომა ხომ ლამაზია! – ჩუმად უთხრა ძმას ლელამ.

– ლამაზი და კეთილია, მან თავისი ლუკმა ფისოს დაუთმო! მე დამეხმარა! –დაეთანხმა ლევანი ლელას.

ასო „ქ“

კაკანა ქათამი

(აღწერა)

ეს ქათამია. ქათამს ფრთები აქვს, როგორც ყოველ ფრინველს. რადგან ქათამი ჩვენთან, შინ, ცხოვრობს, შინაურ ფრინველს ვუწოდებთ.ქათმის ნისკარტი მოკლე და წვრილია. თავი პატარა აქვს, ზედ ბიბილო ადგას. მოზრდილი ტანი ფუმფულა ბუმბულით აქვს შემოსილი.

ქათამმა კაკანი იცის. იკაკანებს, იკაკანებს და კვერცხს დადებს. ქათმის პატარა შვილს წიწილა ჰქვია, მოზრდილს – ვარია.

იაკობ გოგებაშვილი

ქორი

ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ
ჩვენს ეზოში დილ-დილასა,
ვერ მომტაცებ, არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასა!

ხალხური

შეკითხვები:
1. რა ემუქრება პატარა წიწილას?
2. შენი აზრით, ვინ ელაპარაკება ამ ლექსში ქორს?
მოგეწონა მისი სიტყვები?
3. გაიხსენე კეთილი ქეთო მოთხრობიდან „ქეთო და ქორი“. რით ჰგავს ამ ლექსს?

ასო „გ“

გემი და სამი თოლია

გაგრაში გემი ნავსადგურიდან გავიდა. გიორგის სიხარულისაგან გული აუძგერდა.
ის სამოგზაუროდ მიდის. სამი თოლია გემს აედევნა.
გემბანზე გიორგიმ ორი მეზღვაური დაინახა. მათ დიდი ქოლგა გაშალეს.
გიორგი ქოლგის ქვეშ დადგა. ამ ადგილიდან ზღვა და სამი თოლია კარგად
გამოჩნდა.
გემი ზღვის შუაგულში შევიდა.

ასო „ბ“

ბუდე

ეს ჩიტის ბუდეა. ბუდე მომრგვალოა, ჯამს ჰგავს. გაკეთებულია ბუჩქზე.

ბუდეში ვხედავთ ოთხ ბარტყს. ბარტყებს პირები დაღებული აქვთ, საჭმელს ელიან, აქეთიქით იცქირებიან. დედა ჩიტი მოფრენილა, მოუტანია წვრილი მატლი და ნისკარტით უჭირავს. უნდა, მატლი ბარტყს ჩაუდოს პირში.

იაკობ გოგებაშვილი

ბაიას ზღაპარი

– ეს არის სკვინჩა, ეს ბოლოქანქარა, – ამბობდა მასწავლებელი და სხვადასხვა ფერის ცარცით დაფაზე ლამაზბუმბულიან ჩიტებს ხატავდა.

მოისმა ზარის ხმა.

– ბაია, – თქვა მასწავლებელმა, – დღეს შენ იქნები მორიგე, გააღე ფანჯრები, მერე აიღე ჩვარი და ააფრინე ეს ჩიტები დაფიდან. მასწავლებელმა ბაიას გაუღიმა და გარეთ გავიდა.

საკლასო ოთახში მარტო ბაია დარჩა. მან გააღო ფანჯრები, მერე დაფას მიუახლოვდა, რომელზეც ლამაზბუმბულიანი ჩიტები ისხდნენ, ცოცხალი, სულ ნამდვილი ჩიტები იყვნენ, მხოლოდ არ ჭიკჭიკებდნენ.

– ფრრრ! – აუქნია ხელები ბაიკომ. ჩიტებს არ შეშინებიათ, ისევ დაფაზე ისხდნენ და გაკვირვებულნი შემოჰყურებდნენ ბაიას.

– ფრრრ! – უფრო ხმამაღლა შეუძახა ბაიკომ.

ჩიტებს ფრთებიც არ შეუფართხუნებიათ.

„სულ დამავიწყდა“, – გაიფიქრა ბაიკომ. ჩვარი აიღო, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიუახლოვდა დაფას და ჩვარი სწრაფად დააფარა ჯერ სკვინჩას, მერე მერცხალს, ბეღურას. ბოლოს დაფაზე აღარც ერთი ჩიტი აღარ დარჩა, ახლა ყველანი ჩვარში ჰყავდა დამწყვდეული ბაიკოს.

მან ფანჯარასთან მიირბინა, თითისწვერებზე აიწია და ჩვარი დაფერთხა.

გამოფრინდნენ ჩვრიდან ჩიტები, კამარა ჰკრეს და ცაში აიჭრნენ, ერთი ხის ტოტზე შემოჯდა, მეორე ელექტრომავთულზე შესკუპდა, ორი კი ჰაერში დანავარდობდა, კოღობუზებს დასდევდა. ხანდახან, რომელიმე მათგანი საკლასო ოთახის ფანჯარასთანაც ჩაიქროლებდა და რაღაცას ჩაუჭიკჭიკებდა ბაიას.

ედიშერ ყიფიანი

შეკითხვები:

1. როგორ ჩიტებს ხატავდა მასწავლებელი დაფაზე? (ფერადბუმბულიანს) რა ბგერაზე იწყება სიტყვა – ბუმბული? გოგონას სახელი?

2. ზღაპარში ვკითხულობთ: „დღეს შენ იქნები მორიგე, გააღე ფანჯრები, მერე აიღე ჩვარი და ააფრინე ეს ჩიტები დაფიდან. მასწავლებელმა ბაიას გაუღიმა და გარეთ გავიდა.“ რატომ უთხრა მასწავლებელმა ბაიას „ააფრინე“ ჩიტებიო? რა იგულისხმა?

3. რა წარმოიდგინა ბაიამ, როცა შეხედა დახატულ ჩიტებს?

4. ბაიასაც ნამდვილ ჩიტებს აგონებდა ნახატები, თუმცა რაღაც მაინც განასხვავებდა მათ ცოცხალი ჩიტებისაგან. რა? (არ ჭიკჭიკებდნენ)

5. როგორ „ააფრინა“ ბაიამ ჩიტები?

6. ამ ტექსტის სათაურია „ბაიას ზღაპარი“. თქვენი აზრით, რატომ არის ეს ზღაპარი?

7. ხატვისას, თუ გიოცნებიათ გაგეცოცხლებინათ თქვენი ნახატები? გვიამბეთ ამის შესახებ.

8. ჩამოთვალეთ ჩიტები, რომლებიც ამ ზღაპარში შეგხვდათ. რომელი იწყება ბ ბგერაზე? (ბოლოქანქარა, ბეღურა)

(მასწავლებელს შეუძლია, ასო ბ დაწეროს დაფაზე და შემდეგ ჩამოათვლევინოს მოსწავლეებს ამ ასოზე დაწყებული ფრინველთა სახელები.)

9. გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ თქვენთვის ნაცნობი ჩიტები (კოდალა, ოფოფი, შაშვი, ბუ...), რომლებიც შეგხვდათ ნასწავლ ტექსტებში და ერთ-ერთი აღწერეთ.

ასო „პ“

პეპელა და ფუტკარი

მინდვრიდან ფუტკარს თაფლი მიჰქონდა და სკისკენ მიიჩქაროდა. წინ შემოეყარა ჭრელი, მორთული პეპელა და ამაყად დაუძახა:

– ეი, შენ, თხუპნია, გზიდან ჩამომეცალე, ტანისამოსი არ დამისვარო!

ფუტკარს ჯერ გული მოუვიდა და იფიქრა, ახი არ იქნება, ამ ბრიყვს ჩემი შხამიანი ისარი ვკრა და ფეხები გავაფშეკინოო. მაგრამ მალე აზრი შეიცვალა და თქვა: რა ვაჟკაცობა იქნება, ძალა ვიხმარო სუსტსა და უიარაღო სულიერზე. სჯობს, სიკეთე გამოვიჩინო და თავაზიანად მოვექცეო.

ჩამოეცალა გზიდან და ოდნავ დამცინავად უთხრა:

– მიბრძანდი, ქალბატონო!

იაკობ გოგებაშვილი

ასო „ყ“

ყვითელი ყვავილები

გიო ყვავილების სურათებს ათვალიერებდა:

ეს ყაყაჩოა, ის ყოჩივარდაა. მაყვლის ბუჩქს თეთრი ყვავილი აქვს. ვარდი ყველაზე ლამაზია.

ბაია ყვითელია...

ოთახში თეო შემოვიდა. ის გიოს დაიკოა.

– მე ყვითელი ყვავილები მიყვარს! – უთხრა თეომ ძმას.

გიომ დას თბილად გაუღიმა.

მეორე დღეს თეოს ოთახში ყვითელი ყვავილებით სავსე კალათა იდგა!

ასო „ც“

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.

შიო მღვიმელი

ასო „ტ“

მატიტელა

ატიტელა, მატიტელა,
სეიფოთლა მატიტელა,
სულ ბატებმა გადაკორტნეს,
დარჩენილა თავტიტველა!

მაყვალა მრევლიშვილი

საქართველოს ტბები

ტბები თევზების საბინადროა.

საქართველოში ბევრი ტბაა: ფარავანი, პალიასტომი, ბაზალეთი...

ფარავნის ტბა ყველაზე დიდია. ის ზამთარში იყინება.

თბილისში ორი ტბაა: ლისის და კუს.

ლოქო და ქაშაყი ტბის თევზებია.

ასო „წ“

წერო

წერო წერდა წერილს.
შეეხვეწა მწერი:
მომეცალე წერო,
ცოტა მეცა ვწერო.

მაყვალა მრევლიშვილი

ასო „ჭ“

კაჭკაჭი და კრუხი

კაჭკაჭი ხის ტოტზე დასკუპებულიყო. იქვე ახლოს წიწილები მიწას ქექავდნენ. კაჭკაჭი ჩამოფრინდა ხიდან და წიწილებისკენ გაექანა. კრუხი გამოექანა, დააფრთხო კაჭკაჭი და თავის წიწილებს ფრთებით გადაეფარა.

ვერც წიწილა წაიყვანა კაჭკაჭმა და ვერც კრუხს დაუშავა რამე!

იაკობ გოგებაშვილი

თემა: ჩვენი სამშობლო

ასო „ჯ“

შეჯიბრების მოლოდინი

მალე კრივში შეჯიბრება გაიმართება. ჯაბა ემზადება. მას გამარჯვების იმედი აქვს.

ჯაბას მეგობრებიც ემზადებიან. ჯურხა ჯაბას ჯგუფელია. ისიც მოკრივეა.

რინგზე ჯერ ჯაბა გამოვა, შემდეგ – ჯურხა.

ქალაქის მერიაც ემზადება. რინგის ირგვლივ ჯებირები ჩადგეს. ზედ საქართველოს დროშები გააკრეს! ჯილდოებიც დაამზადეს. მთელი ქალაქი შეჯიბრების მოლოდინშია.

საქართველოში კრივი ძალიან უყვართ!

ასო „ჟ“

ჟუჟუნა წვიმა

(ხალხური)

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
ჯეჯილი წამოიზარდა,
ფერი იცვალა ყანამა.

ქართული ნაგაზი

ნაგაზი დიდი და მამაცი ძაღლია. მას აქვს ძლიერი სხეული და მოკლე, სქელი ბეწვი. იგი ძალიან გავრცელებულია მთაში, მეცხვარეებთან. ნაგაზს მოსწონს ბუნებაში ყოფნა, კარგად ეგუება სიცივეს.

ნაგაზი ფხიზელი და ყურადღებიანი ძაღლია. დღისითაც და ღამითაც იგი ერთგულად დარაჯობს ფარას და იცავს ცხვრებს. ხშირად ფარას მგლების ხროვა ესხმის ხოლმე თავს. ნაგაზი უშიშრად ებრძვის 10-12 მგელს ერთდროულად.

ბავშვებო, ალბათ გინახავთ ან გაგიგონიათ, რომ ნაგაზის ლეკვებს პატრონები პატარაობაშივე აჭრიან ხოლმე ყურებსა და კუდს. შეიძლება, შეგცოდებიათ კიდეც პატარა ლეკვი და გაბრაზებულხართ მის პატრონზე. სინამდვილეში კი, იცით, რატომ იქცევიან ასე? იმიტომ, რომ ჩხუბის დროს მგელმა კბილები არ ჩაასოს ყურში ან კუდში და ადვილად არ მოერიოს.

ნაგაზი ადვილი გასაწვრთნელი არ არის. მის გაწვრთნას განსაკუთრებული წესების დაცვა სჭირდება. უკეთესია, თუ ნაგაზის ლეკვს პატარაობაშივე პროფესიონალი მწვრთნელი გაწვრთნის.

მეცნიერების აზრით, ნაგაზი ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია მეცხვარე ძაღლებს შორის. ქართული ნაგაზის ჯიშისგანაა მიღებული „კავკასიური ნაგაზი“, რომელიც დღეს ძალიან პოპულარულია, ცნობილია მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით ძვირფასი და იშვიათია თეთრი ნაგაზი. იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ცნობილი.

თავისი თვისებების გამო, მეცხვარეები ძალიან ენდობიან ნაგაზს. ის კი გრძნობს პატრონის სიყვარულს და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურება მასა და მის ოჯახს. ნაგაზს განსაკუთრებით უყვარს ბავშვები და არ ერჩის მათ. პირიქით, ხშირად ეთამაშება და ყურადღებით იცავს პატარებს.

ასო „ჰ“

სიმღერა მამულზე

ჰაი, დილილმე, დილილმე,
მთა-ბარი შემოვირბინე,
მთაში წყარონი მღერიან,
ბარში მინდორი ბიბინებს.
წყაროსაც დავეწაფები,
დავკრეფ ვარდებს და გვირილებს,
რა ლამაზი ხარ, მამულო,
შენი გამჩენის ჭირიმე.

ჯანსუღ ჩარკვიანი

პატარა ქართველების გამარჯვება

ნანა და ჯაბა უკვე ქალაქ პარიზში იყვნენ და მოცეკვავეთა ფესტივალზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ. ნანამ ჩაიცვა თავისი მშვენიერი ქართული კაბა. ჯაბამ კი ტანზე ჩოხა მოიხდინა. ბავშვები ძალიან ღელავდნენ, მაგრამ სხვების წინაშე ამას არ იმჩნევდნენ.

– ჯაბა, ხომ შევძლებთ გამარჯვებას?! – უკვე მერამდენედ ეკითხებოდა თავისი ნაზი და შიშნარევი ხმით ნანა ძმას.

– აუცილებლად, დაიკო! ისე ვიცეკვებთ, ვასახელებთ ჩვენს საქართველოს! ყველას მოვაწონებთ ქართულ ცეკვას! – იმედიანად უთხრა ჯაბამ უმცროს დას და თბილად ჩაეხუტა.

პატარა მოცეკვავეები სცენაზე გავიდნენ. ჯაბამ თავი ამაყად ასწია და ლამაზი მოძრაობით წრე შემოავლო სცენას, შემდეგ ქართულ კაბაში გამოწყობილ დაიკოს მიუახლოვდა და თავი დაუკრა.

საოცრად ლამაზად ცეკვავდნენ ბავშვები. რამდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა ტაში. ცეკვის დასრულებისთანავე ოქროსფერი ვარსკვლავებით გაივსო სცენა. ბოლოს კი საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

– ჯაბა, ჩვენ ეს შევძელით! ვასახელეთ საქართველო! – ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა გახარებული გოგონა.

დიდ ეკრანზე კი საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებდა.

ლელა მანგოშვილი

ანბანის შემდგომი ნაწილის სარეკომენდაციო კურიკულუმის ნიმუში

ანბანის შემდგომ პერიოდში მუშავდება ორი სამიზნე ცნება:

1. ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
2. სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ.)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
თემა **სწავლის სიყვარული**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: პერსონაჟი **ქვესაკითხები**: თემა, დედააზრი, პერსონაჟი, მახასიათებლები, ქცევა, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან.	პერსონაჟის დახასიათება	„ნუცას სკოლა“ „ბავშვი და სათვალე“ „ბეჯითი კატო“ „თედო სიტყვებს სწავლობს“. **კონტექსტმაგალითები**: ლექსი „ყაყაჩოსა სიწითლითა“.	სახელმძღვანელო – გვ.100-110 **კონტექსტმაგალითები**: ლექსი „ყაყაჩოსა სიწითლითა“. სავარჯიშოები მოსწავლის წიგნსა და რვეულში. მსგავსი და საპირისპირო შინაარსის სიტყვები – მოსწავლის წიგნი. – გვ107 პერსონაჟების სქემები მოსწავლის რვეული – გვ.111, გვ.112, გვ.114.
	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
თემა **ბავშვი და გარემო**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ტექსტი. **ქვესაკითხები**: ტექსტების („ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“) დედააზრი, პერსონაჟები, მახასიათებლები.	პერსონაჟის დახატვა/ გამოძერწვა და დახასიათება.	„ვანო, კატო და ჩიტი“. „ჩიტი და მელა“. **კონტექსტმაგალითები**: მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან კეთილი საქციელის ამსახველი მაგალითების დასახელება.	სახელმძღვანელო – გვ.112-116 **კონტექსტმაგალითები**: მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან კეთილი საქციელის ამსახველი მაგალითების დასახელება. პერსონაჟების სქემები. სიტყვის სკივრი. გრძნობათა ყულაბა.

	სამიზნე ცნება: ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: მხატვრული ტექსტი; ქვესაკითხები: ტექსტების – „მზე ამოვა დილით“, მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – თემა, დედაზრი, პერსონაჟები, გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა, სასვენ ნიშნებთან ინტონაციის დაცვა.	შერჩეული ნაწარმოების მონაკვეთის გამომსახვე-ლობითად (მხატვრულად) წაკითხვა კლასის წინაშე.	„მზე ამოვა დილით“. „მოხუცი ქალი ბავშვები“. „კეთილი ძმა“. კონტექსტმაგალითები: შესწავლილი მოთხრობების პერსონაჟების გახსენება (ნუცა, კატო, ბეჯითი კატო...), რომელთაც წიგნის კითხვა უყვართ. მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან მაგალითების დასახელება, ვინ უკითხავს წიგნს და როგორი ამბები მოსწონთ.	სახელმძღვანელო – გვ. 117-120 კონტექსტმაგალითები: შესწავლილი მოთხრობების პერსონაჟების გახსენება (ნუცა, კატო, ბეჯითი კატო...), რომელთაც წიგნის კითხვა უყვართ. მოსწავლეთა პირადი გამოცდილებიდან მაგალითების დასახელება, ვინ უკითხავს წიგნს და როგორი ამბები მოსწონთ. ამბის ჩარჩო – დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული – მოსწავლის რვეული – გვ. 119. კომიქსის ნიმუში – მოსწავლის რვეული – გვ. 120
	სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება**: თხრობა. **ქვესაკითხები**: სიკეთეზე შეთხზული ამბის თემა, დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული, სათაური, ამბის დეტალები.	ამბის შექმნა სიკეთის თემაზე სურათებზე დაყრდნობით.	**კონტექსტმაგალითები**: შესწავლილი ნაწარმოებების პერსონაჟების გახსენება, რომლებმაც სიკეთე გააკეთეს: მან საბრალო ჩიტს გალია გაუღო (კატო). ის დედა ჩიტს დაეხმარა, ბარტყები გადაურჩინა (კეთილი სანდალა). მან თავისი მსხალი დას მიუტანა და გული გაუხარა (კეთილი სანდრო). ისინი მოხუცს გასაჭირში დაეხმარნენ (კეთილი ბავშვები).	**კონტექსტმაგალითები**: შესწავლილი ნაწარმოებების პერსონაჟების გახსენება, რომლებმაც სიკეთე გააკეთეს: მან საბრალო ჩიტს გალია გაუღო (კატო). ის დედა ჩიტს დაეხმარა, ბარტყები გადაურჩინა (კეთილი სანდალა). მან თავისი მსხალი დას მიუტანა და გული გაუხარა (კეთილი სანდრო). ისინი მოხუცს გასაჭირში დაეხმარნენ (კეთილი ბავშვები). ანიმაციური ფილმი „სიკეთე“ – https://www.youtube.com/watch?v=OHTBpBPkgPs სიტყვის სკივრი. ამბის სამი ნაწილი.

	სამიზნე ცნება ქვეცნებები ქვესაკითხები	საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა	ძირითადი ტექსტი კონტექსტმაგალითები **(ტექსტი, შემთხვევა, ლიტერატურული მაგალითი, ვიდეო და სხვ)**	სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის
თემა **ბუნების მრავალფეროვნება**	**სამიზნე ცნება:** ტექსტი (ჟანრები) შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) ქვეცნება: მხატვრული ტექსტი – ზღაპარი. **ქვესაკითხები**: ზღაპრის დედააზრი, პერსონაჟები, მათი ქცევა. ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული; სასვენი ნიშნები.	ზღაპრის გაგრძელება.	ციხე-დარბაზი – ზღაპარი. **კონტექსტმაგალითები**: ანიმაციური ფილმი „ლურჯი მელია“ https://bit.ly/3P23t0J	სახელმძღვანელო – გვ.127. **კონტექსტმაგალითები**: ანიმაციური ფილმი „ლურჯი მელია“ https://bit.ly/3P23t0J სავარჯიშოები, გამოცანები – მოსწავლის წიგნი – გვ.129. პერსონაჟის (მელიას) სქემა – მოსწავლის რვეული – გვ.125. საყრდენი ჩარჩო ამბის გასაგრძელებლად. მოსწავლის რვეული, გვერდი 126.
	სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6). **ქვეცნება**: შედარება. **ქვესაკითხები**: წელიწადის დროები. ზეპირი შედარება – მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები.	ზამთრისა და ზაფხულის სურათების დახატვა და სქემის მიხედვით შედარება.	**კონტექსტმაგალითები**: წელიწადის დროების ამსახველი სურათები – მოსწავლის წიგნი. გვ. 132.	**კონტექსტმაგალითები**: წელიწადის დროების ამსახველი სურათები – მოსწავლის წიგნი. გვ. 132. სახალისო სავარჯიშოები, ზამთრისა და ზაფხულის მახასიათებლების სქემა – მოსწავლის რვეული – გვ.128. წელიწადის დროების მსგავსება – განსხვავების აღმნიშვნელი სიტყვები დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე (ამინდი, ფერები, გართობა, ტანსაცმელი).

ანბანის შემდგომი პერიოდის მატრიცების დეტალიზებული დანართები

თემა: სწავლის სიყვარული

შუალედური მიზანი – პერსონაჟის დახასიათება.
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება – ტექსტი შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება** – პერსონაჟი	**საკითხი** – შესწავლილი ტექსტების – „ნუცას სკოლა“, „ბავშვი და სათვალე“, „ბეჯითი კატო“, „თედო სიტყვებს სწავლობს“ – მიხედვით პერსონაჟის შერჩევა და დახასიათება. **ქვესაკითხი**: თემა, დედააზრი, პერსონაჟი, მახასიათებლები, ქცევა, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ/რა ხერხების გამოყენებით დავახასიათო შერჩეული მოთხრობის პერსონაჟი? რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად? **კომპლექსური დავალება** – პერსონაჟის დახასიათება შესწავლილი ტექსტებიდან – „ნუცას სკოლა“, „ბავშვი და სათვალე“, „ბეჯითი კატო“, „თედო სიტყვებს სწავლობს“ – შეარჩიე პერსონაჟი, ჩაწერე სახელი, დახატე და სქემის დახმარებით ზეპირად დაახასიათე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება	**შეფასების კრიტერიუმები** დახასიათებისას წარმოაჩინე: ✓ როგორია პერსონაჟი, რა თვისებები აქვს მას, სად ჩანს მისი სწავლისადმი სიყვარული (ტ. 1, 2, 3). ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს და რატომ (ტ. 1). ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟის საშუალებით?(ტ.1,3)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

რესურსი: მოსწავლის წიგნი – (გვ. 100) – პირველი თემა

1 სწავლის სიყვარული

***

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

ხალხური

აქტივობა: დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ლექსს წაუკითხავს გამომსახველობითად და დაუსვამს შეკითხვებს:

- ✓ რით გაუხარებია ყმაწვილს, ანუ მოზრდილ ბავშვს სახლი?
- ✓ რა ჰქვია ისეთ ადამიანს, ვისაც სწავლა უყვარს?
- ✓ დააკვირდით თემის სათაურს, რა წერია? (სწავლის სიყვარული).
- ✓ თქვენი აზრით, რას ნიშნავს, სწავლა სინათლეა?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ამ თემის მოთხრობებსა და ლექსებში საუბარი? (სწავლის, სკოლის და ა.შ.)
- ✓ რა ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელსაც უყვარს სწავლა? (ბეჯითი, სწავლის მოყვარული, მონდომებული)
- ✓ როგორ უნდა დაახასიათოთ პერსონაჟი? რას უნდა მიაქციოთ ყურადღება? (აქვს თუ არა სწავლის სურვილი, აინტერესებს წიგნების კითხვა? სხვებს ასწავლის?)
- ✓ სწორედ ეს არის თქვენი დავალება. ასე უნდა დაახასიათოთ პერსონაჟები.
- ✓ შეგისრულებიათ თუ არა მსგავსი ტიპის დავალება?
- ✓ რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- ✓ რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის გასაგებად**?** როგორია პერსონაჟი – რა თვისებები აქვს მას, სად ჩანს მისი სწავლისადმი სიყვარული? (ტ. 1, 2, 3). პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს და რატომ? (ტ.1.). რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟის საშუალებით? (ტ.1.3)

ქვესაკითხები: პერსონაჟი, მახასიათებლები, ქცევა, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან.

რესურსი 1. ი.გოგებაშვილის „ნუცას სკოლა“. მოსწავლის წიგნი (გვ.102).

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ თქვენი აზრით, რაზე შეიძლება იყოს ნაწარმოები?
- ✓ რა შთაბეჭდილება გრჩება ნაწარმოების ილუსტრაციიდან გამომდინარე, რა შეიძლება მოხდეს მოთხრობაში?
- ✓ სათაურის მიხედვით, ვინ უნდა იყოს მთავარი პერსონაჟი?

ტექსტის წაკითხვა გაგრძელებით, მოსწავლეთა მიერ.

რესურსი 2. სავარჯიშოები. მოსწავლის წიგნი. (გვ.103).

აქტივობა 2. ნახატებზე დაკვირვება, სიტყვის ორი მნიშვნელობის ახსნა და გამოტოვებული ასოების გამოცნობა. დააკვირდით სურათებს, რას გამოხატავს პირველი ნახატის მიხედვით სიტყვა? (ადამიანის თვალებს) მეორე ნახატის მიხედვით? (ბეჭდის თვალს)

დააკვირდი



გამოიცანი

გამოიცანი გამოტოვებული ასოები:

დედოფალას ლურჯი თ✿✿✿✿✿✿ აქვს.

გვირგვინს წითელ-წითელი თ✿✿✿✿✿ ამკობს.

რესურსი 3. სავარჯიშოები. მოსწავლის წიგნი (გვ.101 და 103).

აქტივობა 3. ხმოვნებისა და თანხმოვნების გახსენება, სიტყვებში ამოცნობა და დათვლა.

რესურსი 4. პერსონაჟის სქემა – მოსწავლის რვეული – გვ.111.

აქტივობა 4. პერსონაჟის სქემის შევსება.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა გადაწყვიტა ნუცამ, რა უნდა ასწავლოს თავის თოჯინა/დედოფალებს? რატომ ფიქრობთ ასე? ((ნუცამ თქვა, ჩემს დედოფალებს კითხვა უთუოდ უნდა ვასწავლოო)
- ✓ როგორ ასწავლიდა ის კითხვას? რას ეუბნებოდა თოჯინებს?
- ✓ ანბანის რომელი ასოებია „ანი“ და „ბანი“?
- ✓ რატომ უთხრა ნუცამ დედოფალებს, თვალი არ დახუჭოთო? (იმიტომ, რომ უნდოდა, მათ კითხვა კარგად ესწავლათ)
- ✓ როგორ გგონიათ, ისწავლიდნენ დედოფალები კითხვას?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რის თქმა უნდა მწერალს ამ მოთხრობით? (უნდა გვიყვარდეს სწავლა)
- ✓ მოდით, ახლა თქვენი სიტყვებით დაახასიათეთ, როგორი გოგონაა ნუცა? არის ის სწავლის მოყვარული, მონდომებული? შრომისმოყვარე? რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრ-დნობი?
- ✓ რის თქმა სურს მწერალს ამ მოთხრობით?
- ✓ ხომ არ გახსენდებათ მოთხრობა, ლექსი ან ფილმი, სადაც გვიამბობენ ყოჩაღი ბავშვების შესა-ხებ, რომელთაც სწავლა უყვართ?
- ✓ ნუცა თოჯინებთან ერთად თამაშობს, რა არის შენი საყვარელი თამაში?

რესურსი 5. ლექსების, მოთხრობების, ზღაპრების, გამოცანების წიგნები.

აქტივობა 5. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს სხვადასხვა წიგნს და აუხსნის, რომ არსებობს ლექსების, მოთხრობების, ზღაპრების, გამოცანების წიგნები... გაარკვევს, ვის რომელი წიგნი მოს-წონს.

რესურსი 6. იაკობ გოგებაშვილის „ბავშვი და სათვალე“. მოსწავლის წიგნი – გვ.104.

აქტივობა 6. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა.
წაკითხვამდე – ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით.

- ✓ დააკვირდით ილუსტრაციას, როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ეს მოთხრობა? რა მოხდება? რატომ ფიქრობთ ასე?
- ✓ სათაურის მიხედვით, ვინ იქნება ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი?

პაუზა... აუხსნა პაწია კატომ.

- ✓ როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? უყიდის მამა კატოს სათვალეს? რატომ ფიქრობთ ასე? რომელი მინიშნების მიხედვით ფიქრობთ?

წაკითხვის შემდეგ

- ✓ გამართლდა თქვენი მოლოდინი? რა გავიგეთ, რის შესახებ არის ეს მოთხრობა? რა მოხდა?

აქტივობა 7. ტექსტის წაკითხვა მოსწავლეთა მიერ. შესაძლებელია, როლების განაწილება (მასწავლებელი- მთხრობელი, კატო და მამა) და ამგვარად წაკითხვა.

რესურსი 7. მოსწავლის რვეული (გვ. 111).

გადაწერე წინადადება.

წიგნი საუკეთესო საჩუქარია.

აქტივობა 8. მოსწავლეები რვეულში გადაწერენ წინადადებას.

რესურსი 9. პერსონაჟის სქემა (ცნობისმოყვარე კატო) – მოსწავლის რვეული (გვ. 112)

აქტივობა 10. პერსონაჟის სქემის შევსება. ჩაწერე პერსონაჟის სახელი. როგორი გოგონაა პატარა კატო? რატომ ფიქრობ ასე?

გაიხსენე მაგალითი ტექსტიდან და ზეპირად დაასაბუთე. გააფერადე მახასიათებელი.



რესურსი 10. სავარჯიშოები. მოსწავლის წიგნი (გვ.105)

აქტივობა 11. მოსწავლეები წიგნში მოცემული სავარჯიშოების დახმარებით გაიხსენებენ მარცვლის რაობას, დამარცვლავენ სიტყვებს, ამოიცნობენ, რამდენი მარცვალია სიტყვაში, შეადგენენ ორმარცვლიან სიტყვებს, სიტყვებით წინადადებებს და დაფაზე დაწერენ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ როგორი წიგნები მოგწონთ? ლექსების, მოთხრობების, ზღაპრების, გამოცანების წიგნები.
- ✓ რა სთხოვა კატომ მამას?
- ✓ რისთვის უნდოდა კატოს სათვალე? (წიგნის წაკითხვა უნდოდა)
- ✓ რატომ უნდოდა მამასავით წიგნები ეკითხა? უნდა რომ ბევრი რამ იცოდეს?
- ✓ რა ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს? (ცნობისმოყვარე)
- ✓ რატომ უყიდა მამამ კატოს წიგნი და არა სათვალე?
- ✓ რა უნდა ისწავლო, რომ წიგნის წაკითხვა შეძლო?
- ✓ შენი აზრით, სწორი იყო მამის გადაწყვეტილება? რატომ?
- ✓ როგორი გოგონაა კატო? არის ის ცნობისმოყვარე? რატომ?
- ✓ კიდევ როგორია, არის თუ არა მონდომებული? რატომ?
- ✓ არის თუ არა ბეჯითი? რატომ?
- ✓ რა გასწავლათ ამ მოთხრობამ? რა არის მისი მთავარი აზრი?
- ✓ რამდენი მარცვალია სიტყვაში? (რამდენი ხმოვანიც არის)
- ✓ როგორ შევადგინოთ მარცვლებით სიტყვები? სიტყვებით წინადადებები?

რესურსი 11. იაკობ გოგებაშვილის „ბეჯითი კატო“ მოსწავლის წიგნი – გვ.106.

აქტივობა 12. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს,
მოსწავლეები კითხულობენ როლური კითხვის მეთოდით (მასწავლებელი მთხრობელი, გოგონა – კატო, ბიჭუნა – თედო)

რესურსი 12. შინაარსით მსგავსი და საპირისპირო სიტყვები. მოსწავლის წიგნი. (გვ.107).

აქტივობა 13. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სიტყვის მარაგის გამდიდრება.

დააკვირდი ნიმუშს და გამოიცანი შინაარსით საპირისპირო სიტყვები:

ნიმუში:

პატარა – დიდი

1. მსუბუქი	სქელი
2. თხელი	მძიმე

გამოიცანი შინაარსით მსგავსი სიტყვები:

1. თხელი	პაწაწინა
2. ბეჯითი	სიფრიფანა
3. პატარა	შრომისმოყვარე

უპასუხე ერთმარცვლიანი სიტყვებით:
1. რა დგება ღამის შემდეგ?
2. რა ანათებს დღისით ცას?
3. ღამით რომელი ფრინველი ფხიზლობს?

რესურსი 13. პერსონაჟის სქემა. მოსწავლის რვეული გვ. (112).

აქტივობა 14. პერსონაჟის სქემის შევსება. ჩაწერე პერსონაჟის სახელი. როგორი გოგონაა კატო? რატომ ფიქრობ ასე?

გაიხსენე მაგალითი ტექსტიდან და ზეპირად დაასაბუთე. გააფერადე მახასიათებელი.

მონდომებული

ბეჯითი

ჯიუტი

შრომისმოყვარე

დადის სკოლაში

გეზისმიმცემი შეკითხვები:

1. რა სთხოვა თედომ დედას?
2. რატომ უნდოდა თედოს ადრე გაღვიძება? რის ჭამა სურდა დილით? (ფუნთუშის)
3. რატომ ამბობს მწერალი სიყვარულით თედოზე, რომ ის მსუნაგია?
4. რა სთხოვა კატომ დედას?
5. რატომ უნდოდა კატოს ადრე გაღვიძება?
6. როგორი გოგონა ყოფილა კატო?
7. არის თუ არა კატო შრომისმოყვარე? საიდან ჩანს?
8. რა მოეწონა პატარა თედოს?
9. როგორ ფიქრობ, თედოც ბეჯითი ბიჭუნა იქნება? რატომ ფიქრობ ასე?
10. რის თქმა უნდა მწერალს ამ მოთხრობით? რატომ ფიქრობთ ასე?
11. თქვენ გიყვართ დილით ადრე ადგომა? რატომ არის უკეთესი, თუ დილით ადგებით?

რესურსი 14. თედო სიტყვებს სწავლობს.

აქტივობა 15. მასწავლებლის მიერ ლექსის წაკითხვა. მოსწავლეთა მიერ გაგრძელებით წაკითხვა.

- ✓ რის სწავლა უნდა თედოს?
- ✓ ვინ ეხმარება სწავლაში?
- ✓ როგორ უპასუხა კატომ თედოს? (სხაპასხუპით) რას ნიშნავს სხაპასხუპით? (სწრაფად)
- ✓ რა ჰყავს ცხვარს? (ბატკანი) კამეჩს? (ზაქი) აქლემს? (კოზაკი)
- ✓ რას ზრდის ღორი? (გოჭს) ცხენი? (კვიცს) თხა? (თიკანს, ციკანს) ძროხა? (ხბოს/ბოჩოლას)
- ✓ რას აკეთებს კატა?
- ✓ გაიხსენეთ, ის სიტყვები, რომლებიც თედოსთვის ახალია, თქვენთვის ხომ ნაცნობია და შეგიძლიათ სხაპასხუპით დაასახელოთ?

რესურსი 15. მოსწავლის რვეული. (გვ. 113)

აქტივობა 16. მოსწავლეები დაასახელებენ ცხოველებს, მათ ნაშიერებს და რვეულში შეასრულებენ დავალებას – უპოვე ნაშიერს მშობელი.

რესურსი 16. მოსწავლის რვეული. (გვ. 113)

12. ..... მონდომებით ასწავლიდა კითხვას დედოფალებს.
13. ცნობისმოყვარე .....წიგნების კითხვით დაინტერესდა.
14. ბეჯითი ..... დილით ადრე დგებოდა.
15. პატარა ..... სიტყვებს მონდომებით სწავლობს.

აქტივობა 17. ჩაწერე წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა.

რესურსი 17. მოსწავლის რვეული. (გვ. 114)

აქტივობა 18. გაიხსენე პერსონაჟები: ნუცა, პატარა კატო, მოსწავლე კატო, თედო და ხაზებით დააკავშირე მახასიათებელთან.

შეგიძლია, ერთ პერსონაჟს დაუკავშირო რამდენიმე თვისება.

ცნობისმოყვარე	ბეჯითი
შრომისმოყვარე	მონდომებული

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რომელმა პერსონაჟმა იცის, ანი და ბანი რომ ჰქვია ასოებს? როგორ ასწავლიდა კითხვას დედოფალებს? არის ის მონდომებული?
- ✓ ვინ ვის უყიდა ანბანის წიგნი?
- ✓ რა აინტერესებდა პატარა კატოს? არის ის ცნობისმოყვარე?
- ✓ ვინ დაანახა სიბეჯითის მაგალითი უმცროს ძმას?
- ✓ რატომ სთხოვდა დედას დილით ადრე გაღვიძებას მოსწავლე კატო? რა თვისება არის ეს, როგორი გოგონა ყოფილა კატო?
- ✓ რომელი პერსონაჟი სწავლობს მონდომებით სიტყვებს?
- ✓ შენც მოგწონს კითხვა, გიყვარს საკუთარი წიგნი?
- ✓ რით ჰგავს ერთმანეთს ორი პერსონაჟი, ორი კატო?
- ✓ რით განსხვავდებიან?
- ✓ მოდით, ახლა, გავიხსენოთ, რომელი სიტყვები დაგჭირდებათ პერსონაჟების დახასიათებისთვის? (ბეჯითი, მონდომებული, შრომისმოყვარე, ცნობისმოყვარე)

კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა. მოსწავლეები აირჩევენ ერთ პერსონაჟს, ჩაწერენ სახელს, დახატავენ და სქემის დახმარებით ზეპირად დაახასიათებენ, რას აკეთებს, რას ამბობს, როგორია და მე-17 აქტივობის მიხედვით ერთ წინადადებას დაწერენ პერსონაჟის შესახებ. (მაგ. ნუცა მონდომებით ასწავლიდა დედოფალებს კითხვას).

რესურსი: მოსწავლის რვეული. (გვ.115)

აირჩიე პერსონაჟი, ჩახატე და შეკითხვების მიხედვით
დაახასიათე: რას ამბობს? რას აკეთებს? როგორია?
დაწერე ერთი წინადადება პერსონაჟის შესახებ.

ჩაწერე სახელი

- რას ამბობს?
- რას აკეთებს?
- როგორია?

115

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რომელი პერსონაჟი აირჩიე შესწავლილი ნაწარმოებებიდან?
- ✓ როგორია პერსონაჟი – რა თვისებები აქვს მას, სად ჩანს მისი სწავლისადმი სიყვარული?
- ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს და რატომ?
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟის საშუალებით?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რის მიხედვით შეარჩიე პერსონაჟი, რატომ მოგეწონა, რით არის ის შენთვის საინტერესო?
- ✓ გაიგებენ მსმენელები, რომელი პერსონაჟი დაახასიათე?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ანბანის შემდგომი პერიოდი

თემა – კეთილი საქციელი

შუალედური მიზანი – ტექსტებზე დაყრდნობით პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა და დახასიათება.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება **ტექსტი** (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება** – მხატვრული ტექსტი;	**საკითხი:** ტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა და დახასიათება. **ქვესაკითხები:** ტექსტების („ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“) დედააზრი, პერსონაჟები, მახასიათებლები. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ წარმოვაჩინო ნახატით პერსონაჟის დამახასიათებელი ნიშნები? როგორ დავახასიათო პერსონაჟი საკუთარ ნახატზე დაყრდნობით? **კომპლექსური დავალება** – ტექსტებზე („ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“) დაყრდნობით პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა და დახასიათება. დახატე/გამოძერწე და დაახასიათე შესწავლილი ნაწარმოებებიდან („ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“) ერთ-ერთი პერსონაჟი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რით ჰგავს შენი დახატული/გამოძერწილი პერსონაჟი შერჩეული ნაწარმოების პერსონაჟს; რატომ დახატე/გამოძერწე ასე და არა სხვაგვარად (ტ. 1, 2, 3); ✓ რის თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით, რაზე დაგაფიქრა ამ პერსონაჟმა (ტ. 1).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- ✓ დააკვირდით თემის სათაურს, რა წერია? (კეთილი საქციელი).
- ✓ როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ამ თემის მოთხრობებსა და ლექსებში საუბარი? (სიკეთის, კეთილი ადამიანების)
- ✓ როგორი ადამიანია ის, ვინც სხვას ეხმარება, ზრუნავს მასზე, სიკეთეს უკეთებს? (კეთილი, მზრუნველი, მოსიყვარულე)
- ✓ ჩვენ ბევრ კეთილ პერსონაჟს შევხვდებით ნაწარმოებებში.
- ✓ ხომ არ გახსენდებათ შესწავლილი ნაწარმოებებიდან პერსონაჟები, რომლებმაც სხვას სიკეთე გაუკეთეს?
- ✓ ხომ არ გაიხსენებთ მაგალითს პირადი გამოცდილებიდან?
- ✓ ვინ ახსნის თავისი სიტყვებით, რას ითხოვს ეს დავალება თქვენგან?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? რით ჰგავს შენი დახატული/გამოძერწილი პერსონაჟი შერჩეული ნაწარმოების პერსონაჟს; რატომ დახატე/გამოძერწე ასე და არა სხვაგვარად (ტ. 1, 2, 3). რის თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით, რაზე დაგაფიქრა ამ პერსონაჟმა (ტ. 1).

ქვესაკითხები: ტექსტების („ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“) დედააზრი, პერსონაჟები, მახასიათებლები.

რესურსი 1. ი. გოგებაშვილის „ვანო, კატო და ჩიტი“ – მოსწავლის წიგნი (გვ. 112).

აქტივობა 1. მოთხრობის წაკითხვა მასწავლებლის მიერ.

წაკითხვამდე ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვებით.

- ✓ დააკვირდით ილუსტრაციას. თქვენი აზრით, რის შესახებ შეიძლება იყოს ნაწარმოები?
- ✓ სათაურის მიხედვით, ვინ იქნებიან მთავარი პერსონაჟები?
- ✓ სად ზის ჩიტი? როგორ გგონიათ, მოსწონს მას გალიაში ყოფნა თუ თავისუფლად ფრენა ურჩევნია?
- ✓ ყურადღებით დააკვირდით ვანოს და კატოს სახეებს. როგორ ფიქრობთ, რატომ არის კატო გახარებული და ვანო მოწყენილი? რატომ ფიქრობთ ასე?
- ✓ რა შეიძლება მოხდეს? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით:
1-ელი პაუზა: ....ეს დაინახა კატომ...
მე-2 პაუზა: ....შემდეგ დაფიქრდა და...
მე-3 პაუზა: ვანო დილით ადრე ადგა და...

აქტივობა 2. ახალი ლექსიკური ერთეულების/გამოთქმების განმარტება/გახსენება (საბრალო, საკენკი, გალია, ჩიტივით თავისუფალი ვარ)

აქტივობა 3. ტექსტის წაკითხვა გაგრძელებით (მოსწავლეთა მიერ)

აქტივობა 4. ტექსტის გაგება-გააზრება (კითხვებზე პასუხები)

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 116

ტექსტი: „ვანო, კატო და ჩიტი“

პერსონაჟი

ჯერ როგორია ვანო? როგორ მოიქცა ის?

როგორია ბოლოს ვანო? როგორ შეიცვალა ის?

აქტივობა 5. პერსონაჟის – ვანოს ქმედების შესახებ საუბარი, მოსწავლის რვეულში ჩანაწერის გაკეთება (ჯერ როგორია ვანო და როგორია ბოლოს, როგორ/რატომ შეიცვალა პასუხობენ ზეპირად)

რესურსი 3. მოსწავლის წიგნი – გვ. 112

1. ბულბული	ჭიკჭიკებს
2. მერცხალი	ღუღუნებს
3. მტრედი	გალობს

აქტივობა 6. სიტყვებით წინადადებების შედგენა და მოსწავლის რვეულში ჩაწერა. (გვ. 117)

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ✓ სად ჩასვა ვანომ ჩიტი? მოსწონდა ჩიტს გალია თუ არა? რატომ არ უშვებდა ვანო?
- ✓ ვინ გაათავისუფლა ჩიტი? როგორი გულის ბავშვი ყოფილა კატო?
- ✓ რატომ გაიბუტა ვანო? ჯერ როგორია ამ დროს?
- ✓ როგორ და რატომ შეიცვალა პერსონაჟი? რას მიხვდა ბიჭი? როგორია ბოლოს?
- ✓ რატომ ფიქრობ ასე? რომელ მინიშნებას ეყრდნობი? მოიყვანე მაგალითი ტექსტიდან.
- ✓ რატომ, რის გამო იცვლებიან პერსონაჟები, რის გამო იქცევიან სხვაგვარად?
- ✓ რა არის ავტორის მთავარი სათქმელი? რას ნიშნავს გამოთქმა „ჩიტივით თავისუფალი ვარ“?
- ✓ რომელი მონაკვეთი მოგეწონათ ყველაზე მეტად მოთხრობაში?
- ✓ ხომ არ გაგახსენდათ სხვა მსგავსი ამბავი ან ფილმი, სადაც ჩიტებს უვლიან ბავშვები და მათზე მზრუნველობენ?
- ✓ თქვენ თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა? როგორ მოიქეცით?

რესურსი 4. ზღაპრების წიგნები (წითელქუდა, კომბლე, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული) და მოსასმენი ანიმაცია „რწყილი და ჭიანჭველა“ ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ – YouTube

აქტივობა 7. მასწავლებლის მიერ ზღაპრების წიგნების ჩვენება და საუბარი ზღაპრების შესახებ.

აქტივობა 8. ანიმაციის ნახვის შემდეგ საუბარი იმის შესახებ, როგორ დაეხმარა რწყილი ჭიანჭველას.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ✓ ხომ არ იცით, რას ნიშნავს ხალხური ზღაპარი? ვინ დაწერა?
- ✓ შეგიძლიათ გაიხსენოთ ზღაპრები, რომელიც თქვენთვის წაუკითხავთ? ანიმაციური ფილმები, რომელიც გინახავთ?
- ✓ როგორ ფიქრობთ, ანიმაციის მიხედვით, რომ არ დახმარებოდა რწყილი, რა დაემართებოდა ჭიანჭველას? როგორი გზა გაიარა რწყილმა, რომ ძმობილი გადაერჩინა? მალე მოაგვარა პრობლემა თუ კიდევ ბევრისგან დასჭირდა დახმარება?
- ✓ დააკვირდით და მითხარით, სიკეთის გარდა, კიდევ რა თვისება აქვს რწყილს? მან ამხელა შრომა გასწია, თავი არ დაზოგა, სხვებსაც დაეხმარა, ოღონდ ძმობილი გადაერჩინა, კიდევ როგორი ყოფილა რწყილი? (რწყილი არის თავდადებული მეგობარი)
- ✓ თქვენი აზრით, სათაურის მიხედვით, რაზე შეიძლება იყოს ნაწარმოები?

რესურსი 5. ჩიტი და მელა (ხალხური ზღაპარი) – მოსწავლის წიგნი (გვ. 113)

აქტივობა 9. ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით.

აქტივობა 10. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა გამომსახველობითად (მხატვრულად).

რესურსი 6. გრძნობათა ყულაბა

აქტივობა 11. მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე (შესაძლებელია, ფორმატის ქაღალდზე სხვადასხვა ფერით იყოს დაწერილი) გრძნობებს, რომელიც შეიძლება აღეძრას ადამიანს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას/ მოსმენისას (მაგალითად, გაბრაზება/აღშფოთება, მოწონება/აღფრთოვანება, შეცოდება/სიბრალული, თანაგრძნობა, შიში, მხიარულება) განუმარტავს თითოეულს და სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ ამ ჩამონათვალიდან ის გრძნობა, რომელსაც აღძრავს მის მიერ წაკითხული ეპიზოდი. მასწავლებელი განმეორებით, გამომსახველობით კითხულობს ტექსტის ეპიზოდებს. მოსწავლეები ასახელებენ გრძნობას და ასაბუთებენ საკუთარ პასუხს. მაგალითად, მე შემეცოდა ჩიტი, იმიტომ, რომ... / მე მომეწონა სანდალას საქციელი, რადგან..

აქტივობა 12. ახალი ლექსიკური ერთეულების/გამოთქმების განმარტება (იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი;
მიაგნო, ცული, ხელეჩო, წალდი, მშვილდ-ისარი)

აქტივობა 13. ტექსტის კითხვა მოსწავლეთა მიერ (როლური გათამაშება; ყურადღების გამახვილება ინტონაციაზე სასვენ ნიშნებთან).

რესურსი 7. მოსწავლის რვეული – პერსონაჟის სქემა (გვ. 117)

ტექსტი: „ჩიტი და მელა“

- დაახასიათე, როგორია **ჩიტი, მელა, სანდალა.**



აქტივობა 14. პერსონაჟის დახასიათება. ჩაწერე, როგორია თითოეული მათგანი (ჩიტი, მელა, სანდალა).

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ როგორ იწყება ზღაპარი? რას ნიშნავს – „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“?
- ✓ რომელი პერსონაჟები მონაწილეობენ? რა ჰქვია მელას საბინადროს? ჩიტის?
- ✓ როგორია მელა ამ ზღაპარში, რით ემუქრება ჩიტს? (მსუნაგი, საშიში)
- ✓ რას ნიშნავს სიტყვები: ცული, ხელეჩო, წალდუნა, მშვილდ-ისარი?
- ✓ რის გაკეთებას აპირებს მელა ამ იარაღებით?
- ✓ როგორია ამ დროს ჩიტი? (საბრალო, საწყალი) რატომ?
- ✓ როგორია სანდალა? როგორ მოექცა ჩიტს? მელას? მოგეწონათ მისი საქციელი? თქვენ როგორ მოიქცეოდით?
- ✓ რომელი მონაკვეთი მოგეწონათ ტექსტში ყველაზე მეტად?
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ ნაწარმოებით? რას გვასწავლის?

აქტივობა 15. კომპლექსური დავალების შესრულების წინარე აქტივობა. მასწავლებელი ერთხელ კიდევ წაუკითხავს დავალების პირობას, კრიტერიუმებს და შეახსენებს, რომ მათ ნამუშევარში და წარდგენის დროს უნდა ჩანდეს, რით ჰგავს მისი დახატული/გამოძერწილი პერსონაჟი შერჩეული ნაწარმოების პერსონაჟს; რატომ დახატა/გამოძერწა ასე და არა სხვაგვარად, რის თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით, რაზე დააფიქრა ამ პერსონაჟმა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ მოდით, ახლა, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ პერსონაჟი ვანო, როგორი იყო ის მოთხრობის დასაწყისში, როგორ შეიცვალა ბოლოს? დაასაბუთე ტექსტიდან.
- ✓ რომელი პერსონაჟი მოგწონთ, ვანო თუ სანდალა? რატომ?
- ✓ როგორ უნდა მივხვდეთ, რომელი პერსონაჟი შეარჩიეთ? რა უნდა გაითვალისწინოთ კომ-პლექსური დავალების შესრულების დროს? (ისე უნდა დახატონ, რომ მივხვდეთ, რომელი პერსონაჟია).

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვე-ბის ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რომელი პერსონაჟი შეარჩიე დასახატად/გამოსაძერწად? რატომ?
- ✓ როგორია პერსონაჟი – რა თვისებები აქვს მას, სად ჩანს მისი კეთილი საქციელი?
- ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს და რატომ?
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟის საშუალებით?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რის მიხედვით შეარჩიე ნაწარმოები, რით არის ის შენთვის საინტერესო?
- ✓ მოეწონებათ მსმენელებს შენ მიერ წაკითხული?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომ-პლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ანბანის შემდგომი პერიოდი

თემა – კეთილი საქციელი

შუალედური მიზანი – შერჩეული ნაწარმოების მონაკვეთის გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა კლასის წინაშე.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება – ტექსტი **ტექსტი** (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება** – მხატვრული ტექსტი;	**საკითხი** – შერჩეული ნაწარმოების მონაკვეთის გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა კლასის წინაშე. **ქვესაკითხები:** ტექსტების – „მზე ამოვა დილით“, მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – თემა, დედააზრი, პერსონაჟები, გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა, სასვენ ნიშნებთან ინტონაციის დაცვა. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ შევარჩიო ტექსტის მონაკვეთი? როგორ წავიკითხო კლასის წინაშე. გამომსახველობითად (მხატვრულად)? **კომპლექსური დავალება – შერჩეული ნაწარმოების მონაკვეთის გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა კლასის წინაშე.** შესწავლილი ტექსტებიდან – „მზე ამოვა დილით“, „მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – პატარებისთვის წასაკითხად ამოარჩიე ერთი ნაწარმოები, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა და მონაკვეთი გამომსახველობითად (მხატვრულად) წაიკითხე კლასის წინაშე. დაიცავი ინტონაცია სასვენ ნიშნებთან.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება	**შეფასების კრიტერიუმები** **წარდგენისას ისაუბრე:** ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ ნაწარმოებით, რას გვასწავლის (ტ.1,3). ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს, რატომ (ტ. 1). ✓ რატომ შეარჩიე ეს ნაწარმოები, რით მოგწონს ის (ტ.1,2).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

დავალების პირობის გაცნობიერება.

რესურსი 1.

აქტივობა 1.

- ✓ გაიხსენეთ შესწავლილი მოთხრობებიდან ის პერსონაჟები, რომლებსაც წიგნის კითხვა უყვართ.
- ✓ გიყვართ, როდესაც გიკითხავენ წიგნებს?.
- ✓ წაგიკითხავთ თქვენზე პატარისთვის წიგნი? გაუხარდა მას?
- ✓ თქვენი დავალებაც ასეთია. კარგად რომ შეისწავლით ნაწარმოებებს, შეარჩევთ, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონათ და წაუკითხავთ, ესეც ხომ სიკეთეა!

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? რის თქმა უნდა მწერალს ამ ნაწარმოებით, რას გვასწავლის? პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს, რატომ? (ტ. 1,3).

ქვესაკითხები: ტექსტების – „მზე ამოვა დილით“, „მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – თემა, დედააზრი, პერსონაჟები, გამომსახველობითად (მხატვრულად წაკითხვა, ინტონაციის დაცვა სასვენ ნიშნებთან.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომელი ნაწარმოებები შეისწავლეს სიკეთის თემაზე, ვინ იყვნენ პერსონაჟები, რა ასწავლა ამ ნაწარმოებებმა და ეუბნება, რომ ვაგრძელებთ სიკეთის თემაზე ნაწარმოებების შესწავლას.

რესურსი 1. მ.წიკლაურის „მზე ამოვა დილით“ – მოსწავლის წიგნი (გვ.114)

აქტივობა 1. მასწავლებლის მიერ ლექსის წაკითხვა გამომსახველობითად (მხატვრულად)

აქტივობა 2. ლექსის წაკითხვა მოსწავლეთა მიერ ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ – ექოს ან ქოროს ტიპის კითხვა.

რესურსი 2. მოსწავლის წიგნი (გვ.115)

სიტყვა და წინადადება

დააკვირდი

1 სიტყვებია:

მზე, ამოანათა.

2 წინადადებაა:

მზემ ამოანათა.

აქტივობა 3. მასწავლებელი, მოსწავლის წიგნში მოცემულ სავარჯიშოზე დაკვირვებით, განუმარტავს მოსწავლეებს სიტყვისა და წინადადების რაობას. ზეპირად ავარჯიშებს მსგავსი მაგალითებით სიტყვების დაკავშირებით წინადადების შედგენაზე.

რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ.118

სავარჯიშოში მოცემულია სიტყვები: 1. შაშვი, გალობა; 2. კაცი, ხე დარგვა; 3. ღამე, მთვარე, ამოსვლა. 4. ბავშვი, ზღაპარი, მოსმენა.

აქტივობა 4. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები შეადგენენ წინადადებებს და ჩაწერენ რვეულში.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა გაგახსენა ამ ლექსის დასასრულმა, რა მთავრდება ასე?
- ✓ რომელი მგალობელი ჩიტია ხსენებული ქართული ზღაპრის დასაწყისში?
- ✓ შენი აზრით, რატომ არის ხის დარგვა კეთილი საქციელი? შენ დაგირგავს ხე?
- ✓ რა ჩანს ამ ლექსში, იმედი თუ უიმედობა?
- ✓ სად ჩანს ლექსში, რომ ამქვეყნად ყველა მშობელი შვილზე ზრუნავს?
- ✓ თქვენ ვისზე ზრუნავთ? ვის უკეთებთ სიკეთეს?

რესურსი 4. ი.გოგებაშვილის „მოხუცი ქალი და ბავშვები“ – მოსწავლის წიგნი (გვ.116).

აქტივობა 5. ტექსტის წაკითხვა მასწავლებლის მიერ. **დასაწყისისა და დასასრულის აღდგენა.**

წაკითხვამდე ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვებით.

✓ დააკვირდით ილუსტრაციას. თქვენი აზრით, რის შესახებ შეიძლება იყოს ნაწარმოები?
✓ სათაურის მიხედვით, ვინ იქნებიან მთავარი პერსონაჟები?

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამ ამბავში **სამი მონაკვეთია: დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.** წაიკითხავს ამბის შუა ნაწილს და სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რა მოხდა ამ აბზაცამდე და აბზაცის შემდეგ.

ვარაუდების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი თავიდან ბოლომდე კითხულობს ტექსტს და მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღებით მოუსმინონ. თითოეული აბზაცის შემდეგ შეჩერდება, დასვამს კითხვას და იწყებს შემდეგ აბზაცს.

აქტივობა 6. ტექსტის წაკითხვა მოსწავლეთა მიერ (გაგრძელებით)

რესურსი 5. სკივრში მოთავსებული, მუყაოს ფერად ქაღალდებზე დაწერილი წინადადებები ტექსტიდან.

1. მარტოხელა ქალს ერთი ქათამი ჰყავდა.
2. ქათამი დღეში ათ კვერცხს დებდა.
3. ქალი კვერცხებს მეზობლებს უნაწილებდა.
4. ქათამი დღეში მხოლოდ ერთ კვერცხს დებდა.
5. ქალს ეცოტავებოდა და უნდოდა, ქათამს დღეში ორი-სამი კვერცხი დაედო.
6. მოხუცმა ცოტა საკენკი დაუყარა და ქათამმა კვერცხი აღარ დადო.
7. მოხუცმა ბევრი საკენკი დაუყარა, ქათამი გასუქდა და ერთი კვერცხიც აღარ დადო.
8. ქათამი გასუქდა და ბევრი კვერცხი დადო.
9. მეზობლის ბავშვებმა კალათა აავსეს და მოხუცს აჩუქეს.

აქტივობა 7. ტექსტის გააზრება (თამაში – „ტყუილი თუ მართალი?“ – მასწავლებელი, კითხვების რაოდენობის შესაბამისად, მოსწავლეებს გამოიძახებს მაგიდასთან, სკივრიდან ამოიღებენ ფერად ქაღალდებზე დაწერილ წინადადებებს და კითხულობენ. თანაკლასელები გამოიცნობენ, ტყუილია თუ მართალი)

რესურსი 6. მოსწავლის წიგნი – გვ.116



აქტივობა 8. მოსწავლეები კითხულობენ და ზეპირად დაასახელებენ შინაარსით განსხვავებულ სიტყვას. მასწავლებელს შეუძლია, შესთავაზოს ამ ტიპის რამდენიმე სავარჯიშო.

რესურსი 7. მოსწავლის რვეული – სქემა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) გვ. 119

ქალს უნდოდა, რომ მის ქათამს

ქათამი ძალიან გასუქდა და

ბავშვებმა მოხუც ქალს

1. **მარტოხელა ქალს უნდოდა, რომ მის ქათამს** (ბევრი კვერცხი დაედო).
2. **ქათამი ძალიან გასუქდა და** (კვერცხი აღარ დადო).
3. **ბავშვებმა მოხუც ქალს** (კვერცხებით სავსე კალათა აჩუქეს).

შენიშვნა: მოსწავლე წერს ფრჩხილებში მოთავსებულ წინადადებას.

აქტივობა 9. მასწავლებლის გეზისმიმცემი კითხვების დახმარებით მოსწავლეები ჯერ ზეპირად უპასუხებენ და შემდეგ შეავსებენ სქემას.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა გავიგეთ ამ მოთხრობის დასაწყისში, როგორ ცხოვრობდა მარტოხელა ქალი, რატომ იყო საბრალო?
- ✓ რა უნდოდა მას?
- ✓ გაიხსენეთ, რა მოხდა შუა ნაწილში, რა მოიფიქრა ქალმა? რა მოჰყვა მის ამგვარ საქციელს?
- ✓ როგორ დასრულდა ამბავი, რა მოხდა ბოლოს, რა გააკეთეს მეზობლის ბავშვებმა?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რა შეცდომა დაუშვა ქალმა? რატომ ფიქრობთ ასე? მიპოვეთ ტექსტში, სად წერია?
- ✓ თქვენ რომ ყოფილიყავით მასთან ახლოს, რა რჩევას მისცემდით?
- ✓ ახლა ყურადღებით დააკვირდით „ამბის მატარებელს“. რამდენი ვაგონით მოაქვს ამბავი?
- ✓ რა ფერის ვაგონშია ამბის დასაწყისი? შუა ნაწილი? დასასრული?
- ✓ მოდით, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რა ხდებოდა დასაწყისში, რა უნდოდა მარტოხელა ქალს? (მარტოხელა ქალს უნდოდა, რომ მის ქათამს ბევრი კვერცხი დაედო – მოსწავლეები წერენ რვეულში)

- ✓ რა მოხდა შუა ნაწილში, რატომ აღარ დადო ქათამმა კვერცხი? (ქათამი ძალიან გასუქდა და კვერცხი აღარ დადო-მოსწავლეები წერენ რვეულში)
- ✓ როგორ დასრულდა ამბავი, რა გააკეთეს ბავშვებმა? (ბავშვებმა მარტოხელა ქალს კვერცხებით სავსე კალათა აჩუქეს -მოსწავლეები წერენ რვეულში)
- ✓ მოგეწონათ მათი საქციელი? რა ჰქვია ასეთ ქმედებას?
- ✓ ხომ არ გაიხსენებთ, მსგავსი შემთხვევა გქონიათ, თქვენ? წიგნში ხომ არ წაგიკითხავთ, ფილმი ხომ არ გინახავთ?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რის თქმა უნდოდა იაკობ გოგებაშვილს ამ მოთხრობით?

რესურსი 8. იაკობ გოგებაშვილის კეთილი ძმა – მოსწავლის წიგნი (გვ.117)

აქტივობა 10. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა. სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვებით ვარაუდების გამოთქმა.

ტექსტის პაუზებით წაკითხვა:

1-ელი პაუზა: კაცმა ბავშვი დაინახა, დაუძახა და...
როგორ ფიქრობთ, რატომ დაუძახა კაცმა სანდროს?
მე-2 პაუზა: სანდროს უნდოდა ჩაეკბიჩა, მაგრამ უცებ რაღაც მოაგონდა და...
რატომ არ ჩაკბიჩა სანდრომ მსხალი, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?
მე-3 პაუზა: ...უპასუხა დედამ...
რას იზამს სანდრო?

აქტივობა 11. ტექსტის წაკითხვა მოსწავლეთა მიერ. ამბის მონაკვეთებად დაყოფა. (მასწავლებელი დაფაზე წერს მონაკვეთების სათაურს)

I მონაკვეთი – სანდროს უცხო კაცი აწვდის გემრიელ მსხალს.
II მონაკვეთი – ბიჭი გადაიფიქრებს მსხლის ჩაკბეჩას და სახლისკენ მირბის.
III მონაკვეთი – სანდრო დედას ეკითხება, ეჭმევა თუ არა მსხალი მის დას, კესოს.
IV მონაკვეთი -სანდრო მსხალს აძლევს ავადმყოფ დას.
V მონაკვეთი – კესო გემრიელად ჭამს მსხალს.

აქტივობა 12. ტექსტის როლური გათამაშება (მასწავლებელი-მთხრობელი, სანდრო, კესო. მნიშვნელოვანია, ბავშვებმა შეძლონ და გაითამაშონ, რას ეუბნება სანდრო დას, როცა მსხალს აწვდის და რას პასუხობს კესო)

რესურსი 9. მოსწავლის რვეული – გვ.120

ტექსტი: „კეთილი ძმა“

ჩაწერე კესოს და სანდროს საუბარი.



აქტივობა 13. მოსწავლეები აკვირდებიან რვეულში მოცემული კომიქსისა და ჩვეულებრივი ილუსტრაციის ნიმუშებს. მასწავლებლის დახმარებით იპოვიან მსგავსება/განსხვავებას და შემდეგ ცარიელ ღრუბლებში ჩაწერენ სანდროს და კესოს საუბარს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა მიაწოდა სანდროს უცხო კაცმა?
- ✓ რატომ გადაიფიქრა ბიჭმა მსხლის ჩაკბეჩა? რა მოაგონდა უცებ?
- ✓ რას ნიშნავს სიტყვა „ჩაკბეჩა“? სხვანაირად როგორ იტყვით კიდევ?
- ✓ რა ჰკითხა სანდრომ დედას? რატომ ჰკითხა?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა სანდრო დაიკოს, როცა მსხალს მისცემდა? რას უპასუხებდა კესო კეთილ ძმას?
- ✓ ხომ არ იცით, რა არის კომიქსი? დააკვირდით ამ გვერდებს (გვ.120 და 121). როგორ ფიქრობთ, რომელია კომიქსი? რატომ? (საუბარი ჩაწერილია ღრუბლებში)
- ✓ როგორ მივხვდეთ, რა უნდა ჩავწეროთ ცარიელ ღრუბლებში? რას უნდა დავაკვირდეთ?
- ✓ რომელი მონაკვეთია ნახატზე მოცემული? როგორ ფიქრობთ, რას ეუბნება სანდრო დას? (კესო, მსხალი მოგიტანე)
- ✓ რას პასუხობს კესო? (გმადლობ, სანდრო!)
- ✓ როგორი ბიჭი ყოფილა სანდრო?
- ✓ თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილზე რომ ყოფილიყავით?
- ✓ რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

ნაბიჯი 2. რატომ შეარჩიე ეს ტექსტი, რით მოგწონს? რა დაგეხმარა ნაწარმოების გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვაში? (ტ.2)

ქვესაკითხები: ტექსტების – „მზე ამოვა დილით“, „მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – თემა, დედააზრი, პერსონაჟები, გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვა, სასვენი ნიშნები.

რესურსი 1. ნ.კუპრავას „მოდით, ერთად წავიკითხოთ“– მოსწავლის წიგნი (გვ.118)

შენიშვნა: ტექსტი შერჩეულია იმ მიზნით, რომ მოსწავლეებში გააღვივოს თანატოლებისთვის წიგნის წაკითხვის სურვილი.

აქტივობა 1. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და მოსწავლეები დამხმარე კითხვების საშუალებით მიჰყავს გადაწყვეტილებამდე, თვითონ რომელ მოთხრობას წაუკითხავენ პატარებს.

- ✓ რატომ არ უნდოდა ნიკას თამაში?
- ✓ რა შესთავაზა მან ნიკოს და ანანოს?
- ✓ რატომ გადაავიწყდათ ბავშვებს თამაში?
- ✓ როგორია ნიკა ამ მოთხრობის მიხედვით?
- ✓ რატომ უნდა წაუკითხოს წიგნი პატარებს? რას გამოხატავს ამ საქციელით?
- ✓ შენ რას წაუკითხავდი პატარებს? შეგიძლია, ამ თემიდან შეარჩიო.

რესურსი 2. სასვენი ნიშნები-მოსწავლის წიგნი (გვ.119)

აქტივობა 2. სახელმძღვანელოში მოცემული წინადადებების წაკითხვა. ინტონაციის დაცვა სასვენ ნიშნებთან.

რესურსი 3. მოსწავლის წიგნი – თემაში შემავალი მოთხრობების ილუსტრაციები. გვ.120

აქტივობა 3. გამოიცანი ნაწარმოები ერთი წინადადებით:
1. მან საბრალო ჩიტს გალია გაუღო.
2. ის დედა ჩიტს დაეხმარა, ბარტყები გადაურჩინა.
3. მან თავისი მსხალი დას მიუტანა და გული გაუხარა.
4. მას გასაჭირში ბავშვები დაეხმარნენ.
5. მისი ბუდე ბაღს ამშვენებს.
6. ის პატარებზე ზრუნავს და ზღაპარს უკითხავს.

აქტივობა 4. მოსწავლეები შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას – თემის ფარგლებში შესწავლილი ტექსტებიდან – „ვანო, კატო და ჩიტი“, „ჩიტი და მელა“, „მზე ამოვა დილით“, „მოხუცი ქალი და ბავშვები“, „კეთილი ძმა“ – პატარებისთვის შეარჩევენ ნაწარმოებს და მონაკვეთს გამომსახველობითად (მხატვრულად) წაიკითხავენ კლასის წინაშე.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ✓ გაიხსენეთ, რომელი ნაწარმოებები შევისწავლეთ ამ თემაში – „კეთილი საქციელი“?
- ✓ რომელი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ შეარჩიე ეს ნაწარმოები, რით მოგწონს?
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ ნაწარმოებით? რას გვასწავლის?
- ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონთ ან არ მოგწონთ, რატომ?
- ✓ რომელ მონაკვეთში ჩანს ყველაზე კარგად, რომ ის კეთილია?
- ✓ რას გაითვალისწინებთ მონაკვეთის წაკითხვისას? რას უნდა მიაქციოთ ყურადღება?
- ✓ რატომ არის მნიშვნელოვანი გამომსახველობითად (მხატვრულად) წაკითხვის დროს ინტონაციის დაცვა სასვენ ნიშნებთან?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:
- ✓ რომელი ნაწარმოები შეარჩიე? რატომ?
- ✓ როგორია პერსონაჟი – რა თვისებები აქვს მას, სად ჩანს მისი კეთილი საქციელი?
- ✓ პერსონაჟის რა თვისება მოგწონს ან არ მოგწონს და რატომ?
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟის საშუალებით?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:
- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რის მიხედვით შეარჩიე ნაწარმოები, რით არის ის შენთვის საინტერესო?
- ✓ მოეწონებათ მსმენელებს შენ მიერ წაკითხული?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:
- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ანბანის შემდგომი პერიოდი

თემა – კეთილი საქციელი

შუალედური მიზანი – ამბის შექმნა სიკეთის თემაზე სურათებზე დაყრდნობით. მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი
სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება** – თხრობა.	**საკითხი**: ამბის შექმნა სიკეთის თემაზე სურათებზე დაყრდნობით. **ქვესაკითხები**: სიკეთეზე შეთხზული ამბის თემა, დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული, სათაური, ამბის დეტალები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო სურათი ამბის მოსაფიქრებლად? როგორ გადმოვცე ამბავი? **კომპლექსური დავალება – ამბის მოგონება და გადმოცემა სურათებზე დაყრდნობით.** სურათების მიხედვით ზეპირად გადმოეცი, რა მოხდა ამბის დასაწყისსა და შუა ნაწილში. მოიფიქრე ამბის გაგრძელება, დახატე რვეულში და გვიამბე, რა მოხდა შემდეგ. მოუფიქრე სათაური.
სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6) 1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები** **ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინე:** ✓ რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); ✓ მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); ✓ ამბის სხვადასხვა დეტალი (ვინ არიან პერსონაჟები ერთმანეთისთვის, რატომ არიან ერთად, როგორ ეხმარებიან ერთმანეთს) (ს.2).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება მის შესაქმნელად?
- რის შესწავლა დაგჭირდება?
- რაში დაგჭირდება დახმარება?

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- როგორი ადამიანია ის, ვინც სხვას ეხმარება, ზრუნავს მასზე, სიკეთეს უკეთებს? (კეთილი, მზრუნველი, მოსიყვარულე)
- ჩვენ ბევრ კეთილ პერსონაჟს შევხვდით შესწავლილ ნაწარმოებებში, მოდით, გავიხსენოთ ისინი:

მან საბრალო ჩიტს გალია გაუღო.
ის დედა ჩიტს დაეხმარა, ბარტყები გადაურჩინა.
მან თავისი მსხალი დას მიუტანა და გული გაუხარა.
ისინი მოხუცს გასაჭირში დაეხმარნენ.

- დააკვირდით სახელმძღვანელოს გვერდს – **წინ გელით საინტერესო დავალება** – ვინ წაიკითხავს, რას ითხოვს ეს დავალება თქვენგან? უნდა აღწეროთ სურათები, მათი დახმარებით მოიფიქროთ და გადმოსცეთ პატარა ამბავი, რა მოხდა შემდეგ, საბოლოოდ რით დასრულდა ეს ამბავი.
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.1, 3); მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2); ამბის სხვადასხვა დეტალი: ვინ არიან პერსონაჟები ერთმანეთისთვის, რატომ არიან ერთად (ს.2).

ქვესაკითხები: სიკეთეზე შეთხზული ამბის თემა, დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული, სათაური, ამბის დეტალები.

ტექსტი/რესურსი:

რესურსი 1. ანიმაციური ფილმი „სიკეთე“ – https://www.youtube.com/watch?v=OHTBpBPkgPs

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციურ ფილმს „სიკეთე“ 1:15 – მდე, რადგან შემდეგ უკვე ჩანს, როგორ დაეხმარება ბიჭუნა სხვას.

ფილმის ჩვენებამდე: დააკვირდით ფილმის სათაურს, როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ფილმი?

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 121 – სურათები.

აქტივობა 2. სურათების მიხედვით ამბის თხრობა.

რესურსი 3. სიტყვის სკივრი. (მუყაოს ან ფორმატის ქაღალდის პატარა ფერადი ბარათები, რომლის ერთ მხარეს წერია შემდეგი სიტყვები: თოვლი, ქურთუკი, ბიჭუნა, და, ხე, ქუჩა... ხოლო მეორე მხარეს კითხვა – როგორი?)

აქტივობა 3. ლექსიკაზე მუშაობა. მოსწავლეები იღებენ ბარათებს, ასახელებენ სიტყვას და შემდეგ ამბობენ, რაც შეიძლება მეტ მახასიათებელს, როგორია საგანი. მასწავლებელი დაფაზე წერს მათ მიერ ნათქვამ ზედსართავ სახელებს. მაგალითად:

თოვლი – თეთრი, ფაფუკი, ფუმფულა, ქათქათა.
ქურთუკი – წითელი, ლამაზი, ღილებიანი, თბილი.
ბიჭუნა – კეთილი, მზრუნველი, მოსიყვარულე, მხიარული, მშრომელი, ყურადღებიანი.
და – კეთილი, შრომისმოყვარე, მოსიყვარულე, მზრუნველი.
ხე – მაღალი, გაშიშვლებული, რუხი.
ქუჩა – ვიწრო, პატარა, დათოვლილი, ცივი.
პატარა ბიჭი – მობუზული, შეციებული.

რესურსი 4. მოსწავლის რვეული – გვ. 122



აქტივობა 4. არეული სიტყვები დაალაგე და შეადგინე წინადადება. დააკვირდი, რომელ სიტყვასთან არის დასმული წერტილი.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- წელიწადის რომელი დროა პირველ სურათზე? როგორია თოვლი? (თეთრი, ფაფუკი, ფუმფულა, ქათქათა).
- დააკვირდით მეორე სურათს. რის გაკეთებას აპირებს ბიჭუნა? (აპირებს შეშის დაჭრას/დაჩეხვას)
- როგორი ყოფილა? (კეთილი, მზრუნველი, შრომისმოყვარე) რატომ ფიქრობთ ასე?
- რა მოჩანს ბიჭის მარჯვნივ? (ფანჯარა) წინ? (ხე)
- როგორია ამ დროს ხეები? (გაშიშვლებული, რუხი) რატომ? (ზამთარში ფოთლები არ აქვს)
- რით გაახარა უფროსმა დამ, რა შეუკერა? დის რა თვისება ჩანს ამ საქციელში? როგორია? (კეთილი, შრომისმოყვარე, მოსიყვარულე, მზრუნველი).
- როგორია ქურთუკი? – წითელი, ლამაზი, ღილებიანი, თბილი.
- მეოთხე სურათზე როგორია ბიჭუნა? (გახარებული)
- საიდან ჩანს, რომ მას ძალიან გაუხარდა ახალი ქურთუკის ჩუქება? (დას ჩაეხუტა) რომელ სურათზე ვხედავთ ამ სცენას?
- რას აკეთებს შემდეგ? როგორია? (მხიარული, ცელქი)
- როცა თამაშით დაიღალა, ვინ დაინახა ქუჩაში? რომელ სურათზე ჩანს ეს?
- როგორია ქუჩა? (ვიწრო, პატარა, დათოვლილი, ცივი).
- რას აკეთებს პატარა ბიჭუნა? რატომ ითბობს ხელებს სხვის გამათბობელთან? როგორია? (მობუზული, შეციებული).
- დააკვირდით ბოლო სურათს? როგორია ახლა წითელქურთუკიანი ბიჭუნა? (მოწყენილი) რატომ?
-

რესურსი 5. მოსწავლის რვეული (გვ. 122-123) ამბის სამი ნაწილი.


ზეპირად გადმოეცი, რა მოხდა ამბის დასაწყისსა და შუა ნაწილში. სურათების დახმარებით მოიფიქრე ამბის გაგრძელება და დახატე რვეულში. მოიფიქრე სათაური.

ჩაწერე სათაური

აქტივობა 5. მოსწავლეები ზეპირად გადმოსცემენ, რა მოხდა დასაწყისში და ამბის შუა ნაწილში.

აქტივობა 6. მოსწავლეები შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას. სურათების დახმარებით მოიფიქრებენ ამბის გაგრძელებას, დახატავენ რვეულში, გაუკეთებენ სათაურს და წარადგენენ.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- მოდით, გავიხსენოთ, რა მოხდა დასაწყისში, რას აკეთებდა ბიჭუნა? რა შეუკერა დამ? რატომ?
- რა მოხდა ამბის შუა ნაწილში? როგორ გაერთო ბიჭუნა? რატომ მოიწყინა შემდეგ, ვინ დაინახა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? რას გააკეთებს ბიჭუნა? რატომ ფიქრობთ ასე?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- როგორ აღწერე სურათები?
- როგორია პერსონაჟი, რა თვისებები აქვს მას? ვისთან ერთად არის?
- რომელი სიტყვები გამოიყენე მის დასახასიათებლად?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რას აკეთებს პერსონაჟი ამბის დასაწყისში, შუა ნაწილში?
- როგორ დაასრულე ამბავი, რატომ იფიქრე ამგვარად?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

შენიშვნა: ყველა მოსწავლის ნამუშევრის წარდგენის შემდეგ მასწავლებელი ანიმაციურ ფილმს – „სიკეთეს“ აჩვენებს დასაწყისიდან დასასრულამდე – https://www.youtube.com/watch?v=OHTBpBPkgPs. მოსწავლეები იმსჯელებენ დასასრულის შესახებ და შეადარებენ თავიანთ ნამუშევრებს.

ანბანის შემდგომი პერიოდი

თემა – ბუნების მრავალფეროვნება

შუალედური მიზანი – ზღაპრის გაგრძელება.
მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება **ტექსტი** (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება**: მხატვრული ტექსტი – ზღაპარი	**საკითხი**: ზღაპრის – „ციხე-დარბაზი“ – გაგრძელება. **ქვესაკითხები**: ზღაპრის დედააზრი, პერსონაჟები, მათი ქცევა. ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული; სასვენი ნიშნები. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რატომ ფიქრობ, რომ ასე გაგრძელდებოდა ამბავი? **კომპლექსური დავალება – ზღაპრის გაგრძელება მოიფიქრე და დაწერე, რა უამბო დაღონებულმა მელიამ ტყის ბინადრებს. რა მოხდა შემდეგ.** ნამუშევარი გააფორმე შესაბამისი ილუსტრაციით, ფერადი ფანქრების ან ციფრული რესურსის – „ვსწავლობთ თამაშით“ – გამოყენებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** ნამუშევარში წარმოაჩინე: ✓ რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი ზღაპრის გაგრძელებაა? რით უკავშირდება ზღაპრის მთავარ სათქმელს? (ტ.1,2,) ✓ როგორი გახდა ამ ამბის შემდეგ მელია, შეიცვალა თუ არა? (ტ. 1, 2) ✓ რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები? (ტ. 3).

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
რესურსი: **ანიმაციური ფილმი „ლურჯი მელია“**
https://www.youtube.com/watch?v=JLLABB8TVrA

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

✓ შეგიძლიათ, გაიხსენოთ ზღაპარი, მოთხრობა ან ანიმაციური ფილმი, რომელშიც ერთ-ერთი პერსონაჟი არის მელია?

- ✓ როგორია ის? რას ამბობს? რას აკეთებს? როგორი დამოკიდებულება აქვს სხვა პერსონაჟებთან?
- ✓ ამ ფილმის მიხედვით როგორი ყოფილა მელია?
- ✓ როგორ გაიგეს ტყის ბინადრებმა, რომ ის იტყუებოდა?
- ✓ რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი?

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ✓ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- ✓ ხომ არ გახსენდებათ ისეთი ზღაპარი, მოთხრობა, საბავშვო ფილმი ან ანიმაციური ფილმი, რომლის წაკითხვის/ნახვის დასრულების შემდეგ გიფიქრია, როგორ გაგრძელდებოდა პერსონაჟების ცხოვრება? სწორედ ასეთი დავალება გელოდებათ, როცა დავასრულებთ ზღაპრის შესწავლას. უნდა გააგრძელოთ ზღაპარი და გადმოსცეთ, რა უამბო ტყეში დაბრუნებულმა მელიამ ტყის ბინადრებს. რა უთხრეს/ურჩიეს მათ, რა მოხდა შემდეგ, როგორ დასრულდა ამბავი.
- ✓ რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- ✓ რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- ✓ თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- ✓ რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა.

ნაბიჯი 1: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად?

რესურსი 1. ზღაპრის ილუსტრაცია და სათაური.

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაკვირვებით.

- ✓ რა არის ზღაპარი? როგორ იწყება? როგორ მთავრდება?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ზღაპარი? რომელ მინიშნებაზე დაყრდნობით ფიქრობთ?
- ✓ რას ნიშნავს სიტყვა ციხე-დარბაზი?
- ✓ რას გეუბნებათ ეს ილუსტრაცია?
- ✓ რით უკავშირდება სათაური და ილუსტრაცია შენს ცოდნა-გამოცდილებას?
- ✓ რა შეგიძლიათ თქვათ მათზე დაკვირვებით ტექსტის შესახებ?

აქტივობა 2. მასწავლებელი გამომსახველობითად (მხატვრულად) კითხულობს ტექსტს.
რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 124
დავალების სათაურია: **ზღაპრის მონაკვეთების დასათაურება**

აქტივობა 3. ტექსტს გაგრძელებით კითხულობენ მოსწავლეები და მასწავლებლის მიერ

დასმული შეკითხვების დახმარებით დაასათაურებენ მონაკვეთებს. მასწავლებელი დაფაზე წერს, მოსწავლეები წერენ რვეულებში.

ზღაპრის მონაკვეთების დასათაურების სავარაუდო ნიმუშები:

1. ბუზი ბზუილა.
2. კოღო ბზუკუნა.
3. თაგვი წრუწუნა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა გავიგეთ ზღაპრიდან, რას ჰქვია თურმე ციხე-დარბაზი?
- ✓ სინამდვილეში რა არის ის? რა მასალით იყო დამზადებული?, რას ნიშნავს თიხის ჭურჭელი?
- ✓ როგორ აღმოჩნდა გზაზე? რით მიჰქონდა კაცს?
- ✓ რა დასახლდა პირველად ციხე-დარბაზში? როგორ უწოდებს ის თავის თავს? რატომ არის ბზუილა?
- ✓ მეორე მონაკვეთში რა ესტუმრა მას? როგორ გააცნო თავი კოღომ ბუზს?
- ✓ მესამე მონაკვეთში რა მოხდა? რა მოცუნცულდა ციხე-დარბაზში? რას ნიშნავს მოცუნცულდა? შეგიძლიათ ცუნცული განასახიეროთ?

აქტივობა 4. მასწავლებელი გამომსახველობითად (მხატვრულად) კითხულობს ტექსტის II ნაწილს.

აქტივობა 5. ტექსტს გაგრძელებით კითხულობენ მოსწავლეები და მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით აგრძელებენ მონაკვეთების დასათაურებას. მასწავლებელი დაფაზე წერს, მოსწავლეები წერენ რვეულებში.

ზღაპრის მონაკვეთების დასათაურების სავარაუდო ნიმუშები:

4. კურდღელი ფხიზელა.
5. მელია მატყუარა.
6. ძმური ცხოვრება.

რესურსი 4. მოსწავლის წიგნი – გვ. 129 სავარჯიშოები.

აქტივობა 6. მოსწავლეები ზეპირად შეასრულებენ სავარჯიშოებს მოსწავლის წიგნში:



გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ მეოთხე მონაკვეთში რა დაბინავდა ბუზთან, კოღოსთან და წრუწუნასთან ერთად? რატომ არის ის ფხიზელა?
- ✓ რა მოხდა მეხუთე მონაკვეთში? რა მოცუნცულდა? (მელა) გაიხსენეთ მესამე მონაკვეთი. კიდევ რაზე ვთქვით სიტყვა მოცუნცულდა?
- ✓ როგორ წარადგინა მელიამ საკუთარი თავი? თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა საწყალი და ერთგული ძმობილია? მაშინ რატომ თქვა ასე?
- ✓ რა უპასუხეს დაძმობილებულმა ციხე-დარბაზის ბინადრებმა? რატომ უპასუხეს ასე? მოგწონთ მათი პასუხი?
- ✓ შემდეგ რა სცადა მელიამ? რა მოხდა მაშინ, როცა ძალით ცდილობდა ციხე-დარბაზში შესვლას?
- ✓ როგორ დამთავრდა ზღაპარი?
- ✓ ამის შემდეგ რა დაიწყეს ამხანაგებმა თავიანთ ციხე-დარბაზში? რას ნიშნავს ძმური ცხოვრება?
- ✓ კიდევ როგორ იტყოდით სხვანაირად? (მეგობრული)
- ✓ დააკვირდით კარგად ტექსტს და მითხარით, ეს ზღაპარი ისე იწყება და მთავრდება, როგორც სხვა ზღაპრები თუ განსხვავებულად? რა არ წერია ამ ზღაპრის დასაწყისში? დასასრულში?
- ✓ თქვენი აზრით, რას ნიშნავს, ანდაზა – ძალა ერთობაშია? როგორ გესმით ამ გამონათქვამის აზრი – ერთობა?
- ✓ რას გვასწავლის ეს ზღაპარი? რატომ ფიქრობთ ასე? ტექსტიდან მოიყვანეთ მაგალითი. (ამის შემდეგ ამხანაგებმა დაიწყეს ძმური ცხოვრება...)
- ✓ რა მოხდებოდა, თუკი ამხანაგები ცალ-ცალკე იქნებოდნენ?

რესურსი 5. მოსწავლის წიგნი, გვერდი 130.

წინადადება და სამი ნიშანი

დააკვირდი

რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ამ წინადადებებს?

1. ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?
2. მე ვარ ბუზი ბზუილა.
3. შემოდი ჩემთან!

დააკვირდი

დააკვირდი ნიშნებს და წინადადებები წაიკითხე:

1. მელამ თავი მოიმძინარა.
2. რატომ მოიმძინარა თავი მელამ?
3. მელაკუდა, ნუ თვალთმაქცობ!

აქტივობა 6. მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს სხვადასხვა შინაარსის წინადადებების ბოლოს სასვენი ნიშნების დასმაზე.

რესურსი 6. მოსწავლის წიგნი – გვ. 129, მოსწავლის რვეული – გვ. 125
აქტივობა 7. წაიკითხე წინადადებები, გადაიწერე და დასვი წერტილები:
ცოტა ხანში მელია მოცუნცულდა. მან შეიხედა ქილაში და ცხოველები დაინახა.

ნაბიჯი 2. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი ზღაპრის გაგრძელებაა? რით უკავშირდება ზღაპრის მთავარ სათქმელს? (ტ.1,2) როგორი გახდა ამ ამბის შემდეგ მელია, შეიცვალა თუ არა? (ტ. 1,2); რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები? (ტ. 3).

აქტივობა 8. მასწავლებელი ექვსი მონაკვეთის მიხედვით მოსწავლეებს გაუნაწილებს როლებს და მკითხველთა თეატრს გამართავენ.

რესურსი 7. მოსწავლის რვეული – გვ. 125. როგორია მელია? დააკავშირე სიტყვასთან და სრული პასუხი ჩაწერე ბადიან უჯრებში.

აქტივობა 8. მოსწავლეები დაახასიათებენ მელიას ამ ზღაპრის მიხედვით. შეარჩევენ შესაბამის სიტყვას და ხაზით დააკავშირებენ. რვეულში ჩაწერენ: მელია არის მატყუარა. ზეპირად ახსნიან, რატომ არის მატყუარა, ის ციხე-დარბაზის ბინადრებს ატყუებდა, რომ მათი ერთგული ძმობილი იქნებოდა.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ დააკვირდით სავარჯიშოებს. რომელ წინადადებაშია შეკითხვა? მოწოდება?
- ✓ რომელი წინადადების ბოლოს არის დასმული წერტილი? (რა ეწოდება ასეთ წინადადებას? კითხვის ნიშანი? (რა ეწოდება ასეთ წინადადებას? ძახილის ნიშანი?(რა ეწოდება ასეთ წინადადებას?
- ✓ როგორ გესმით გამოთქმა „თავი მოიმძინარა“?
- ✓ რას ნიშნავს სიტყვა თვალთმაქცი? მართლა თვალთმაქცობს მელია? რატომ ფიქრობ ასე?
- ✓ რა არის საჭირო იმისათვის, რომ თქვენ მიერ შესრულებული როლი მოეწონოს მსმენელს? როგორ უნდა წარმოთქვათ სიტყვები? წინადადებები? (გამომსახველობითად, მხატვრულად წაკითხვა, სასვენ ნიშნებთან ინტონაციის დაცვა).

რესურსი 8. საყრდენი ჩარჩო ამბის გასაგრძელებლად. მოსწავლის რვეული, გვერდი 126.

დასაწყისი	რა უამბო დაღონებულმა მელიამ ტყის ბინადრებს? რა რჩევა მისცეს მათ?
შუა ნაწილი	გადაეჩვია მელია ტყუილების თქმას?
დასასრული	ამის შემდეგ შეუშვეს ის ციხე-დარბაზში?

აქტივობა 9. კომპლექსური დავალების შესრულება. (დაეთმობა ორი გაკვეთილი) ამბის ჩარჩოზე დაყრდნობით, პირველ გაკვეთილზე დაწერენ რა მოხდა დასაწყისში, ხოლო მეორე გაკვეთილზე გააგრძელებენ შუა ნაწილისა და დასასრულის წერას. შემდეგ გააუმჯობესებენ პირველად ვერსიას და დაწერენ საბოლოოს.

ნიმუში:

მელიამ ტყის ბინადრებს უამბო, რომ ციხე-დარბაზში არ შეუშვეს.
მათ ურჩიეს, რომ ტყუილები აღარ ეთქვა. მელია გადაეჩვია ტყუილების თქმას.
ამის შემდეგ ის ციხე-დარბაზში შეუშვეს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ✓ რა მინიშნებებს უნდა მიაქციოთ ყურადღება ზღაპრის გასაგრძელებლად? გაიხსენეთ და იპოვეთ ტექსტში, რა გამოსძახეს ციხე-დარბაზიდან ამხანაგებმა ერთად? (-გიცნობთ, გიცნობთ, გასწი და აქედან დაიკარგე!)
- ✓ რატომ გააგდეს მელია ციხე-დარბაზის ამხანაგებმა?
- ✓ როგორ უნდა დაიწყოთ ამბავი?
- ✓ რა უნდა დაწეროთ ამბის შუა ნაწილში?
- ✓ როგორ დაასრულებთ ამბავს?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რატომ გადაწყვიტე ზღაპრის ასე გაგრძელება?
- ✓ როგორები არიან პერსონაჟები, როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან? რა მიგვანიშნებს ამაზე?
- ✓ რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- ✓ რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- ✓ რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- ✓ მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ✓ ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?

ანბანის შემდგომი პერიოდი

თემა – ბუნების მრავალფეროვნება

შუალედური მიზანი – ზამთრისა და ზაფხულის სურათების დახატვა და სქემის მიხედვით შედარება.

მატრიცის დეტალიზებული დანართი.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი**
სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება – შედარება**	**საკითხი** – ზამთრისა და ზაფხულის სურათების დახატვა და სქემის მიხედვით შედარება. **ქვესაკითხები** – წელიწადის დროები. ზეპირი შედარება – მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ შევადარო წელიწადის ორი დრო? როგორ დავაჯგუფო სეზონების მიხედვით ამინდის, ფერების, გართობისა და ტანსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვები? **კომპლექსური დავალება – ზამთრისა და ზაფხულის სურათების დახატვა და სქემის მიხედვით შედარება.** ჩახატე ზამთრის და ზაფხულის სურათები და შეადარე სქემის მიხედვით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, მრავალფეროვანი სიტყვების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმები:** **შედარებისას წარმოაჩინე:** ✓ რა მსგავსება და განსხვავებაა წელიწადის ამ ორ დროს შორის (ს.1,2.); ✓ რის მიხედვით შეადარე ეს ორი დრო ერთმანეთს (ს.3); ✓ მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე (ს.1).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ✓ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება? როგორ უნდა შეადაროთ ერთმანეთს წელიწადის ორი დრო – ზამთარი და ზაფხული?
- ✓ რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- ✓ რის შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

ნაბიჯი 1. რა მსგავსება და განსხვავებაა წელიწადის ამ ორ დროს შორის (ს.1,2.); რის მიხედვით შეადარე ეს ორი დრო ერთმანეთს (ს.3); მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე (ს.1).

ქვესაკითხები: წელიწადის დროები. მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები.

რესურსები და აქტივობები

რესურსი 1. მოსწავლის წიგნი. გვ. 132

აქტივობა 1. სურათის აღწერა.

- ✓ სწავლას როდის ვიწყებთ? წელიწადის რომელი დროა? მერამდენე სურათია? როგორი ფერებია? რას ხედავთ სურათზე? რა ფერის ფოთლები აქვს ხეს? რას აკეთებს გოგონა, რას კრეფს?
- ✓ ახალი წელი როდის დგება? რა ჰქვია წელიწადის ამ დროს? როგორი ფერებია ზამთარში? რომელ სურათზეა დახატული ზამთარი? რას აკეთებს ბიჭუნა?
- ✓ ჩიტები როდის ბრუნდებიან სამშობლოში? რა ჰქვია წელიწადის ამ დროს? რომელ სურათზეა დახატული ზაფხული? რა ფერებია? რას აკეთებს გოგონა?
- ✓ როდის აქვთ მოსწავლეებს დიდი არდადეგები? რა ჰქვია წელიწადის ამ დროს? როგორია ამინდი? რატომ უყვარს ყველას ზაფხული? მერამდენე ნახატია სურათზე? რას აკეთებს გოგონა? სად ისვენებს? თქვენ გიყვართ ზღვა და მზე?

რესურსი 2. მოსწავლის რვეული – გვ. 128 შემოხაზე სწორი პასუხი.

ა. თბილი და მხიარული
ბ. ცივი და წვიმიანი
გ. თოვლიანი და ყინვიანი
დ. ქარიანი და გრილი

ა. გრილი და სევდიანი
ბ. ცივი და წვიმიანი
გ. თბილი და მზიანი
დ. ცხელი და მხიარული

აქტივობა 2. შემოხაზე სწორი პასუხი.
რესურსი 3. მოსწავლის რვეული – გვ.128 – ზამთრისა და ზაფხულის სქემა.



აქტივობა 3. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ავსებენ ზამთრისა და ზაფხულის სქემებს.
აქტივობა 4. წინადადებების ზეპირად შედგენა.

აქტივობა 5. როლური თამაში. მოსწავლეები ირჩევენ ზამთრისა და ზაფხულის როლებს.
1. მე ზამთარი ვარ. თეთრი თოვლი მომყავს. ბავშვებს ვახარებ! გუნდაობენ, ციგაობენ, თოვლის პაპას აკეთებენ და ა.შ.
2. მე ზაფხული ვარ! მზიანი და ლამაზი! დიდი არდადეგები მომყავს, თამაშის, გართობის დრო! ზღვის წყალს ვათბობ!

რესურსი 4. დაფა/ფორმატის/ფლიპჩარტის ქაღალდი – ზამთრისა და ზაფხულის მახასიათებლების ცხრილი – დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით. (მაგ. ამინდი, ფერები, გართობა, ტანსაცმელი)

აქტივობა 6. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ქმნის ზამთრისა და ზაფხულის მახასიათებლების ცხრილს და ერთობლივად ავსებენ.

წელიწადის დრო	ამინდი	ფერები	გართობა	ტანსაცმელი
ზამთარი				
ზაფხული				

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ✓ ზამთრის რომელი სამი მახასიათებელი გახსენდებათ? (აქტ. 1)
- ✓ რით ხასიათდება კიდევ ზამთარი? რა გახსენდებათ, როცა ზამთარზე ფიქრობთ? კიდევ? (აქტ.2)
- ✓ როგორ დავაჯგუფოთ თქვენ მიერ დასახელებული მახასიათებლები? რა შეიძლება დავაჯგუფოთ ერთად?
- ✓ რომელი კატეგორიები (ჯგუფები) გამოიკვეთა? რამდენია?

- ✓ კიდევ რომელი მახასიათებელი შეგვიძლია დავამატოთ? მაგალითად, გართობა, დღესასწაულები.
- ✓ როგორ/რით ერთობით ზამთარში? გაზაფხულზე?
- ✓ რა დღესასწაულები გვაქვს ზამთარში? გაზაფხულზე?

რესურსი 5. მოსწავლის რვეული – გვ. 129 **ზამთრისა და ზაფხულის შედარების სქემა.**
აქტივობა 7. მოსწავლეები რვეულში ხატავენ ზამთრისა და ზაფხულის სურათებს, დამოუკიდებლად ავსებენ შედარების სქემას.



გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ✓ ზამთრის, ზაფხულის რა მახასიათებელი გახსენდებათ ჩვენ მიერ დადგენილი კატეგორიების მიხედვით?
- ✓ როგორი ამინდი იცის წელიწადის ამ დროს? როგორია დღე-ღამის ხანგრძლივობა? როგორი ტემპერატურაა?
- ✓ რომელი ფერები ჭარბობს?
- ✓ როგორი ხმები ისმის სოფლად, ბუნებაში?
- ✓ რა საქმიანობენ წელიწადის ამ დროს სოფლად?
- ✓ რომელია თქვენი საყვარელი გასართობი წელიწადის ამ დროს?
- ✓ რომელი გასართობებია საერთო წელიწადის სხვა დროისთვის? რომელია განსხვავებული?
- ✓ რაიმე კატეგორია ხომ არ უნდა დავამატოთ კიდევ? (მაგ. დღესასწაული)
- ✓ რას ვდღესასწაულობთ ზამთარში? ზაფხულში?
- ✓ როგორ წარმოადგენ ცხრილის მონაცემებს?

აქტივობა 8. დავალების წარდგენა – მოსწავლეები სქემის დახმარებით წარადგენენ დავალებას, შეადარებენ ზამთარს და ზაფხულს, ისაუბრებენ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებზე.

რესურსი მსმენელის დღიური:
მსმენელები ყურადღებით უსმენენ წარმდგენებს და იმახსოვრებენ, რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც მას ყურადღება არ მიუქცევია.

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად, თითოეული მათგანის წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად.

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით:

- ✓ რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად შედარებაა?
- ✓ რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- ✓ რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე:

- ✓ რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- ✓ რა დაგეხმარა შედარებაში, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება;

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში:

- ✓ რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ✓ **რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?**
- ✓ შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია?
- ✓ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ტიპობრივი აქტივობები ცნებების მიხედვით

ტიპობრივი აქტივობები გაწერილია ცნებების მიხედვით. მასწავლებელი მათ შეარჩევს კომპლექსური დავალებების მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

ამ აქტივობებს ორმაგი ფუნქცია აქვთ. ერთი მხრივ, ისინი გამოიყენება ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად, მეორე მხრივ კი – მიმდინარე განმავითარებელი შეფასების – მასწავლებელი შესასრულებელ აქტივობებზე დაკვირვებით ადვილად დაადგენს მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, რაც მას მათი ეფექტიანად დახმარების საშუალებას მისცემს.

ტიპობრივი აქტივობები ცნებისათვის დეკოდირება-კოდირება

ეტაპი 2. ასოს ამოცნობა, სიტყვის წერილობითი ხატის ანალიზი და სინთეზი

<u>საკვანძო შეკითხვა:</u> რისგან შედგება წარმოთქმული სიტყვა? როგორ უკავშირდება დაწერილი სიტყვა წარმოთქმულ სიტყვას? როგორ გავამთლიანო ასოები სიტყვად?

ქვეცნება – ასო

საკვანძო შეკითხვები:

- რომელ ბგერას გამოხატავს ეს ასო?
- რა ნაწილებისგან შედგება ეს ასო? როგორ ამოვიცნობ მას?
- რა საერთო და განსხვავებული ნაწილები აქვს ასოებს?
- როგორ იწერება ეს ასო ბადიან სტრიქონში?
- სიტყვის რომელ ნაწილშია ეს ასო?

აქტივობა 1. „წ“ ბგერის შემცველი სიტყვების დაშლა ბგერებად და სიტყვებში შესასწავლი ასოს ადგილმდებარეობის დადგენა-გაცნობიერება. (მაგ., სიტყვაში მერამდენე ბგერაა წ, რომელია მისი წინა/მომდევნო ბგერა. (წიწილა, მწვანე, წიწაკა, წვენი, არწივი, წყალი, წიწმატი)

აქტივობა 2. ახალ ასოზე ნადირობა – შესასწავლი ასოს პოვნა სიტყვათა ჩამონათვალში, წინადადებაში, აბზაცში;

აქტივობა 3. – ასოს ნაწილების იდენტიფიცირება

მასწავლებელს საანბანო პერიოდში კედელზე გამოკრული უნდა ჰქონდეს ფორმატი, რომელზეც სტრიქონში ჩახაზული ქართული ასოების ნაწილებია გამოსახული (ზ. ვახანია, ი. გახოკია, 2009)

- ერთრკალიანი, ორრკალიანი მონახაზი, სამრკალიანი მონახაზი.
- ქვედა რკალი, შუა რკალი, ზედა რკალი.
- ზედა სწორი ხაზი, ქვედა სწორი ხაზი, დიდი სწორი ხაზი (ზემო უჯრიდან ქვემო უჯრამდე).
- შუა რგოლი, ქვედა რგოლი, ზედა რგოლი.
- მასწავლებელი უთითებს ფორმატზე გამოსახულ ასოების კონკრეტულ ნაწილზე და მოსწავლეებს ეკითხება: ამ ასოს ეს რკალი აქვს თუ ეს რკალი? ეს ხაზი აქვს? სად აქვს? შუა/ქვედა თუ ზედა უჯრაში? რგოლი აქვს? რომელი, შუა რგოლი, ქვედა რგოლი თუ ზედა რგოლი? და მისთ.
- მასწავლებელი უთითებს ახალ ასოს ერთ-ერთ ნაწილს, მოსწავლემ უნდა იპოვოს პლაკატზე შესაბამისი ნაწილი და დაასახელოს, რა ჰქვია ამ ნაწილს.
- მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აღწერენ, თან შესაბამის ნაწილზე მიუთითებენ წ ასოს (მას აქვს ზედა სწორი ხაზი, ზედა ორრკალიანი მონახაზი).

აქტივობა 4. ჩვენება, როგორ იწერება ასო.

აქტივობა 5. მულტისენსორული მეთოდის გამოყენება – ასოს გამოძერწვა, ასოს გამოხატვა თასმით, მავთულით, ჰაერში ასოს მოხაზვა და მისთ.

აქტივობა 6. ასოს გამოწერა ხაზოვან სტრიქონში.

აქტივობა 7. „იპოვე ზედმეტი“. დააკვირდი, ახალი ასოს შედგენილობით რომელი ერთი სიტყვა არღვევს კანონზომიერებას? (მაგ. ყველა სიტყვაში არის ახალი ასო, ერთის გარდა;

ქვეცნება – დაწერილი სიტყვა (სიტყვის გრაფემული ხატი)

საკვანძო შეკითხვები: როგორ წავიკითხო სიტყვები? როგორ გავამთლიანო ასოები სიტყვად?

რომელ ბგერებს უკავშირდება ამ სიტყვის ასოები? როგორ გავამთლიანო ეს ბგერები სიტყვად? როგორ დავწერო სიტყვები? რა ბგერებისგან შედგება ეს სიტყვა? რომელი ასოები გამოხატავს ამ ბგერებს? რა თანმიმდევრობით დავწერო ეს ასოები?

აქტივობა 8. არეული ასოებით სიტყვების აწყობა – პირველ ეტაპზე საყრდენად მივცემთ ნახატებს, რომლებზედაც გამოსახულია „ასაწყობი“ სიტყვების შესაბამისი გამოსახულებები.

აქტივობა 9 „იპოვე ზედმეტი“. მოსწავლეთა წყვილებმა ერთი კატეგორიის ობიექტების აღმნიშვნელი სიტყვების მწკრივი (მაგ. ავეჯის სახელები), უნდა იპოვონ „ზედმეტი“ (მაგ. ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელი და მისთ.). მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რომელი იყო ზედმეტი და რატომ ჩათვალეს ის ზედმეტად.

აქტივობა 10. ორი სიტყვის შედარება – მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ ნაცნობ სიტყვებს, პოულობენ მსგავსებებს (საერთო ასოს, მარცვალს, მათ მდებარეობას).

აქტივობა 11. პატარა სიტყვის პოვნა დიდ სიტყვაში (მაგ., მახე, გალია, ლერწამი, ხალი).

აქტივობა 12. სიტყვების დაჯგუფება მარცვლის მიხედვით – მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სამ სვეტში განაწილებულ სამ მარცვალს (მაგალითად: წი, ტი, გო) და ამ მარცვლების შემცველ სიტყვათა ჩამონათვალს. მოსწავლეებმა სიტყვები სათანადო სვეტში უნდა გადაანაწილონ.

აქტივობა 13. ვიპოვოთ წესი – აღმოაჩინეთ:

- რა წესის მიხედვით არის სიტყვები სვეტებში განლაგებული?
- თითო სვეტში ერთი სიტყვა არღვევს წესს. რომელია ეს სიტყვები? მაგ.

გოჭი	არწივი
მჭადი	მიწა
დაჭერა	წვიმა
კაჭკაჭი	მწარე
ჩანთა	ციყვი
ჭიანჭველა	წიწაკა
ჭაობი	წაბლი

აქტივობა 14. მოძრავი ანბანით მუშაობა. სიტყვების, წინადადების აწყობა, მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების ერთად შემოწმება. მოსწავლეები ნამუშევარს ერთად შეამოწმებენ შემდეგი პარამეტრებით:

ა) არის თუ არა დაშორება სიტყვებს შორის;

ბ) სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში;

გ) სწორად არის თუ არა „დასმული“ ქვედა და ზედა ასოები;

დ) დასმულია თუ არა წერტილი (მოძრავ ანბანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წერტილი, თუ არა აქვს, თავად მასწავლებელი გააკეთებს)

აქტივობა 15. სიტყვების ლოტო – მასწავლებელი გამოაკრავს დაფაზე 25 სიტყვას, მოსწავლეები გაშლიან 8 ტოლ ნაწილად დაკეცილ ფურცლებს, დაფაზე გაკრული სიტყვებიდან შეარჩევენ 8 სიტყვას და ჩაწერენ გაშლილ ფურცელზე მიღებულ 8 უჯრაში.

მოსწავლეები მორიგეობით ასახელებენ სიტყვებს თავიანთი ფურცლებიდან. თუ კლასელის მიერ დასახელებული დაემთხვა მათ დაწერილს, მონიშნავენ სიტყვას და დაიძახებენ „ბინგო“.

გამარჯვებული, ვინც პირველი მონიშნავს ყველა სიტყვას, დაიძახებს „სუპერბინგო“.
აქტივობა 16. მარცვლებგადანაცვლებული სიტყვების ამოცნობა და დაწერა.

აქტივობა 17. სიტყვების გადაწერა სიგრძის მიხედვით. მოსწავლეებს აძლევთ სხვადასხვა სიგრძის სიტყვებს, რომლებიც უნდა განალაგონ და გადაიწერონ მათი შემადგენელი ასოების რაოდენობის მიხედვით, მზარდი ან კლებადი სახით.

აქტივობა 18. შინაარსობრივი წყვილების პოვნა და დაკავშირება. მოსწავლემ უნდა დააწყვილოს სვეტებში მოცემული ის სიტყვები, რომლებიც შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს. (მაგ., ცხრილის მარცხენა სვეტში – მეპურე, მეყვავილე, მერძევე; მარჯვენა სვეტში რძე, ყვავილი, პური).

აქტივობა 19. სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით. მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადაიწერონ სიტყვები შემდეგი ინსტრუქციით:„გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ასოზე“; „გადაიწერე სიტყვები, რომლებსაც აქვს დეფისი“; „გადაიწერე ოთხასოიანი სიტყვები“ და სხვა.

აქტივობა 20. ორი ტექსტის შედარება მესამესთან; გამოტოვებული ან დამატებული სიტყვების გადაწერა. მოსწავლეს მიეწოდება ნასწავლი მოკლე ტექსტის ორი ვარიანტი: ერთი ზუსტად იმეორებს ნასწავლ ტექსტს, მეორეში ზოგიერთი სიტყვა გამოტოვებულია, ზოგი – დამატებულია, ზოგი – შეცვლილია. მოსწავლე ასრულებს შემდეგ ინსტრუქციებს:
გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც „გამქრალია“ მეორე ტექსტში;
გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში;
გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც შეცვლილია.

გამოყენებული რესურსი:
1. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი დაწყებითი საფეხურისთვის, 2011; https://bit.ly/3ybYBga
2. G-Pried, კარგი სკოლა; რესურსწიგნი: http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf
3. ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება პირველ კლასში, ზურაბ ვახანია, ირმა გახოკია, თბილისი, 2009

ქვეცნება: გაწაფული კითხვა
საკვანძო შეკითხვები:
- როგორ კითხულობს კარგი მკითხველი?
- როგორ გავიწაფო კითხვაში?
- როგორ გამოვხატო პერსონაჟის/მთხრობლის გრძნობები, ემოციები?

როგორ მოვახდინო მსმენელზე შთაბეჭდილება?

დეტალური რჩევები იხ. **G-Pried, კითხვისა და წერის სწავლება**;
აქტივობა 1. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად
მასწავლებელი ყველასთან ერთად კითხულობს ტექსტს
აქტივობა 2. ექოდ კითხვა
ჯერ მასწავლებელი კითხულობს მონაკვეთს, შემდეგ შემსწავლელები ხმამაღლა კითხულობენ იმავე მონაკვეთს;
აქტივობა 3. კითხვა აუდიოჩანაწერებით
საფეხური 1. შემსწავლელები ისმენენ და თითს აყოლებენ;
საფეხური 2. შემსწავლელები ისმენენ და მიჰყვებიან მკითხველის ხმას;
საფეხური 3. შემსწავლელები დამოუკიდებლად კითხულობენ (აუდიოჩანაწერის მოსმენის გარეშე).
აუდიორესურსი იხ: http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-moswavlis-audiowignebi.php

აქტივობა 4. სუპერსიჩქარე

შემსწავლელები ერთი წუთის განმავლობაში წყვილებში მორიგეობით კითხულობენ თითო სიტყვას მათთვის გადაცემული სიტყვების ნუსხიდან. მომდევნო წაკითხვისას ისინი ცდილობენ გააუმჯობესონ წინა ჯერზე მიღწეული შედეგი. აქცენტი კეთდება წინსვლაზე – ვინ რამდენად გააუმჯობესა სისწრაფე.

შენიშვნა: ჯერ 20 სიტყვიანი სიით დაიწყეთ, შემდეგ – 30-40-50-სიტყვიანი სია მიეცით.

აქტივობა 5. მოსწავლის წაკითხულის აუდიოჩანაწერი

მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი წაკითხულის აუდიოჩანაწერს.

- მოსწავლე და მასწავლებელი შეარჩევენ ტექსტს;
- მოსწავლე ვარჯიშობს, 3-4 ჯერ წაიკითხავს მას;
- ჩაიწერს;
- მოუსმენს და დააკვირდება შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით (უშეცდომოდ კითხვა, სიჩქარე, სასვენი ნიშნების გათვალისწინება – ემოციის გამოხატვა, პაუზების დაცვა)
- უწერს თავისთავს ორ კომპლიმენტს და ერთ რჩევას;
- ვარჯიშობს გაუმჯობესების მიზნით და ხელახლა ჩაიწერს;

მოუსმენს და დააკვირდება რამდენად გააუმჯობესა.

ინტეგრირებული აქტივობა 6. მასწავლებელი – კალამი (ენობრივი პრაქტიკა)

მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ ტექსტს, რომელსაც შემდეგ კითხვის და წერის უნარების განვითარების მიზნით გამოიყენებენ.

ნაბიჯი 1. თემის შერჩევა. შერჩევა შეიძლება დაეფუძნოს ილუსტრაციას, გარჩეული ტექსტის თემატიკას ან იდეას და სხვ.

ნაბიჯი 2. ტექსტის შექმნა – მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება იდეების „მოჩხრეკაში“, მოსწავლეების მიერ თქმულ წინადადებებს წერს დაფაზე ისე, რომ გამოვიდეს ამბავი. წერისას ერთობლივი წერის მეთოდს გამოიყენებს – ზოგიერთი მოსწავლე სიტყვას დაწერს, ზოგი – ასოს და მისთ.

ნაბიჯი 3. კითხვაში გაწაფვა – მასწავლებელი ხელის გაყოლებით ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, საუბრობენ შინაარსის შესახებ. შემსწავლელები კითხულობენ ტექსტს ერთობლივი კითხვის ვარიაციებით (ერთობლივი კითხვა, ექოდ კითხვა, ქოროში კითხვა და მისთ).

ნაბიჯი 4. ტექსტის გამოყენებით საკითხავი და წერითი სავარჯიშოების შესრულება, მაგალითად:

- აქტივობა 7. ტექსტის დაშლა და აწყობა – ზოლებად დაჭრილს ფურცლებზე ტექსტის შემადგენელი სიტყვები და ფურცლებია. შემსწავლელები სიტყვებისგან აწყობენ წინადადებებს, წინადადებებისგან – ტექსტს.
- აქტივობა 8. ტექსტი მიხედვით სურათების შექმნა (ან კომიქსის) და ქვეშ წარწერების გაკეთება (ანუ ტექსტიდან მონაკვეთების გადაწერა;
- აქტივობა 9. ტექსტის ერთ-ერთი წინადადებების აწყობა მოძრავი ანბანით;
- აქტივობა **10.** ტექსტის მთლიანად გადაწერა და ილუსტრაციებით გაფორმება, ანუ საკუთარი პატარა „წიგნის“ შექმნა;(შესაძლებელია – დიდი წიგნის გაკეთება – ყველა ამზადებს ილუსტრაციებს შექმნილი ტექსტისთვის;
- აქტივობა 11. გაწაფული კითხვა – ტექსტის წაკითხვაში გაწაფვა და გამომსახველობითად წაკითხვა აუდიტორიის წინაშე.

წერა

- აქტივობა 12. სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით. შემსწავლელებმა ტექსტიდან უნდა გადაიწერონ სიტყვები კონკრეტული ინსტრუქციის მიხედვით, მაგალითად,: გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ასოზე“; „გადაიწერე სიტყვები, რომლებსაც აქვს დეფისი“; „გადაიწერე ექვსასოიანი სიტყვები“ და სხვა.

- აქტივობა 13. ორი მონაკვეთის შედარება მესამესთან; მასწავლებელი შეარჩევს ტექსტიდან მონაკვეთს, ორ ეგზემპლარად გადაწერს, ოღონდ მეორე ვარიანტში გარკვეული ცვლილებების შეიტანს: გააქრობს ერთ-ორ სიტყვას, დაამატებს სხვა ერთ-ორ სიტყვას, შეცვლის ერთ-ორ

სიტყვას. შემსწავლელებს მიეწოდება ორივე ვარიანტი: მან უნდა იპოვოს განსხვავებები – შეასრულებს შემდეგ ინსტრუქციებს:

- o გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც „გამქრალია“ მეორე ტექსტში;
- o გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში;
- o გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც შეცვლილია.

აქტივობა 14. ასე ვამბობთ – ასე ვწერთ

მასწავლებელი დაურიგებს შემსწავლელებს მარტივ, მცირე ზომის ტექსტს, რომელშიც გამოტოვებული იქნება სასვენი ნიშნები. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, რომელსაც შემსწავლელები თვალს ადევნებენ.

მოსწავლეებმა სვამენ სასვენ ნიშნებს. აქტივობა დასრულდება შემაჯამებელი მსჯელობით.

აქტივობა 15. როლური კითხვა

გაინაწილეთ შესწავლილი ნაწარმოების (მაგ. „შალის შარფი“, http://kargiskola.ge/anbani) ან ერთობლივი წერით თქვენ მიერ შედგენილი ტექსტის მთხრობლისა და პერსონაჟების როლები, შემდეგ ხმამაღლა წაიკითხეთ ტექსტი როლური კითხვით.

როლური კითხვისას:

- უშეცდომოდ წაიკითხეთ ტექსტი;
- ინტონაციისა და მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით წარმოაჩინე გრძნობა ან განწყობა, რომლითაც პერსონაჟი თუ მთხრობელი წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს;
- დაიცავით პაუზები.

აქტივობა 16. გამომსახველობითი კითხვა

შეარჩიეთ შესწავლილი ნაწარმოები (მაგ. „კაჭკაჭი და კრუხი“ ი. გოგებაშვილი, „ჟირაფი ჟოზე“ http://kargiskola.ge/anbani)) ან ერთობლივი წერით თქვენ მიერ შედგენილი ტექსტი, შემდეგ გამომსახველობითად წაიკითხეთ ტექსტი (როლის ან როლების მორგებით).

კითხვისას:

- შეუფერხებლად, უშეცდომოდ წაიკითხეთ ტექსტი.
- ინტონაციისა და მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით წარმოაჩინე გრძნობა ან განწყობა, რომლითაც მთხრობელი (ან მთხრობელი და პერსონაჟები) წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს;
- სათანადოდ დაიცავით პაუზები და მახვილები.

ტიპობრივი აქტივობები ცნებისთვის „წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“

მატრიცაში წარმოდგენილი ცნება „წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“ ფონოლოგიურ უნარებს უკავშირდება. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა მიდრო კავშირი ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებსა და კითხვის სწავლებას შორის. მოსწავლე, რომელსაც განვითარებული აქვს ფონემური ცნობიერება, წარმატებულად ეუფლება კითხვას. ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზით: ანბანური სისტემის პრინციპის გასააზრებლად მოსწავლემ, პირველ რიგში, უნდა გააცნობიეროს, რომ ასო გამოხატავს ბგერას. ამის აღსაქმელად კი მან უნდა გაიგოს, რა არის ბგერა. უფროსებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ბავშვები ზეპირ ტექსტს აღიქვამენ, როგორც უწყვეტ სიტყვიერ ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ზეპირი ტექსტი შედგება წინადადებისაგან, წინადადებები – სიტყვებისაგან, სიტყვები კი – უმცირესი ერთეულებისაგან, ბგერებისაგან. მოსწავლე, რომელმაც ბგერა არ იცის, ვერ გაიგებს ასოს დანიშნულებას – ასო ხომ ბგერას გამოხატავს! ამდენად, კითხვის სწავლების დაწყებამდე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს აღმოვაჩენინოთ და გავაცნობიერებინოთ სიტყვის შემადგენელი უმცირესი ერთეული – ბგერა, ანუ ფონემა, რომლის გამოხატულებაცაა ასო, ანუ გრაფემა. ფონემური ცნობიერება სწორედ ფონემების გაცნობიერებას, მათზე დაფიქრებისა და მათი გამოყენების უნარს გულისხმობს. ფონემური ცნობიერების ფორმირება ფონოლოგიური უნარების განვითარების გზით ხდება.

ქვემოთ გთავაზობთ ფონოლოგიურ აქტივობათა რამდენიმე წყებას, რომლებიც ეტაპობრივად მიიყვანს მოსწავლეს ყველაზე ადვილი ოპერაციიდან ყველაზე ძნელ ოპერაციამდე. პირველ ეტაპზე მოსწავლეს ვთავაზობთ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება მას სიტყვის შემადგენელი ზეპირი მარცვლების (და არა ბგერების) აღქმა-გაცნობიერებაში; მეორე ეტაპზე კი მოსწავლეს უკვე ბგერების აღქმა-გაცნობიერებაზე ვავარჯიშებთ. მოსწავლეს, რომელიც თავისუფლად ამუშავებს სიტყვის ხმოვან ანუ აკუსტიკურ ხატს, შემდეგ ერთიორად უადვილდება დაწერილი სიტყვის ანალიზი და სინთეზი.

I ეტაპი – მარცვლებით ოპერირება

1. დამარცვლა – სურათის ამოცნობა – მასწავლებელი გააკრავს ოთხ-ხუთ სურათს და დამარცვლავს ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლა მასწავლებელმა და გაამთლიანონ;
2. დამარცვლულის გამთლიანება – მასწავლებელი დამარცვლავს მოსწავლეების სახელებს. მოსწავლეები ამოიცნობენ, ვისი სახელი დამარცვლა მასწავლებელმა;
3. საკუთარი სახელის დამარცვლა – მოსწავლეები დამარცვლავენ საკუთარ სახელებს;
4. მარცვლების დათვლა – მოსწავლეები საკუთარ სახელებს დამარცვლავენ ტაშის დაკვრით და ითვლიან.
5. დამარცვლული სიტყვის გამთლიანება – მასწავლებელი დამარცვლით ამბობს ნაცნობ სიტყვებს, მოსწავლეები ამოიცნობენ მათ და ამთლიანებენ;
6. სურათების დაჯგუფება შესაბამის ყუთებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით – მომზადებულია სამი ყუთი. I ყუთი გამიზნულია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის, II – ორმაცვლიანებისათვის, III – სამმარცვლიანებისათვის. მოსწავლეთა პატარა ჯგუფებს ურიგდება სურათები. მოსწავლეებმა უნდა დამარცვლონ სიტყვები და მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, ჩააწყონ სურათები შესაბამის ყუთებში. დასასრულს, ჩატარებული სამუშაოს შედეგები მოწმდება მასწავლებელთან ერთად.
7. წესი 1. მარცვლის დამატება – მოსწავლეებმა მიცემულ სიტყვებს ყოველ ჯერზე უნდა დაუმატონ ერთი და იგივე სამოდელო მარცვალი (მაგ., კუ/ ბანანიკუ, ვაშლიკუ, კუკუ, ქუდიკუ, მზეკუ და სხვა). ვარიანტი – იგივე აქტივობა ტარდება საკუთარ სახელებზე.
8. წესი 2. ბოლო მარცვლის გამეორება – მასწავლებელი აწარმოებს სიტყვებს მათი ბოლო მარცვლის დამატებით/რედუპლიცირებით. (მაგ., ვაშლიშლი, ქუდიდი, ფისოსო, ქოლგაგა და სხვა). ახალი სიტყვების გამოყენებით, იმავეს იმეორებს მოსწავლეებთან ერთად. ბოლოს, მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს; მოსწავლეები, იმავე წესის გამოყენებით (სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორებით), აწარმოებენ სიტყვებს.
9. წესი 3. პირველი მარცვლის გაუქმება/ჩამოცილება – მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, რომელსაც „ჩამოჭრილი“ აქვს პირველი მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია “ჩამოჭრილი“ (შეიძლება მოვიშველიოთ ამ სიტყვების შესაბამისი სურათები).
10. წესი 4. ბოლო მარცვლის ჩამოცილება: მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, რომელსაც

„ჩამოჭრილი“ აქვს ბოლო მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია „ჩამოჭრილი“ (შეიძლება მოვიშველიოთ ამ სიტყვების შესაბამისი სურათები, რომლებიც საყრდენად გამოადგება მოსწავლეებს);

11. წესი 5. მარცვალთა გადანაცვლება – მასწავლებელი ასახელებს ორმარცვლიან სიტყვას, შემდეგ ადგილებს შეუცვლის/გადაანაცვლებს მარცვლებს (მაგ., ზღარბი – რბიზღა; ბიჭი – ჭიბი, დათო – თოდა, რეზო – ზორე); მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები გადაანაცვლებენ მარცვლებს.

12. სიტყვის გარდაქმნის წესის ამოცნობა (ეს კომპლექსური დავალებაა) – მასწავლებელი აირჩევს სურათს, ხმამაღლა წარმოთქვამს სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. შემდეგ იგი რომელიმე წესის მიხედვით გარდაქმნის და ხმამაღლა წარმოთქვამს მას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესი “გამოიყენა“ სიტყვის საწარმოებლად.

II ეტაპი – ბგერებით ოპერირება

13. სურათების დახარისხება პირველი ბგერის (და არა მარცვლის) მიხედვით – მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სურათებს და ეუბნება სამოდელო ბგერას, რომელზედაც უნდა იწყებოდეს სიტყვა. სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვის შესაბამისი სურათი მოსწავლემ უნდა ჩადოს ყუთში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნითაა დადგმული.

14. სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა – მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვების მოსმენისას.

15. რა აქვთ საერთო? – მასწავლებელი წარმოთქვამს 5-6 სიტყვას, რომლებიც ერთ ბგერაზე იწყება. მოსწავლეები პოულობენ, რა აქვთ ამ სიტყვებს საერთო.

16. სიტყვაში ბოლო/პირველი ბგერის ამოცნობა სურათზე დაყრდნობით – მოსწავლეებს ურიგდებათ სურათები. მათ უნდა ამოარჩიონ ის სურათები, რომლებიც სამოდელო ბგერაზე იწყება/მთავრდება და გვერდით მიუწყონ გაკრულ სურათს.

17. რითმების შექმნა საკუთარი სახელების გამოყენებით – მოსწავლეები ეძებენ სიტყვებს, რომლებიც ირითმება მათ სახელებთან (მაგ., “მე ვარ გოგი, მყავს ერთი დოგი“, “მე ვარ ილია, ჩემი ფაფა თბილია“, “მე ვარ ნინო, მაქვს პიანინო“, “მე ვარ რეზო, მიყვარს ეზო“, “მე ვარ ნატა, მყავს თეთრი კატა“, მისთ.).

18. **„იპოვე ზედმეტი“** – საერთო კანონზომიერების მქონე სიტყვების ჩამონათვალში წარმოდგენილია ერთი სიტყვა, რომელიც არ შეესატყვისება ამ კანონზომიერებას. მოსწავლეებმა უნდა მიაგნონ აღნიშნულ სიტყვას.

19. ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით – მასწავლებელი გამოაკრავს ერთმარცვლიანი სიტყვების სურათებს და ცალ-ცალკე წარმოთქვამს სათანადო ბგერებს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა.

20. ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე– მასწავლებელი დანაწევრებულად ასახელებს ერთმარცვლიანი სიტყვის ბგერებს, მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.

21. ერთმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა – იმავე სიტყვებს მოსწავლეები ბგერებად დაშლიან. ამის შემდეგ მასწავლებელი მათ დასაშლელად აძლევს სხვა ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სიტყვებს.

22. ორ– და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა – მოსწავლეები ბგერებად შლიან ორ– და მეტმარცვლიან სიტყვებს.

23. ბგერების სიტყვებად გამთლიანება – მასწავლებელი ბგერებად ანაწევრებს ორ– და მეტ მარცვლიან სიტყვებს, მოსწავლეები ამთლიანებენ მათ.

შენიშვნა: ესაა უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელსაც შემდგომში მოსწავლე დაეყრდნობა სიტყვების წაკითხვისას –კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად და ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად (სინთეზი). ამიტომ ამ უნარს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

24. სიტყვების გადახარისხება ბგერების რაოდენობის მიხედვით – მოსწავლეებს ვაძლევთ ერთ– და ორმარცვლიანი სიტყვების შესაბამის სურათებს. ვამზადებთ ოთხ ყუთს ორ–, სამ–, ოთხ– და ხუთბგერიანი სიტყვებისათვის. მოსწავლეებმა უნდა დაანაწევრონ სიტყვები ბგერებად, დაითვალონ ბგერების რაოდენობა და სურათები ჩადონ შესაბამის ყუთში (მაგ., ია, ლია, ვაშლი, ბალი, კუ, ბუ, ტყე, თაგვი, მთა და სხვა).

გამოყენებული რესურსი:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი დაწყებითი საფეხურისთვის, 2011; https://bit.ly/3ybYBga

რეკომენდაციები სწავლების მეთოდიკაში

1. წაკითხულის გააზრება:

კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ

პირველი ნაწილი

სტატიის ავტორი – თამარ ჯაყელი

2007 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ჩაატარა კვლევა VII კლასის მოსწავლეთა კითხვის უნარის შესაფასებლად მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, თბილისი, 2007 წ.: გვ. 189-215).

კითხვის უნარის შესამოწმებლად შეირჩა მხატვრული და ინფორმაციული ტექსტები. რამდენადაც ტრადიციულად მხატვრული ტექსტის კითხვას წამყვანი ადგილი ეჭირა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე, მოსალოდნელი იყო, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა იოლად დაძლევდა ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებს, მაგრამ კვლევის შედეგებმა სხვა სურათი აჩვენა: მიღწევის ოთხივე დონეზე (საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი, მაღალი) მოსწავლეებს უჭირთ ტექსტის სიღრმისეული ანალიზი. მაგალითად, მოსწავლეთა უმრავლესობისათვის პრობლემას წარმოადგენს: მხატვრული ნაწარმოების სათაურის გაგება ნაწარმოების არსის საფუძველზე; ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის გაანალიზება მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე; პერსონაჟის დახასიათება ტექსტის გააზრებაზე დაყრდნობით; სახეობრივი მეტყველებით გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა და გაანალიზება და სხვ. (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, თბილისი, 2007 წ., გვ. 189-215). მოსწავლეთა უმეტესობა ანალიზისა და შეფასების უნარს, ძირითადად, ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციისკენ წარმართავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მხატვრულ ტექსტს აღიქვამენ, როგორც მხოლოდ ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის გადმოცემის საშუალებას.

რაც შეეხება საინფორმაციო ტექსტს, აქაც ანალოგიური მდგომარეობაა. მოსწავლეებს უჭირთ ამოიცნონ, გააანალიზონ ის ინფორმაცია, რომელიც ტექსტის შინაარსიდან გამომდინარეობს, მაგრამ მის ზედაპირზე არ არის მოცემული. მაგალითად, მათთვის პრობლემურია მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე დასკვნების გამოტანა, ტექსტის მიზნისა და აუდიტორიის ამოცნობა, შემაჯამებელი აბზაცის გააზრება და სხვა (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, თბილისი, 2007 წ., გვ. 189-215).

საგულისხმოა ჩვენი ცენტრის მიერ ჩატარებული ის კვლევაც, რომლის ობიექტებიც პირველკლასელები იყვნენ. კითხვასთან დაკავშირებით საკმაოდ მძიმე სურათი გამოიკვეთა (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, თბილისი, 2007 წ., გვ. 85-102).

უნდა აღვნიშნოთ, რომ კითხვის უნარი, დაწყებით საფეხურზე, შეაფასა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჯერ კიდევ 2003 წელს, როდესაც მან ჩაატარა სასწავლო პროცესის სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში (იხ. სახელმწიფო შეფასების შედეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წინასწარი ანგარიში) 2004 წ., ასევე http://naec.ge/ სახელმწიფო შეფასება ქართულ ენაში). ასევე 2006 წელს ჩატარდა პირლსის საერთაშორისო კვლევა. კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://naec.ge/files/765_PIRLS-2006.pps.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ანალოგიური პრობლემები: ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ახერხებს ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოცნობას, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ისეთი სააზროვნო ოპერაციები, როგორებიცაა ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირების ამოცნობა, ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა, აზრის დასაბუთება ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული არგუმენტების პოვნის გზით, საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების დაკავშირების

საფუძველზე დასკვნის გაკეთება. საგულისხმოა კვლევის შედეგად გამოვლენილი ერთ-ერთი დასკვნა: ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეთა 18% ისეთი სირთულის ტექსტებს, როგორიც სასწავლო სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი, კითხულობს, მაგრამ ვერ იგებს.

კითხვაში არსებულ პრობლემებს, ცხადია, არაერთი მიზეზი აქვს. ამ სტატიაში ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. **ეს გახლავთ ჩუმი და ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა.**

სოციალურ პრაქტიკაში ხმამაღალი კითხვა ზეპირ საკომუნიკაციო სიტუაციას გულისხმობს – მკითხველი ამა თუ იმ კომუნიკაციური მიზნით გადასცემს ინფორმაციას მსმენელს. ეს აქტივობა შეიძლება სრულიად სხვადასხვა მიზნით (ინფორმაციის შეტყობინება, გართობა, გარკვეული ემოციური ზეგავლენის მოხდენა, ცოდნის გადაცემა, აზრის/განცდის გაზიარება და სხვ.) და სხვადასხვა კონტექსტში განხორციელდეს, მაგალითად, ოჯახურ წრეში, როდესაც უფროსი უკითხავს ბავშვს ან მოხუცს, პოეზიის საღამოზე, კონფერენციაზე და სხვ. ყველა შემთხვევაში, ადრესატი, ანუ ის, ვისთვისაც არის ინფორმაცია განკუთვნილი, არის მსმენელი, რომლის ამოცანაა ინფორმაციის მოსმენა-გააზრება. ასე რომ, სოციალურ პრაქტიკაში, ანუ ფუნქციურად, ხმამაღალი კითხვა საკითხავი კი არა, ზეპირი აქტივობაა.

დავუბრუნდეთ სკოლას, კერძოდ კი სწავლების პირველ წლებს. სკოლაში ფაქტობრივად პირველი დღეებიდანვე გამოიყენება ხმამაღალი კითხვის ტექნიკა. როდესაც მკითხველი მასწავლებელია, მაშინ ხმამაღალი კითხვა ინარჩუნებს თავის ფუნქციას: მასწავლებელს ჰყავს მსმენელი, რომელსაც სიტყვიერი გზით გადასცემს ინფორმაციას. რა ხდება მაშინ, როდესაც ტექსტს ხმამაღლა კითხულობენ მოსწავლეები? ასეთ შემთხვევაში ხმამაღალი კითხვა კომუნიკაციურ ფუნქციას კარგავს, რამდენადაც არ არსებობს მსმენელი; ყველას წინ უდევს და თვალს ადევნებს იმ ტექსტს, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი „კითხულობს“. მაშ, რისთვის ვაკითხებთ მოსწავლეებს ხმამაღლა? პასუხი ერთია: იმისთვის, რომ კითხვა ისწავლონ. დასადგენია, რას ვგულისხმობთ კითხვაში და ნამდვილად ვასწავლით თუ არა იმას, რასაც ვგულისხმობთ.

ამის დასადგენად, ვნახოთ, რა ხდება, როცა მოზარდი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს. მოვიშველიებთ ფრანგი ექსპერტების მიერ გამოყენებულ ჩუმი და ხმამაღალი კითხვის შედარებით სქემას (იხ. “la lecture, apprentis-sage, evaluation, perfectionnement“, Alain Bentola, Brigitte Chevelier, Daniel Falcoz-Vigne; NATHAN 2000).

ჩუმი კითხვა



ხმამაღალი კითხვა ანუ გახმოვანება



როგორც სქემიდან ჩანს, ჩუმი კითხვისას თვალი აღიქვამს წერილობით კოდს და პირდაპირ ტვინს გადასცემს. ტვინი ახდენს მის დეკოდირებას. ჩუმი კითხვა პირდაპირია, ფუნქციური (ასე კითხულობს ზრდასრული ადამიანი) და ქმედითი (ჩუმი კითხვის ტექნიკით მკითხველი ოთხჯერ უფრო სწრაფად კითხულობს).

ხმამაღალი კითხვისას ინფორმაცია ტვინამდე პირდაპირ კი არა, შემოვლითი გზით მიდის.

თვალი აღიქვამს წერილობით კოდს, გადასცემს მას ვოკალურ სიმებს, სიმები ახმოვანებს და გადასცემს სმენას, ტვინი ბგერას აღიქვამს და აკავშირებს მას წერილობით კოდთან, ანუ ასოსთან. როგორც ვხედავთ, **ხმამაღალი კითხვისას, გონება დაკავებულია ასოების ბგერებთან დაკავშირებით.** მოსწავლე ხანმოკლე მეხსიერებაში იმახსოვრებს ჯერ ერთი ასოს სათანადო ბგერასთან კავშირს, შემდეგ – მეორისას, მესამისას, მეოთხისას და ამასობაში პირველი ავიწყდება. ამდენს ვეღარ იტევს ხანმოკლე მეხსიერება, ამიტომ ბრუნდება უკან, რომ პირველი გაიხსენოს. სანამ სიტყვის ბოლოში გადის, მისი ხანმოკლე მეხსიერება ისეა გადატვირთული, რომ მოზარდი შინაარსის აღქმას ვეღარ ახერხებს, იგი დაკავებულია გრაფოფონეტიკური კავშირების დამყარებით. ამიტომაცაა, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსწავლე ვერც ამბობს, რა სიტყვა „წაიკითხა“. რეალურად, მან კი არ წაიკითხა (ანუ შინაარსი კი არ გაიაზრა), არამედ ასოები ბგერებად გადააქცია, დაწერილი ნიშნები ხმოვან ნიშნებად გარდაქმნა, ანუ გაახმოვანა.

ვფიქრობთ, აქედან ნათელი ხდება, რომ **ხმამაღალი კითხვისას ჩვენ მოსწავლეებს წერილობითი ტექსტის გაგებაზე კი არა, მის გახმოვანებაზე ვავარჯიშებთ.** ტექსტის გახმოვანება კი მის გაგება-გააზრებას არ გულისხმობს. შესაძლებელია, მოსწავლემ სრულიად უშეცდომოდ წაიკითხოს ტექსტი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მან გაიგო შინაარსი. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ზემოთ მოტანილი კვლევის შედეგი: მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა „კითხულობს, მაგრამ ვერ იგებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები წერილობით კოდს ახმოვანებენ, მაგრამ ვერ კითხულობენ, ანუ ვერ იაზრებენ შინაარსს. ფრანგი მკვლევარი ეველინ შარმე თავის საგულისხმო სტატიაში „ხმამაღალი კითხვა არის თუ არა კითხვა?“ შენიშნავს, როცა მოსწავლის ხმა უშუალოდ მიჰყვება თვალების მოძრაობას, მაშინ იგი კითხულობს იმას, რასაც ხედავს და არა იმას, რასაც იაზრებს. ხმამაღალი კითხვისას მას არ უვითარდება შინაარსის გაგება-წვდომისათვის აუცილებელი სააზროვნო უნარ-ჩვევები, რაც სრულიად ბუნებრივია: მთელი ყურადღება გადატანილია ლინგვისტური ერთეულების ხმოვან (და არა სემანტიკურ) ასპექტზე.

თუ გვსურს, მოსწავლეებს განვუვითაროთ შინაარსის გააზრება-გაანალიზების უნარი, თუ გვსურს კითხვისას ავამოქმედოთ სააზროვნო უნარები, აუცილებელია, რომ შინაარსის გაგებაზე მუშაობისას მოსწავლეებს ჩუმი კითხვის ტექნიკა გამოვაყენებინოთ.

ცხადია, ჩუმი კითხვის ტექნიკის დამკვიდრება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სასწავლო პროცესიდან ხმამაღალი კითხვის ტექნიკის განდევნას. საკითხი სხვაგვარად დგას: აუცილებელია, გვესმოდეს, რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ და რისთვის ვაკეთებთ. შესაბამისად, რას ვასწავლით მოსწავლეებს, გააზრებას თუ გააზრებულის გადაცემას. **თუ გააზრებას ვასწავლით, მაშინ ჩუმი კითხვის ტექნიკას უნდა მივმართოთ. თუ გააზრებულის გადაცემას ვასწავლით, მაშინ – ხმამაღალი კითხვისას. ხმამაღალი კითხვა აუცილებელი აქტივობაა, რომელიც ავსებს და ამდიდრებს კითხვის პროცესს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი კითხვასთან, კითხვის სწავლასთან გაიგივება. არ შეიძლება ერთდროულად ვიმუშაოთ კითხვის უნარისა და ხმამაღალი კითხვის უნარის განვითარებაზე.** მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთში არ ავურიოთ ეს ორი ტიპის სწავლება. კლასში მასწავლებელმა უნდა იმუშაოს:

* ან კითხვის უნარის განვითარებაზე – ასეთ შემთხვევაში, მოსწავლე სწავლობს შინაარსის გააზრებას, მის კონსტრუირებას;

* ან ხმამაღალი კითხვის უნარის განვითარებაზე – ასეთ შემთხვევაში, მოსწავლე სწავლობს გააზრებული შინაარსის ნათლად გადაცემას სხვისთვის. ამის განხორციელება სერიოზულ მომზადებას ითხოვს: მოსწავლემ უნდა გაიაზროს, თუ რა შინაარსის გადაცემა უნდა, რა არის მისი კომუნიკაციური მიზანი/ჩანაფიქრი (ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა მკითხველმა შეიძლება სხვადასხვაგვარად წაიკითხოს და, შესაბამისად, მან სხვადასხვა ზეგავლენა მოახდინოს მსმენელზე), უნდა შეარჩიოს სათანადო საშუალებები (ინტონაცია, ლოგიკური მახვილი, პაუზა, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი და სიმაღლე, ჟესტიკულაცია), უნდა იმუშაოს დიქციასა და გამოთქმაზე. ეს ითხოვს წაკითხულის ახალი კუთხით წაკითხვას და დაფიქრებას იმაზე, თუ როგორ წაიკითხავს ტექსტს, რომ უკეთესად გამოხატოს, გამოკვეთოს ის, რისი გადაცემაც უნდა მკითხველს ამ ტექსტით. ამ თვალსაზრისით, **ხმამაღალი კითხვა უფრო შემოქმედებითი აქტივობაა, ვიდრე აღქმითი.**

ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება კითხვის, როგორც გაგება-გააზრების უნარის, გასავითარებლად საზიანოა არაერთი თვალსაზრისით:

ხმამაღალი კითხვისას უმცროსკლასელები შინაარსს ვერ იგებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ

კითხვის პროცესი მათთვის სრულიად დაცლილია შინაარსისაგან. უშინაარსო აქტივობა, რომელიც ისედაც დიდ ძალისხმევას ითხოვს უმცროსკლასელებისგან, კითხვის პროცესს უკიდურესად მოსაბეზრებელს ხდის, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს როგორც მოტივაციაზე, ისე მოსალოდნელ შედეგებზე. თუ რამდენად მოსაბეზრებელია შინაარსისაგან დაცლილი კითხვის პროცესი, ამის გაგება არ გაგვიჭირდება, თუ თავად წავიკითხავთ შინაარსისაგან დაცლილ ფრაზებს და წარმოვიდგენთ, რომ ჩვენგან ყოველდღე მოითხოვენ ასეთი ტექსტების კითხვას. გთავაზობთ, თქვენ თავზე გამოსცადოთ, როგორია კითხვა, როცა აზრი ვერ გამოგაქვთ.

ტექსტის გასააზრებლად ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება არის აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს პასიური მკითხველისთვის დამახასიათებელი ქცევების ჩამოყალიბებას – ტექსტის გახმოვანებაში გართული მოსწავლე მოელის, რომ ტექსტში ჩადებული იდეები თავისთავად გადაიშლება მის თვალწინ. ზემოთ მოტანილმა კვლევებმა აჩვენა კიდეც, რომ ჩვენი მოსწავლეების დიდ უმეტესობას პასიური მკითხველის ქცევები ახასიათებს. ისინი აღიქვამენ ტექსტის ზედაპირზე ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ უჭირთ შემეცნებითი უნარების წარმართვა შინაარსის სიღრმისეული ასპექტებისაკენ. უჭირთ იმიტომ კი არა, რომ ამის შესაძლებლობა არ აქვთ, არამედ იმიტომ, რომ სასწავლო პროცესი მათი შემეცნებითი უნარების გამოვლენასა და ამოქმედებას ვერ უწყობს ხელს, უქმად ტოვებს პოტენციებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნიკაციის მიზნით ხმამაღალი კითხვა საკმაოდ კომპლექსური აქტივობაა და მისი განხორციელება არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. მართლაც, მკითხველს ტექსტი გააზრებული უნდა ჰქონდეს, რის გარეშეც იგი სათანადოდ ვერც გადასცემს შინაარსს; მას განვითარებული უნდა ჰქონდეს ზეპირმეტყველების უნარი და, შესაბამისად, იყოს საკმარისად თამამიც; უნდა ახერხებდეს **ხმისა და თვალის კოორდინირებულ მართვას – თვალმა წინასწარ უნდა აღიქვას წერილობითი ნიშნები, დაამყაროს კონტაქტი აუდიტორიასთან და, ვიდრე ხმის საშუალებით გააგრძელებს მსმენელთან ურთიერთობას, კვლავ უნდა მიუბრუნდეს წერილობით წყაროს. როგორც ვხედავთ, ხმამაღალი კითხვა ერთდროულად არაერთი უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.**

ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი ექსპერტი ხმამაღალ კითხვაზე, როგორც კომუნიკაციურ უნარზე, მუშაობის დაწყებას მე-2 კლასის ბოლოდან ან მე-3 კლასიდან მიიჩნევს გამართლებულად, როდესაც მოსწავლე დაუფლებულია ტექსტის გაგება-გააზრების ელემენტარულ საბაზო უნარ-ჩვევებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გასაგები ხდება, რომ ხმამაღალ კითხვაზე მუშაობისას მხოლოდ ისეთი ტექსტის გამოყენებაა რეკომენდებული, რომლის შინაარსიც მოსწავლეებისათვის ნაცნობია. მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით, შეიძლება, მოსწავლეებს ვთხოვოთ თვითონვე შეარჩიონ ის ნაწყვეტი/ტექსტი, რომლის წარდგენის სურვილიც ექნებათ კლასის წინაშე. არ არის აუცილებელი, რომ ეს ტექსტი მიეკუთვნებოდეს სკოლაში გავლილ მასალას.

ეველინ შარმეს რეკომენდაციით, იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს ხმამაღალ კითხვას, სასურველია, ჩამოვუყალიბოთ საამისო ქცევები და მივაჩვიოთ თვალებით ტექსტის აღქმას, ვიდრე იტყოდეს იმას, რასაც ხედავს. ამისთვის **ასეთ სავარჯიშოს იყენებენ: მოზარდი ჩუმად კითხულობს ფრაზას, გაიაზრებს მას, შემდეგ მსმენელს შეხედავს და ფრაზას ზეპირად ამბობს. ასეთ შემთხვევაში ამბობს იმას, რაც გაიაზრა და არა იმას, რასაც მისი თვალი ხედავს.**

მეორე ნაწილი

წარმატებული მკითხველის ფუნდამენტი დაწყებით საფეხურზე იყრება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს კითხვის წარმატებულ სწავლებას, არის მოსწავლეთა ჩაყენება აქტიური მკითხველის პოზიციაში. ამის განსახორციელებლად, სასურველია, კითხვის პროცესი ეტაპებად დაიყოს:

– პირველ ეტაპზე, სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ კითხვის წინმსწრები აქტივობები, იქნება ეს სათაურსა და სურათზე მუშაობა – მათ შორის კავშირის დანახვა, მათზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა, თუ მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება ტექსტში განხილულ საკითხებთან მიმართებაში. კითხვის წინმსწრები აქტივობები, ერთი მხრივ, გამოიწვევს მოსწავლეთა ინტერესს ტექსტის მიმართ, მეორე მხრივ, ისინი ამზადებს მათ შინაარსის აღსაქმელად, მის გასააზრებლად.

– მეორე ეტაპზე, სასურველია, ტექსტის სამუშაო მონაკვეთებად დაყოფა და ამ მონაკვეთების გააზრებაზე ორიენტირებული საკითხავი ამოცანების დასმა. როცა მოსწავლეს კონკრეტული საკითხავი ამოცანა აქვს დასმული, იგი ტექსტთან მიდის კონკრეტული მიზნით და ხდება აქტიური მკითხველი. **ყოველთვის უნდა ავარიდოთ თავი უმცროსკლასელთათვის ისეთი ზოგადი საკითხავი დავალების მიცემას, როგორიცაა „წაიკითხეთ ტექსტი“ ან კიდევ: „წაიკითხეთ ტექსტი და ამოიწერეთ უცნობი სიტყვები“.** ეს ნიშნავს ყოველგვარი დახმარების გარეშე მოსწავლეთა დაყენებას დაუძლეველი ან უკიდურესად მძიმედ დასაძლევი ამოცანის წინაშე. ტექსტი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვების გროვა. ტექსტის გაგება გულისხმობს არა სიტყვების, არამედ მათ შორის არსებული გრამატიკული თუ სემანტიკური კავშირების გააზრებას. შეიძლება ტექსტის ყველა სიტყვა ნაცნობი იყოს, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოვიტანოთ. და პირიქით, შეიძლება გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა არ გვესმოდეს, მაგრამ ტექსტის შინაარსი მაინც გავიაზროთ. იმისთვის, რომ მოსწავლემ იპოვოს უცნობი სიტყვები, მან ტექსტი უნდა წაიკითხოს, ანუ მან უნდა აამოქმედოს სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარი, რათა ჩასწვდეს ტექსტში გადმოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, პერსონაჟების ქცევის მოტივებს, წინადადებებსა თუ ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის არსებულ აზრობრივ, ლოგიკურ კავშირებს და სხვა. ანუ, თითქოს მარტივი დავალება – წაიკითხე ტექსტი და ამოიწერე უცნობი სიტყვები – სინამდვილეში გულისხმობს მრავალჯერადი სააზროვნო ოპერაციის განხორციელებას, რომელიც მოსწავლის მხრიდან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ასე რომ, ზოგადი ინსტრუქციებით (წაიკითხე ტექსტი, ამოიწერე უცნობი სიტყვები) პატარა მკითხველებს მარტო ვტოვებთ ძალიან რთული ამოცანების წინაშე, რაც ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე. ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპობრივი საკითხავი ამოცანების მიცემა. საკითხავ ამოცანებში ვგულისხმობთ ტექსტის შინაარსზე ორიენტირებულ სხვადასხვა ტიპის დავალებას. ეს შეიძლება იყოს კითხვები, რომელთა პასუხიც მოსწავლეებმა ტექსტში უნდა მოძებნონ; ასევე, არჩევითი პასუხებიდან სწორი ვარიანტის შერჩევა; აბზაცის დასათაურება, ან სათაურების შესაბამის აბზაცებთან დაკავშირება; ინფორმაციის დაჯგუფება გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით (მაგ., მსგავსებისა და განსხვავების პოვნა) და სხვა. არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ დავალების რომელ ტიპს გამოვიყენებთ. მთავარია, კითხვის პროცესში მოსწავლეს მივცეთ კონკრეტული ამოცანები, თუნდაც იყოს შინაარსზე ორიენტირებული კითხვები. უბრალოდ, სასურველია, რომ კითხვები იყოს მრავალფეროვანი და მიმართული აზროვნების უნარის სხვადასხვა დონისაკენ, იქნება ეს კონკრეტული დეტალების ამოცნობა, ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის არსებული აზრობრივი კავშირის დადგენა, დასკვნების გამოტანა, შინაარსის განზოგადება, ინტერპრეტაცია თუ მოვლენების, ქცევების შეფასება.

შევნიშნავთ, რომ აუცილებელია, დასმულ კითხვებზე პასუხი მოსწავლეებმა ჩუმი კითხვის გზით, დამოუკიდებლად იპოვონ ტექსტში და შემდეგ წარმოადგინონ კლასის წინაშე.

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე, დრო დავუთმოთ წარმოდგენილი პასუხების შედარება-გაანალიზებას. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოსწავლე პასუხს გასცემს რომელიმე კითხვას, მასწავლებელი აუცილებლად იკითხავს, არის თუ არა განსხვავებული აზრი/პასუხი. პასუხის მოსმენისას მოსწავლეებს მოუწოდებს, დაასაბუთონ საკუთარი ვარიანტები, რისთვისაც მოსწავლეები მიუბრუნდებიან ტექსტს და წარმართავენ ძალისხმევას მის გასააზრებლად. მასწავლებელი ეცდება, რომ სწორი პასუხების ამოცნობისა და მათი გაანალიზების პროცესში ჩააბას მთელი კლასი. ასეთი მიდგომა იწვევს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდას და მათ გააქტიურებას კითხვის პროცესში, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს შედეგებზეც. რაც შეეხება უცნობ სიტყვებს, მათი მნიშვნელობაც მონაკვეთების გარჩევის პროცესში გაირკვევა.

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ მოსწავლეთა პასუხების შედარება-გაანალიზების პროცესი კარგი საშუალებაა გაუბედავი/პასიური მოსწავლეების გასააქტიურებლად. მასწავლებელი აუცილებლად მიაღებინებს მათ მონაწილეობას ამ პროცესში. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ პასუხი, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, ჰკითხავს, თუ ვის მოსაზრებას ემხრობიან. სუსტ მოსწავლეებს საკუთარი თავის ნდობა აქვთ დაკარგული და ასეთი მიდგომით მასწავლებელი საშუალებას მისცემს, თანდათანობით დაიბრუნონ საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა და გააქტიურდნენ.

– მომდევნო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ერთი მონაკვეთი დამუშავდება ამ წესით, **სასურველია, მომდევნო მონაკვეთის დამუშავებამდე მოსწავლეებს წაკითხულზე დაფუძნებით გამოვათქმევი-**

ნოთ თავიანთი მოსაზრებები მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებზე. ცხადია, მასწავლებელი მიიღებს ვარაუდების არა ნებისმიერ ვარიანტს, არამედ მხოლოდ იმ ვარიანტებს, რომლებიც წაკითხულის შინაარსიდან გამომდინარეობს, მის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ასეთი ტიპის აქტივობა მოსწავლეს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ასევე, მეტყველების უნარს და, ამას გარდა, უღვივებს ინტერესს მომდევნო პასაჟების მიმართაც. მომდევნო მონაკვეთების დამუშავება მოხდება იმავე წესით.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს კითხვის წარმატებულ სწავლებას, გახლავთ საბოლოო, გრძელვადიანი მიზნის განხორციელებამდე მისასვლელი გზის ეტაპობრივად დაგეგმვა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყოველი მოსწავლის წინსვლას რომ შეუწყოს ხელი, აუცილებელია, მასწავლებელმა თითოეულ მათგანს დაძლევადი მიზნები დაუსახოს და, შესაბამისად, დაძლევადი ამოცანები შესთავაზოს. მოსწავლეები შესაძლებლობების მიხედვით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამდენად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აამოქმედოს ისეთი მეთოდური აპარატი, რომელიც დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა შეფასებასა და კითხვის შესაბამისი ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაში, რათა მოსწავლეებს სირთულეების ეტაპობრივად დაძლევის საშუალება მისცეს.

რა სჭირდება ასეთი მეთოდური აპარატის ამოქმედებას?

პირველ რიგში, საჭიროა ისეთი ტიპის დავალებების გამოყენება, რომლებიც მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების ჩატარების საშუალებას მისცემს, ვგულისხმობთ რვეულში ინდივიდუალურად შესასრულებელ საკითხავ დავალებებს. მართლაც, ზეპირი, კოლექტიური ხასიათის საკითხავი აქტივობა, ანუ ისეთი, როგორიც ზემოთ აღვწერეთ, ნაკლებად იძლევა თითოეული მოსწავლისათვის წინსვლის, მიღწევებისა თუ საჭიროებების დადგენის, აგრეთვე, სათანადო ზომების მისაღებად მათი სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრის საშუალებას. ამდენად, აუცილებელია ისეთი საკითხავი ამოცანების დასმა, რომლებსაც მოსწავლე რვეულში შეასრულებს. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს, გადაამოწმოს, თუ როგორ ართმევს თავს მოსწავლე ამა თუ იმ სირთულის/ტიპის საკითხავ ამოცანას.

ამას გარდა, **გასათვალისწინებელია ყველა, ასე ვთქვათ, ქვეუნარი, რომელთა დაუფლებასაც გულისხმობს კითხვის უნარ-ჩვევა. ეს ქვეუნარებია: შინაარსის ამოცნობა, მხედველობითი აღქმის სისწრაფე, მხედველობითი მეხსიერება; ასოების, მარცვლების, ბგერების ფუნქციონირების წვდომა, ანუ კომბინაციათა აღქმა-გააზრება-წარმოება; წერილობითი კოდის წინასწარ აღქმა, შინაარსის წინასწარ განჭვრეტა და კონტექსტის გათვალისწინება, ინფორმაციის დამახსოვრება, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული კავშირების ამოცნობა;** მასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს, გადაამოწმოს, ვინ როგორ ეუფლება ამა თუ იმ უნარს, ვის რომელი უნარის გასავითარებლად ესაჭიროება დამატებითი დახმარება. ამდენად, მასწავლებელს ხელთ უნდა ჰქონდეს სავარჯიშოთა მრავალფეროვანი სპექტრი, რომლითაც ის შეძლებს მოსწავლეებს კონკრეტული უნარი გაუვარჯიშოს.

გთავაზობთ კითხვის უნარებსა თუ ქვეუნარებზე მიმართულ სავარჯიშოთა ნიმუშების ერთ ნაწილს, რომელიც ამოვკრიფეთ ფრანგი სპეციალისტების წიგნებიდან: (Jeux pour lire, Michel martin; Hachette; La LECTURE, APPRENTISSSAGE, IVALUATION, PERFECTONNMENENT, Alain Bentolila, Brigitte Chevalier, Daniel Falcoz-Vigne; Nathan, 2000).

ამოცნობაზე მიმართული სავარჯიშოები:

1. კითხვის ერთი მონაკვეთის დასრულებისას შეიძლება ასეთი თამაში შევთავაზოთ: **მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ისინი არიან მაძიებლები და შინაარსზე დაყრდნობით უნდა იპოვონ ზოგიერთი სიტყვა.** პირობა: იპოვე ამა და ამ გვერდზე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ამას და ამას.

– სხვა ვარიანტი: **ამა და ამ გვერდზე იპოვე ორი ყვავილის (ან სამი ცხოველის და სხვა) სახელი;**

– სხვა ვარიანტი: **რამდენი ცხოველის სახელია ამა და ამ გვერდზე? გადმოიწერე.**

2. მოსწავლეებს ურიგდებათ შესწავლილი ტექსტის ქსეროასლი. მათ ხაზი უნდა გაუსვან ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვებს (სათამაშო, ცხოველები, ტანსაცმელი და სხვა). პირობა: **ხაზი გაუსვით ცხოველების აღმნიშვნელ სიტყვებს.**

3. მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნახატების ერთ წყებას და ქვეშ მიუწერს სათანადო სახელს, ზოგიერთს – შეცდომით. პირობა: გადაიწერე მხოლოდ იმ ნახატების სიტყვები, რომლებიც ნახატს ესადაგება.

4. მასწავლებელი ხატავს ნახატს, რომელიც შეესაბამება წაკითხული ტექსტის შინაარსს; გვერდით წერს რამდენიმე მსგავს წინადადებას. პირობა: იპოვე, რომელი წინადადება შეესაბამება ნახატს და გადაიწერე.

5. მასწავლებელი ამზადებს რამდენიმე მსგავს ნახატს, მოსწავლეებს კი დაურიგებს მხოლოდ ერთი ნახატის წერილობით აღწერას. პირობა: იპოვე, რომელი ნახატია აღწერილი და გააფერადე (მაგ. სახლს წითელი სახურავი აქვს. სახლის წინ ტანმაღალი ხეა. სახლის გვერდით ბაღია).

6. მასწავლებელი წაკითხული ტექსტიდან შეარჩევს აბზაცს, რომელიც ნახატის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. პირობა: ამა და ამ გვერდზე წაიკითხე აბზაცი, რომელიც იწყება ასე: „...“ და დახატე.

7. წაკითხული ტექსტის ორ ვარიანტს სთავაზობს მოსწავლეებს. ერთ-ერთში მცირე ცვლილებებია შეტანილი. პირობა: გადაიწერე სიტყვები, რომლებიც აკლია ტექსტს 2; გადაიწერე სიტყვები, რომლებიც დამატებულია ტექსტში 2.

8. კლასში წაკითხულ ტექსტს მასწავლებელი გადაწერს და შიგადაშიგ შეაპარებს სხვა წინადადებებს. პირობა: გახაზე წინადადებები, რომლებიც წაკითხულ შინაარსს არ შეესაბამება.

სავარჯიშოები თვალის გასავარჯიშებლად:

1. მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სიტყვებს, რომელთა წაკითხვაზეც მოსწავლეებმა წინასწარ ივარჯიშეს. მოსწავლეებს კი აძლევს ერთ ან ორმარცვლიან სიტყვებს. პირობა: იპოვე დიდ სიტყვებში პატარა სიტყვები და გაუსვი ხაზი (მაგალითად: ხე ალი და ია კი თუ არ. მა<u>ხე</u>; <u>თვალი</u>; <u>დ</u>ათვი; გალ<u>ია</u>; ზოოპარ<u>კი</u>; <u>არ</u>წივი; <u>თუ</u>თიყუში და სხვა).

2. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ჩამოთვლილი სიტყვების ორ სიას. პირობა: დააკავშირე ან შემოხაზე ერთნაირი სიტყვები.

3. მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადმოიწერონ სიტყვები კონკრეტული ინსტრუქციის მიხედვით. პირობა: გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ასოზე; გადაიწერე სიტყვები, რომლებსაც დეფისი აქვთ; **გადაიწერე ოთხასოიანი სიტყვები** და სხვა.

4. მოსწავლეები გადაიწერენ დაფიდან 5-6 სიტყვას. შემდეგ მასწავლებელი ამ 6 სიტყვიდან კარნახობს ორს ან სამს. მოსწავლეებმა ეს სიტყვები უნდა მიუწერონ სათანადო სიტყვებს.

5. სიტყვათა ჩამონათვალიდან მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გადმოიწერონ „იდუმალი“ სიტყვა. პირობა: იდუმალი სიტყვა იწყება „თ“ ასოთი და სრულდება ასო „ა“-თი; ან იწყება „ს“ ასოთი და აღნიშნავს ცხოველს და სხვა.

სავარჯიშოები ინფორმაციის დამახსოვრებაზე – ტექსტის მთლიანობაში აღქმა-გაგებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეხსიერება. ამდენად, საჭიროა დამახსოვრების უნარის გავარჯიშებაც.

1. მოსწავლე კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მას სთავაზობენ ამ წინადადების სამ ვარიანტს, უნდა ამოიცნოს, რომელია მის მიერ მანამდე წაკითხული ვარიანტი.

2. მოსწავლე ორჯერ კითხულობს ტექსტს. შემდეგ მას ვთავაზობთ იმავე ტექსტს, საიდანაც ამოღებულია საკვანძო სიტყვები. მან სიტყვები უნდა აღადგინოს (შეიძლება იქვე მივცეთ იმ სიტყვების განმარტებები, რომლითაც იხელმძღვანელებს, თუკი სიტყვა ვერ გაიხსენა).

3. ფურცლის ერთ მხარეს უკვე შესწავლილი ტექსტის მონაკვეთია, უკანა მხარეს იგივე მონაკვეთი მცირეოდენი ცვლილებებით – მოსწავლემ უნდა იპოვოს ეს ცვლილებები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ვარიანტი ერთი ფურცლის ორ გვერდზე იყოს განთავსებული.

სავარჯიშოები ასოების, მარცვლების, ბგერების კომბინაციათა აღქმა-წარმოებაზე:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განსხვავებულ სამ მარცვალს, რომლებიც სამ სვეტადაა განაწილებული (მაგალითად: გა, ტი, გო) და სიტყვათა ჩამონათვალს. ამ სიტყვებში ერთ-ერთი მარცვალი მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი. მოსწავლეებმა ეს სიტყვები შემადგენელი მარცვლების მიხედვით სათანადო სვეტში უნდა გადაანაწილონ. (ციგა, ტოტი, გოგრა).

2. მოსწავლეებმა წაკითხულ ტექსტში უნდა შემოხაზონ, რაც შეიძლება, მეტი სიტყვები, რომლებიც შედგება წინასწარ განსაზღვრული მარცვლისაგან.

3. მოსწავლეებმა სიტყვათა ჩამონათვალში მოცემული სიტყვები უნდა განალაგონ ანბანური რიგით (ანბანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს).

4. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რამდენიმე ასოს (4, 5, 6). მათ განსაზღვრულ დროში (სამ წუთში) უნდა შეადგინონ ყველაზე გრძელი სიტყვა. მეორე ვარიანტი: სამ წუთში უნდა იპოვონ განსაზღვრული რაოდენობის სამ, ოთხასოიანი სიტყვა.

5. მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვას. მოსწავლეებმა 10 წუთში უნდა შეადგინონ, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობის სიტყვა ამ ასოების გამოყენებით.

6. მოსწავლეებს ვაძლევთ ზმნისწინებსა და საწყისებს. მათი გამოყენებით მოსწავლეებმა უნდა აწარმოონ ზმნები (მაგ.; გადა, წამო, გა; – სვლა, ხტომა, ტარება და სხვა).

სავარჯიშოები წინასწარ განჭვრეტის უნარის გასავითარებლად:

1. უკვე წაკითხული ტექსტიდან ამოვაგდებთ ყოველ მეშვიდე სიტყვას. მოსწავლეებმა ხარვეზები უნდა შეავსონ. შეიძლება სავარჯიშოს გართულება ყოველი მეხუთის ან მეოთხის ამოგდებით. V და VI კლასის მოსწავლეებისათვის შეიძლება უცხო ტექსტი გამოვიყენოთ. მოსწავლეები ჯერ მთლიანად უნდა გაეცნონ ნაკლულ ტექსტს, შემდეგ ეცადონ კონტექსტზე დაყრდნობით ნაკლული ადგილების აღდგენას.

2. მოცემულია სამი-ოთხი სვეტი, თითო სვეტში ორი სიტყვაა. ყოველი სვეტიდან ერთი სიტყვა უნდა აირჩიოს, რომ წინადადება გამოვიდეს. შესაძლებელია მხოლოდ ერთი ვარიანტი;

3. მოსწავლეს სთავაზობენ კომიქსს, რომლის ბუშტულები ცარიელია; ნახატებზე დაფუძნებით უნდა შეადგინოს ტექსტი და ბუშტულებში ჩაწეროს.

4. მზადდება ცხრილი, სადაც სვეტებად ერთი ტიპის სიტყვებია ჩამოთვლილი. მოსწავლეებმა წინადადებები უნდა ააგონ თითო სვეტიდან თითო სიტყვის შერჩევით. მრავალი კომბინაციაა შესაძლებელი, თუმცა ზოგიერთი გაუმართლებელია. ასე რომ, მოსწავლე მექანიკურად ვერ იმოქმედებს, მან გააზრებულად უნდა წაიკითხოს და შეარჩიოს მონაცემები. ეს სტრატეგია დიფერენცირების საშუალებას იძლევა: ზოგს შეუძლია მეტი წინადადება შეადგინოს, ზოგს – ნაკლები.

1	2	3	4
• დღეს • დილით • ხვალ • გუშინ • საღამოს	• ბიძაჩემი • ჩემი კატა • გიო • ნუცა და ლალი	• სკოლაში • სოფელში • სახლში • მაღაზიაში	• წავა. • წავლენ. • დაბრუნდება. • საქმიანობს. • გაემგზავრება.

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ კითხვის აღმავალ და დაღმავალ მიდგომებზე, რომლებიც აქტუალურია I-II კლასის პედაგოგიკისათვის. ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ მიდგომების ავკარგიანობაზე ცხარე პოლემიკა იმართებოდა. მოგეხსენებათ, რომ:

– კითხვის აღმავალი მეთოდი გულისხმობს სვლას ნაწილიდან მთელისაკენ, ასოდან სიტყვისაკენ. მოსწავლეები სიტყვას დანაწევრებულად, ასო-ასო ან დამარცვლით კითხულობენ, შემდეგ ამთლიანებენ და ამოიცნობენ მის შინაარსს. ეს არის სწორხაზოვანი, დანაწევრებული მიდგომა. მის განსახორციელებლად აუცილებელია, მოსწავლე ცნობდეს წასაკითხი სიტყვების ყველა ასოს.

– კითხვის დაღმავალი ანუ მთლიანობის მეთოდი კი გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობას მისი დანაწევრება-დამარცვლის გარეშე. ამის განსახორციელებლად მოსწავლე მოიშველიებს სხვადასხვა მინიშნებას (ნაცნობი ასოები, ერთნაირი ასოები, სიტყვის სიგრძე და სხვა), კონტექსტს, ილუსტრაციას, მიხვედრილობას. ამ გზით სიტყვის შინაარსის ამოცნობის შემდეგ მოსწავლის ყურადღებას მიმართავენ ამ სიტყვის შემადგენელი ასოებისაკენ. სწორედ ამიტომ ეწოდება ამ მიდგომას დაღმავალი: ეს არის სვლა მთელიდან ნაწილისაკენ, სიტყვიდან ასოსაკენ. დაღმავალი მეთოდის შემთხვევაში მოსწავლე ჯერ მთლიანს აღიქვამს და შემდეგ ანაწევრებს მას (ეს არის არადანაწევრებული, არასწორხაზოვანი მიდგომა).

დიდი ხანი არ არის, რაც ეს პოლემიკა მიწყნარდა. ამ მიდგომების პრაქტიკულ გამოყენებასთან

დაკავშირებით დიდი გამოცდილება დაგროვდა და გაჩნდნენ სპეციალისტები, რომლებმაც დანერგეს **კითხვის აღმავალი და დაღმავალი მიდგომების ინტეგრირებულად გამოყენების მეთოდი.** ჩატარებულმა გამოკვლევებმა ძალიან კარგი შედეგები აჩვენა.

(იხილე გაზეთები: „ახალი განათლება“, 2008 წელი, 10-16 აპრილი.
„დიალოგი“, N7 2008 წელი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.)

შენიშვნა: სტატიაში მუქი შრიფტით გამოკვეთილია პასაჟები, რომელთა გაცნობაც,

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით სასარგებლო იქნება დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესში.

2. კითხვის სწავლება

ფონეტიკური მეთოდი

ამ მიდგომის მთავარი თეზაა – საუკეთესო გზა კითხვის სწავლისთვის არის გზა ნაწილიდან მთელისკენ. **ფონეტიკური** მეთოდის მიხედვით, პატარები კითხვის სწავლისას პირველ რიგში ცდილობენ, გაიაზრონ ენის უმცირესი კომპონენტი და შემდეგ უკვე გადადიან მთლიანი ტექსტის გააზრებაზე (ადამსი, 1990; სტალი, 1998). ამ მიდგომაში ძირითადი აქცენტი ნაცნობი სიტყვების მარაგისა და ახალი სიტყვების შესწავლის მეშვეობით ფონეტიკური ელემენტების შესწავლაზე კეთდება.

ფონეტიკური მეთოდის მიხედვით, ბავშვი პირველ რიგში სწავლობს იმ სიტყვებს, რომლებშიც ერთსა და იმავე ფონეტიკურ კომპონენტებს ვხვდებით, როგორიცაა, მაგალითად, ფონემა დ სიტყვებში: დათვი, დოლი, დევი. ამ ელემენტს თავად ბავშვი აღმოაჩენს, რადგანაც იგი კითხულობს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს კონკრეტულ ფონეტიკურ ელემენტს. შემდეგ ეტაპზე ბავშვი სწავლობს, თუ როგორ განასხვაოს ეს ფონემა სხვა ფონემებისგან. მაგალითად, ის კითხულობს სიტყვებს – დათვი, მერხი, დოლი და იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, იწყება თუ არა ეს სიტყვები ერთი და იმავე ასო-ბგერით, როგორც პირველად მიცემული სიტყვები (დათვი, დოლი, დევი). ამის შემდეგ მას მოეთხოვება, შეადგინოს სიტყვები, რომლებიც მის მიერ შესწავლილი ფონემებისგან შედგება. ხოლო მას შემდეგ, რაც ბავშვი ამ საფეხურსაც გადალახავს, მას დასჭირდება, ისწავლოს, თუ როგორ შეიძლება განაზოგადოს ეს ყველაფერი ახალი სიტყვების კითხვისას და, საბოლოო ჯამში, ნასწავლი გამოიყენოს – წაიკითხოს უკვე მთლიანი წინადადებები და არა ცალკეული სიტყვები. იმის ნაცვლად, რომ შესწავლილ იქნას იზოლირებულად ცალკეული ასო-ბგერები, მათი შესწავლა კონტექსტში ხორციელდება.

მასწავლებელი, როგორც წესი, სწავლებას ნაცნობი სიტყვებით იწყებს, რომელთა ფონეტიკური ელემენტები ბავშვისათვის ნაცნობია და შემდეგ ამატებს ახალ სიტყვებს, რომლებშიც იგივე ასო-ბგერები შეიძლება იყოს. როცა ბავშვები სწავლას იწყებენ ნაცნობი სიტყვებით. მათ უნდა შევასწავლოთ გარითმვის პრინციპიც, რაც ხელს შეუწყობს ფონეტიკური ცნობიერების განვითარებას.

ფონეტიკური მეთოდით გათვალისწინებული აქტივობებისთვის ერთი გაკვეთილის განმავლობაში დიდი დროის დათმობა, შესაძლოა, პატარებისთვის მოსაწყენი გახდეს, ამიტომაც ის მასალა, რომელიც სწავლების დროს გამოიყენება, რაც შეიძლება მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს. ფონეტიკის სწავლება არ უნდა დავიდეს უაზრო სავარჯიშოების გაკეთებასა და გაზეპირებამდე. ცხადია, ექსპლიციტური სწავლება ფონეტიკური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად, ასევე ანბანის პრინციპების ათვისება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ყველაფერი ავტომატიზმში არ გადაიზრდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების ნაციონალური ინსტიტუტი 30 წლის განმავლობაში ატარებდა კვლევების სერიას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევები მკაფიოდ ადასტურებს ფონეტიკის სწავლების მნიშვნელობას, ასევე ნათლად ჩანს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წაკითხულიდან აზრის გამოტანის, მოტივაციის და კითხვისაგან სიამოვნების მიღების ფაქტორები, რაც მთლიანი ენის მიდგომისას აქცენტირებულია. ამის გამო გაჩნდა მოსაზრება, რომ უფრო ეფექტურია დაბალანსებული (ე. წ. კომბინირებული),

მიდგომა, რომელიც მოიცავს ასო-ბგერათა მიმართებით სწავლებას და, ამასთანავე, ეყრდნობა ე.წ. მთლიანობის მეთოდს.

იაკობ გოგებაშვილი თავის „დედა ენაში“ სწორედ ამგვარი – კომბინირებული მიდგომის საშუალებას გვიქმნის. ამიტომაც არის მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ასეთი მიმზიდველი და დღესაც შედეგიანი.

ფონემური ცოდნა

ფონემები ისეთი სამეტყველო ბგერებია, რომელთა ურთიერთჩანაცვლების შედეგად იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. მაგ. ქართულში ფონემებია ზ – ს – ზარი – სარი სხვადასხვა სიტყვაა, ქ – კ– ქარი – კარი ასევე განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებია.

ფონემების გაცნობიერების უნარი სხვადასხვა ასპექტს მოიცავს:

სიტყვის პირველი ბგერის გამოყოფა – რა ბგერაზე იწყება სიტყვა; სიტყვებში პირველი ბგერის იგივეობა (მაგ., ბაღი, ბალი, ბანანი)

სიტყვაში პირველი და ბოლო ბგერის გამოყოფა – მაგ. სიტყვაში ფანჯარა პირველი ბგერაა ფ, ბოლო – ა.

ბგერების სიტყვად გაერთიანება – მაგ., თ ხ ა – თხა; ვ ა შ ლ ი – ვაშლი.

სიტყვის ბგერებად დაშლა – მაგ., თარო – თ ა რ ო.

მეცნიერული კვლევის მიხედვით, ბავშვები, რომლებსაც კარგად განვითარებული აქვთ ფონემების გაცნობიერების უნარი, ადვილად ითვისებენ კითხვასა და მართლწერას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში აღნიშნული უნარის განვითარებაზე ზრუნვას. ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ სკოლამდელი აღზრდის სისტემას ეხება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირებასა და ბავშვის ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას.

ბავშვების ფონოლოგიური ცნობიერება შეიძლება გამოვლინდეს შემდეგ მოქმედებებში:

გარითმვა: მაგ., პური-ყური, კედელი-მჭედელი;

სიტყვებში მარცვლების გამოყოფა: მაგ., ფორთოხალი – ფორ-თო-ხა-ლი;

სიტყვებში პირველი და ბოლო მარცვლის გამოყოფა: მაგ., კარადა, პირველი მარცვალია კა-, ბოლო მარცვალია – და.

სიტყვაში ერთი ბგერის ან ერთი მარცვლის ისე შეცვლა, რომ ახალი სიტყვა გამოვიდეს. მაგ., ბოლი-ბალი; თოხი-თოფი; თავი-თათი.

რას გვეუბნება მეცნიერული კვლევები ფონემური გაცნობიერების უნარის განვითარების შესახებ? ფონემური გაცნობიერების უნარი შესაძლებელია გავარჯიშდეს და დასწავლილ იქნას. ამ უნარის სტიმულირება და გავარჯიშება აუმჯობესებს ბავშვების კითხვის უნარს და წაკითხულის გააზრებას. ფონემური გაცნობიერების უნარის განვითარების შედეგად ბავშვები სწრაფად და თავისუფლად კითხულობენ რთულ სიტყვებსაც კი, ავტომატიზებული ხდება სიტყვების წაკითხვა, ამიტომ მათ უკვე შეუძლიათ მეტი ყურადღების გამახვილება წაკითხულის შინაარსზე. გარდა ამისა, ამ უნარის განვითარება ხელს უწყობს მართლწერის ათვისებას.

მასწავლებლები მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს იყენებენ მოსწავლეთათვის ფონემების გაცნობიერების უნარის განვითარებისა და გავარჯიშების მიზნით. კერძოდ, კვლევების მიხედვით, ყველაზე გავრცელებული და ეფექტური სავარჯიშოებია:

ფონემის იზოლაცია – სიტყვაში ერთი ბგერის ცნობა. მაგ.: რა არის პირველი ბგერა სიტყვაში „თავი“?

ფონემის იდენტურობა – სხვადასხვა სიტყვაში ერთი და იმავე ბგერის ცნობა. მაგ.: რომელი ბგერაა ერთნაირი შემდეგ სიტყვებში: კატა, კომში, კედელი?

ფონემების კატეგორიზაცია – სხვადასხვა სიტყვაში საწყისი ბგერის გამორჩევა და ამის მიხედვით სიტყვების კლასიფიკაცია. მაგ.: რომელი სიტყვა იწყება განსხვავებული ბგერით: თითი, თარო, ტაფა.

ფონემების გაერთიანება – ფონემების თანმიმდევრობის მოსმენა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება, შემდეგ ჩაწერა და წაკითხვა. მაგ.:

მასწავლებელი: რა სიტყვა იქნება ძ-ა-ღ-ლ-ი?
ბავშვები: ძაღლი.
მასწავლებელი: ახლა ჩავწეროთ ამ სიტყვის ბგერები: ძ (ჩაწერეთ) ა, ღ, ლ, ი.
ამის შემდეგ მასწავლებელი თვითონ წერს დაფაზე სიტყვას „ძაღლი“.
მასწავლებელი: ახლა კი წავიკითხოთ, რა დავწერეთ: ძაღლი.

ფონემების სეგმენტაცია – სიტყვის ბგერებად დაშლა, ან სიტყვაში შემავალი ბგერების დათვლა. მაგ.:
მასწავლებელი: რამდენი ბგერაა სიტყვაში „თოხი“?
ბავშვები: 4 ბგერაა.
მასწავლებელი: რა ბგერებია?
ბავშვები: თ ო ხ ი.
მასწავლებელი: ახლა ჩავწეროთ ეს ბგერები თ (ჩაწერეთ), ო, ხ, ი.
მასწავლებელი: ახლა წავიკითხოთ, რა ჩავწერეთ?

ფონემის გამოკლება (წაშლა) – ახალი სიტყვის მიღება სიტყვაში ერთი ფონემის გამოკლებით. მაგ.: მასწავლებელი: რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „შველი“ გამოვაკლებთ პირველ ბგერას „შ“? (ველი)

ფონემის დამატება – ახალი სიტყვის შექმნა არსებულ სიტყვაზე ფონემის დამატებით. მაგ.:
მასწავლებელი: რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „შველი“ გამოვაკლებთ პირველ ბგერას „შ“?
ფონემის დამატება – ახალი სიტყვის შექმნა არსებულ სიტყვაზე ფონემის დამატებით. მაგ.:
მასწავლებელი: რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „ალამი“ დავამატებთ პირველ ბგერას „კ“?
ბავშვები: „კალამი“.

ფონემის შეცვლა – ახალი სიტყვის შექმნა სიტყვაში ერთი ფონემის შეცვლით. მაგ.:
მასწავლებელი: სიტყვაში „ქვა“ „ქ“ შევცვალოთ „რ“ ბგერით, რა სიტყვას მივიღებთ?
ბავშვები: „რვა“.

ფონემების გაცნობიერების უნარის გავარჯიშება მეტად მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, სანამ ბავშვი ანბანის ასოებს ისწავლის. კვლევების მიხედვით, განსაკუთრებით შედეგიანია ამ უნარის განვითარება ანბანის ასოების დაუფლებასთან ერთად.

ფონემების გაცნობიერების უნარის სტიმულირება განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ერთი სასწავლო წლის პერიოდში საშუალოდ 20 საათი ეთმობა ფონემების გაცნობიერების უნარის განვითარების პროგრამას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს წერა-კითხვის ათვისებაში.

ასო-ბგერითი მიმართების სწავლება

ასო-ბგერითი მიმართების სწავლება გულისხმობს ფონემებისა და გრაფემების შესატყვისობის სწავლებას წერისა და კითხვის დროს.

ასო-ბგერითი მიმართების სწავლება ეხმარება მოსწავლეებს ანბანის პრინციპის გაგებასა და გამოყენებაში. ბავშვები სწავლობენ, რომ არსებობს მყარი და განსაზღვრული კავშირი დაწერილ ასოებსა და გამოთქმულ ბგერებს შორის.

აღმოჩნდა, რომ ასო-ბგერითი მიმართების სისტემატური და თანმიმდევრული სწავლება:

- შემდგომში აუმჯობესებს წაკითხულის გააზრებას;
- განსაკუთრებით სასარგებლოა კითხვის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის (ფონემების გაცნობიერების უნარის გავარჯიშებასთან ერთად, იგი კითხვის პრობლემების პრევენციის კარგი საშუალებაა).

ასო-ბგერითი მიმართებების სწავლების პროგრამები მრავალფეროვანია და მასწავლებლები განსხვავებულ მიდგომას იყენებენ, თუმცა ყველა მათგანის მიზანია ბავშვებისთვის სიტყვების დეკოდირების (ამოკითხვის) სწავლება ასო-ბგერითი კავშირების დასწავლის გზით.

ასო-ბგერითი მიმართების სწავლების პროგრამებია:

სინთეზური – ბავშვები სწავლობენ, თუ როგორ უნდა გარდაქმნან ასოები ბგერებად და როგორ უნდა გააერთიანონ ეს ბგერები სიტყვებად;

ანალიტიკური – ბავშვები სწავლობენ ასო-ბგერით კავშირებს დასწავლილი სიტყვების ანალიზის საფუძველზე. ამ დროს არ ხდება სიტყვების ცალკეულ ბგერებად გამოთქმა.

ანალოგიაზე დაფუძნებული – ბავშვები სწავლობენ ნაცნობი სიტყვების ნაწილების გამოყენებას, უცნობი სიტყვების ფონემებად დანაწევრებას და ფონემებისგან სიტყვების შედგენას ამ ფონემების შესატყვისი ასოების ჩაწერით.

მართლწერის გამოყენება – ბავშვები სწავლობენ სიტყვების ფონემებად დანაწევრებას და ფონემებისგან სიტყვების შედგენას ამ ფონემების შესატყვისი ასოების ჩაწერით.

კითხვის მოქნილობა

მოქნილობა გულისხმობს ტექსტის ზუსტად და სწრაფად წაკითხვას. მოქნილობა მეტად მნიშვნელოვანი უნარია, რადგან წარმოადგენს ხიდს სიტყვების ცნობასა და მათი მნიშვნელობის გაგებას შორის. შესაბამისად, ამ უნარის მქონე მკითხველი ერთდროულად ცნობს სიტყვას და იგებს მის მნიშვნელობას; ის არ არის კონცენტრირებული სიტყვების დეკოდირებაზე (ასო-ბგერითი მიმართების დადგენაზე) და ამიტომ მისი ყურადღება მიმართულია მნიშვნელობასა და ტექსტში გადმოცემულ აზრებზე; ასევე, ადვილად ამყარებს აზრობრივ კავშირს ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

მოქნილობის ხარისხი იცვლება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რას კითხულობს ადამიანი – ნაცნობ თუ უცნობ ტექსტს, ტექსტს უცნობი და რთული სიტყვებით და ა. შ.

არსებობს კითხვის მოქნილობის გასაუმჯობესებელი ორი სტრატეგია:

ხმამაღალი განმეორებითი კითხვა: მოსწავლეები ტექსტის ნაწილებს ხმამაღლა კითხულობენ და მასწავლებლისგან მკაფიო უკუკავშირს იღებენ;

ჩუმი კითხვა, კითხვა „თავისთვის“: მოსწავლეები ჩუმად და დამოუკიდებლად კითხულობენ.

ბავშვები ტექსტის ნაწილების რამდენჯერმე ხმამაღლა წაკითხვისას, მასწავლებლის დახმარებით მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ კითხვის ტემპს, სიზუსტეს, სიტყვების ამოცნობის უნარს. მასწავლებლები კლასში ხშირად იყენებენ ხმამაღალი კითხვის მეთოდს, როდესაც რიგრიგობით აკითხებენ მოსწავლეებს. მაგრამ ეს მეთოდი არ აუმჯობესებს მოქნილობას, რადგანაც თითო მოსწავლე მხოლოდ ერთხელ კითხულობს ტექსტის მცირე ნაწილს. ხმამაღალი განმეორებითი კითხვის დროს კი მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ ტექსტის ერთსა და იმავე ნაწილებს, სანამ მოქნილობის გარკვეულ ხარისხს არ მიაღწევენ.

კითხვის მოქნილობის გაუმჯობესება, პირველ რიგში, შესაძლებელია მოსწავლეთათვის კარგი კითხვის მაგალითის ჩვენებით. აუცილებელია, მასწავლებელმა ტექსტის ნაწყვეტი გამოთქმით წაუკითხოს კლასს და შემდეგ სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ იგივე ტექსტი. ბუნებრივია, რამდენჯერმე ერთი და იმავე ტექსტის წაკითხვა მოსაწყენია. შესაბამისად, შეიძლება გაკვეთილზე სხვადასხვა ტიპის სიტუაციის მოფიქრება, სადაც რამდენჯერმე ერთი და იმავე ტექსტის წაკითხვა არ იქნება მოსაბეზრებელი. ამ თვალსაზრისით სასარგებლოა ზღაპრები, სადაც ფრაზები მეორდება. მაგ., ზღაპარი „ციხე-დარბაზი“. ასევე „თხამ ვენახი შეჭამა“, „რწყილი და ჭიანჭველა“.

კითხვის მოქნილობაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს კითხვის ავტომატიზებულ ჩვევად გადაქცევამდე.

კითხვა არ არის ავტომატიზებული თუ:

- უცხო ტექსტის წაკითხვისას მოსწავლე შეცდომით, ან საერთოდ ვერ ამოიცნობს ლექსიკური ერთეულების 10 %-ს;
- ვერ კითხულობს გამოთქმით და შესაბამისი ინტონაციით;
- ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ მოსწავლეს უჭირს აზრის გამოტანა წაკითხულიდან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხმამაღლა საკითხავი ტექსტი იყოს:
- მარტივი (დასაშვებია, რომ 20 სიტყვაში 1 სიტყვის ამოკითხვა იყოს გაძნელებული);
- მოკლე (50-დან 200 სიტყვამდე, ე. ი. იზრდება მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად);
- საინტერესო და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი.

მოქნილობაში სავარჯიშოდ განსაკუთრებით კარგია ლექსები.

არსებობს ხმამაღალი განმეორებითი კითხვის რამდენიმე მეთოდი:

ბავშვი-უფროსის კითხვა: ამ დროს ბავშვი და უფროსი ერთმანეთს ენაცვლებიან კითხვისას. პირველად კითხულობს უფროსი და აჩვენებს მაგალითს. შემდეგ კი ბავშვი რამდენჯერმე კითხულობს იმავე ტექსტს ხმამაღლა უფროსის დახმარებით.

გუნდური კითხვა: ანუ უნისონში კითხვა, როდესაც მასწავლებელი და ბავშვები ერთად კითხულობენ მოკლე ტექსტს. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა წაიკითხონ რამდენჯერმე (3-4-ჯერ).

წყვილში კითხვა: ორი მოსწავლე უკითხავს ერთმანეთს ხმამაღლა, რიგრიგობით. ამ დროს კარგია, თუ წყვილში განსხვავებული უნარის მკითხველები არიან, რადგანაც კარგი მკითხველი ეხმარება სუსტ მკითხველს.

მკითხველთა თეატრი: მოსწავლეები სწავლობენ პიესას, სადაც დიალოგებია. გაკვეთილზე ინაწილებენ როლებს და კითხულობენ დიალოგებს. ასეთი სიტუაცია კარგი საფუძველია ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვისათვის. ეს მეთოდი ასევე სახალისოს ხდის კითხვას.

რადგანაც გაკვეთილის დრო შეზღუდულია აღნიშნული ვარჯიშისთვის, მეტად მნიშვნელოვანია, ამგვარ აქტივობებში ოჯახის წევრების ჩართვა. ამიტომ ხშირად მასწავლებლები სახლში მშობლებს სთხოვენ, წაუკითხონ ბავშვს ტექსტი ხმამაღლა. კარგი კითხვის მაგალითი ზრდის ბავშვის ინტერესს წიგნის მიმართ.

კითხვის მოქნილობის შემოწმება ხდება მოსწავლის ხმამაღალი კითხვისას მისი ინტონაციის, პაუზებისა და ტემპის შეფასებით. მოქნილობის ხარისხი მაღალია, თუ მოსწავლე:

- კითხულობს ექსპრესიულად: ინტონაციით, საჭირო პაუზებით სასვენ ნიშნებთან;
- კარგად იგებს წაკითხულის შინაარსს.

ამერიკელი სპეციალისტების მიერ გამოქვეყნებული ასაკობრივი ნორმის მიხედვით, პირველი კლასის ბოლოს მოსწავლის კითხვის სტანდარტია წუთში 60 სიტყვის სწორად წაკითხვა; მეორე კლასის ბოლოს – 90-100 სიტყვა წუთში, ხოლო საშუალოდ 114 სიტყვა – მესამე კლასის ბოლოს. (Put Reading FirsT The research building blocks of Reading Instruction. Narional institute of Literacy).

ფრაგმენტები გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული მასალიდან
„წიგნიერება“, PIRLS კვლევა – საქართველოში,
ია კუტალაძე

წინასაანბანო პერიოდის დამატებით აქტივობათა აღწერა

გარდა წერითი (მოტორიკის განმავითარებელი) სავარჯიშოებისა, უმნიშვნელოვანესია მეტყველებაში ვარჯიში, რადგან ეს აქტივობები ეხმარება არა მხოლოდ მეტყველების განვითარებას, არამედ წერა-კითხვისათვის მომზადებასაც. აქტივობათა სახეებია:

• **ენის გასატეხის გამეორება:**
ფიფქი ფიფქავს, ფიფქი ფიფქავს, მიწას ფიფქ-ფიფქ დააფიფქავს.
ორი მრგვალი რგოლი რგოლ-რგოლ გადარგოლდა.
შაშვმა შაშხი შაბათამდე სანსლა, სანსლა, ვერ შესანსლა.
ხან ავარცხნა, ხან ჩავარცხნა, ბოლოს მარცხნივ გადავარცხნა.

• **ამა თუ იმ ბგერაზე დაწყებული სიტყვების მოფიქრება:**
დაყავით კლასი ჯგუფებად. წარმოთქვით ბგერა, რომელზე დაწყებული სიტყვებიც უნდა მოიფიქრონ ბავშვებმა. დაფის ერთ მხარეს ჩამოწერეთ I ჯგუფის მიერ მოფიქრებული სიტყვები. დაფის მეორე მხარეს II ჯგუფის მიერ მოფიქრებული სიტყვები. თამაშის ბოლოს დაითვალეთ სიტყვები. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელმაც მეტი სიტყვა მოიფიქრა.

• **გარითმვა**:
წარმოთქვით სიტყვა, მაგ., „დოლი“. შემდეგ დასვით შეკითხვა:
– რომელი ჰგავს ამ სიტყვას, ბურთი თუ გოლი? (ხელი – სახლი თუ ველი; ფარი – ქოლგა თუ კარი; ბარი – ქურქი თუ ქარი; ფერი – თვალი თუ ქერი; დარი – ჩარჩო თუ ხარი; ქუდი – ტანი თუ კუდი; და ა. შ.)

განმავითარებელი შეფასება

თამარ ჯაყელი
https://www.youtube.com/watch?v=cKrxLqmdPXs

განმავითარებელი შეფასება მესამე თაობის ესგ-ს შედეგების ტაქსონომიით

რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ერთი მხრივ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს, მეორე მხრივ კი – ფუნქციურ-კოგნიტურ უნარებზე (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კოლაბორაცია, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მათი საშუალებით აღიწერება მოსწავლის ემოციურ-სოციალური და კოგნიტური განვითარება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია – მისი თითოეული საფეხური წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს/სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. პირველ სამ დონეზე სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ცნების დაუფლება/შედეგის მიღწევა იგივდება მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებთან.

მიმართებითი დონე

მოსწავლე დავალებაში გააზრებულად უკავშირებს ერთმანეთს ცოდნის სტრუქტურებს (ქვესაკითხებს, ქვეცნებებს, სამიზნე ცნებას,), წარმოაჩენს მათ შორის არსებულ მიმართებებს და მათზე დაყრდნობით ახდენს განზოგადებებს, რომლებიც სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება. ნამუშევრით ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელიც პასუხობს დავალების არსებით მოთხოვნებს (კრიტერიუმებს).

დავალებაზე ადაპტირების ნიმუში **– პერსონაჟის დახასიათება**

სამიზნე ცნება „ტექსტი“ – ქვესაკითხები: თემა, დედააზრი, პერსონაჟი, მახასიათებლები, ქცევა, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან.

შესრულებული დავალება **მიმართებით** დონის შესატყვისად ჩაითვლება, თუკი მოსწავლე გააზრებულად იყენებს ქვესაკითხებს და ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულადაა წარმოჩენილი:

- ✓ როგორია პერსონაჟი – რა თვისებები აქვს მას, სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები.
- ✓ როგორია პერსონაჟი დასაწყისში, როგორია მოთხრობის ბოლოს – რამდენად იცვლება ან არ იცვლება იგი.
- ✓ რის თქმა უნდა მწერალს ამ პერსონაჟით.

მულტისტრუქტურული დონე

მოსწავლე იყენებს ამა თუ იმ ქვესაკითხთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფორმაციასა თუ ცოდნას, მაგრამ ვერ ხედავს/ვერ წარმოაჩენს ქვესაკითხებს შორის არსებულ მიმართებებს და, აქედან გამომდინარე, ვერ ახდენს განზოგადებებს. მისი ცოდნა დანაწევრებულია და ვერ ქმნის მიზნობრივ მთლიანობას. შესაბამისად, ვერ პასუხობს დავალების არსებით მოთხოვნებს (კრიტერიუმებს).

უნისტრუქტურული დონე

მოსწავლე ვერ ასრულებს დავალებას, თუმცა სასწავლო პროცესში, ამა თუ იმ შეკითხვის ფარგლებში, წარმოაჩენს ერთ ასოციაციას/წარმოდგენას შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით.

პრესტრუქტურული დონე

მოსწავლეს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ცოდნა, ვერ ასრულებს დავალებას, ვერც/არც სასწავლო პროცესში დასმულ შეკითხვებზე პასუხობს.

დავალებაზე ადაპტირების ნიმუში – **ამბის შეთხზვა**
სამიზნე ცნება „სიტყვა, წინადადება, ტექსტი“ – ქვესაკითხები: კეთილ საქმეზე შეთხზული ამბის სამნაწილიანობა, დეტალები, მრავალფეროვანი ლექსიკა, ნიშან-თვისებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები.
შესრულებული დავალება **მიმართებითი** დონის შესატყვისად ჩაითვლება, თუკი მოსწავლე გააზრებულად იყენებს ქვესაკითხებს და ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულადაა წარმოჩენილი:

- ✓ ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული;
- ✓ საინტერესო და მეტყველი დეტალები, მრავალფეროვანი და ადეკვატური ლექსიკა, იშვიათად ხმარებული ლექსიკური ერთეულები;
- ✓ სათაური;

მულტისტრუქტურული დონე
მოსწავლე იყენებს ამა თუ იმ ქვესაკითხთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფორმაციასა თუ ცოდნას, მაგრამ ვერ ხედავს/ვერ წარმოაჩენს ქვესაკითხებს შორის არსებულ მიმართებებს და, აქედან გამომდინარე, ვერ ახდენს განზოგადებებს. მისი ცოდნა დანაწევრებულია და ვერ ქმნის მიზნობრივ მთლიანობას. შესაბამისად, ვერ პასუხობს დავალების არსებით მოთხოვნებს (კრიტერიუმებს).

უნისტრუქტურული დონე
მოსწავლე ვერ ასრულებს დავალებას, თუმცა სასწავლო პროცესში, ამა თუ იმ შეკითხვის ფარგლებში, წარმოაჩენს ერთ ასოციაციას/წარმოდგენას შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით.

პრესტრუქტურული დონე
მოსწავლეს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ცოდნა, ვერ ასრულებს დავალებას, ვერც/არც სასწავლო პროცესში დასმულ შეკითხვებზე პასუხობს.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული ენა და ლიტერატურა – დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) გზამკვლევი – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
https://bit.ly/3yWZ1bR
კომპლექსური დავალებების ბანკი წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომი პერიოდისთვის. ტიპობრივი აქტივობები (სამიზნე ცნებებისთვის).
(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი)

სასარგებლო ბმულები

წინასაანბანო პერიოდის მნიშვნელობა – თამარ ჯაყელი.
https://www.youtube.com/watch?v=V_n8iPotW5Q
მაგალითების მნიშვნელობა ცოდნის კონსტრუქტივისტული აგებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე /დაწყებითი საფეხური/ – თამარ ჯაყელი.
https://www.youtube.com/watch?v=MzxCMApmIcQ
ცოდნის სამი კატეგორიის შესახებ – თამარ ჯაყელი.
https://bit.ly/3y92qTo
ცნებებზე ორიენტირებული ცოდნის კონსტრუქტივისტული აგება: თამარ ჯაყელი, ზ. ვახანია.
https://bit.ly/3ZButGY
კომპლექსური დავალება – თამარ ჯაყელი
https://www.youtube.com/watch?v=BikbQeUr3mY&t=923s
თემატური მატრიცა – თამარ ჯაყელი
https://www.youtube.com/watch?v=ZbxrrBx7pPo

დანართი

ამოსაჭრელი ბარათები

ია ია

კალამი



დათვი

კურდღელი

მაიმუნი

მგელი

ზღარბი



მელია

ზებრა

ლომი

ბეჰემოთი

ირემი

ოფოფი

არწივი

შოშია

ინდაური

ჯიხვი

თევზი

ბუ

ხე



კუ

ბუდე

დაფა

თარო



კარი

კალათა



პენალი

ქოთანი

რვეული

უნაბი

ბელი

კამეჩი

აქლემი

თხა

წელიწადის ოთხი დრო



* სურათი აღებულია საგანმანათლებლო ვებგვერდიდან: „ედუტოპია“.